ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რევაზ ჯაჯულია ლელა ბახტაძე

საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები

მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

სახელმძღვანელო

თბილისი
გამომცემლობა "ვერჟე"
2007

UDC (უაკ) 339.7 + 339.727.3 + 339.742 +
339.741 + 339.92 + 339.97
კ – 179

სახელმძღვანელოში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობათა თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები, ნაჩვენებია საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო სისტემის როლი და მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაში.

წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა გამოვიდა 1995 წელს „საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობების“ სახელწოდებით. ეს იყო საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდისათვის მისადაგებული მონოგრაფია-სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ქართველ სტუდენტობას და პრაქტიკოს-ეკონომისტებს.

ავტორებმა გაითვალისწინეს რა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა სურვილი, ქვეყნის ეკონომიკის უკანასკნელი წლების გარდაქმნებისა და ჩვენი სწრაფად ცვალებადი სინამდვილის მოთხოვნები, გადაწყვიტეს გამოეშვათ სახელმძღვანელოს მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **იაკობ მესხია**
რეცენზენტები – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თამაზ ჩიკვაიძე**
სრული პროფესორი **გიგა ღავთაძე**

ISBN 99940 – 58 – 84 – 3

შესავალი

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო ეკონომიკური, საფინანსო და სავალუტო ურთიერთობათა პრობლემები. იმის გამო, რომ საქართველო ორი საუკუნის მანძილზე ფაქტობრივად რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა, დაკარგული ჰქონდა როგორც სახელმწიფოებრიობა, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობა, გარე სამყაროსთან კავშირს მხოლოდ რუსეთის (საბჭოთა კავშირის) მეშვეობით ამყარებდა. ამასთან, მას არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა და დამოუკიდებელი საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემები.

ამჟამად, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო აშენებს საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე აგებულ ეროვნულ ეკონომიკას, მეურნეობრივი ცხოვრების ძირითადი სიძნელეების დაძლევის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გამოსავალია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო გარემოსთან შეგუება და მსოფლიო სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა. მით უმეტეს ქვეყნის ინტეგრაციისა და ურთიერთკავშირების განვითარება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა.

საქართველოს შეუძლია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ცნობილ პრინციპებზე დაყრდნობით (სამეურნეო თანამშრომლობა, ეკონომიკისა და ვაჭრობის თავისუფლება, ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფა) მიაღწიოს ეკონომიკის აღმავლობას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

იმისათვის, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, რომელიც დაკავშირებულია თანამშრომლობისა და ეკონომიკური ქცევის თავისუფლებასთან, ფეხდაფეხ უნდა მიჰყვე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას. ამასთან, ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ აუცილებელია ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის განვითარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა მოექცევა იზოლაციის დამღუპველ გარემოში.

დღეს მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ გვეგულება, რომელსაც გარე სამყაროსთან, სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის გარეშე შეეძლოს ცხოვრება. ქვეყნები მეტ-ნაკლები ზომით მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, რაც საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამისად თანდათანობით ღრმავდება და ვითარდება.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა თითოეულ მათგანს აძლევს საშუალებას შედარებით ნაკლები დანახარჯებითა და ნაკლები პრობლემებით დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები.

ამრიგად, სახელმძღვანელოში განხილულია ყველა ის საკითხი, რომელთა გარეშე სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება კაცობრიობას ვერ მოუტანს დიდ სარგებლობას.

სახელმძღვანელოს ავტორები გულწრფელ მადლობას უხდიან წიგნის რედაქტორს, პროფესორ **იაკობ მესხიას**, რეცენზენტებს — პროფესორებს: **თამაზ ჩიკვაიძეს** და **გიგა ღავთაძეს**, პროფესორებს: **რევაზ ბასარიას, გივი გამსახურდიას, მერაბ კაკულიას, ირაკლი კოვზანაძეს, ელგუჯა მექვაბიშვილს, ვლადიმერ პაპავას, შოთა ქისტაურს, გედევან ხელაიას** საქმიანი შენიშვნებისა და საგულისხმო რჩევებისათვის.

თავი I
საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობათა არსი

I.1. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობათა როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში

საერთაშორისო ეკონომიკურ, ფინანსურ და სავალუტო პრობლემებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მარტო საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში.

მე-20 საუკუნის მიწურულს მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებს შორის ერთ-ერთი მთავარია სოციალისტური სისტემის ნგრევა და მის ბაზაზე ოცზე მეტი ახალი სუვერენული სახელმწიფოს შექმნა.

მე-2 მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მოვლენებმა: მარშალის გეგმამ, დეკოლონიზაციამ, ევროპის აღმშენებლობამ, საერთაშორისო სავალუტო კრიზისებმა და შესაბამისად, ეროვნული ვალუტების კურსის დაცემამ ძლიერი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე. ამას დაემატა ის, რომ ნავთობის შოკისა და მისგან გამომდინარე მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური ზრდისა და წონასწორობის დარღვევის შედეგად გაძლიერდა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის მდგომარეობასა და პერსპექტივებზე საერთაშორისო გავლენა.

ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონის ამაღლება და ინტეგრაციული პროცესები წარმოადგენს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას.

1980 წლიდან დაწყებული მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების სწრაფი ზრდა წარმოადგენდა იმის მიზეზს, რომ ბევრი უმსხვილესი ფინანსური კორპორაცია, აგრეთვე ვაჭრობასა და წარმოებაში დასაქმებული ფირმები, თავიანთი განვითარების პერსპექტივებს მსოფლიო მასშტაბამდე გაფართოებას უკავშირებდნენ. ამ პერიოდისათვის ტიპიური იყო

ლოზუნგი – "გლობალური სტრატეგია მოგების უზრუნველსაყოფად". ბიზნესისა და ფინანსების გლობალიზაციის საფუძველთა საფუძველი გახდა: ტექნიკური პროგრესის მიღწევების (კომპიუტერიზაცია და ტელეკომუნიკაციები) დანერგვა; ეკონომიკასა და დაფინანსების სფეროებში სახელმწიფოს ჩარევის მოცულობის შემცირება; კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას.

ბიზნესის გლობალიზაცია და მსოფლიო ფინანსების მზარდი მოთხოვნილებები წარმოადგენდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც დღემდე გრძელდება.

საერთაშორისო (მსოფლიო) ფინანსები აერთიანებს ფინანსურ სფეროს მსოფლიო მასშტაბით (საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებს, საერთაშორისო საბანკო სფეროს, საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციებს, ფასიანი ქაღალდების პორტფელების მართვას და ა.შ.). ამასთან, ეწევა მსოფლიო ფინანსური სფეროს საქმიანობის ანალიზს.

საერთაშორისო ფინანსების საფუძველზე წარმოებს მსოფლიო დონეზე ფინანსური ოპერაციების კავშირურთიერთობების მეთოდური მართვა.

მსოფლიო ფინანსები იძლევა ფინანსური საქმიანობის სრულფასოვან ანალიზს მაკრო- და მიკროდონეებზე.

თანამედროვე მსოფლიოს განვითარება წარმოუდგენელია სრულყოფილი საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების გარეშე.

საერთაშორისო გაცვლა სერიოზულ პრობლემებს უყენებს ეროვნულ მეურნეობებს, რომელთა გადაწყვეტა მეტად რთული საქმეა.

როგორც წესი, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება მოითხოვს გამონახული იქნეს ისეთი ფენომენი, რომელიც უზრუნველყოფს საანგარიშო ერთეულის, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების, აგრეთვე დაგროვების საშუალებისა და ღირებულების რეზერვის ფუნქციების შესრულებას, რომელთა გარეშეც გაცვლა ნატურალური, ბარტერული გაცვლის სტადიიდან ვერ გამოვა. თითოეული სახელმწიფოს დონეზე ეს ფუნქციები ხორციელდება

ეროვნული ფულის მეშვეობით. საერთაშორისო სავალუტო სისტემა კი წარმოადგენს იმ მექანიზმებისა და წესების ერთობლიობას, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში უზრუნველყოფენ ამ კავშირებს.

საერთაშორისო სავალუტო სისტემა აუცილებელი არ არის საერთაშორისო შეთანხმებებს ემყარებოდეს. ადრეულ პერიოდში ლითონური ფულის არსებობის დროს სხვადასხვა წონის ორ ოქროს მონეტას შორის გასაცვლელი პროპორციის დაწესებისათვის არავითარი წესები არ არსებობდა. დეპოზიტური ვალუტა სავსებით შესაძლებელია განხილული იქნეს, როგორც ჩვეულებრივი საქონელი, და, ამიტომ საზოგადოების თვალში მის ღირებულებაზე პასუხს სახელმწიფო აგებდა.

ამასთან, საერთაშორისო წესების არარსებობა დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს. არადა საერთაშორისო, სახელმწიფოთა შორის, სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კავშირურთიერთობები უნდა ეყრდნობოდეს საწარმოო ძალთა განვითარების ინტერნაციონალურ ხასიათს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკური პროგრესის მიღწევა მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ემყარება საყოველთაოდ ცნობილ პრინციპებს: ქვეყნებს შორის ურთიერთობაში დაუშვებელია ეროვნულ მეურნეობათა ზარალიანობა ერთმანეთის მიზეზით; მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში წარმოქმნილი უთანხმოების რეგულირება წარმოებს მშვიდობიანი გზით, ძალისა და მუქარის გამოყენების გარეშე; დაუშვებელია ქვეყნებს შორის საგარეო-ეკონომიკური კავშირების გამოყენება სუვერენული ქვეყნების ეკონომიკის დასასუსტებლად; მიუღებელია აგრეთვე ეკონომიკური კავშირების გამოყენება სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისა და საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედების მიზნით.

სახელმწიფოთა შორის სამეურნეო ურთიერთობები ხორციელდება ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმით, რომელიც წარმოადგენს იმ მეთოდებისა და ფორმების ერთობლიობას, რომელთა საშუალებითაც ქვეყნები ერთმანეთთან ამყარებენ სამეურნეო კავშირურთიერთობებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებს წარმოადგენენ: საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია და საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობანი.

სახელმძღვანელოს მიზანია ჩამოთვლილი ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებიდან შესწავლილი იქნეს საერთაშორისო საფინანსო, სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, მათი თავისებურებები ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების სხვადასხვა სახეების მომსახურებაში და ამ ურთიერთობათა მისადაგება თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებასთან.

გასული საუკუნის 30-იანი წლების ქაოსურმა დევალვაციამ გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობის შემცირება და ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელება, დაცემა, რამაც გაამწვავა ნაციონალიზმი და კატალიზატორის როლი შეასრულა მე-2 მსოფლიო ომის გაჩაღებაში.

მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებამდე ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ საერთაშორისო სავალუტო კავშირი და შეექმნათ ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას. სახელმწიფოთა სურვილის ბაზაზე ორგანიზებულობა არ გამორიცხავდა სავალუტო სფეროში პრაგმატიზმს. საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების ევოლუციის შესაბამისად ცხოვრება ხშირად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება, იმის და მიხედვით, თუ როგორ ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებებით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სავალუტო სფეროში ნდობას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ამის სურვილი სახელმწიფოებს გააჩნიათ.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საგარეო ვაჭრობის გიგანტური მასშტაბებით განვითარება შეუძლებელი იყო საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების ორგანიზაციის გარეშე. და, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ექვსი ათეული წლის მანძილზე განუზომლად განვითარდა საერთაშორისო სავალუტო ბაზრები, მაინც ამ სფეროში სახელმწი-

ფოთა შორის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება აუცილებელი გახდა.

თუ საზოგადოების განვითარების გარიჟრაჟიდან დღემდე ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა და წარმოადგენს ფული, დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ვალუტა. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობისა და სავალუტო სისტემის შესწავლა-ანალიზამდე განვიხილოთ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სავალუტო სისტემების, სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზაციული ფორმების ისეთი ელემენტები, როგორიცაა: ეროვნული ვალუტა, სარეზერვო ვალუტა, სავალუტო პარიტეტი, სავალუტო კურსი, ეროვნული ვალუტის შექცევადობა და ვალუტათა ურთიერთშექცევადობის პირობები, ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო ლიკვიდობა და მისი სახელმწიფოთაშორისი რეგულირება, მიმოქცევის საერთაშორისო საკრედიტო ინსტრუმენტები და მათი გამოყენების წესების უნიფიცირება, ქვეყნის საერთაშორისო ანგარიშსწორების რეგლამენტირება და საერთაშორისო ანგარიშსწორების ძირითადი ფორმების უნიფიცირება, ეროვნული და მსოფლიო სავალუტო ბაზრებისა და ოქროს ბაზრების რეჟიმი, ეროვნული და საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნებს შორის საფინანსო, სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებს.

რა არის სავალუტო სისტემა? იგი წარმოადგენს ვალუტის ურთიერთგაცვლის წესებისა და ნორმების, საგადასახდელო საშუალების სახით გამოყენების, აგრეთვე ვალუტის გამოყენებასთან დაკავშირებულ ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც ჩამოყალიბებულია სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციისა და მსოფლიო ბაზრის განვითარების საფუძველზე და რომელიც განმტკიცებულია სახელშეკრულებო და სახელმწიფო-სამართლებრივი ნორმებით.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ მსოფლიო, საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ სავალუტო სისტემებს.

მსოფლიო სავალუტო სისტემა დაფუძნებულია მთელ რიგ ძირითად კომპონენტებზე, როგორიცაა: საერთაშორისო საგადასახდელო საშუალებების ნაკრები, ვალუტის გაცვლისა და კონ-

ვერტირების რეჟიმი და პირობები, საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმათა უნიფიკაცია, მექანიზმი და რეგლამენტაცია, საბანკო დაწესებულებები და საფინანსო ინსტიტუტები.

"სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზაცია ამა თუ იმ ქვეყანაში გულისხმობს სახელმწიფოს მიერ უცხოური ვალუტის განკარგვისა და ფლობის რეგლამენტირებას. არსებითად ეს არის წესების, რეჟიმების და მექანიზმების ერთობლიობა, რომელშიც განწერილია სავალუტო ურთიერთობათა ყველა სუბიექტის, ფიზიკური პირებით დაწყებული, ქვეყნის ცენტრალური ბანკით დამთავრებული, უფლებამოსილება და ფუნქციონალური დატვირთვა. აღნიშნული ერთობლიობის აღსანიშნავად შემოტანილი იქნა ეროვნული სავალუტო სისტემის ცნება"[1].

სავალუტო სისტემის საყრდენი ელემენტებია: ეროვნული ვალუტა, ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის პირობები, ეროვნული ვალუტის კურსის რეჟიმი, სავალუტო შეზღუდვები, სავალუტო კონტროლი, მიმოქცევის საერთაშორისო საკრედიტო საშუალებათა გამოყენების რეგლამენტაცია, ქვეყნის საერთაშორისო ანგარიშსწორების რეგლამენტაცია, ეროვნული სავალუტო ბაზრის და ოქროს ბაზრის რეჟიმი, სავალუტო ურთიერთობათა წარმმართველი და მარეგულირებელი ეროვნული ორგანოები.

პროფ. მ. კაკულია გამოყოფს ეროვნული სავალუტო სისტემის შემდეგ ელემენტებს[2]: ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის რეჟიმი, გაცვლითი კურსის რეჟიმი, სავალუტო კონტროლის მექანიზმი, ქვეყნის საერთაშორისო ლიკვიდობის მართვა, შიდა სავალუტო და ოქროს ბაზრის მოწყობა, სავალუტო რეგულირების ეროვნული ორგანოები.

ამრიგად, სავალუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი ფუნქციებით, როლით, ამოცანებითა და რეგულირების მეთოდებით. ეროვნულ და საერთაშორისო სისტემათა კავშირურთიერთობები და განსხვავებულობანი მათი ორგანიზაციული ფორმების ელემენტებსა და ფუნქციონირებაში ვლინდება.

---

[1] მ. კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., 2001, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 17.

როგორც ცნობილია, ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული (აშშ-ის დოლარი, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი, იაპონიის იენა, ქართული ლარი, რუსული რუბლი და ა.შ.), რომელიც გამოიყენება საქონლის ღირებულების სიდიდის გამოსათვლელად. ვალუტის ქვეშ იგულისხმება აგრეთვე ფულის სისტემის ტიპი (ოქროს, ვერცხლის, ქაღალდის და ა.შ.), საერთაშორისო ანგარიშსწორებაში საკრედიტო და საგადასახდელო საშუალება (თამასუქი, ჩეკი და ა.შ.), საერთაშორისო და რეგიონული ფულადი საანგარიშსწორებო ერთეული და საგადასახდელო საშუალება.

გამოყენებისა და რეჟიმის სფეროების პოზიციებიდან განასხვავებენ: ეროვნულ და სარეზერვო ვალუტებს, კონვერტირებად (თვისუფლად კონვერტირებად და ნაწილობრივ კონვერტირებად) და არაკონვერტირებად (ჩაკეტილ) ვალუტებს.

ეროვნული ვალუტა წარმოადგენს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფულად ერთეულს, რომელიც გამოიყენება ამ ქვეყნის სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ეკონომიკური, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად.

სარეზერვო ვალუტა წარმოადგენს მსოფლიოში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რომელიც გამოიყენება სხვა დანარჩენი სახელმწიფოების სავალუტო პარიტეტისა და სავალუტო კურსის განსაზღვრის საფუძვლად და ასრულებს საერთაშორისო მასშტაბით საგადასახდელო და სარეზერვო საშუალების ფუნქციებს.

იმისათვის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულმა ვალუტამ მიიღოს საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის უფლებამოსილება, აუცილებელია ამ ქვეყანას მსოფლიო საქონლურ წარმოებაში, საქონლის (მომსახურებისა) და კაპიტალის ექსპორტში, მონეტარული ოქროს რეზერვებში, საბანკო დაწესებულებათა და საფინანსო-საბირჟო ქსელით წამყვანი ადგილი ეკავოს.

კონვერტირებად ვალუტად მიჩნეულია ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტა, რომელიც იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე და ასრულებს საერთაშორისო საგადასახდელო საშუალებების ფუნქციას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ყოველგვარი სახის ოპერაციათა შესრულებისას.

თავისუფლად კონვერტირებადია ის ვალუტა, რომელიც შეუზღუდავად იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ვალუტაზე და ნებისმიერ მფლობელს შეუძლია მისი ყველა ქვეყანაში გატანა ყოველგვარი სახის საერთაშორისო და რეგიონული ოპერაციების საწარმოებლად.

ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტის სტატუსი გააჩნია იმ ქვეყნის ვალუტას, რომელსაც საერთაშორისო ოპერაციების გარკვეული ნაწილის წარმოებისათვის შენარჩუნებული აქვს სავალუტო შეზღუდვები.

არაკონვერტირებადი ვალუტა ის ვალუტაა, რომელიც ჩაკეტილია ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე და საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვები გააჩნია.

როდესაც საუბარია სავალუტო სისტემაზე, მის საფუძვლად ეროვნული ვალუტა კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ მისი კონვერტირებადობის ხარისხი. სწორედ ეროვნული ვალუტის კონვერტირებისათვის უნდა შეიქმნას სათანადო პირობები, რომელშიც მთავარია სავალუტო შეზღუდვების არარსებობა. ამასთან, გასარკვევია, რას ნიშნავს **ეროვნული ვალუტის პარიტეტი?** იგი ნიშნავს უცხოური ვალუტის მიმართ მისი წონასწორობის საკანონმდებლო წესით განსაზღვრას. მას შემდეგ, რაც გაუქმდა ოქროს პარიტეტის სისტემა, ეროვნული ვალუტის პარიტეტი ოფიციალური გაცვლითი კურსის გაგებას ესადაგება, რომელიც უპირატესად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი-ქვეყნების დიდ უმრავლესობაში საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე განისაზღვრება[1].

სავალუტო სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია შიდა სავლუტო და მსოფლიო სავალუტო ბაზრები.

სავალუტო ბაზარი. როცა ვსწავლობთ საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო, ე.ი. საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებს, აუცილებელია ორი ცნობილი ფენომენის: მოგების მაქსიმიზაციისა და კონკურენციის განხილვა. ინდივიდები მოქმედებენ მთავარი მიზნის – თავიანთი წმინდა შემოსავლის – მოგების რეალური სიდიდის მაქსიმიზაციის მისაღწევად. ამგვარადვე საერთა-

---

[1] **მ. კაკულია.** საავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., 2001, გვ. 16.

შორისო სავალუტო, საკრედიტო და, საერთოდ, საერთაშორისო ფინანსებში მონაწილეთა მიზანიც ანალოგიურია, თუმცა აქ მოგების გაგება განსხვავებულია. იგი განისაზღვრება მრავალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკთან შეთანაწყობით.

ჩვენთვის, დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნისთვის, საერთაშორისო ფინანსების შესწავლა-ანალიზი მეტად რთული, მაგრამ საჭირო საქმეა. ამერიკელი ეკონომისტი პ. ხ. ლინდერტი მართებულად ადარებს მას სხვა პლანეტაზე მოგზაურობას.

საერთაშორისო ფინანსების შესწავლა ვალუტით ვაჭრობითა და სავალუტო ბაზრით უნდა დავიწყოთ.

სავალუტო ბაზარი არის უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახდელო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარი სისტემა. ამასთან, სავალუტო ბაზარი ეკონომიკური ურთიერთობის განსაკუთრებული სფეროა.

მსოფლიო **სავალუტო ბაზარი** მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების საკორესპონდენტო კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორების განხორციელების მექანიზმს.

სავალუტო ბაზრებზე მათი მონაწილეები ერთ ვალუტას მეორეზე ცვლიან. სავალუტო ბაზარი მსოფლიოში უმსხვილესია, რომელზედაც საშუალო-დღიური გარიგებები 1.5 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება.

განასხვავებენ **თავისუფალ სავალუტო ბაზარს,** სადაც სავალუტო შეზღუდვები არ არსებობს და **შეზღუდულ (არათავისუფალ) სავალუტო ბაზარს,** სადაც დომინირებს სავალუტო შეზღუდვები. არსებობს აგრეთვე **არალეგალური ანუ შავი ბაზარიც.**

ისმის კითხვა: რა მიზნებს ისახავს და რისთვის არის საჭირო სავალუტო ბაზრები?

სავალუტო ბაზრები გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

- **ვაჭრობისა და ინვესტიციების უზრუნველსაყოფად.** კომპანია, რომელიც დასაქმებულია საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტით, ყიდულობს ამ საქონელს ერთ ვალუტაში და ყიდის მეორეში, ე.ი. ახორციელებს ერთ ვალუტაში გაყიდვას, ხოლო ამონაგებს ღებულობს მეორე ვალუტაში. მაშასადამე, ახდენს ამონაგების ნაწილის კონვერტირებას იმ ვალუტაში, რომლითაც შეძენილი საქონლის ღირე-

ბულების გასტუმრებას ახდენს. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება კომპანია, რომელიც აქტივებს სხვა ქვეყანაში შეიძენს და რომელიც უნდა აანაზღაუროს ადგილობრივი ვალუტით. ამასთან, იგი აწარმოებს თავისი ვალუტის ადგილობრივ ვალუტაზე კონვერტირებას;

- **სპეკულაციისათვის.** ორი ვალუტის გასაცვლელი კურსი იცვლება თითოეული მათგანის მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად. ტრეიდერებმა შეიძლება მოგება მიიღონ მაშინ, როდესაც ვალუტას ერთი კურსით ყიდულობენ და ყიდიან მეორე, უფრო სარფიანი კურსით. სპეკულაციის წილად მოდის სავალუტო ბაზრის გარიგებათა დიდი ნაწილი.

- **ჰეჯირებისათვის.** კომპანიას, რომელსაც სხვა ქვეყნებში გააჩნია აქტივები, მაგალითად, ქარხანა, თავის თავზე ღებულობს აქტივების ღირებულების ცვლილებათა რისკს, რომელიც გამოხატულია ეროვნულ ვალუტაში, ორი ვალუტის გასაცვლელი კურსის (უცხოური და ადგილობრივი) მერყეობით. თუმცა უცხოური აქტივები გარკვეული პერიოდის მანძილზე არ იცვლიან ღირებულებას უცხოურ ვალუტაში, მათ შეიძლება მესაკუთრეს მოუტანონ მოგება ან ზარალი ეროვნულ ვალუტაში გასაცვლელი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას შეუძლია თავიდან აიცილოს მოგება-ზარალი, თუ მიმართავს ჰეჯირებას.

ჰეჯირება ითვალისწინებს ისეთ სავალუტო ოპერაციას, რომელიც მთლიანად დაფარავს უცხოური აქტივების მოგება-ზარალს, გამოწვეულს გასაცვლელი კურსის ცვლილებებით[1].

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს არასაბირჟო ობიექტს, რომელიც მთელი დღეღამის განმავლობაში ფუნქციონირებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთან, არსებობს წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტები – დერივატივები, რომლითაც ბირჟაზე ვაჭრობენ.

ნებისმიერი ქვეყნის მთავრობები საპროცენტო განაკვეთებს იყენებენ საკუთარი ფულადი პოლიტიკის და გაცვლითი კურსის რეგულირების განსახორციელებლად.

---

[1] ტრეიდერი – საბროკერო ფირმის მუშაკი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საბირჟო ვაჭრობაში.

როგორც წესი, საპროცენტო განაკვეთების სიდიდეზე გავლენას ახდენს სამი ფაქტორი: ა) ფულზე მოთხოვნა და მიწოდება; ბ) ინფლაციის დონე და გ) მთავრობის მოქმედება.

ამასთან, გაცვლით კურსზე გავლენას ახდენენ სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფაქტორები, რომელთა დაჯგუფება წარმოებს შემდეგი სახით: ეკონომიკური, პოლიტიკური და ადამიანური ფაქტორები.

ეკონომიკურ ფაქტორებში გამოყოფენ ოთხ ძირითად ფაქტორს: შეფარდებით საპროცენტო განაკვეთებს, მყიდველობითუნარიანობის პარიტეტს, ეკონომიკურ პირობებს, კაპიტალზე მოთხოვნა-მიწოდებას.

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

შეფარდებითი საპროცენტო განაკვეთები. უმსხვილეს ინვესტორებს შეუძლიათ ადვილად შეცვალონ საინვესტიციო ვალუტა, რის გამოც მათ სჭირდებათ საზომი, რომელიც მათ საშუალებას მისცემს სხვადასხვა ვალუტათა გამოყენებით შეადარონ ინვესტიციათა შემოსავლიანობა და ამ გზით, შეირჩეს ყველაზე საუკეთესო საინვესტიციო გადაწყვეტილება.

თუ სესხი უცხოურ ვალუტაში უფრო მაღალი პროცენტით გაიცემა, ვიდრე ეროვნულ ვალუტაში, აზრი აქვს კრედიტი გავცეთ უცხოურ ვალუტაში.

ამისათვის აუცილებელია მოვახდინოთ ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაში კონვერტირება (მოქმედი კურსით), შემდეგ უნდა გაიცეს კრედიტი მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. გასესხების ვადის გასვლის შემდეგ, უნდა მოვახდინოთ ფულისა და მიღებული პროცენტის კონვერტირება ეროვნულ ვალუტაში.

სხვადასხვა ვალუტებში საპროცენტო განაკვეთის შედარებას უწოდებენ შეფარდებითი საპროცენტო განაკვეთებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ გასაცვლელი კურსი კრედიტის მთელი ვადის პერიოდში შეიძლება მერყეობდეს, ინვესტორებისათვის არსებობს იმის რისკი, რომ უცხოური ვალუტა გაუფასურდება ეროვნულ ვალუტასთან შედარებით, ხოლო შემოსავალი, რომელიც მიღებულია ორ საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობით, იგი ვერ დაფარავს მიღებულ ზარალს. ამ შემთხვევაში ინვესტორის მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხი, მას ზარალს მოუტანს.

მყიდველობითუნარიანობის პარიტეტი არის სხვადასხვა ვალუტაში შეფარდებითი მყიდველობითუნარიანობის მაჩვენებელი. იგი განისაზღვრება სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იმავე საქონლის ფასების შეჯერების გზით, რომელიც გადაყვანილია საბაზო ვალუტაში (მაგალითად, აშშ დოლარებში). ამ მაჩვენებლის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თუ საქონელი ერთ ქვეყანაში უფრო იაფია, ვიდრე მეორეში, მაშინ აზრი აქვს მოვახდინოთ მისი ექსპორტირება იქ, სადაც იგი უფრო ძვირია.

თუ ყველა ქვეყანაში ეკვივალენტური რაოდენობის ვალუტით შეიძლება ნაყიდი იქნეს ერთი და იმავე რაოდენობის საქონელი, მაშინ საერთაშორისო ვაჭრობიდან შეწყდება მოგების მიღება. სხვა სიტყვებით, ყველა ვალუტას ექნება ერთნაირი მყიდველობითუნარიანობა.

გრძელვადიან პერიოდში გაცვლით კურსზე გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული **ეკონომიკური პირობები,** განსაკუთრებით ისეთი მაჩვენებლების ტენდენცია, როგორიცაა: საგადასახდელო ბალანსი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის დონე, ფულის მიწოდება, უმუშევრობა, გადასახადების განაკვეთი.

კაპიტალზე მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორი. კაპიტალი იმ ქვეყნებში გააქვთ, სადაც ინვესტორები უფრო მომგებიან პროგნოზებს აკეთებენ. ზოგიერთი ქვეყანა საჭიროებს კაპიტალის შეტანის აუცილებლობას, რისთვისაც იგი ინვესტორებს უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს. ზოგიერთ ქვეყანას გააჩნია ჭარბი კაპიტალი, რომლის განსათავსებლად ითხოვს უფრო ნაკლებ საპროცენტო განაკვეთს.

პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ახდენენ გავლენას გაცვლით კურსზე: ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობის დონე, ცენტრალური ბანკის ან სხვა მარეგულირებელი ორგანოების პოლიტიკა; ცენტრალური ბანკის მონაწილეობა სავალუტო ბაზრის საქმიანობაში ქვეყნის ვალუტის განმტკიცების ან შესუსტების მიზნით.

საყურადღებოა **ადამიანური ფაქტორების გავლენა.** გაცვლითი კურსის მოკლევადიანი ცვლილებები ხშირად გამოწვეულია ბაზრის მონაწილეების ხასიათით, განწყობილებით. იგი ჩვეულებრივად შეიძლება იყოს როგორც "პოზიტიური", ისე "ნეგატიუ-

რი“. მაგალითად, პოზიტიურია, როდესაც ვალუტა მყარია, მეორე შემთხვევაში კი – ვალუტა სუსტია.

ტრეიდერები რეაგირებენ კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ სიახლეებზე. ზოგჯერ ისინი წინასწარ განჭვრეტენ მოახლოებულ ცვლილებებს და იწყებენ ვალუტის ყიდვას ან გაყიდვას რეალური მოვლენების დადგომამდე. როდესაც ასეთი სიახლეები ცნობილი ხდება, ბაზრის განწყობა განსაზღვრავს ვალუტის კურსის მოძრაობის მიმართულებას.

ამრიგად, სიახლე გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული განწყობის ფონზე.

ტექნიკური ანალიზი. ბაზრის ბევრი მონაწილე ვაჭრობას ეწევა წარსულში მომხდარი ფასების ცვლილებების გათვალისწინებით. ეს იმით არის განპირობებული, რომ ფასების ისტორიული დინამიკის გათვალისწინება უფრო ამართლებს, ვიდრე სიახლეების ან განწყობის ბაზაზე მომავალში ფასების მოძრაობის მიმართულებების განსაზღვრა.

ასეთ პრაქტიკას ტექნიკურ ანალიზს უწოდებენ. იგი შეისწავლის ბაზრის ტრენდებს წინასწარი ხედვიდან გამომდინარე, რომ ბაზრის მონაწილეთა დღევანდელი რეაქცია ისეთივე იქნება, როგორც წარსულში იყო.

სავალუტო ბაზრის საქმიანობის წარმატების საწინდარია რისკების არსის გაგება და მართვა. ფინანსურ ბაზრებს ახასიათებს რამდენიმე სახის რისკი: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და საანგარიშსწორებო რისკი.

საბაზრო რისკი ისეთი რისკია, რომელმაც საპროცენტო განაკვეთის ან გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად შეიძლება ზარალი მოგვცეს და რომელიც დაკავშირებულია გარიგების მოხდენაში ბანკის პოზიციასთან. მარტივად, საბაზრო რისკი არის ალბათობა იმისა, რომ ვალუტათა მოძრაობა აღმოჩნდება არახელსაყრელი, ხოლო პოზიციის დაკავებას მოაქვს ზარალი.

დავუშვათ, „ბანკ ოფ ამერიკამ“ განახორციელა ოპერაცია უცხოურ ვალუტაში. ამ ბანკისათვის საბაზო ვალუტაა აშშ დოლარი და მისი ყველა ანგარიშის წარმოება დოლარებში ხდება. თუმც „ბანკ ოფ ამერიკამ“ გაყიდა 10 მილიონი აშშ დოლარი ევროზე ბანკზე“ ევროს მიმართ 1.2500 კურსით, ანგარიშსწორების დღეს ბანკი კლიენტს 12.5 მილიონ ევროს. თუ ევროს

კურსი იზრდება აშშ-ის დოლარის მიმართ 1.2500-დან 1.3000-მდე, მაშინ „ბანკ ოფ ამერიკის“ ზარალმა შეადგინა 994 ათასი აშშ დოლარი.

სანგარიშსწორებო რისკი ისეთი რისკია, რომელიც წარმოიქმნება გადახდის არაერთდროულად განხორციელების შედეგად.

საკრედიტო რისკთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ბანკის კონტრაგენტს არ შეუძლია დაფაროს სავალო ვალდებულებები. ეს რისკი საბანკო სისტემის ძირითადი რისკია (მთელი საბანკო სისტემის რისკების 80% მოდის საკრედიტო რისკზე) და ეს ლოგიკურიცაა. საბანკო ბიზნესში უმნიშვნელოვანესი წილი დაკრედიტებაზე მოდის.

საკრედიტო რისკი თავს გვახსენებს სავალუტო ბაზარზედაც. სავალუტო გარიგებაში ასეთი რისკი წარმოდგენილია იმით, რომ კონტრაგენტს არ შეუძლია თავის ვალდებულებები შეასრულოს მომავალში განსაზღვრულ ვადაში.

სავალუტო ბაზარი მოიცავს განსაზღვრულ რეგიონებსა და საერთაშორისო ვაჭრობისა და სავალუტო საფინანსო კავშირებში ლოკალიზებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ცალკეულ-კონკრეტულ ბაზრებს და მასთან ორგანულად დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას.

ასეთ ბაზრებზე ხორციელდება საგარეო-ეკონომიკური ანგარიშსწორებების, ტურიზმის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიგრაციის და სხვა მიმდინარე ოპერაციათა ფართო სპექტრი, რომლებშიც გათვალისწინებულია მყიდველების, გამყიდველების, შუამავლების, საბანკო დაწესებულებებისა და ფირმების მიერ უცხოური ვალუტების გამოყენება.

სავალუტო ბაზარი მოიცავს აგრეთვე დაზღვევას, მასში სავალუტო რისკის, სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციისა და სავალუტო ლიკვიდობის გადაადგილების ოპერაციებს და სავალუტო ჩარევათა სხვადასხვა ღონისძიებებს.

სავალუტო ბაზრის საქმიანობაში მზარდი მნიშვნელობისაა ოპერაციათა სპეკულაციური ხასიათი, რომელიც სავალუტო კურსის შეცვლასთან მიმართებაში მოგების მიღებასთან არის დაკავშირებული.

სავალუტო ბაზრის განსაკუთრებული როლი დაკავშირებულია სავალუტო კურსის გაძლიერებულ მოძრაობასთან და ეროვ-

ნული ფულადი ერთეულების მყიდველობითი უნარიანობის ცვლილებებთან.

სავალუტო ბაზრების მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ ტრანსნაციონალური ბანკები, რომლებიც ფლობენ ფილიალთა ფართო ქსელს და რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული ტექნიკის თანამედროვე საშუალებებს.

სავალუტო ბაზრებზე ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის როლი განისაზღვრება მსოფლიო მეურნეობის სისტემაში მისი ადგილით. ასე მაგალითად, ოპერაციათა კოლოსალური ოდენობა ხორციელდება აშშ დოლარებით, აგრეთვე ევროთი, ინგლისის გირვანქა სტერლინგით, იაპონური იენით.

ტერიტორიული სავალუტო ბაზრები ჩვეულებრივად დაკავშირებულია უმსხვილეს საბანკო და სავალუტო-საბირჟო ცენტრებთან ლონდონში, პარიზში, ნიუ-იორკში, ჰონკონგში, ამსტერდამში, ბრიუსელში, ლუქსემბურგში, ტოკიოში და ა.შ.

სავალუტო ბაზრის ერთ-ერთი სახესხვაობაა **ევროვალუტის ბაზარი**. იგი არის ევროპის ვალუტათა საერთაშორისო ბაზარი, სადაც ოპერაციები ევროპის ქვეყნების ვალუტით ხორციელდება.

ნებისმიერ საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე დომინირებს კონკურენციული ბრძოლაც, მიუხედავად იმისა, თითქოს ამ ბაზრებზე გაბატონებულები იყვნენ გავლენიანი ფინანსისტები. არა! კონკურენცია მძვინვარებს როგორც სავალუტო, ისე საერთაშორისო საკრედიტო ბაზრებზე, ამიტომ ამ სფეროშიც ობიექტურად ფუნქციონირებს საბაზრო მიწოდება-მოთხოვნის თეორია და შეიძლება გამოვლინდეს უფრო ძლიერადაც, ვიდრე კონკურენციულ ბაზრებად ცნობილ სასაქონლო ბირჟებზე.

საერთაშორისო ფინანსების მრავალწახნაგოვანი საიდუმლოებები და პრობლემები განპირობებულია ეროვნულ ვალუტათა არსებობითა და ფუნქციონირებით. სწორედ აქედან გამომდინარე მისი სპეციფიკაც ჩვეულებრივ მიკროეკონომიკურ დონეზე განიხილება, კერძოდ, ერთი საქონლის ფასი როგორ იცვლება სხვა საქონელთან მიმართებაში. მაკროეკონომიკა იკვლევს ფულადი მასა როგორ თანაფარდობაშია საქონელთან, ფასიან ქაღალდებთან, შრომასთან. მაგრამ ფულადი მასა და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკაც იმდენია, რამდენიც

მსოფლიოში სახელმწიფო არსებობს. აქედან გამომდინარე, ამდენივე რაოდენობის საპროცენტო განაკვეთები და სახელმწიფო საგადასახდელო პოლიტიკა მოქმედებს. მრავალრიცხოვანი ეროვნული სავალუტო სისტემებისა და საფინანსო სტრუქტურების არსებობა განაპირობებს სწორედ საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო სისტემების შესწავლა-განზოგადების აუცილებლობას.

სავალუტო გარიგება წარმოადგენს ერთი ქვეყნის ფულის გაცვლას მეორე ქვეყნის ფულზე. საერთაშორისო დონეზე ვალუტები იმავე ფორმას ღებულობენ, როგორც ფულადი ერთეული ქვეყნის შიგნით. სავალუტო ბაზრებზე გასაყიდი ფულადი აქტივების დიდ ნაწილს წამყვან ბანკებში მოთხოვნამდე დეპოზიტის სახე გააჩნია, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი ნაღდი ფულის სახით იცვლება.

თითოეულ ეროვნულ ვალუტას გააჩნია სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში გამოხატული ფასი. ამდენად ეროვნული ფულადი ერთეული ვალუტის სახით იძენს საერთაშორისო „ფასს“, რაც სხვა არაფერია, თუ არა ვალუტის კურსი. სავალუტო კურსის დონე განისაზღვრება მეორე ქვეყნის ვალუტის კურსის დონით. სავალუტო კურსის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარიანობა და ინფლაციის ტემპები. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებზე.

თანამედროვე ღრმად ინტეგრირებულ მსოფლიოში პრესის მეშვეობით ყოველდღიურად ქვეყნდება სავალუტო კურსები, რომელიც გამოიხატება ორი საშუალებით: I. სხვადასხვა ვალუტათა კურსი დოლარებში გამოხატული და II. ამერიკული ვალუტის ფასი სხვა ვალუტის ერთეულში გამოხატული. მაგალითად, თუ დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ფასია 1.1740 აშშ დოლარი, ეს იგივეა, რომ აშშ დოლარის ფასია 85.18 ბრიტანული პენსი, ანუ 0.8518 გირვანქა სტერლინგია.

ამრიგად, ვალუტის კურსი განხილული უნდა იქნეს, როგორც უცხოური ვალუტის ფასი.

ვალუტათა კურსის კოტირების შედარებით გავრცელებული ფორმა წარმოიშობა ბანკებს შორის გამართული ვაჭრობის შედეგად. სავალუტო ბაზრის ფუნქციონირება წარმოებს ბანკებს

შორის ტელეფონის ზარებით ან კომპიუტერული ქსელით. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი სპეციალიზებული ბაზარი, როგორიცაა ჩიკაგოს საერთაშორისო ფულადი ბაზარი. საერთოდ, სავალუტო ბაზარი არ წარმოადგენს მყიდველებისა და გამყიდველების თავშეყრის ადგილს. აქ გამოცდილი მაკლერები სხედან თავიანთ სამუშაო მაგიდასთან სხვადასხვა ბანკებში და ერთმანეთთან კავშირურთიერთობებს ამყარებენ კომპიუტერებითა და ტელეფონებით.

კომპიუტერის ტერმინალი უჩვენებს ყველა ძირითადი ვალუტის კურსს გარიგების მოხდენის თარიღისათვის. თითოეული მსხვილი ბანკი კომპიუტერის ტერმინალში აგზავნის ვალუტათა კურსს და იმ კურსსაც, რითაც იგი მოახდენს სავაჭრო გარიგებებს სხვა პარტნიორებთან. როცა კომპიუტერის ტერმინალზე ბანკი-მყიდველი ნახავს მისთვის სასურველ ვალუტის კურსს, ტელეფონით უკავშირდება მეორე ბანკს და დებს მასთან გარიგებას, გარიგება რეგულირდება სხვადასხვა ფორმალობის განხორციელებით ერთ წუთში და იგი მთავრდება სიტყვიერი შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში განხორციელებული გარიგების დასადასტურებლად დოკუმენტები გაიგზავნება უფრო გვიან.

ბანკთაშორის ბაზარზე ვალუტით ვაჭრობაში მონაწილეობენ უმსხვილესი აგენტები და თითო გარიგება აღემატება 1 მილიონ დოლარს.

თანამედროვე სავალუტო ბაზრები წარმოადგენენ საერთაშორისო ბაზრებს. მათი მუშაობა დღე-ღამურია ორშაბათიდან პარასკევამდე.

ადამიანები და ფირმები ვალუტით ვაჭრობას ეწევიან გარკვეული მიზეზების გამო. ზოგიერთი მათგანი დაკავებულია საქონლისა და მომსახურების გაცვლით და სურვილი აქვთ მიიღონ ვალუტა ან გაცვალონ თავიანთი საქონელი (მომსახურება) უცხოურ ვალუტაზე. ასეთ ადამიანებს სავალუტო ბაზარი სთავაზობს საკლირინგო მომსახურებას, ამით ეხმარება ორივე მხარეს გარიგება მოახდინონ მათთვის ოპტიმალურ ვარიანტში.

სავალუტო პარიტეტი, ანუ ოფიციალური სავალუტო კურსი წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ერთეულების თანაფარდობას მათში მოცემული ოქროს შინაარსის მიხედვით,

რაც ჩვეულებრივ წესდებოდა მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით და ფიქსირდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში. ამჟამად ოფიციალურმა ოქროს პარიტეტმა – ფულადი ერთეულების თანაფარდობამ მისი ლითონური შემადგენლობის მიხედვით, დაკარგა რეალური ეკონომიკური მნიშვნელობა, რაც განპირობებულია ოქროს დემონეტიზაციის ტენდენციით.

„სავალუტო კურსის ფორმირების ყველაზე ცნობილი თეორიაა მყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია (მუპთ), რომლის მიხედვით გაცვლითი კურსი ნებისმიერ ვალუტას შორის იცვლება იმგვარად, რომ გამოიხატოს ორივე ქვეყნის ფასების დონის ცვლილება“[1].

1975 წლის 1 ივლისიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეწყვიტა ვალუტის ოქროს პარიტეტის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და ოფიციალურად იყენებს ვალუტათა პარიტეტის განსაზღვრისათვის 5 ქვეყნის ვალუტების (ადრე იყო 16 ქვეყნის ვალუტების გამოყენება) საშუალო შეწონილი ღირებულების მონაცემებს.

სავალუტო კურსის რეგულირებისათვის მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია: **ფიქსირებული სავალუტო კურსი** და **მცურავი კურსი.**

ფიქსირებული სავალუტო კურსი ისეთი კურსია, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე უცვლელია და სავალდებულოა მისი გამოყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. **მცურავი სავალუტო კურსი** იცვლება საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად.

ვალუტის კურსის, მისი ფასის განსაზღვრას ეწოდება **ვალუტის კოტირება.** უცხოური ვალუტის სრული კოტირება მოიცავს მყიდველისა და გამყიდველის კურსებს, რომლის შესაბამისადაც ბანკი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ეროვნულ ვალუტაში. მყიდველისა და გამყიდველის კურსებს შორის სხვაობა – მარჟა, წარმოადგენს ბანკის შემოსავლის წყაროს, რის საფუძველზეც იგი ფარავს გარიგების ხარჯებს და გარკვეულწილად ახდენს სავალუტო რისკის დაზღვევას.

არსებობს ვალუტის კოტირების ორი მეთოდი: **პირდაპირი** და **ირიბი. პირდაპირი კოტირებისას** უცხოური ვალუტის ერთე-

---

[1] ლ. ბახტაძე. ფინანსური ბაზარი. თბ., 2007, გვ. 194.

ული გამოიხატება ეროვნული ფულადი ერთეულის გარკვეულ რაოდენობაში. ირიბი კოტირების დროს კი ეროვნული ვალუტის ერთეული გამოიხატება უცხოური ვალუტის გარკვეულ რაოდენობაში. პირდაპირი კოტირება უფრო გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს.

ვალუტის კურსს, რომელიც მიიღება პირდაპირი კოტირების შედეგად, ხშირად უწოდებენ ამერიკულ ვალუტის კურსს, ხოლო ირიბი კოტირებისას – ევროპულს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ირიბი კოტირება ტრადიციულად გამოიყენებოდა დიდ ბრიტანეთში, სადაც ისტორიულად ყველა ვალუტა გადაიყვანებოდა ფუნტ სტერლინგებში.

თანამედროვე პირობებში არსებობს 150-ზე ეროვნული ფულადი ერთეული. თუმცა ძირითადად ქვეყნდება 15-20 გაცვლითი კურსი, რაც განპირობებულია იმით, რომ მსოფლიოში არსებული ყველა ვალუტა არ თამაშობს აქტიურ როლს საერთაშორისო გარიგებებში და თავისუფლად არ იცვლება ერთმანეთზე.

სავალუტო ბაზარი შედგება მრავალი ეროვნული სავალუტო ბაზრისაგან, რომლებიც ამა თუ იმ დონეზე გაერთიანებულნი არიან მსოფლიო სისტემაში. ეს სისტემა ბანკს საშუალებას აძლევს რომელიმე სავალუტო ცენტრში განახორციელონ გარიგებები შემდეგ საფუძველზე:

I დონე: **საცალო ვაჭრობა** – გარიგებები ხორციელდება ერთ ეროვნულ ბაზარზე, სადაც ბანკი-დილერი ყიდვა-გაყიდვის დროს უშუალოდ ამყარებს ურთიერთობას კლიენტთან.

II დონე: **საბითუმო ბანკთაშორისი ვაჭრობა** – გარიგებები ხორციელდება ერთ შიდა ბაზარზე, სადაც ორი ბანკი-დილერი ურთიერთობას ამყარებს ერთმანეთთან სავალუტო ბროკერის საშუალებით.

III დონე: **საერთაშორისო ვაჭრობა** – გარიგებები ხორციელდება ორ ან მეტ ბანკს შორის, სადაც სხვადასხვა სავაჭრო ცენტრის ბანკი-დილერები ამყარებენ ურთიერთობას ერთმანეთთან. ასეთი გარიგებები შეიძლება მოიცავდნენ საარბიტრაჟო ოპერაციებს ორ ან სამ ბაზარზე.

ვალუტით ვაჭრობა ათეულობით მაინც აღემატება საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მთლიან მოცულობას. შესაბამისად, სავალუტო ოპერაციების დიდი ნაწილი არ არის დაკავშირებული საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის მომსახურებასთან, და წარმოადგენს ფინანსურ ტრანსფერტებსა და სპეკულაციურ გარიგებებს.

მსოფლიო სავალუტო ბაზრის განვითარება ხასიათდება ინტერნაციონალური კავშირის გაღრმავებით, შემოთავაზებული მომსახურების სპექტრის გაფართოებით, 24 საათის განმავლობაში ოპერაციების განხორციელების შეუფერხებლობით, სპეკულაციური გარიგებებისა და საარბიტრაჟო ოპერაციების მზარდი მასშტაბებით.

კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები ხელს უწყობს მსოფლიო საფინანსო ცენტრების გაერთიანებას. მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის ბანკები, ფულადი სახსრების სწრაფი გადარიცხვების განსახორციელებლად, იყენებენ მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციის სისტემას – სვიფტს. ამ ასოციაციის მეშვეობით ხორციელდება ფულის გადარიცხვა კლიენტებთან, რომლებიც ადასტურებენ სავალუტო გარიგებას, ბანკთაშორისი გადარიცხვების კრედიტების დოკუმენტირება და ა.შ. კავშირის ელექტრონული სისტემა ხსნის ინფორმაციის გადაცემისას ნებისმიერ დაბრკოლებას – ენობრივ ბარიერს, რაც აჩქარებს და აადვილებს ინფორმაციის გაცვლას ფოსტისა და ტელეგრაფის გამოყენებასთან შედარებით.

სვიფტი (SWIFT – Society for worldwide interbank financial telecommunication) – ეს არის კერძო არაკომერციული კორპორაცია, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ბრიუსელში, ბელგიაში. სვიფტი ითვლის დაახლოებით 2000 წევრს, რომელთა უმრავლესობა საბანკო დაწესებულებებია. მას აქვს შეტყობინების გადაცემის ცენტრები ნიდერლანდებსა და კალპეპერში (ვირჯინია). მოქმედი ცენტრები ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის ხაზების მეშვეობით დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავების რეგიონულ პროცესებთან, რომლებიც მდებარეობენ სვიფტის წევრ სხვადასხვა ქვეყნებში.

სვიფტ სისტემის განვითარება და მოდერნიზაცია უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის ბაზარზე მოქმედი გარიგებების ინფორმაციის გაცვლას თითქმის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს, რომლებიც დამტკიცებულია ფასიანი ქაღალდების გადახდისუნარიანობითა და საიმედოობით, საერთაშორისო სავაჭრო დოკუმენტაციით და სხვა ფინანსური ინფორმაციით. არსებობს აგრეთვე რამდენიმე ალტერნატიული სისტემა, რომელთა შორის არის ბრიტანული კომპანია „რეიტერი". მისი მომსახურება უზრუნველყოფს ფინანსური ბაზრის შესახებ მიმდინარე ინფორმაციას და ურთიერთქმედების საშუალებას აძლევს პარტნიორებს. სვიფტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველდღიურ სავალუტო ანგარიშსწორებისა და კლირინგის სისტემებთან. მაგალითად, ნიუ-იორკის 140 ბანკი, რომელსაც ემსახურება სვიფტი, სავალუტო და ევროდოლარული გარიგებების უზრუნველყოფას ახდენს **ბანკთაშორისი საკლირინგო ანგარიშსწორების ელექტრონული სისტემის მეშვეობით** (CHIPS), რომელიც ყოველდღიურად, სამუშაო დღის ბოლოსთვის, ფინანსური ოპერაციების დიდი მოცულობით განხორციელების საშუალებას იძლევა. სავალუტო გარიგების მიხედვით რაოდენობითი და ღირებულებითი ანგარიშსწორება შეადგენს ამ უკანასკნელის (CHIPS) მიერ განხორიელებული მომსახურების ნახევარზე მეტს. CHIPS იმართება **ნიუ-იორკის საკლირინგო პალატის ასოციაციისა და ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ.**

ნებისმიერმა ინფორმაციამ, რომელიც წამსვე ვრცელდება მთელს მსოფლიოში და ბიძგს აძლევს ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, შეიძლება იმოქმედოს სავალუტო კურსზე. ამიტომ თანამედროვე სავალუტო ბაზარი სინამდვილეში წარმოადგენს მსოფლიო ბაზარს, რომელიც 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს.

სავალუტო ბაზარზე მიმოიქცევა აქტივები ან ფინანსური ვალდებულებები, რომელიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში. მათ მიეკუთვნება **სავალუტო დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები** (ობლიგაციები), ან **უცხოეთის მთავრობათა აქციები** (მაგალითად, ამერიკული აქციები წარმომდგენზე ამერიკულ დოლარებში).

ბაზარზე გარიგების დადებისას ბანკები იყენებენ ისეთ

მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს, როგორიცაა:

- სატელეგრაფო ან ელექტრონული გზავნილები უვადო ანაბრებიდან (დეპოზიტები მოთხოვნამდე);
- საბანკო თამასუქები წარმომდგენზე;
- კომერციული ხარჯები.

სატელეგრაფო ან ელექტრონული გზავნილები — ეს გადახდის ისეთი ფორმაა, როდესაც მყიდველი ბანკს თანხას უხდის წინანსწარ მოთხოვნილ ვალუტაში, ხოლო ბანკი გადახდის ინსტრუქციას უგზავნის ბანკ-კორესპონდენტს, სატელეგრაფო, ან ელექტრონული კავშირის საშუალებით, სადაც ინახება სავალუტო დეპოზიტი. ეს მეთოდი ჩვეულებრივ გამოიყენება მსხვილი თანხის გადარიცხვისას.

სატელეგრაფო გადაცემის ალტერნატივა შეიძლება იყოს **საფოსტო გზავნილები**. ასეთ შემთხვევაში ინსტრუქციები გადაიცემა ფოსტით, ან ბანკირი სთავაზობს მყიდველს თამასუქს წარმომდგენზე, ხოლო მყიდველი გამყიდველს უგზავნის მას ავიაფოსტით.

კომერციული ხარჯი ექსპორტიორის მიერ გადაეცემა მყიდველს, ან მყიდველის ბანკს. ექსპორტიორმა შეიძლება გასცეს ბრძანება ერთ-ერთი ბანკის მიმართ, რომელიც ემსახურება გარიგებას, აღრიცხოს ხარჯი, ე.ი. დისკონტირება გაუკეთოს მას.

სავალუტო ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ნაღდი ვალუტის გაცვლის ბაზარი. ნორმალურ ეკონომიკაში მოქალაქეები მიმართავენ ნაღდი ვალუტის გაცვლის ბაზარს, როგორც წესი, საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობის განხორციელებისას, ან საქმიანი ვიზიტების დროს. სხვა შემთხვევაში რიგით მოქალაქეს პრაქტიკულად არა აქვს საქმე ნაღდ უცხოურ ვალუტასთან. განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, სავალუტო ბაზრის ეს სეგმენტი ფართოდ გამოიყენება მომხმარებლებისა და მცირე ფირმების მიერ თავიანთი დანაზოგის შესავსებად. ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობა აიძულებს მრავალ ეკონომიკურ აგენტს თავიანთი დანაზოგი შეინახონ ნაღდი სახით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, ძირითადად აშშ დოლარებში.

ბაზრის ამ სეგმენტში ბანკები ყურადღებით ადევნებენ თვალს სხვადასხვა ვალუტისადმი მოთხოვნის ცვლილებებს და არკვევენ თუ რომელი ვალუტა გამოირჩევა მოთხოვნის მაღალი სიდიდით.

პირდაპირი კოტირების დროს ვალუტის გაყიდვის ფასი მეტია მისი შესყიდვის ფასზე. ეს რომ ასე არ იყოს, ნებისმიერი კლიენტი შესძლებდა დილერების გაკოტრებას ამ დილერისაგან ვალუტის იაფად შეძენისა და მისთვის ამავე ვალუტის უფრო ძვირად მიყიდვის მეშვეობით. ამ ფასებს შორის სხვაობა წარმოქმნის ე.წ. სპრედს. აღსანიშნავია, რომ არსებობს ერთი აშკარა გამონაკლისი. ეს ხდება გაცვლითი კურსების შებრუნებული კოტირებისას (მაგალითად, აშშ-ში ყველა ვალუტისთვის, ინგლისურ გირვანქა სტერლინგის გარდა). ადვილი შესამჩნევია, რომ ამ შემთხვევაში ვალუტის მყიდველის კურსი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე გამყიდველის კურსი. სპრედი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კურსი ფასდაკლებისა, რომლითაც სავალუტო გაცვლითი ოპერაციების დილერები სარგებლობენ ვალუტის შესყიდვისას. სპრედი წარმოადგენს აგრეთვე კლიენტის ფარდობით ოპერაციულ დანახარჯებს ვალუტის კონვერტირებისას.

აღსანიშნავია, რომ იმ ვალუტის გაცვლითი კურსი, რომელსაც დიდი სპრედი აქვს კლიენტისათვის ნაკლებად ხელსაყრელია. საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფასებს შორის 4-5%-ით განსხვავება ნორმალურ პირობებში დიდად ითვლება, თუმცა განვითარებად ქვეყანაში მან შეიძლება 25-30% და უფრო მეტიც შეადგინოს.

სავალუტო გარიგების სამი ფორმა არსებობს: საკასო გარიგება – **სპოტი**, დაუყოვნებელი მიწოდება, ვადიანი გარიგება – **ფორვარდი**, მიწოდება გარკვეული პერიოდის შემდეგ და სვოპი. **სვოპი** – არის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ერთდროული განხორციელება შესრულების სხვადასხვა ვადით.

სავალუტო ბაზრის შედარებით ყველაზე დიდ სეგმენტს (ვალუტის მთლიანი მიმოქცევის 65%-მდე) წარმოადგენს სპოტ ბაზარი, ანუ ვალუტის დაუყოვნებლივი მიწოდების ბაზარი, სადაც ვალუტის გაცვლის ოპერაციები ხორციელდება ცალკეული ჩეკების ფორმით, სხვადასხვა ვალუტაში არსებული

საბანკო ანგარიშების მიხედვით. სპოტ ბაზარზე ვალუტის გაცვლაზე ბრძანების გაცემა ხორციელდება საბანკო ჩეკების ფორმით, რომელთა ემიტირება ხდება ბანკების მიერ. საბანკო ჩეკის მიხედვით ვალუტის დაუყოვნებლივი მიწოდების ვადა შეადგენს 1-2 სამუშაო დღეს. სწორედ ეს განასხვავებს სპოტ ბაზარს ფორვარდ ბაზრისა და ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზრისგან, რომელთა მიხედვითაც ვალუტის მიწოდება ხდება განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.

დროთა განმავლობაში გაცვლითი კურსები იცვლება, ამიტომ ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებულ კონტრაქტებში ყოველთვის აღინიშნება ამ გაცვლის თარიღები. ბოლო პერიოდამდე შეუძლებელი იყო ვალუტათა მყისიერი გაცვლა: სავალუტო ოპერაციების განხორციელებას სჭირდებოდა სულ ცოტა ორი სამუშაო დღე. ამჟამად, მრავალეროვნული ბანკების უმრავლესობა სთავაზობს თავიანთ მსხვილ კლიენტებს, მათი სურვილის შესაბამისად, ვალუტის კონვერტირებას (საბანკო უზრუნველყოფის ელექტრონული საშუალების მეშვეობით) დღის ნებისმიერ განმავლობაში. სავალუტო „სპოტ" კურსის ცნება შეესაბამება ვალუტის იმ ფასს, რომლის მიხედვითაც ის იცვლება დაუყოვნებლივ, ან მაქსიმალურად სწრაფად. ამგვარი გარიგებები შეადგენს ნაღდი ვალუტის ბაზარს.

სპოტ ბაზრის პარალელურად, როგორც აღვნიშნეთ, ფუნქციონირებს ვადიანი ვალუტის ბაზარი. ამ ბაზარზე ხორციელდება სხვადასხვა გარიგებები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ვალუტის მიწოდების გახანგრძლივებული დროით – სამი დღიდან რამდენიმე წლის განმავლობაში. ვადიანი ვალუტის ბაზრის კურსი, როგორც წესი არ ემთხვევა სპოტ კურსს, რაც განპირობებულია მსოფლიო საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობით. ვადიანი ვალუტის ბაზარი, რომელიც განხორციელებული გარიგებების მოცულობის მიხედვით ძლიერ ჩამორჩება სპოტ ბაზარს, თავის მხრივ, რამდენიმე სექტორად იყოფა დადებული გარიგებების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ფორვარდული გაცვლითი კურსი ეწოდება კურსს, რომელიც წინასწარ არის დაწესებული კონკრეტულ ბანკსა და მის კლიენტს შორის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარკვეული პერიოდის შემდეგ იმ ფასად, რომელიც დადგენილია გარიგების

დადების დროს. ფორვარდ კონტრაქტის ვადები შეიძლება განსხვავებული იყოს, ყველაზე უფრო გავრცელებული ვადებია 30, 90 და 180 დღის შემდეგ მიწოდებით. ამგვარი კონტრაქტები იდება ბანკებსა და მის კლიენტებს შორის, ხოლო ხშირად ეს არის კონტრაქტი ორ ბანკს შორის. ფორვარდ ბაზარს სპოტ ბაზრის მსგავსად არა აქვს ფიზიკური ფორმა. იგი წარმოადგენს ბანკებსა და ბროკერებს შორის არაფორმალურ შეთანხმებას, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ტელეკომუნიკაციების თანამედროვე საშუალებებით.

სავალუტო ბაზრის საბაზისო კურსს წარმოადგენს **სპოტ კურსი**. თუმცა ფორვარდ კურსი, როგორც წესი, იხრება სპოტ კურსიდან ამა თუ იმ მხარეს. როდესაც ფორვარდ მიწოდების დროს მეტს იხდიან, ვიდრე სპოტ მიწოდების დროს, ამბობენ, რომ გარიგებამ მოიტანა **პრემია**, ხოლო თუ მოცემული კურსების თანაფარდობა საპირისპიროა, ადგილი აქვს **დისკონტს**.

სავალუტო სვოპი ძალიან ხელსაყრელია იმ ეკონომიკური აგენტებისათვის, რომლებიც ახორციელებენ უცხოურ ინვესტიციებს, ან იღებენ კრედიტს საზღვარგარეთ. ამ ორი გარიგების ერთ სვოპში გაერთიანება, ამ ოპერაციის ცალ-ცალკე განხორციელებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ აგენტებს არსებითი ეკონომიის გაწევის საშუალებას აძლევს.

ამავე დროს სავალუტო სვოპი საქონლისა და მომსახურების იმპორტიორებისა და ექსპორტიორების მიერ იშვიათად გამოიყენება. სავალუტო გარიგების ამ სახის გამოყენების არახელსაყრელობა საერთაშორისო ვაჭრობაში განპირობებულია იმით, რომ აქ ხშირად ხდება გადასახდელების შეყოვნება.

სავალუტო სვოპი პოპულარობით სარგებლობს ბანკებს შორის ურთიერთობაში. ვალუტით ვაჭრობის განხორციელებისას, ბანკი იღებს კონკრეტული ვალუტის მოთხოვნა-მიწოდების განსაზღვრულ თანაფარდობას. ამ თანაფარდობას ეწოდება **სავალუტო პოზიცია**. **სავალუტო პოზიცია** ითვლება **დახურულად**, როდესაც უცხოურ ვალუტაზე ბანკის მოთხოვნები ტოლია ვალდებულებებისა. ხოლო თუ უცხოურ ვალუტაზე ბანკის მოთხოვნები არ ემთხვევა ვალდებულებებს (მეტია, ან ნაკლები), მაშინ ადგილი აქვს ღია სავალუტო პოზიციას.

თავის მხრივ, ღია სავალუტო პოზიცია იყოფა მოკლე და

გრძელ სავალუტო პოზიციად. სავალუტო პოზიცია ითვლება მოკლედ, რომლის დროსაც ვალუტაზე ვალდებულებები ჭარბობს მოთხოვნებს, ანუ როდესაც ბანკი უცხოურ ვალუტას უფრო დიდი რაოდენობით ყიდულობს, ვიდრე ყიდის, რადგან სავალუტო მარაგი სჭარბობს მის სასურველ სიდიდეს. გრძელ სავალუტო პოზიციას კი ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოთხოვნები ვალუტაზე ჭარბობს ვალდებულებებს, ანუ როდესაც ბანკი უცხოურ ვალუტას უფრო დიდი რაოდენობით ყიდის, ვიდრე იძენს.

სვოპ კონტრაქტების მეშვეობით ბანკები იღებენ შესაძლებლობას დახურონ ღია სავალუტო პოზიცია. ისინი აბალანსებენ მეტობას, ან დეფიციტს, ატარებენ რა ოპერაციებს სპოტ და ფორვარდ კურსებით თავიანთ კლიენტებთან.

ვინაიდან ვალუტის კურსების მუდმივი ცვალებადობა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, ამიტომ არსებობს სავალუტო რისკის თავიდან აცილების შემდეგი მეთოდები: **ტექნიკური მეთოდი** – რომელიც გულისხმობს ბანკის მიერ ვალუტის ყიდვას ნაღდი გარიგებების პირობით და იმავე დროს მის გაყიდვას გარკვეული ვადით და **ადმინისტრაციული მეთოდები** – რომელიც გულისხმობს ღია სავალუტო პოზიციაზე ლიმიტების დაწესებას.

სავალუტო კურსები გავლენას ახდენენ ვაჭრობასა და ინვესტიციების მოდინებაზე. განვიხილოთ გაცვლითი კურსების განსაკუთრებულობა სამ განსხვავებულ გაცვლით სისტემაში: **მცურავი, ფიქსირებული და მმართველი კურსები.** თუ ვალუტით ვაჭრობა ხორციელდება თავისუფალ საბაზრო სისტემაში, მათი ყოველდღიური კოტირება ემყარება საბანკო გადარიცხვების ფასს, რომლის შუამავლობითაც ბანკი-გამყიდველი აგზავნის საგადასახადო ინსტრუქციას სადეპოზიტო დაწესებულებაში. უმრავლეს შემთხვევაში საბანკო დილერები აწესებენ ვალუტის მხოლოდ გაცვლით „სპოტ“ კურსს (კურსს საკასო გარიგების მიხედვით). „ფორვარდ“ კურსი (კურსი ვადიანი გარიგების მიხედვით) გააჩნია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ვალუტას.

სავალუტო ბაზრის მნიშვნელოვან მონაწილეებს შეადგენენ სახელმწიფოები ცენტრალური ბანკის, ან ფინანსთა სამინისტროს სახით. ამასთან, სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს არა მარტო სავალუტო ინტერვენცია, არამედ დააწესოს

ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრის რეჟიმი.

არსებობს სავალუტო კურსის განსაზღვრის სამი მოდელი:

1) თავისუფლად მცურავი კურსები;
2) ფიქსირებული კურსები;
3) მმართვადი კურსები.

თავისუფლად მცურავი კურსების სისტემაში სახელმწიფო ვალუტის კურსს მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე თავისუფლად მერყეობის საშუალებას აძლევს. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მოქნილი სავალუტო კურსი, ან, მცურავი სავალუტო კურსი. ბაზრის მონაწილეები თავისუფლად ახორციელებენ გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, ხოლო ბაზარზე კი გამორიცხულია რაიმე სამთავრობო აქტიურობა (გამონაკლისს წარმოადგენს მმართვადი მცურავი კურსი).

ფიქსირებული კურსების სისტემაში სახელმწიფო მკვეთრად აფიქსირებს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს განსაზღვრულ დონეზე, რითაც ვალდებულებას იღებს მისი სტაბილიზაციის შენარჩუნებაზე. ფიქსირებული კურსები ძალზედ ხელსაყრელია ბიზნესისთვის, ვინაიდან იგი იძლევა ეკონომიკური საქმიანობის პროგნოზირების საშუალებას. ბაზრის მონაწილეები თავისუფლად ახორციელებენ სავალუტო ოპერაციებს, ხოლო მთავრობა მხოლოდ ასტაბილიზირებს კურსის მკვეთრ ცვლილებას განსაზღვრულ ფარგლებში.

პრაქტიკაში ეს ორი უკიდურესი რეჟიმი წმინდა სახით იშვიათად გვხვდება. დღესდღეობით უფრო ადგილი აქვს მის კომბინირებულ ვარიანტს.

მმართვადი კურსების სისტემაში ბაზრის მონაწილეთა აქტივობა შეზღუდულია, ხოლო მონოპოლისტად სავალუტო ოპერაციებზე გვევლინება მთავრობა.

თავისუფალ ბაზარზე, როდესაც არ არსებობს მთავრობის მასტაბილიზირებელი საქმიანობა, გაცვლითი კურსი განისაზღვრება უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების საშუალებით. ნებისმიერ დროს ვალუტაზე მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია არარეზიდენტებზე საერთაშორისო გადახდების ანგარიშსწორების მოცულობაზე. ეს გარიგებები შეიძლება მოიცავდნენ საქონლის (იმპორტი), მომსახურებისა და ფინანსური სახსრების (კაპიტალის გადინება) შეძენას. მაღალი გაცვლითი კურსი

ზრდის საქონლის, მომსახურებისა და ფინანსური სახსრების ფასს და მოთხოვნას მათ შემცირებაზე. პირიქით, დაბალი გაცვლითი კურსი კი – ზრდის უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი-ქვეყნებიდან მხოლოდ 26-ის სავალუტო კურსია თავისუფლად მცურავი, ხოლო დანარჩენ 129 ქვეყანაში ეროვნული ვალუტის კურსები ან მკაცრად მიჯაჭვულია სხვა ვალუტების კურსებზე, ან ცურავს შემოსაზღვრულ ფარგლებში.

სავალუტო სისტემის ერთ-ერთი ელემენტია **საერთაშორისო** ლიკვიდობა, რომელიც წარმოადგენს ცალკეული ქვეყნის ან მთელი ქვეყნების შესაძლებლობას შეუფერხებლად იქნეს განაღდებული მათი საგარეო ვალდებულებები მისაღები საგადასახდელო საშუალებებით. განასხვავებენ საერთაშორისო ლიკვიდობის ორგვარ – ვიწრო და ფართო გაგებას. **ვიწრო გაგებით, საერთაშორისო** ლიკვიდობა გვიჩვენებს ცალკეული ქვეყნის ან რეგიონის საგარეო მყიდველობითუნარიანობის დონეს. ხოლო **საერთაშორისო** ლიკვიდობა ფართო გაგებით კი გვიჩვენებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მყიდველობითი უნარიანობის ხარისხს მთლიანობაში.

ეროვნული სავალუტო სისტემის მახასიათებელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია **სავალუტო შეზღუდვები**, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი რეგულირების ობიექტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის თუ სხვა რეგიონული დაწესებულებების მეშვეობით.

ისმის კითხვა: ბოლოსდაბოლოს რას წარმოადგენს სავალუტო ურთიერთობა? სავალუტო ურთიერთობა მსოფლიო მეურნეობის წარმოებით ურთიერთობათა მთლიანი სისტემის უმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი ფუნქციური როლი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს საერთაშორისო ეკვივალენტური გაცვლა.

საერთაშორისო ეკვივალენტური გაცვლის ეს ამოცანა დაკისრებული აქვს განსაკუთრებულ მარეგულირებელ მექანიზმს, რომელიც არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელი ფენომენი, არამედ იგი ცვლილებებს განიცდის კაპიტალიზმის განვითარების, თვით სავალუტო ურთიერთობათა **განვითარების კვალობაზე.**

სავალუტო სისტემასა და მის მარეგულირებელ მექანიზმში მიმდინარე ცვლილებათა მიზეზების, მამოძრავებელი ძალების, თავისებურებებისა და შინაარსის გამოვლენა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

თანამედროვე საავალუტო ურთიერთობათა ანალიზი ითვალისწინებს სპეციალურ მიზანს – გამოავლინოს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე რთული და მრავალფაქტორიანი მოვლენები და ამის საფუძველზე განსაზღვროს მათი შესაძლო ტენდენციები და შემდგომი განვითარება.

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობათა ანალიზის უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს სისტემურობის პრინციპი.

თვით კაპიტალიზმის წარმოებითი ურთიერთობები, როგორც განსაკუთრებული რთული სისტემა, შედგება ელემენტებისა და ქვესისტემებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან განსაზღვრულ შინაგან კავშირურთიერთობებში იმყოფებიან.

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობა წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ერთიანი ეკონომიკური სისტემის მრავალრიცხოვანი ქვესისტემებიდან მხოლოდ ერთ ქვესისტემას, რომელსაც, თავის მხრივ, გააჩნია შინაარსობრივად მეტად რთული დატოტვილი სტრუქტურა. სწორედ ეს მოვლენა განაპირობებს, რომ სავალუტო სისტემა ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნება მის მრავალფეროვნებაში, როგორც შინაგან, ისე გარეგან ურთიერთკავშირებში.

თეორიულ-შემეცნებითი მოსაზრებებით მთავარია აიხსნას საერთაშორისო სავალუტო სისტემა თავისი განვითარების რომელ სტადიაზე დგას, როგორია მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების კონკრეტული პოსტულატები, რა შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობები ახასიათებს მის განვითარებას.

თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობანი გახდა ეროვნული მთავრობებისა და სახელმწიფოთაშორის ინსტიტუტების შეგნებული, მიზანმიმართული რეგულირების ობიექტი. მიმდინარეობს მონეტური ოქროს განსახელმწიფოებრიობა. ცენტრალური ბანკები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ ვალუტათა კურსის შენარჩუნების ინტერნაციონალურ ღონისძიებებში.

I.2. სავალუტო სისტემათა განვითარების კანონზომიერებანი

„სავალუტო სისტემის“ კატეგორიის მეცნიერული დამუშავების დონე ჯერჯერობით მისი განმარტების მხრივ არ იძლევა ერთსულოვნების საშუალებას.

მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ჯგუფი სავალუტო სისტემას აიგივებს კაპიტალიზმის ფულად სისტემასთან, ე.ი. მასში ნაგულისხმევია როგორც შიდა ეროვნული, ისე საერთაშორისო ფულადი ურთიერთობები.

არის ასეთი მოსაზრებაც, რომ თავისი ფუნქციური როლით სავალუტო სისტემა მოწოდებულია ემსახუროს სხვადასხვა საერთაშორისო ურთიერთობებს, ე.ი. ერთიან საერთაშორისო ფინანსურ ეკონომიკაში გამოდის ცალკეული ქვეყნების ეკონომიკათა დამაკავშირებელ მექანიზმად.

უკანასკნელ პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა კონცეფციამ, რომლის ძალითაც სავალუტო სისტემა გამოყოფილია დამოუკიდებელ კატეგორიად.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ „სავალუტო პოლიტიკა“, „სავალუტო სისტემა“ და „სავალუტო ურთიერთობა“.

სავალუტო პოლიტიკა არის ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებები მათი მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

„სავალუტო პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიზანმიმართულ ზემოქმედებას შიდა სავალუტო ბაზრის კონიუნქტურაზე“[1].

სავალუტო ურთიერთობანი — ეს არის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირების სხვადასხვა ფორმებს — საგარეო ვაჭრობას,

[1] მ. კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., 2001, გვ. 19.

კაპიტალის გატანას, სესხების გაცემას, სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლას, ტურიზმს, სახელმწიფო და კერძო გადარიცხვებს.

სავალუტო სისტემა წარმოადგენს ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც მსოფლიო მეურნეობის წარმოების სხვადასხვა აგენტებს შორის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახდელო-საანგარიშსწორებო ოპერაციების გასაშუალებული საშუალებაა.

ზოგიერთი ეკონომისტი (ი. პაშკუსი, ა. ავერიანოვი) სავალუტო სისტემას განსაზღვრავს როგორც საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზაციის კონკრეტულ ფორმას და იგი ამ მხრივ დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებული ფინანსური ეკონომიკური სისტემებისათვის.

სავალუტო სისტემა, როგორც ერთიანი მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკური სისტემის ორგანული ნაწილი, დაფუძნებულია ამ სისტემის კანონებზე, მაგრამ მას, როგორც დამოუკიდებელ ქვესისტემას, გააჩნია განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი.

სავალუტო სისტემას გააჩნია ეკონომიკური და ინსტიტუციური მექანიზმი.

ეკონომიკური მექანიზმი მოიცავს ქვეყნებს შორის ფულად ანგარიშსწორებათა სისტემას (საგადასახდელო ბალანსს), საერთაშორისო ფულადი სახსრების ერთობლიობას, აგრეთვე ერთმანეთთან ეროვნულ ვალუტათა შეთანწყობის სისტემას. (სავალუტო კურსისა და პარიტეტების სისტემას).

ინსტიტუციური მექანიმზი კი სავალუტო ინსტიტუტების ერთობლიობაა, რომლებიც საგადასახდელო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს ემსახურება (სავალუტო ბაზრები, ოქროს ბაზარი, საბანკო კრედიტის ბაზარი, სავალუტო ფონდები და ა.შ.).

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, მასთან დაკავშირებული კატაკლიზმები ობიექტურად მოითხოვს ინტეგრაციული პროცესების განვითარების შემდგომ გაღრმავებას, მით უმეტეს უკანასკნელი წლების მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამის აუცილებლობაში.

I.3. ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობა

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის კაპიტალის ბაზრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვანმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა სხვადასხვა ქვეყნის საფინანსო და სავალუტო პოლიტიკის მკვეთრი კოორდინაციის აუცილებლობა. უფრო მეტიც, ვაჭრობისა და ფინანსების სფეროებში ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებამ და წარმოების ფაქტორთა მობილურობის ამაღლებამ აუცილებელი გახადა ეკონომიკური პოლიტიკის გლობალური კოორდინაცია.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის აუცილებლობით გამოწვეული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კოორდინაციის მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა 1987 წლის ოქტომბრის საბირჟო კრახისა და 1998 წლის სავალუტო კრიზისის შედეგად.

მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომი 25 წლის მანძილზე სავალუტო ბაზრების მოცულობა მოკრძალებული იყო, რაც განაპირობა ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის ეკონომიკის აღსადგენად გაღებულმა ინვესტიციებმა. მათი საექსპორტო შესაძლებლობები შეზღუდული აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ მათი მიმდინარე ოპერაციებიის ბალანსი არ შეიძლებოდა აქტიური ყოფილიყო, მით უმეტეს მცირე მოცულობის სავალუტო რეზერვები გააჩნდათ.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო სავალუტო ბაზრების აღზევება. დადგა ევროპის ქვეყნების ვალუტათა საგარეო კონვერტირების ეპოქა. 1990 წლისათვის სავალუტო ბაზრებზე ყოველდღიური ოპერაციების მოცულობამ 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბა[1].

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 60-იანი წლებში კაპიტალის მოძრაობამ და მისმა გზავნილებამ ერთი ვალუტიდან მეორეში, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში ახალ-

---

[1] **М. Пебро.** Международные экономические, валютные и финансовые отношения, М., 1994. стр. 51.

ახალი პრობლემები წარმოშვა, თანაც ამ პერიოდის საერთაშორისო სავალუტო სისტემა აგებული იყო ფიქსირებულ პარიტეტზე: თითოეული ქვეყანა ვალდებული იყო ბაზარზე საკუთარი ვალუტის კურსის სტაბილიზაცია უზრუნველეყო და ვალუტის კურსის აწევა, ან დაწევა შესაბამისი ქვეყნების ეროვნული სავალუტო პოლიტიკის გამკაცრების ან შესუსტების აუცილებლობას იწვევდა, რაც ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში მათ დამოუკიდებლობას ზღუდავდა. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში გირვანქა სტერლინგის კრიზისმა, 60-იანი წლების ბოლოს მარკისა და ფრანკის პრობლემებმა, ხოლო 70-იანი წლების დასაწისში დოლარის კრიზისმა აიძულა აშშ, დიდი ბრიტანეთი, გფრ და საფრანგეთი საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმირებაზე ეზრუნათ.

მათი იმედები ვერ გაამართლა ვალუტათა საყოველთაო „ცურვის“ შემოღებამ, რომელიც პირველი ნავთობის შოკის შემდეგ სულ მალე იქნა გატარებული. მან არა თუ გამოიწვია ეროვნული სავალუტო პოლიტიკის დამოუკიდებლობა, პირიქით, მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრება დოლარის კურსის კოლოსალური მერყეობით „დაასაჩუქრა“.

ნებისმიერ ქვეყანას სხვებთან შედარებით თუ სურს საკუთარი ვალუტის კურსის სტაბილურობა, იგი იძულებულია დამოუკიდებელი სავალუტო პოლიტიკის გატარებაზე უარი თქვას. ლოგიკურად სავალუტო კურსის სისტემაში საპროცენტო განაკვეთების შეუთანხმებელმა შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს კაპიტალის ერთი ბაზრიდან მეორეში გადაქაჩვა, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს ცალკეული ქვეყნების ლიკვიდობის ხარისხში. საერთაშორისო გამოცდილებიდან ცნობილია, რომ კაპიტალის მოძრაობას შეუძლია ისეთ მასშტაბებს მიაღწიოს, როდესაც შეუძლებელი გახდება სასურველი სავალუტო კურსის ფორმირება. კაპიტალი მაშინვე, როცა თავისუფალ ცირკულირებას იწყებს, განვითარებული ქვეყნები სავალუტო ბაზრების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად იწყებენ სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრულ კოორდინირებას, კერძოდ, სავალუტო ვალდებულებათა ბაზრები მთლიანად ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან.

უფრო მეტიც, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების საფინანსო და სავალუტო კრიზისმა განვითარებული ქვეყნები დაარწმუნა, რომ სავალუტო პოლიტიკის კოორდინაცია აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრების სტაბილურობა იქნეს მიღწეული, რათა ეს უკანასკნელნი ერთმანეთზე დამოკიდებულნი გახდნენ.

ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება იწვევდა სხვადასხვა ქვეყნების სავალუტო პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციას, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთების სფეროში. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში კოორდინაციის გარდაუვალობას.

სხვათა შორის, კოორდინაციის აუცილებლობა ყველაზე უკეთესად ევროპაში იქნა გაგებული. ფაქტობრივად ყველა ქვეყანა დარწმუნდა იმაში, რომ ვაჭრობის განვითარება იწვევს სავალუტო კურსის სტაბილიზაციის აუცილებლობას, ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას.

ამრიგად, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ცხოვრებამ იძულებული გახადა შესდგომოდნენ თავიანთი სავალუტო პოლიტიკის კოორდინაციას, რომლის კონკრეტული გამოხატულება იყო „შვიდეულის" მიერ 1985 წლის სექტემბერში პლაცეში და 1986 წლის თებერვალში ლუვრში დადებული შეთანხმებები. „შვიდეულის" მთავარი ამოცანა გახდა მიეღწიათ სავალუტო ბაზარზე დოლარის კურსის სტაბილიზაციისათვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდა ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა მიმდინარე გადასახდელების დაუბალანსებლობის თანდათანობით აღმოფხვრა აშშ-სა და გფრ-იაპონიას შორის.

ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის პარალელურად მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში. უკანასკნელ წლებში ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში გამწვავდა კონკურენციული ბრძოლა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში (ელექტრონიკა, ატომური ენერგეტიკა, ჰაერონავტიკა) გაბატონებული პოზიციების დასაკავებლად.

ამას განვითარებადი ქვეყნების მხრიდან ახალი სახის კონკურენციაც დაემატა, რომლებიც იაფი მუშახელისა და

ბუნებრივი რესურსების მეშვეობით ადვილად ანვითარებენ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საერთაშორისო სავალუტო სისტემის კრიზისს.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების რომის ხელშეკრულების ხელმოწერის 10 წლისთავზე ნათლად გამოიკვეთა იმის აუცილებლობა, რომ საერთო ბაზრის შემდგომი პროგრესი შეუძლებელია სავალუტო კავშირის გარეშე, ეს კი მოითხოვდა ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში მჭიდრო კოორდინირებას.

იმისათვის, რომ ღრმად შევისწავლოთ საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები და სისტემები და მათი კაცობრიობის საერთო ინტერესების გათვალისწინებით მართვა, საჭიროდ მიგვაჩნია იმ მიზეზების დაფიქსირებაც, რომლებსაც ამ პროცესებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრიათ.

მე-2 მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი წარმოადგენს განსაკუთრებულ ეპოქას სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა ისტორიაში, თუნდაც იმიტომ, რომ ომის შემდგომ მშვიდობიანმა პერიოდმა ახალი ამოცანები დააყენა. ამ პერიოდმა მოიცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა: კოლონიური სისტემის კრახი, ატომური ენერგიის გამოყენების განვითარება, სარაკეტო შეიარაღების შემოღება, კოსმოსის ათვისება, ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნიკის პროგრესი.

მაგრამ საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა მართვისათვის გადამწყვეტი იყო შემდეგი ოთხი ფაქტორი: კეინსური რევოლუცია, პროფკავშირების გაძლიერება, საგადასახდელო ბალანსის გამოთანაბრება და დაუბალანსებლობის გამოთანაბრების ბერკეტები. განვიხილოთ ცალ-ცალკე:

I. **ეკონომიკური აზრის ისტორიაში ჯ. მ. კეინსის თეორიებმა სერიოზული გადატრიალება მოახდინეს.** კეინსის იდეების პრაქტიკული მნიშვნელობა მის მიერ წამოყენებულ რეკომენდაციებში კი არ მდგომარეობს, არამედ იმის მტკიცებაში, რომ **ოფიციალური პოლიტიკის ძირითადი მიზანი შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს სრული დასაქმების მიღწევა ერთობლივი მოთხოვნის შეგნებული მართვის გზით.**

ეს მიზანი აიტაცეს ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში

მიღწეული შედეგები იმდენად დიდი იყო, რომ საქმიანი აქტივობის აღმავლობამ ფაქტობრივად დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ოფიციალურ პოლიტიკაში წარმატებების გამოხატვა დაიწყო კეინსური თეორიის საფუძველზე ეკონომიკის სტიმულირების ან ინფლაციის დამუხრუჭებით.

და მხოლოდ 1973 წელს ინფლაციური პროცესების გამწვავებისა და ნავთობის ექსპორტიორების („ოპეკი") მიერ ნავთობზე ფასების მნიშვნელოვნად გაზრდის შედეგად, იმავე წლის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკა შევიდა ღრმა კრიზისის ფაზაში.

როცა მთავრობა ღებულობდა ღონისძიებებს სრული დასაქმებისათვის, ეს იწვევდა წინააღმდეგობებს შიდა ეკონომიკურ განვითარებასა და საგადასახდელო ბალანსის გამოთანაბრების ამოცანებს შორის, რომელიც გამოიხატებოდა მოთხოვნის ასეთი რეგულირების შეუძლებლობაში.

ამ პერიოდში შეიმჩნევა ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ისეთი ზრდა, რომ ბევრი განვითარებული ქვეყანა ამ მოვლენას განიხილავდა, როგორც შერეულ საბაზრო ეკონომიკას. მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომისტები მას კაცობრიობის მომავლად მიიჩნევდნენ. შერეული ეკონომიკის ფორმირებას დიდად შეუწყო ხელი საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს დოქტრინის ქადაგებამ, ისეთ ქვეყნებში კი, როგორიც იყო საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, ეკონომიკის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციამ.

ამასთან, სხვადასხვა სოციალური პროგრამები, რომლებიც სიღარიბესთან ბრძოლისკენ იყო მიმართული, არც თუ ისე ადვილი გადასაწვეტი იყო მთავრობების მიერ. იგი ფაქტობრივად აწვებოდა სახელმწიფო ფინანსებს, რაც, საბოლოო ჯამში იწვევდა ინფლაციურ პროცესებს მთელი თავისი სიძნელეებითა და პრობლემებით.

II. **ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ დაქირავებული მუშაკების ორგანიზაციის როლის ამაღლება.** ფაქტობრივად პროფკავშირები გადაიქცა მონოპოლიურ საბაზრო ძალად, რომლის არსებობა კანონით იქნა ლეგალიზებული და ნებადართული. მშვიდობიან პერიოდში პროფკავშირები აღწევენ მუშათა კლასის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც ხელფასის მომატებაში გამოიხატება. მთავრობა კი

ცდილობს ხელფასების გაყინვას, ან მინიმალურ მომატებას, მაგრამ დიდ დაწოლას განიცდის პროფკავშირის მხრივ.

ხელფასის მომატება, თავის მხრივ, იწვევს ინფლაციის ზრდას, რაც უარყოფითად მოქმედებს ეროვნულ და საერთაშორისო ფულად-საკრედიტო და ფინანსურ ურთიერთობებზე.

III. **სავაჭრო-საგადასახდელო ურთიერთობათა თეორია** ორი ჯგუფის საკითხების შესწავლას მოიცავს:

1. ძირითადად ეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ვაჭრობის მოცულობას, მომსახურებას და კაპიტალის მოძრაობას თითოეული ქვეყნისთვის ცალ-ცალკე;

2. დეფიციტის ან საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდოს გამოთანაბრების პროცესებთან დაკავშირებული საკითხების ცალკეულ ქვეყნებში.

ამ საკითხების თეორიული განზოგადება აუცილებელია სავალუტო ორგანიზაციებისათვის, რათა წარმატებით გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომლებსაც მუშაობის პროცესში აწყდებიან.

განვითარებული ქვეყნების მთავრობებს აწუხებთ არა მარტო საგარეო ანგარიშსწორებათა დაუბალანსებლობა, არამედ საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურის საკითხები.

ბევრი განვითარებული ქვეყანა აღწევს მიმდინარე ანგარიშსწორებებში აქტიურ სალდოს, რათა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციები და გაუწიოს დახმარება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს.

უკანასკნელ წლებში განვითარებული ქვეყნების საგადასახდელო ბალანსები ხასიათდება დიდი დეფიციტით როგორც ღია, ისე ფარული პოზიციებიდან, რომლის ძირითადი მიზეზია ინფლაცია და მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილებში საომარი მოქმედებები.

ჯერ კიდევ მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე მსოფლიო ინტეგრაციულმა პროცესებმა და საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ-ახალმა ფორმებმა (მარშალის გეგმა, ევროპის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში ვაჭრობის ლიბერალიზაციის კოდექსის მიღება, ევროპის საგადასახდელო კავშირის

შექმნა და სხვა), გარკვეული დადებითი როლი ითამაშა ეკონომიკური აღმავლობის მიღწევაში.

თანამედროვე ეპოქაში თავი იჩინა დეფიციტის და ინფლაციის გამწვავებამ.

დეფიციტს საფუძვლად ედო რამდენიმე მიზეზი:

1. **ჭარბი შიდა მოთხოვნა.** ბევრი ქვეყნის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, მიეღწიათ ისეთ აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვევდა სრულ დასაქმებას და წარმოების პერმანენტულ ზრდას, ხშირად იწვევდა ერთობლივი შიდა მოთხოვნის სიჭარბეს, განსაკუთრებით სამამულო წარმოების პროდუქციაზე. ეს კი, თავის მხრივ, იწვევდა იმპორტზე მოთხოვნის ზრდას და ექსპორტის დამუხრუჭებას, აგრეთვე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს.

როგორც წესი, ჭარბი მოთხოვნის უშუალო მიზეზია მიმოქცევაში ფულადი მასის სწრაფი ზრდა კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გადიდებისა და სამომხმარებლო კრედიტის გაფართოების შედეგად, ან სახელმწიფო სექტორის ზარალის გამო, რომელთა დაფინანსება წარმოებს ეროვნული საბანკო სისტემის მიერ.

ზოგიერთ შემთხვევაში ჭარბი ერთობლივი მოთხოვნის წარმოშობა დაკავშირებული იყო ხელფასის გადიდებასთან.

2. **ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია ხელფასის გადიდებით და ფასების ზრდით.** საერთაშორისო ანგარიშსწორებაში დეფიციტი შეიძლება წარმოიშვას ინფლაციის ტემპების გადიდებით, რაც, ბუნებრივია, გამოიწვევს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დასუსტებას.

ჭარბ მოთხოვნას ხომ ინფლაციური შედეგები იწვევს? რაც ხელს უწყობს ხელფასის გადიდებას და ფასების ზრდას. მაგრამ ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია დანახარჯთა გადიდებით, იწვევს ფასების ზრდას იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოთხოვნა არ არის ჭარბი, თუ შეთანხმებული ხელფასის გადიდება წინ უსწრებს შრომის მწარმოებლურობას. უფრო მეტიც, ხელფასის გადიდება, რომელიც გამოწვეულია შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზეგავლენით, პროფკავშირების დამსახურებაა. იგი ხომ მონოპოლიურ მდგომარეობაშია მოქცეული.

ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობის დაცემა თანდათანობით ზრდის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს, იმის გამო, რომ საექსპორტო ფასები გადიდებულია, ხოლო იმპორტული საქონელი უფრო იაფია თვით შიდა ბაზარზეც.

3. ახალი უცხოური კონკურენციის გავლენა. ხშირ შემთხვევაში იმ ქვეყნების მდგომარეობა, რომელთაც შედარებით დაბალანსებული საგარეო ანგარიშსწორებები გააჩნიათ, უარესდება იმის გამო, რომ მათი ეკონომიკისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები ჩამორჩება კონკურენტების ანალოგიურ მაჩვენებლებს. შედარებით დინამიკური ეკონომიკის მქონე ქვეყნები ძალზე სწრაფად ზრდიან საექსპორტო პოტენციალს, რის გამოც მათი საქონელი სხვა დანარჩენი ქვეყნების საქონელზე უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება. ეს კი უპირატესად გამოწვეულია წარმოების მოდერნიზაციით, მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვით და პრიორიტეტული დარგობრივი სტრუქტურული ცვლილებებით. ამის მაგალითად გამოდგება აშშ-ის ბაზარზე „მერსედესი“-ს ფირმის უპირატესობანი ამერიკულ მანქანათმშენებლებთან შედარებით. ასევე იაპონელებთან კონკურენციულ ბრძოლაში ამერიკის ბაზარი დაკარგეს თვით ამერიკელმა მუსიკალური და სატელევიზიო ტექნიკის მწარმოებლებმა.

4. კაპიტალის ექსპორტის ზრდა. ხშირ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი წარმოიქმნება უცხოეთში პირდაპირი ინვესტიციების გადიდებით და კრედიტის მიცემით უცხოელ მსესხებლებზე, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო მთავრობათა მიერ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით და მათ მიერ კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლის შესუსტებით. ეს ყველაზე ნათლად გამოვლინდა გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ამერიკაში.

IV. გარკვეულ დონემდე დეფიციტის, ან აქტიური სალდოს წარმოშობის გამომწვევი მიზეზები იმ ძალებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც **დაუბალანსებლობის გამოთანაბრებას** ავტომატურად უწყობენ ხელს, რამდენადაც ამ შემთხვევებში წინა პლანზე წამოიწევა ფულის მიმოქცევის როგორც მოცულობა, ისე შემოსავალთა დონე ცალკეულ ქვეყნებში.

ამის ბევრი მაგალითი იყო მსოფლიოში, მაგრამ ამ მექანიზმზე დაყრდნობა მიზანშეწონილი არ არის იმ შემთხვევაში, როცა დაუბალანსებლობა აღწევს დიდ მასშტაბებს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა მისი მიზეზები მუდმივი ხასიათის მატარებელია.

ქვეყანა, რომელიც განიცდის საგადასახდელო ბალანსის ქრონიკულ დეფიციტს, იძულებულია დაკარგოს რეზერვები, ამასთან, იმის გამო, რომ მისი მოცულობა განსაზღვრული სიდიდეა, იგი ძალაუნებურად იღწვის გადადგას დისბალანსის გამოთანაბრებისათვის ნაბიჯები. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება უცხოური კრედიტის აღება, თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდიდანაც კი. თუმცა საკრედიტო რესურსებიც არ არის უსაზღვრო. ასე, რომ ეს ნაბიჯი მაშინ მიიღწევა, როცა ქვეყნის პოლიტიკური არსენალი ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში არავინ არ ეცდება სესხების გამოყოფას და, საბოლოო ჯამში, ეროვნული ვალუტის კურსი კრახს განიცდის.

დაუბალანსებლობის გამოთანაბრებისათვის საშუალებათა წრე ძალზე შეზღუდულია, რის გამოც სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები ჩააყენონ დისბალანსის გამოთანაბრების სამსახურში.

თავი II
საერთაშორისო სავალუტო სისტემის განვითარების ეტაპები

საერთაშორისო სავალუტო სისტემა და შემდგომში რეგიონული სავალუტო სისტემები შეიქმნა როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტრუმენტები, რომლებიც საერთაშორისო ცხოვრების განვითარებასთან კავშირში ადაპტირებული გახდნენ და რომლებიც მომავალშიც არა ერთჯერ შეიცვლებიან.

საერთაშორისო სავალუტო სისტემა თავისი ევოლუციური განვითარების ეტაპებზე ღებულობს არსებობის კონკრეტულ ისტორიულ ფორმას, გამოდის სისტემა-სტადიების სახით, რომლებიც თანმიმდევრულად ცვლიან ერთი მეორეს.

ეს სისტემა-სტადიები ახასიათებენ სავალუტო სისტემას, როგორც საერთო, უნივერსალური პოზიციებიდან, ისე მისი განვითარების კონკრეტულ-ისტორიული სპეციფიკის პოზიციებიდან.

ყველა საერთაშორისო სავალუტო სისტემის მთავარი ამოცანაა – ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას.

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ამ თვალსაზრისით ოქროს სტანდარტის სისტემის მარცხმა მოკავშირეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შეექმნათ უფრო მოქნილი სისტემა, რომელიც აიგებოდა ოქრო-ვალუტის სტანდარტზე. ასეთს წარმოადგენდა ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

ამ სისტემამ თანდათანობით, მაგრამ გასული საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დესტაბილიზაცია გამოიწვია და 70-იანი წლების დასაწყისში ინფლაციური პროცესების გამწვავებითა და პირველი ნავთობის კრიზისით იგი საბოლოოდ დაინგრა.

ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი – ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკისათვის უფრო მოქნილი და ნაკლებად დამამცირებელი, შეიქმნა მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს.

განვიხილოთ ისტორიული თანმიმდევრობით მსოფლიო სავალუტო სისტემები, ვუჩვენოთ მათი შექმნის, განვითარებისა და კვდომის კანონზომიერებანი, აღვნიშნოთ დადებითი და უარყოფითი მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებაზე.

II.1. ოქროს სტანდარტი

საერთაშორისო სავალუტო სისტემის პირველ ისტორიულ ფორმას წარმოადგენს **ოქროს სტანდარტი**, მისი დამახასიათებელი თავისებურება იყო ოქროს ფუნქციონირება მსოფლიო ფულის როლში.

ოქროს სტანდარტი მასში მონაწილე ქვეყნებისაგან მოითხოვდა საკუთარი ეროვნული ვალუტა ოქროსთან კონვერტირებადი გაეხადათ ფიქსირებული კურსით. მაგალითად, აშშ დოლარის ღირებულებად შეიძლება დაეწესებინათ 1 გ ოქრო, ხოლო გირვანქა სტერლინგის ღირებულებად – 1.6 გ ოქრო.

გასაცვლელი სავალუტო კურსი, ოქროს შინაარსზე გაანგარიშებული, აწესებდა ოქროს პარიტეტს თითოეული ვალუტისათვის, რომლებიც საგარეო სავალუტო ბაზარზე მიმოიქცეოდა. ჩვენს მაგალითში, გასაცვლელი კურსის პარიტეტი დოლარსა და გირვანქა სტერლინგს შორის დაწესებული იყო 1 გირვანქა სტერლინგზე 1.6 დოლარი, რაც 1 დოლარზე 0.63 გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტურია.

იმის გამო, რომ სავალუტო მექანიზმი თავისი არსით ინტერნაციონალური ხასიათისაა, ოქრო, რომელიც „შემოსილი არ არის ეროვნული მოსასხამით“, საერთაშორისო საანგარიშსწორებო საშუალებათა მექანიზმში ყველაზე ოპტიმალურად გამოიყენებოდა.

დასავლეთის ზოგიერთი ისტორიკოსის მოსაზრებით ოქროს სტანდარტის შემოღების თარიღად ასწლიანი ომის დამთავრებას თვლიან. მათი მტკიცებით საერთაშორისო ოპერაციებისათვის ოქროს გამოყენება დაიწყო 1445 წლის 29 ოქტომბრიდან 1446 წლის 14 დეკემბრამდე პერიოდში გენუის მთავრობის მიერ

მოწვეული მონეტების მომჭრელი ჩინოვნიკებით შექმნილი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

რა თქმა უნდა, მე-15 საუკუნის ამ ლეგენდას არავითარი კავშირი არა აქვს ოქროს სტანდარტთან. პრაქტიკულად ოქროს სტანდარტი შეიქმნა მე-19 საუკუნის შუა ხანებში ყოველგვარი საერთაშორისო შეთანხმების გარეშე. თუმცა, იურიდიულად ოქროს სტანდარტის სისტემა გაფორმდა 1867 წელს პარიზის კონფერენციაზე მასში მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმებით. ოქრო აღიარეს საერთაშორისო ვალდებულებათა გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებად. ამ სისტემაში მთავარია ის, რომ ოქროს მონეტების მოჭრა და მისი მიმოქცევა თავისუფალი იყო. ასევე თავისუფლად მიმოიქცეოდა ქაღალდის ფული და თავისუფლად წარმოებდა მისი ოქროს მონეტებზე გადახურდავება. ოქრო ზოდების სახით თავისუფლად მოძრაობდა ქვეყნებს შორის, ე.ი. ეს სისტემა, რომელიც აგებული იყო მარტივ წესებზე, თეორიულად უზრუნველყოფდა სავალუტო კურსების ავტომატურ სტაბილურობას და საერთაშორისო გადასახდელების შეწონასწორებას. რეალური ცხოვრება ფაქტობრივად ამ მოდელისგან შორს იყო, მაგრამ ეს საერთაშორისო სავალუტო სისტემა მაინც ძალიან ეფექტიანი აღმოჩნდა 1914 წლამდე. ოქროს სტანდარტის სისტემა მძლავრად შეარყია პირველმა მსოფლიო ომმა, ხოლო გასული საუკუნის 30-იანი წლების გრანდიოზულმა დეპრესიამ მსოფლიოს ნათლად დაანახა დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებისადმი ოქროს სტანდარტის მიუსადაგებლობა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ოქროს სტანდარტის სისტემა აგებული იყო რამდენიმე მარტივ პრინციპზე:

1. **ყველა ვალუტა განისაზღვრებოდა ოქროს წონით.** დიდი ბრიტანეთი ამ პრინციპს იყენებდა 1816 წლიდან, როცა ინგლისის ბანკმა დააწესა მის მიერ გამოშვებული ბანკნოტების ოქროზე დახურდავება, შემდეგ 1837 წელს მას მიჰყვა აშშ, 1875 წელს – გერმანია, 1872-1876 წლებში – სკანდინავიის ქვეყნები, 1878 წელს – საფრანგეთი, 1892 წელს – ავსტრია-უნგრეთი, ხოლო 1897 წელს – იაპონია.

2. **თითოეული ვალუტის ოქროთი კონვერტირება უზრუნველყოფილი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარ-**

გარეთაც. ბანკნოტები საემისიო ინსტიტუტების მიერ იცვლებოდა ოქროს მონეტებზე, ხოლო ოქროს ზოდები შეიძლება მონეტებად გადაქცეულიყო. ასეთ პირობებში საემისიო ინსტიტუტებს, ე.ი. სახელმწიფოთა ცენტრალურ ბანკებს უფლება არ ჰქონდათ გამოეშვათ ბანკნოტები ოქროს სათანადო მარაგის გარეშე;

3. ოქროს ზოდები თავისუფლად იცვლებოდა მონეტებზე. ოქრო წარმოადგენდა თავისუფლად ექსპორტირებად და იმპორტირებად საქონელთა საქონელს და ასევე თავისუფლად იყიდებოდა საერთაშორისო ბაზრებზე;

4. სავალუტო კონტროლის ორგანოები ატარებენ ვალუტის სტაბილურობისა და საგარეო წონასწორობის უზრუნველმყოფ რეგულირების პოლიტიკას. ყოველგვარი საგარეო დეფიციტი იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რომლითაც მიიღწევა ეკონომიკური აქტივობის შენელება (დეფლაციის ეფექტი) და კაპიტალის იმპორტზე ხელის შეწყობა (საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის აღდგენა).

ოქროს სტანდარტის სისტემა ერთდროულად უზრუნველყოფდა ვალუტათა კურსის და საგადასახდელო ბალანსის სტაბილურობას.

სავალუტო პარიტეტი განისაზღვრებოდა ოქროსთან შეფარდებით. თუ სავალუტო ბაზარზე ადგილი ჰქონდა პარიტეტისგან გადახვევას, მაშინ ეკონომიკური აგენტები დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი ანგარიშსწორებები მოეხდინათ ოქროთი და არა ბანკნოტებზე. მაგალითად, ინგლისელი, რომელსაც გადახდა უნდა მოახდინოს მარკებში, დაინტერესებული იყო იგი განეხორციელებინა ოქროთი, თუ სხვაობა მარკის საბაზრო ფასსა და მარკის ოქროს პარიტეტს შორის გირვანქა სტერლინგთან შედარებით აღემატებოდა ინგლისიდან გერმანიაში ოქროს გადაგზავნის ხარჯებს.

ოქროს სტანდარტი უზრუნველყოფდა საგადასახდელო ბალანსის გრძელვადიან წონასწორობას. სინამდვილეში, უარყოფითი სალდოს მქონე ქვეყნიდან ოქროს გადინება საზღვარგარეთ იწვევდა საემისიო ბანკის მიერ მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის მოცულობის შემცირებას. ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ფულადი მასის შემცირება იწვევდა ეროვნულ საქონელზე შეფარდებითი ფასების შემცირებას, რაც

ზრდიდა მის კონკურენტუნარიანობას და აიძულებდა ქვეყანას გაეზარდა ექსპორტი და შეემცირებინა იმპორტი, ე.ი. გაცვლა მოეყვანა ახალ წონასწორობაში. და, პირიქით, ეროვნული ვალუტის დამატებითი გამოშვება, რომელიც გამოწვეული იყო ქვეყანაში ოქროს მოდინებით, იწვევდა ეროვნულ საქონელზე ფასების ზრდას, რაც ზემოქმედებდა საგარეო ვაჭრობაზე და ამცირებდა საგადასახდელო ბალანსის დადებით სალდოს.

ამრიგად, ოქროს სტანდარტი ფაქტობრივად ავტომატურად ახდენდა საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას. საპროცენტო განაკვეთის გადიდება ან შემცირება, რომელიც გამოწვეული იყო სავალუტო კონტროლის ორგანოების მიერ, აჩქარებდა ახალი წონაწორობის მიღწევას დეფლაციური ეფექტისა და კაპიტალის მოძრაობის გავლენის გზით.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ოქროს სტანდარტის სისტემა სინამდვილეში ზემოთ მოტანილი თეორიული სქემით არასოდეს არ ფუნქციონირებდა. ოქრო ეროვნულ დონეზე თანდათან გარდაიქმნა დამატებით ფულად. 1872 წლისთვის აშშ-ის მთელ ფულად მასაში ოქრო შეადგენდა 28%-ს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში – 13%-ს, მაშინ, როდესაც ბანკნოტები და დეპოზიტები 59%-ს აღწევდა. 1913 წელს ოქროს წილი შემცირდა 10%-მდე და ქვეყნის მთელი ფულადი მასა მხოლოდ 17%-ით იყო უზრუნველყოფილი ძვირფასი ლითონების რეზერვებით.

ოქრო, როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და გადახდის საშუალება, მთელს მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში განიცდიდა გირვანქა სტერლინგის მხრივ კონკურენციას. ამ დროს თამასუქები გირვანქა სტერლინგებში ფართოდ იყო გავრცელებული გადახდის საშუალებად. 1880-1913 წლებში ოქროს პარალეურად მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სხვა ვალუტებიც, რომელთა წილი 20%-ს აღემატებოდა.

თავიდან ოქროს სტანდარტი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უზრუნველყოფდა ვალუტების სტაბილიზაციას. ავსტრიის ტალერი და ამერიკული დოლარი წარმოადგენდა მთელ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში პირველ მსოფლიო ომამდე ყველაზე

ძლიერ ვალუტას. გირვანქა სტერლინგმა და ფრანგულმა ფრანკმა 1815-1914 წლებში შეინარჩუნეს ოქროს შინაარსი.

გარდა ამისა, ოქროს სტანდარტი ხელს უწყობდა საერთაშორისო ვაჭრობას. ეს უკანასკნელი ძალიან გაფართოვდა 1850 წლიდან 1914 წლამდე. თუ 1850 წელს მივიღებთ ბაზად (100%-ად), მაშინ საგარეო ვაჭრობის ინდექსი 1880 წლის 350%-დან 1913 წელს 1000%-მდე გაიზარდა. საგარეო ვაჭრობის ასეთ მასშტაბებში განვითარებამ სარგებლობა მოუტანა მხოლოდ ოთხ წამყვან ქვეყანას: აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას, რომლებზედაც 1914 წელს მთელი მსოფლიო ვაჭრობის ნახევარი მოდიოდა. ამ ოთხი ქვეყნიდან მაინც დომინირებული მდგომარეობა დიდ ბრიტანეთს ეკავა.

ამრიგად, ოქროს სტანდარტი წარმოადგენდა მსოფლიო თანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითს. სახელმწიფოთა მეთაურების თათბირების, ხელშეკრულებებისა და ინსტიტუციური საფუძვლების გარეშე, ოქროს სტანდარტი უზრუნველყოფდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის ხანგრძლივ სტაბილურობას, რითაც ხელს უწყობდა საგარეო ვაჭრობის განვითარებასაც.

მაგრამ გადიოდა დრო, იცვლებოდა ქვეყნებს შორის ძალთა თანაფარდობა, შენელდა ოქროს სტანდარტის მასტიმულირებელი ცეცხლი.

მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლით ოქროს სტანდარტი სულ უფრო ქმედითი ხდებოდა, რადგან ცალკეულ ქვეყნებში ფულის მიმოქცევის გაფართოება დაკავშირებული იყო ცენტრალურ ბანკებში ოქროს მარაგებზე. ეს ეწინააღმდეგებოდა, ერთი მხრივ, ინფლაციურ პროცესებს, ხოლო, მეორე მხრივ, მატერიალური დოვლათის წარმოებას და „ფულზე შიმშილს“ ქმნიდა. „ოქროს ჩარჩოები“ გაფართოებას მოითხოვდა, წინაღმდეგ შემთხვევაში მაქსიმალური მოგების ამოღება არარეალური იყო. **ამიტომ პირველი მსოფლიო ომი იყო ოქროს სტანდარტის გაუქმების არა მიზეზი, არამედ საბაბი და მისი წინაპირობა.** ინდუსტრიულად მოწინავე ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკური ღონისძიებების საშუალებით საგადასახდელო ბალანსზე ზემოქმედებას, ამასთან პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოქროს რეზერვებმა თავი მოიყარა აშშ-ში, ხოლო ევროპის ქვეყნებში სულ უფრო შეიმჩნეოდა ოქროს ნაკლებობა.

პირველმა მსოფლიო ომმა ოქროს სტანდარტის სისტემის დესტაბილიზაცია დააჩქარა. სინამდვილემ მოითხოვა და ომის დასაფინანსებლად დასავლეთის ქვეყნებმა მიმართეს თავიანთი ცენტრალური ბანკების სესხებს და შეწყვიტეს ეროვნული ვალუტების ოქროზე გადაცვლა, დააწესეს იძულებითი კურსი. გამძაფრდა ინფლაციური პროცესი.

მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით ინგლისურენოვანი ექსპერტები რეკომენდაციას იძლეოდნენ ოქრო-დევიზური სტანდარტის სისტემაზე გადასასვლელად. სახელმწიფოთა ცენტრალურ ბანკებს მიეცათ საშუალება თავიანთ სარეზერვო სახსრებში ოქროს თანაბრად მიეღოთ ვალუტები, ცენტრალური ბანკების ვალუტების ემისიის სახით. ოქრო, კონვერტირებად ვალუტებთან ერთად, რჩებოდა საერთაშორისო ოპერაციებში ანგარიშსწორების ნორმალურ საშუალებად. ამასთან, ოქრო ამოვარდა საშინაო ოპერაციებიდან. ბანკნოტების ოქროზე გაცვლა რეზიდენტებისათვის მოიხსნა. ამ ახალმა სისტემამ აღიარება ჰპოვა ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების გენუის კონფერენციაზე 1922 წელს[1].

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან 70-იან წლამდე ოქრომ საერთაშორისო სავალუტო სისტემაში დაკარგა მონოპოლიური როლი, როგორც მსოფლიო ფულმა. ოქროს პარალელურად მსოფლიო ფულის სტატუსი მიიღო დოლარმა, თანაც ოქრო გახდა დოლარზე დამოკიდებული.

ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო არა მარტო ოქროს ადგილის შეცვლა, არამედ მისი, როგორც, მსოფლიო ვალუტის არსებითი მოდიფიცირება. ჯერ ერთი, პრაქტიკულად შეწყდა ოქროს საყოველთაო საგადასახდელო საშუალების როლში გამოყენება; მეორე, არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა ოქრომ, როგორც საყოველთაო საგადასახდელო საშუალებამ. ამასთან განვითარებული ქვეყნები თავიანთი საგადასახდელო

---

[1] 1922 წელს გენუის კონფერენციაზე სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა მეორე მსოფლიო სავალუტო სისტემა, რომელიც აგებული იყო 30 სახელმწიფოს ფულად ერთეულზე. ამ სახელმწიფოთა ეროვნული ვალუტები გახდა საერთაშორისო საგადასახდელო-სარეზერვო საშუალება, თანაც გამოყოფილი არ იყო ერთი რომელიმე სარეზერვო ვალუტა. ფაქტობრივად წამყვანი ვალუტის სტატუსზე პრეტენზია ჰქონდათ აშშ დოლარს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.

ბალანსის დეფიციტის დასაფარავად აქტიურად იყენებენ ეროვნული რეზერვებიდან კონვერტირებად ვალუტას და ნასესხობის სპეციალურ უფლებას, ხოლო აშშ და დიდი ბრიტანეთი საგარეო ვალებს საკუთარი ეროვნული ვალუტით ფარავდნენ, რამდენადაც მათ სარეზერვო ვალუტათა სტატუსი ჰქონდათ მიღებული. საგადასახდელო ბალანსების წონასწორობის აღდგენაში ოქროს წილი თანდათანობით მცირდებოდა. თუ გასული საუკუნის 50-იან წლებში მისი წილი შეადგენდა 14-16%-ს, შემდგომ წლებში უფრო მცირდებოდა, ხოლო 1971 წლიდან კი ოქრო საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან საერთოდ გაქრა[1].

ოქრომ დაკარგა მსოფლიო ფულის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – საყოველთაო საგადასახდელო საშუალების ფუნქცია, თუმცა, მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ისეთი ფუნქციები, როგორიც იყო: დაგროვების საშუალების (ცენტრალურ ბანკებსა და საერთაშორისო საფინანსო-სავალუტო ორგანიზაციებს ოქროს დიდი რეზრვები გააჩნდათ) და ღირებულების საზომის ფუნქცია (რამდენადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ეროვნული ვალუტების ოქროს პარიტეტი).

ამრიგად, ოქროს სტანდარტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წარმოების სტიქიური რეგულირების, საგარეო-ეკონომიკური კავშირების, ფულის მიმოქცევის, საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების საქმეში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო შეეცადა დაბრუნებოდა ოქროს სტანდარტს და მის თავდაპირველ პარიტეტებს. დიდ ბრიტანეთმა დაკარგული პოზიციების აღდგენის მიზნით 1925 წელს შემოიღო ოქროს სტანდარტი, მოახდინა გირვანქა სტერლინგის რევალვაცია 1914 წლის პარიტეტის დონემდე და ყოველნაირად ცდილობდა აღედგინა საკუთარი ვალუტის ოქროზე გადახურდავება. დიდი ბრიტანეთის მაგალითს მიბაძეს სხვა ქვეყნებმაც, მაგრამ მცირე ხნით. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დიდმა დეპრესიამ წერტილი დაუსვა ოქროს სტანდარტის რესტავრაციის

[1] **Борисов С. М.**, Золото в экономике современного капитализма, М., 1968, стр. 11.

ყოველგვარ ცდებს. გერმანიამ გააუქმა რეიხსმარკების კონვერტირება საბანკო დაკრედიტების შეწყვეტის გამო, რომელსაც მას აძლევდა სხვა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები. დიდ ბრიტანეთმა 1931 წლის ოქტომბერში შეწყვიტა გირვანქა სტერლინგის გადაცვლა ოქროზე და მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებამდე ვერ მოახერხა ეროვნული ვალუტის მყარი პარიტეტის უზრუნველყოფა.

აშშ 1934 წელს იძულებული გახდა მოეხდინა დოლარის დევალვაცია და 1 უნცია ოქროს (31.1 გრამი წმინდა ოქრო) ფასი 20-დან 25 დოლარამდე გაეზარდა.

1936 წლისათვის ფაქტიურად ყველა ქვეყანამ უარყო ოქროს სტანდარტი. დაიწყო პროტექციონისტული ღონისძიებების განხორციელება და დევალვაციის საქმეში კონკურენციული ჯიბრითი, რასაც ჯონ რობინსმა სამართლიანად უწოდა მეზობლის გაჩანაგების პოლიტიკა, რომელმაც საერთაშორისო ვაჭრობის ნამდვილი კრახი გამოიწვია. 1939 წელს საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა ერთი მესამედით ნაკლები იყო 10 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით. ამ მოვლენების თანმხლებმა ეკონომიკურმა და სავალუტო განზოგადოებამ არსებითი წვლილი შეიტანა ნაციონალიზმის აღზევებაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომით დამთავრდა.

ომის დაწყებამდე ადგილი ჰქონდა სავალუტო სისტემის სტაბილიზაციის მცდელობას, მაგრამ უშედეგოდ. 1937 წლის 25 სექტემბერს აშშ-მა, დიდ ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერს სამმხრივ შეთანხმებას ურთიერთ კონსულტაციის თაობაზე, მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამ ვერ აღადგინა ნამდვილი საერთაშორისო სავალუტო წესრიგი.

მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც მოსპო საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური წონასწორობისა და ოქროს სტანდარტზე დაბრუნების ყოველგვარი იმედები, ძალთა თანაფარდობა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკასა (რომელიც ვითარდებოდა იარაღის ექსპორტისა და მოკავშირე ქვეყნების მომარაგების ბაზაზე) და ევროპის ქვეყნების ეკონომიკას შორის, რომელიც ომის შედეგად გაკოტრებული და განადგურებული იყო, ძირეულად შეიცვალა. ევროპის ქვეყნები ძლიერი კრედიტორებიდან მოვალეებად გადაიქცნენ. ამასთან ევროპის

ყველა სახელმწიფოში მძვინვარებდა მწვავე ინფლაციური პროცესები.

ამრიგად, ოქროს სტანდარტის ხელახლა აღორძინება ობიექტურად შეუძლებელი იყო.

II.2. ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბება

საერთაშორისო სავალუტო სისტემის შემდეგ ისტორიულ ფორმას **დოლარის სტანდარტი** წარმოადგენდა.

დასავლეთის მოწინავე ქვეყნების მთავრობებს ერთიანი აზრი გააჩნდათ იმაში, რომ მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო მეურნეობის ჯერ აღდგენისა და შემდეგ მისი განვითარებისათვის აუცილებელი იყო ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის შემოღება.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ **ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება** იყო საერთაშორისო სავალუტო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. პირველად საერთაშორისო სავალუტო სისტემა დაფუძნებული იყო სახელმწიფოთა შორის შეთანხმებაზე, რომელმაც დააფიქსირა ის წესები, რომლებიც ყველასთვის სავალდებულო იყო. ამასთან, დაწესდა ქვეყნებს შორის სავალუტო სფეროში ჭეშმარიტი თანამშრომლობა, შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მოვალეობას შეადგენდა იმ პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა, რომლებიც გამაგრებული იყო საერთო შეთანხმებით და სავალუტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებით.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით შექმნილი საერთაშორისო სავალუტო სისტემა ემყარებოდა ოქრო-დევიზურ სტანდარტს, ე.ი. ზოგიერთი ვალუტა საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში გამოდიოდა, როგორც ოქროს ეკვივალენტი. ამიტომ ყველა ქვეყანას შეეძლო ასეთი სახის ვალუტა შეენახა, როგორც სავალუტო რეზერვი და კურსის მიხედვით ეწარმოებინა მისი კონვერტირება, რომელიც ფიქსირებული იყო საკუთარ ვალუტასთან შეფარდებაში.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია აშშ-ის ინიციატივით მოწვეული იქნა 1944 წლის 1 ივლისს და გაგრძელდა 22 ივლისამდე. იმის გამო, რომ ეს კონფერენცია მიმდინარეობდა მე-2 მსოფლიო ომის პროცესში, მასში ლოგიკურად დომინირებდა აშშ და დიდი ბრიტანეთი.

კონფერენციაზე განსახილველად შემოტანილი იყო ორი გეგმა, რომლებიც გამოქვეყნდა 1943 წელს. პირველი იყო დიდი ბრიტანეთისა, რომელიც შეადგინა ლორდმა ჯონ მეინარდ კეინსმა და მეორე – ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლის ავტორი იყო ჰენრი თექსთერ უაიტი.

ეს ორი გეგმა ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავდებოდა, თუმცა მათ გააჩნდათ რამდენიმე საერთო იდეა. უპირველეს ყოვლისა, იმის აღიარება, რომ აუცილებელია საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური გაცვლის თავისუფლება, საერთაშორისო სავალუტო სტაბილურობა და საერთაშორისო შეთანხმებების დაფიქსირება. შემდეგ მოდიოდა ოქროს სტანდარტის შეცვლის მოთხოვნა ოქრო-დევიზური სტანდარტით; ორივე პროექტში ლაპარაკი იყო საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციის შექმნაზე, მის სარგებლიანობაზე, დასასრულ, წამოყენებული იყო დებულება საერთაშორისო კლირინგის მექანიზმის ფორმირების აუცილებლობაზე, რითაც შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო საგარეო გადასახდელების კონიუნქტურული დეფიციტის დაფინანსება.

ამასთან, ამ ორი გეგმის კონცეფციები პრინციპულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან:

1. ჯ. მ. კეინსის გეგმა ამბიციურობით გამოირჩეოდა. მასში შემოთავაზებული იყო მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო ეკონომიკური და სავალუტო ურთიერთობათა მეტად სტრუქტურირებული ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იქნებოდა – თითოეულ ქვეყანას მისცემოდა შესაძლო ფართო ავტონომია სავალუტო პოლიტიკის გასატარებლად, დაახლოებით ისეთი, როგორიც 1925 წელს განხორციელდა დიდ ბრიტანეთში. ამ პოლიტიკით სავალუტო ურთიერთობები ჩაყენებული იქნებოდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამსახურში და ქვეყანა თავიდან აიცილებდა დეფლაციური პოლიტიკის აუცილებლობას.

ჯ. მ. კეინსის გეგმა მოითხოვდა საგარეო-სავალუტო შეზღუდვების შემცირებას და უარყოფითი სალდოს მქონე საგადასახდელო ბალანსის დასაფარავად ფინანსური დახმარების გაწევას.

პრაქტიკულად ჯ. მ. კეინსი ითვალისწინებდა ცენტრალური ბანკების, ნამდვილი მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფულის შექმნას. აგრეთვე საგადასახდელო ბალანსის დარღვევა-დამახინჯებათა მოწესრიგება-რეგულირებას.

ჯ. მ. კეინსის გეგმის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა საერთაშორისო საკლირინგო კავშირი, რომელიც დროთა განმავლობაში გახდებოდა მსოფლიო მთავრობის ხელისუფლება.

ამ ორგანიზაციას უნდა შეესრულებინა საერთაშორისო საკომპენსაციო პალატის როლი. ცენტრალურმა ბანკებმა თვის მანძილზე ერთმანეთის დაკრედიტების შემდეგ, კავშირში უნდა გადარიცხონ თავიანთი სადებეტო ან საკრედიტო სალდო. კავშირი სათანადო მუშაობას გასწევდა, რათა ბანკ-კრედიტორებს სესხი მიეცათ ბანკი-დებიტორებისათვის, თანაც თვითონაც გასცემდნენ ამ უკანასკნელზე აუცილებელ ფონდებს კვოტის ფარგლებში.

ამასთან, საკლირინგო კავშირს უნდა ჰქონოდა საკუთარი ვალუტა, რომლის დანიშნულება იქნებოდა ლიკვიდობის ყველა საერთაშორისო სახსრების შეცვლა.

ჯონ მეინარდ კეინსის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიზანი ნათელი იყო. მას სურდა საერთაშორისო დონეზე შეექმნათ ორგანიზაცია, რომლის დანიშნულება იქნებოდა ქვეყნებს შორის მჭიდრო შეთანხმებების მიღწევა და რომელსაც გამოეყოფოდა ფინანსური რესურსები, რათა არ დაეშვა ევროპის ეკონომიკის დაცემა, დროულად მიეცა მისთვის საჭირო ფინანსური საშუალებები მეურნეობის აღდგენა-განვითარების უზრუნველსაყოფად.

ჰენრი უაიტის გეგმის პროექტი უფრო პრაგმატული ხასიათის იყო, ნაკლებად ამბიციური, მაგრამ ძალიან ძნელად განსახორციელებელი.

უაიტი ინსტიტუციური გეგმით სთავაზობდა სტაბილიზაციის ფონდის შექმნას, რომლის წყარო იქნებოდა მისი წევრი-სახელმწიფოების დეპოზიტები და მათ მიერ ამ ფონდისთვის

შეზღუდული ოდენობით და განსაზღვრული პირობებით ჩარიცხული უცხოური ვალუტა.

უაიტის მთავარი საზრუნავი იყო საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ყველა იმ ბარიერის მოსპობა, რომლებიც მის განვითარებას შეუშლიდნენ ხელს.

მიუხედავად მწვავე დებატებისა, 1944 წლის 4 აპრილის ამერიკა-ბრიტანეთის ერთობლივი კომუნიკის შესაბამისად მიღებული იქნა ისეთი სისტემა, რომელიც ძირითადში იწონებდა უაიტის გეგმას. ამრიგად, ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო სისტემა შეიქმნა ამერიკის ხაზინის მხარდაჭერითა და ხელდასმით.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე 1944 წლის 22 ივლისს ხელმოწერილმა შეთანხმებამ, რომელიც ძალაში შევიდა 1945 წლის 27 დეკემბერს, საფუძველი ჩაუყარა იმ კომპლექსის შექმნას, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა მთელ გაერთიანებას საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით. ამ შეთანხმებით შეიქმნა პრინციპულად ახალი სავალუტო სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო ხელშეკრულებაზე.

სინამდვილეში ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია იყო გაერთიანებული ერების პირველი სავალუტო-საფინანსო კონფერენცია, რომელმაც გააერთიანა 44 სახელმწიფო და რომლებმაც ხელი მოაწერეს გაეროს ქარტიას, მათ შორის სსრ კავშირმა. დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაერთიანებულ სახელმწიფოთა რიცხვმა 184-ს გადააჭარბა.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება არ შემოიფარგლებოდა მარტო სავალუტო საკითხებით, იგი განსაზღვრავდა მთელ საერთაშორისო სავაჭრო, საფინანსო და სავალუტო ურთიერთობათა ერთობლიობას. ფაქტობრივად ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით შეიქმნა სამი ორგანიზაცია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელსაც ევალებოდა ღია და სტაბილური სავალუტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის თვალყურის დევნება; რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი, რომელსაც უნდა მიეღო მონაწილეობა ინვესტიციების დაფინანსებაში, ომით დანგრეული ქვეყნების აღდგენასა და ყოფილი კოლონიების განვითარებაში; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელსაც

ვაჭრობაში შეზღუდვებისადმი კონტროლი უნდა დაეწესებინა. შეთანხმების მიუხედავად ეს ორგანიზაცია არ შექმნილა.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება აწესებდა საერთაშორისო სავალუტო სფეროში სამ ძირითად პრინციპს: 1. სავალუტო ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფას; 2. ვალუტათა კონვერტირების მიღწევას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა მიმიდინარე ოპერაციათა ანგარიშსწორების თავისუფლებასა და მრავალმხრივობას და 3. ოქრო-დევიზური სტანდარტის მეშვეობით მშვიდობის აღდგენა-განვითარებას.

ეს პრინციპები გამოიყენებოდა პრაგმატულად. მათ განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინათ ომის შემდგომი პერიოდის სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. განვიხილოთ, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

1. **სავალუტო ურთიერთობების სტაბილურობის მიღწევა.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების პირველ მუხლში ჩაიწერა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა: „ხელი შეუწყოს სავალუტო გაცვლის სტაბილურობას და კონკურენციული გაუფასურების მოსპობას".

თითოეულ წევრ-ქვეყანას ევალებოდა დაეწესებინა საკუთარი ვალუტისთვის ფიქსირებული პარიტეტი ოქროსთან მიმართებაში უშუალოდ ან სხვა ვალუტის მეშვეობით, როგორც წესი, დოლარით – მისი 1945 წლის ღირებულების საფუძველზე, როცა 35 დოლარზე იცვლებოდა 1 უნცია (31.1 გ) ოქრო. იმისთვის, რომ უზრუნველეყოთ გამოცხადებულ პარიტეტთან საკუთარი ვალუტის რეალური კურსი, თითოეულ ქვეყანას შეეძლო:

საკუთარი ვალუტის კონვერტირების გარანტია ოქროთი (ოფიციალური პარიტეტი);

ამ ვალუტის სხვა ვალუტებთან კურსის შენარჩუნება ბაზარზე მისი პარიტეტის 1%-იანი (მაქსიმალური) რყევადობის ფარგლებში.

2. **ვალუტათა კონვერტირებადობა, გადასახდელთა თავისუფლება და მრავალმხრივობა.** სულ მალე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბევრი ქვეყნის საგარეო ანგარიშსწორებები მკაცრად რეგლამენტირებული გახდა და ხშირ შემთხვევაში იზოლირებული კლირინგის შესახებ ორმხრივ შეთანხმებათა

საფუძველზე. წესდების პირველ მუხლში ჩაწერილი იყო ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის შესრულება „ხელი შეეწყოს მიმდინარე ოპერაციებით ანგარიშსწორებათა მრავალმხრივი სისტემის შექმნასა და სავალუტო გაცვლის შეზღუდვის აღმოფხვრას“, წესდების მე-8 მუხლით კი წევრ-ქვეყნებს აეკრძალათ მათ რეზიდენტებს მიმდინარე ოპერაციების მსვლელობაში ყოველგვარი „შემზღუდავი დისკრიმინაციული პრაქტიკა“ გადასახდელებისა და ტრანსფერტების განხორციელებაში. წესდების ეს მუხლი მათ ავალებს მხარი დაუჭირონ უცხოური ავუარების მათ ვალუტაში თავისუფალ კონვერტირებას, როცა ეს უკანასკნელი მიღებულია მიმდინარე ოპერაციებით.

ამრიგად, ბრეტონ-ვუდსის სისტემა ითვალსწინებდა მრავალმხრივი მიმდინარე გადასახდელების თავისუფლებას, აგრეთვე მიმდინარე ოპერაციებში გამოყენებული ეროვნული ვალუტების თავისუფალ კონვერტირებას.

ომის შემდგომი სიტუაციის გათვალისწინებით ასეთი რევოლუციური გადაწყვეტილება ავტომატურად არ გამოიყენებოდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების მე-14 მუხლში გათვალისწინებული იყო დროებითი რეჟიმი, რომელიც თითოეულ წევრ-ქვეყანას საშუალებას აძლევდა მანამ, სანამ შეექმნებოდათ სასურველი პირობები, შეენარჩუნებინათ ის შემზღუდავი პირობები, რომლის განხორციელებაც აიძულა ომმა ან ეკონომიკური განვითარების დონემ. პრაქტიკულად ევროპის ქვეყნებმა მხოლოდ 1958 წლის 27 დეკემბერს აღიარეს საკუთარ ვალუტათა საგარეო კონვერტირებადობა, ხოლო 1964 წელს მათ კვალს მიჰყვა იაპონიაც. დღეისათვის ამ წესს იცავს 40-ზე მეტი ქვეყანა, რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათი უმეტესობა ჯერ კიდევ იცავს სავალუტო გაცვლაში მკაცრ შეზღუდვებს და უზრუნველყოფილი არა აქვთ საკუთარი ვალუტის საგარეო კონვერტირებადობა.

3. **ოქრო-დევიზური სტანდარტი.** ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით უარი ეთქვა ოქროს სტანდარტს და დაწესდა ოქრო-დევიზური სტანდარტის რეჟიმი, რომელიც პრაქტიკულად თანდათან გარდაიქმნა **დოლარის სტანდარტად**. ოქრო წარმოადგენდა ძირითადს, ხოლო დოლარი უზრუნველყოფდა შუამავლობას ოქ-

როსა და სხვა დანარჩენ ვალუტებს შორის. ოქრო და დოლარი ერთად ასრულებდნენ სარეზერვო საშუალების ფუნქციასაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი-ქვეყნებისთვის საგარეო ვაჭრობის მომსახურება შემოღებული იქნა ოქრო-დევიზური სტანდარტის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ სავალუტო რეზერვები შედგებოდა, ერთი მხრივ, ოქროსაგან, მეორე მხრივ, ე.წ. წამყვანი ვალუტისაგან (წამყვან ვალუტად ითვლება ისეთი ვალუტა, როცა ამ ვალუტის მქონე ქვეყნის ცენტრალური ბანკი სხვა ქვეყნების მოთხოვნით განუსაზღვრელად ცვლის მას ოქროზე).

უწინდებურად სისტემის საფუძვლად ოქრო რჩება, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა ვალუტას გააჩნია ოქროს პარიტეტი, გამოცხადებული უშუალოდ ან დოლარის მეშვეობით, რომლის ღირებულება ოქროშია ფიქსირებული.

სისტემის სააღრიცხვო საფუძველი – ოქრო, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით, წარმოადგენდა აგრეთვე რეზერვებისა და ანგარიშსწორების შექმნის საშუალებას. თითოეულ ქვეყანას შესაძლებლობა აქვს შეინახოს ოქრო თავის ოფიციალურ რეზერვად და გამოიყენოს ის საზღვარგარეთ ანგარიშსწორებათა მოსახდენად.

ამჟამად მოქმედებაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური ალტერნატივა მასზე, რომ იმ ქვეყნებს, რომელთაც ეკონომიკური დონის დაბალი განვითარების გამო, ოქროს მარაგების უკმარისობა აქვთ, შეუძლიათ შექმნან სავალუტო რეზერვები კონვერტირებად ვალუტებში. პრაქტიკულად ყველა ცენტრალური ბანკი იძულებული გახდა შეექმნა რეზერვები დოლარებში. ერთი სიტყვით, დოლარი და ოქრო ერთმანეთის კონკურენტები გახდნენ.

პრინციპში ეს სისტემა ემყარებოდა ვალდებულებათა განსაზღვრულ წონასწორობას. დოლარის, როგორც საერთაშორისო სარეზერვო საშუალების როლი გამართლებული იყო მისი ოქროზე კონვერტირებით. მაგრამ, დროთა განმავლობაში თანდათანობით შემცირდა ოქროს როლი და მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ოქროზე დოლარის გადახურდავება მხოლოდ თეორიულად იყო დასაშვები. ფართო განვითარება ჰპოვა

ამერიკულმა დოლარმა, რასაც არ შეიძლება ბაზარზე ოქროს ფასზე გავლენა არ მოეხდინა.

ამრიგად, ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა ჩამოყალიბდა როგორც დოლარის სტანდარტი. რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იგი?

1. მიუხედავად იმისა, რომ ოქრო ბრეტონ-ვუდსის სისტემაშიც ასრულებდა მსოფლიო ფულის ფუნქციას, მაინც დოლარი წარმოადგენდა სავალუტო ეტალონს. მონეტური ოქროს ფასი დოლარებში ფიქსირდებოდა და რჩებოდა ამ ეტალონთან უცვლელი. ვალუტების ოქროს პარიტეტის დადგენა ხდებოდა დოლართან მისი წინასწარ შეფარდების საფუძველზე.

2. კერძო პირებს არც ერთი ეროვნული ვალუტა არ შეეძლოთ გაეცვალათ მონეტურ ოქროზე, მაშინ, როდესაც დოლარზე გაცვლა წარმოებდა სავალუტო კურსის შესაბამისად.

დოლარის სტანდარტი ემორჩილებოდა რა თავის განვითარების შინაგან კანონზომიერებას, გაიარა წარმოშობის, განვითარებისა და გარდაქმნის საფეხურები.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული დოლარი აქტიურ როლს ასრულებდა საერთაშორისო საანგარიშსწორებო ოპერაციებში, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ის ხაზინის გადაწყვეტილებამ – გაეყიდა ოქროს ზოდის ერთი უნცია (31.1 გ) 35 დოლარად. აშშ-ის მაგალითს მალე მიჰყვნენ: საფრანგეთი, შვეიცარია, ბელგია და ნიდერლანდები. ქვეყნებმა, რომელთაც არ გააჩნდათ ოქროს მარაგები, სავაჭრო-ეკონომიკურ ოპერაციებში ხელი მიჰყვეს ვალუტის ოქროზე გადაცვალას. ასეთ ვალუტათა რიცხვს აშშ დოლარი მიეკუთვნებოდა. თუმცა საერთაშორისო ანგარიშსწორებანი მაინც ოქროთი ხორციელდებოდა. ძალთა ასეთი განლაგება გაგრძელდა მე-2 მსოფლიო ომის დაწყებამდე.

ომის დამთავრებისთვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელში ჩაიგდო მონეტური ოქროს მსოფლიო მარაგის დაახლოებით 70% (23.4 მილიარდი დოლარის მოცულობით). დოლარის მყარ საფუძვლად ოქროს წარმოჩინებამ და სხვა ქვეყნებში ლიკვიდური საშუალებების მწვავე უკმარისობამ გამოიწვია სარეზერვო ვალუტად დოლარის ფართოდ გამოყენება.

სწორედ ბრეტონ-ვუდსის სავალუტო კონფერენციაზე იურიდიულად გაფორმდა საერთაშორის სავალუტო სისტემაში დოლარის დომინირებული როლი. დოლარი გახდა განვითარებული ქვეყნების ყველა ვალუტის ფასეულობათა ეტალონი.

ოქროს გვერდით დოლარი ასრულებდა საყოველთაო გაცვლისა და საერთაშორისო გადახდის საშუალების ფუნქციებს, აგრეთვე მსოფლიო რეზერვის ფუნქციას. სხვანაირად რომ ვთქვათ, დოლარმა მიიღო მსოფლიო ფულის სტატუსი, რითაც ფაქტობრივად წარმოიშვა და ფუნქციონირება დაიწყო სავალუტო სისტემის თვისებრივად ახალმა ფორმამ.

II.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდი – საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის საფინანსო ორგანიზაცია

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა სამეურნეო ცხოვრების ყოველმხრივი ინტერნაციონალიზაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფინანსურ ეკონომიკას და რომელიც ეროვნული მეურნეობების პარალელურად ფუნქციონირებს და ტონს აძლევს ამ უკანასკნელთა განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკური კავშირების განვითარების (საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა, მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლა) ბაზაზე მიმდინარეობს კაპიტალის საერთაშორისო შერწყმის მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა. თანამედროვე ეპოქაში განვითარდა ტრანსნაციონალური კორპორაციები, ე.ი. მრავალმხრივი სამეურნეო კომპლექსები, რომლებმაც ეროვნული საწარმოებიც კი გააერთიანა.

წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ, ფინანსურმა ეკონომიკამ, ეროვნული მეურნეობების კავშირურთიერთობათა მკვეთრმა განვითარებამ და საქმიანი კონიუნქტურის მზარდმა ხასიათმა დღის წესრიგში დააყენა მსოფლიო მეურნეობის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების შემდგომი ინტეგრაციის აუცილებლობა.

მსოფლიო მეურნეობის რეგულირების ინსტიტუციონალური სტრუქტურების სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მასთან დაკავშირებულ რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკს.

როგორც აღვნიშნეთ, ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციის – საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნა და საგარეო გადასახდელებში პრობლემებისა და სირთულეების მქონე ქვეყნებისათვის საკრედიტო დახმარების მექანიზმის დაწესება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) წარმოადგენს სპეციფიკურ ორგანიზაციას. სსფ რაღაც შუალედური ორგანიზაციაა კლასიკურ საერთაშორისო ორგანიზაციას, სადაც თითოეულ ქვეყანას ერთი ხმა გააჩნია და სააქციონერო საზოგადოებას შორის, რომელსაც შეძენილი აქციების შესაბამისად შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი ხმები და გადაწყვეტილებების მიღებაც ამაზეა დამოკიდებული. სსფ-ის წევრ-ქვეყანას მასში კვოტა და ხმების რაოდენობა გააჩნია. ეს კვოტა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. სწორედ ამიტომ სსფ-ში აშშ-ს უკავია პრივილეგირებული მდგომარეობა. მნიშვნელოვანი დადგენილებების მიღება ხმების უმრავლესობას მოითხოვს და ამიტომაც აშშ-ს ყოველთვის გააჩნია ვეტოს დადების შესაძლებლობა.

სსფ მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოთა შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობათა რეგულირება და აღმოუჩინოს ფონდის წევრ-ქვეყნებს ფინანსური დახმარება საგადასახდელო ბალანსსა და უცხოურ ვალუტაში აღებული მოკლევადიანი სესხების წონასწორობის დარღვევისას წარმოშობილი სავალუტო სიძნელეების დასაძლევად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფორმირებისას მისი ოფიციალური მიზნები ასე ჩამოყალიბდა: მუდმივი მექანიზმის შექმნის გზით ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, საგარეო ვაჭრობის გაფართოებას და შეწონასწორებას, ფონდის წევრ-ქვეყნებს შორის მიმიდნარე ოპერაციების გადახდაზე მრავალმხრივი სისტემის შექმნას და სავალუტო

შეზღუდულობის აღმოფხვრას, საჭიროებისას გასცეს მათზე სესხები უცხოურ ვალუტაში, აღმოფხვრას მათი საგადასახდელო ბალანსების წონასწორობის დარღვევათა ფაქტები და არ დაუშვას ვალუტათა კონკურენციული გაუფასურება[1].

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოწოდებულია მსოფლიოში საფინანსო-სავალუტო სტაბილურობის დასამყარებლად. ის წევრი სახელმწიფოების მხრიდან მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით მკაცრ საფინანსო დისციპლინასა და სტაბილური სავალუტო კურსების უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს უკანასკნელი ამ ქვეყნების მხრიდან ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით მიიღწევა, რომელიც ფასების დონის სტაბილურობასა და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას უზრუნველყოფს[2].

თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიზნად აქვს დასახული ქვეყნების მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და შემდგომში მისი შენარჩუნება, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის მიზანია მისი წევრი-ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ცალკეული დარგების განვითარებაში ხელის შეწყობა.

სსფ მიზანი განსაზღვრულია მისი წესდების პირველი მუხლით:

- ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, მუდმივმოქმედი დაწესებულების ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს კონსულტაციებისა და ერთობლივი მუშაობის მექანიზმს საერთშორისო სავალუტო და ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად;
- იზრუნოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისა და დაბალანსებული ზრდისათვის და ამით მონაწილეობა მიიღოს დასაქმებისა და რეალური შემოსავლების მაღალი დონის მიღწევაში, აგრეთვე საწარმოო რესურსების განვითარებაში;

---

[1] Articles of Agreement of the International Monetary Fund / international Monetary Fund. – Washington – Peprintel. – 1985, Ludust. – p. 2-3.

[2] ვლ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002, გვ. 65-66.

- ხელი შეუწყოს ვალუტების სტაბილურობას წევრ-ქვეყნებში, რათა მათ აარიდოს ვალუტათა დევალვაცია;
- ხელი შეუწყოს მიმდინარე ოპერაციებით ანგარიშსწორებათა მრავალმხრივი სისტემის დაწესებას და სავალუტო შეზღუდვების ლიკვიდაციას, რომელიც აფერხებს მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას;
- სსფ წევრ-ქვეყნებს მისცეს შესაძლებლობები ფონდის რესურსების მეშვეობით მიაღწიონ შეწონასწორებას, რაც მათ ააცილებს ამ მიზნით ეროვნულ ან საერთაშორისო ურთიერთობებისათვის საზიანო ღონისძიებების გამოყენებას.
- შეზღუდოს და შეამციროს საგადასახდელო ბალანსებში წონასწორობის დარღვევათა ვადები და მასშტაბები.

პრაქტიკულად სსფ-ს გააჩნია სამი ძირითადი ამოცანა:

1. კონტროლი დააწესოს წესდებით გათვალისწინებული სავალუტო ქცევის კოდექსის შესრულებაზე (სავალუტო გაცვლის სტაბილურობა, მიმდინარე ანგარიშსწორებათა თავისუფლება, დისკრიმინაციის მოსპობა, ვალუტათა კონვერტირებადობა, საგარეო წონასწორობა), განსაკუთრებით წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე „მკაცრი ზედამხედველობის“ უზრუნველყოფით;

2. გადასცეს ამ ქვეყნებს განკარგულებაში ფინანსური რესურსები, რათა მიეცეთ მათ წესდებით გათვალისწინებული სავალუტო ქცევის კოდექსის უსათუოდ შესრულების შესაძლებლობა, გამოასწორონ და თავიდან აიცილონ გადასახდელთა წონასწორობის დარღვევის შემთხვევები ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით;

3. გაატაროს სავალუტო სფეროში წევრი-ქვეყნების შეთანხმებული მოქმედებისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები.

სსფ-ის ფუნქციონირების ნახევარსაუკუნოვანზე მეტი ისტორიის მანძილზე მის ამოცანებში არსებითი ცვლილებები იქნა შეტანილი, რაც განპირობებული იყო მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურული ევოლუციის თავისებურებებით. ამ მხრივ აღსანიშნავია: წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის

პროცესის გაღრმავება და მის ბაზაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბება-ფუნქციონირება; მაკროეკონომიკური რეგულირების საერთაშორისო მექანიზმის შემდგომი განვითარება-გაფართოება; საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის, სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნების წილის ზრდა; კოლონიური სისტემის დაშლა და განვითარებადი ქვეყნების განვითარების ახალი იმპულსების ფორმირება და მათი მსოფლიო ეკონომიკურ ინტერგაციის პროცესებში ჩართვა; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში ცენტრალიზებული-გეგმიანი მეურნეობრიობის გაუქმება და საბაზრო ეკონომიკაზე აგებული შერეული, მრავალწყობიანი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება.

აქ მოტანილმა და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურმა ფაქტორებმა გააღრმავა სსფ-ის კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები აშშ-ის პოზიციების საწინააღმდეგოდ.

სსფ-ის მექანიზმის ტრანსფორმაციამ გარკვეული ეტაპები გაიარა, რომლებიც აისახება მისი წესდების პერიოდულ გადასინჯვებში. სსფ-ის წესდებაში პირველი ცვლილება შეტანილი იქნა 1969 წელს, როცა ჩამოყალიბდა „ნასესხობის სპეციალური უფლებების“[1] (SDR) სისტემა.

1976 წლის იანვარში სსფ-ის დროებითი კომიტეტის სესიაზე (იამაიკის დედაქალაქ – კინგსტონში) შემუშავებული იქნა ე.წ. იამაიკის შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების შესახებ. ამ რეფორმამ მოითხოვა სსფ-ის წესდების მთავარ მუხლებში სერიოზული ხასიათის ცვლილებების შეტანა. ეს სამუშაო დამთავრდა 1976 წლის 30 აპრილს, ხოლო 1978 წლის 1 აპრილიდან იგი ძალაში შევიდა.

1990 წლის 28 იანვრიდან ძალაში შევიდა სსფ-ის მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებები წესდების მე-3 ცვლილებების შეტანის შესახებ.

---

[1] სსფ-ის სპეციალური ვალუტა – ნასესხობის სპეციალური უფლებები (SDR) შემოღებულ იქნა 1969 წელს, რომლის კურსის დასადგენად გამოყენებულია სავალუტო კალათა: დოლარის, ევროს, იენას, გირვანქა სტერლინგის შემადგენლობით.

სსფ-ის ევოლუციის პროცესში არსებითად შეიცვალა და სრულყოფილი იქნა მისი ფუნქციონირების ისეთი მთავარი ასპექტები, როგორიცაა: ფონდის წევრობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, კაპიტალის და წევრი-ქვეყნების კვოტების სისტემა, წევრ-ქვეყნებთან მიმართებაში მიზნობრივი პროგრამები და პოლიტიკა, შემოსავლების ფორმირება, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობათა რეგულირების სხვადასხვა ფორმები, წევრი-ქვეყნებისა და მსოფლიო ეკონომიკის ეკონომიკურ პოლიტიკაზე მეთვალყურეობა და სხვ.

სსფ-ს ხელმძღვანელობს:

ა) მმართველთა საბჭო;

ბ) საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური კომიტეტი;

გ) სსფ-ის აღმასრულებელი საბჭო – 24 აღმასრულებელი დირექტორის სახით.

ისმის კითხვა: როგორია სსფ-ის ფინანსური სტრუქტურა?

1. წევრი-ქვეყნების შენატანები – კვოტები შეადგენს 300 მილიარდ აშშ დოლარს, რომლის შევსება წარმოებს – 25% SDR-ში ან სარეზერვო ვალუტაში, დანარჩენი ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნისამებრ.

სსფ-ს გააჩნია ნასესხობის ლიმიტი 50 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობით.

სსფ-ის ამ ამოცანების განსახორციელებლად გააჩნია ზემოქმედების ისეთი საშუალება, როგორიცაა ურთიერთდაკრედიტების მექანიზმი. გავარჩიოთ, რას წარმოადგენს ეს მექანიზმი?

იმისათვის, რომ სსფ-მა შეძლოს მასზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულება, განსაკუთრებით საგარეო გადასახდელებში წამოჭრილი სიძნელეების გადასალახავად, ფონდის წევრი-ქვეყნები თხოვენ მას ფონდში მონაწილეობის პროპორციულად გაუწიონ დახმარება სესხის მიღებაში უფლების სახით.

პირველად სესხის მიღება თავისუფალი იყო. მაგრამ სულ მალე შეიცვალა ის და ფონდის დახმარება წევრ-ქვეყნებს მიეცემოდათ მხოლოდ გარკვეული პირობების შესრულებით. იმისთვის, რომ სესხი მიეღოთ, მის მთხოვნელ ქვეყანას უნდა განეხორციელებინა ისეთი ეკონომიკური, საგადასახადო, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, რომელიც

საშუალებას მისცემდა მას საგარეო გადასახდელებში აღედგინა წონასწორობა. ეს ღონისძიებები, რომლებიც წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნეს სსფ-თან, მით უფრო მკაცრია, რაც მეტ დახმარებას ითხოვს ქვეყანა. ასეთი ნასესხობის დაფინანსებისათვის სსფ იყენებს იმ რესურსებს, რომლებიც მას გადაეცა კვოტას სახით.

ურთიერთდაკრედიტების მექანიზმს დროთა ვითარებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თანდათან დაუმატა სპეციალური საკრედიტო მექანიზმები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაწესებული იქნა ნასესხობის სპეციალური უფლებები, რომელმაც თანდათან განიცადა ტრანსფორმაცია და გარდაიქმნა საერთაშორისო ფულად[1].

II.4. ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის კრახი

ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა მეოთხედი საუკუნის მანძილზე ვითარდებოდა და ალმავლობით მიჰყავდა მთავარი წევრი-ქვეყნების ეკონომიკა. მაგრამ იგი მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეირყა და დაიწყო მისი კოსმეტიკური შელამაზება-შეკეთება, რამაც სათანადო შედეგები ვერ გამოიღო, პირიქით, 1971 წელს იგი დაინგრა.

ბრეტონ-ვუდსის სისტემას 1945-1960 წლების მანძილზე დადებითი შედეგები მოჰქონდა. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ დოლარი გახდა მთავარი საერთაშორისო საგადასახდელო საშუალება. ფაქტობრივად, დოლარი იყო ერთადერთი ოქროზე კონვერტირებული ვალუტა, თანაც ამერიკის შეერთებული შტატების ოქროს მარაგი შეადგენდა 20-25 მილიარდ დოლარს და მთელი მსოფლიოს ოფიციალური რეზერვების სამ მეოთხედს აღემატებოდა. სხვა ქვეყნები საკუთარი ვალუტების მხოლოდ ნაწილობრივ კონვერტირებას თუ ახდენდნენ. მათთვის დოლარი

[1] ნასესხობის სპეციალური უფლებები ვრცლად იქნება განხილული ქვემოთ (ავტორები).

გახდა ჩვეულებრივი სარეზერვო ვალუტა, რომელიც გამოიყენებოდა ინტერვენციისათვის.

დოლარის ამ სავალუტო ბატონობას თავისი ახსნა აქვს, თანაც იგი უნდა ვეძებოთ არა ტექნიკურ მოსაზრებებში, არამედ ეპოქის ეკონომიკურ რეალობაში. ომის დამთავრებისას ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის ეკონომიკა გაჩანაგებული იყო მაშინ, როდესაც აშშ-ის განკარგულებაში აღმოჩნდა უდიდესი ფინანსური დანაზოგები და საწარმოო სიმძლავრეები, რომელთა დეფიციტს განიცდიდა დანარჩენი მსოფლიო. მათ შესაძენად აუცილებელი იყო დოლარი, რაც ევროპის ქვეყნებს არ გააჩნდათ.

მოწყობილობებისა და სამომხმარებლო საქონლის შესაძენად დოლარები ამერიკის მიერ ევროპის ქვეყნებს მიეწოდებოდა კაპიტალის ტრანსფერტის გზით. დასაწყისში ეს იყო სახელმწიფო კაპიტალი „მარშალის გეგმის“ ფარგლებში (2-3 მილიარდი დოლარი წელიწადში), ან სამხედრო ხარჯების სახით, შემდგომში კაპიტალი, საზღვარგარეთ ამერიკელი რეზიდენტების მიერ შეძენილი აქტივების ფორმით.

ამერიკის კაპიტალის ექსპორტმა გადააჭარბა საქონლისა და მომსახურების ბალანსის დადებით სალდოს, რომელიც წარმოადგენდა მთელი დანარჩენი მსოფლიო იმპორტის შედეგს. 1946-1949 წლებში ამერიკის სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო 6.9 მილიარდ დოლარს აღწევდა, ხოლო მიმდინარე გადასახდელების ბალანსის დადებითი სალდო – 4.1 მილიარდ დოლარს, ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსი – 1 მილიარდ დოლარს.

1950-1959 წლებში ვაჭრობის დადებითი სალდო შემცირდა 2.9 მილიარდ დოლარამდე წელიწადში, ხოლო მიმდინარე გადასახდელების ბალანსს ჩამოუყალიბდა უარყოფითი სალდო (0.1 მილიარდი დოლარი), მაშინ, როდესაც ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსს გააჩნდა უარყოფითი სალდო 1.2 მილიარდი დოლარის მოცულობით.

ამ დროს ევროპის ეკონომიკა აღმავლობის გზაზე იდგა. განვითარების პარალელურად სულ უფრო მცირდებოდა საგარეო გადასახდელთა დისბალანსი და იზრდებოდა საავალუტო რეზერვების ოქროზე ან დოლარზე გადახურდავება.

1958 წლის 28 დეკემბერს ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ერთდროულად გამოაცხადეს მათი ვალუტების საგარეო კონვერტირებაზე დაბრუნება. პირველი ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის 6 ქვეყანას – გფრ, საფრანგეთს, იტალიას, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს მალე მიემატა დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები, შვეიცარია და ავსტრია, ხოლო 1964 წელს მათ შეუერთდა იაპონია.

სწორედ იმ დროს, როცა ახალმა საერთაშორისო სავალუტო სისტემამ დაიწყო აღმავალი ხაზით ფუნქციონირება, დაიწყო მისი რღვევის პროცესიც, თუმცა ვალუტათა კურსი მაინც სტაბილური იყო. 1959-1970 წლებში გერმანული მარკა სულ 2-ჯერ იქნა რევალვირებული (1961 წელს 5%-ით და 1969 წელს – 9.3%-ით); გირვანქა სტერლინგი და ფრანკი დევალვირებული იყო მხოლოდ ერთჯერ (პირველი – 1967 წელს 14%-ით, ხოლო მეორე – 1969 წელს – 11%-ით).

საყურადღებოა, რომ ასეთი, ერთი შეხედვით, სიწყნარე თავის წიაღში ფარავდა სავალუტო სისტემის ღრმა დეგრადაციას, რაც გამოწვეული იყო დოლარის მდგომარეობის შეცვლით. ამერიკული დოლარი, რომელიც განვლილ პერიოდში ინარჩუნებდა მიმზიდველობას, თანდათან კარგავდა „სიკაშკაშეს“ და მისდამი ნდობა შაგრენის ტყავივით ილეოდა.

დოლარის მიმზიდველობის გაუარესების მიზეზი იყო აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის ევოლუცია, რომელიც გამოიწვია მისმა დეფიციტმა. ასევე დეგრადირებული იქნა ვაჭრობა ჯერ ევროპის ქვეყნების და შემდეგ იაპონიის საწარმოო სიმძლავრეების აღდგენისა და კონკურენტუნარიანობის გადიდების მიზეზით. თანაც, მიმდინარე გადასახდელების ბალანსი გაჟღენთილი იქნა ისეთი ხარჯებით, როგორიც იყო ვიეტნამის ომი.

ყოველივე ამის გამო, 1960-1970 წლების პერიოდში, აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტმა მიაღწია 3.5 მილიარდ დოლარს წელიწადში, რამაც გამოიწვია საზღვარგარეთის ცენტრალურ და კომერციულ ბანკებში დოლარის დაგროვება. ასეთმა სიტუაციამ უარყოფითად იმოქმედა აშშ-ის ოქროს რეზერვების მდგომარეობაზე. 1970 წელს ოქროს რეზერვები მხოლოდ 11 მილიარდ დოლარს შეადგენდა, მაშინ, როდესაც დოლარის ავუარები საზღვარგარეთ ძალიან გაიბერა (მან 20

მილიარდ დოლარს მიაღწია ოფიციალურ ორგანიზაციებში და 30 მილიარდ დოლარს კომერციულ ბანკებში). იმისათვის, რომ აშშ-ს გამოესყიდა სავალო ვალდებულებები დოლარებში მთელ მსოფლიოში, მას არ გააჩნდა საკმარისი რაოდენობის ოქრო.

მდგომარეობის გამოსასწორებლად და ლიკვიდობის განსამტკიცებლად შეიქმნა ახალი სარეზერვო ინსტრუმენტები. 1969 წელს დაწესებული ნასესხობის სპეციალური უფლებები (SDR) აშშ-ს უფლებას აძლევდა საგადასახდელო ბალანსის სიძნელეებისას სსფ-სგან ესესხა ფული ყოველგვარი დამატებითი პირობების გარეშე. SDR ეძლევა სსფ-ის წევრ-ქვეყნებს, უპირატესად განვითარებულ ქვეყნებს თავიანთი კვოტას პროპორციულად. 1970-1972 წლებში სსფ-მა გასცა 9.5 მილიარდი დოლარის ნასესხობის სპეციალური უფლებები, რომელთაგან აშშ-ს მიეცა 3 მილიარდი დოლარის ოდენობით. უნდა ითქვას, რომ SDR-ის შემოღებამ რამდენადმე გაართულა დოლარის პრობლემები, მაგრამ ისიც არ იძლეოდა მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო სავალუტო კრიზისები. 1967 წლის ნოემბერში გირვანქა სტერლინგმა განიცადა დევალვაცია, 1968 წლის გაზაფხულზე დაიწყო ფრანკის კრიზისი. მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამწვავდა 1971 წელს, როცა კრიზისის ახალმა ტალღამ გადაუარა ამერიკულ დოლარს. აშშ-ის სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა მიაღწია მილიარდ დოლარს, ხოლო ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსის დეფიციტი მიუახლოვდა 30 მილიარდი დოლარის ზღვარს. როგორც აღინიშნა, 1974 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო სისტემის კრახი. 1974 წლის დასაწყისიდან ყველა წამყვანი ვალუტა — დოლარი, გირვანქა სტერლინგი, მარკა, იენა, ფრანკი ერთმანეთის მიმართ თავისუფლად ცურავდა.

როდესაც სავალუტო ბაზარზე წარმოებს მცურავი კურსის ჩამოყალიბება, რომელიც მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, იგი ხშირი მერყეობით ხასიათდება. მაგალითად, 1981 წლის 11-დან 16 თებერვლამდე გფრ-ის მარკასთან მიმართებაში დოლარის კურსი გაიზარდა 2.15 მარკიდან 2.24

მარკამდე, ანუ 4.1%-ით, მაგრამ იმავე წლის 20 თებერვალს ის დაეცა 5.5%-ით და 1 დოლარი 2.11 მარკით შეფასდა.

II.5. იამაიკის სავალუტო სისტემა

მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში შექმნილმა წინააღმდეგობებმა თავისი დაღი დაასვა დოლარის სტანდარტს, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ბრეტონ-ვუდსის სისტემის გარდაქმნა.

1976 წლის იანვარში ქ. კინგსტონში (იამაიკა) საერთაშორისო სავალუტო ფონდის დროებითი კომიტეტის შეთანხმებით რატიფიცირებული იქნა ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების მეორე შესწორება, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლის 1 აპრილს. ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის რეფორმამ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიიღო ახალი, **იამაიკის სავალუტო სისტემის** სახელწოდება. არსებითად იგი წარმოადგენს ბრეტონ-ვუდსის სისტემის განვითარებას.

იამაიკის სავალუტო სისტემის პირველ მთავარ ელემენტს წარმოადგენდა ოქროს გამოდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან და მსოფლიო ფულად ეროვნული ვალუტების წამოწევა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს დაევალა მისი წევრი-ქვეყნებისათვის დაებრუნებინა იმ ოქროს მარაგის 1/6 ნაწილი, რომელიც მათ ადრე შეტანილი ჰქონდათ ფონდში კვოტას ანაზღაურების მიზნით, ასევე მეორე 1/6 ნაწილი გაეყიდა აუქციონებზე.

წევრი-ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს უფლება მიეცათ ოპერაციები ოქროზე განეხორციელებინათ საბაზრო ფასებით, ხოლო ოქროს პარიტეტი და ოქროს საპარიტეტო (ოფიციალური) ფასი შეცვლილი იქნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეწყვიტა ოქროს მიღება კვოტების ანაზღაურებისა და კრედიტის სარგებლობის სახით (ოქროს პარიტეტი არის სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულების თანაფარდობა მათ ოფიციალურ ოქროს შინაარსთან. 1978 წლის გადაწყვეტულებით ოქროს პარიტეტი გაუქმდა).

იამაიკის სავალუტო სისტემის მეორე უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა – საერთაშორისო სავალუტო ფონდის

წევრი-ქვეყნების მიერ სავალუტო კურსის რეჟიმის შერჩევა და მცურავი სავალუტო კურსის დაკანონება, რომელიც შემოღებული იქნა 1973 წლიდან განვითარებული ქვეყნების მიერ. ფიქსირებულ კურსთან შედარებით მცურავ კურსს თავის მოძრაობაში იურიდიული საზღვარი არ გააჩნია და მისი ჩამოყალიბება ხდება თავისუფლად საბაზრო მიწოდება-მოთხოვნით. ამასთან, საერთაშორისო-სავალუტო ფონდის წესდება ითვალისწინებს განსაზღვრულ ვალდებულებას სავალუტო კურსის რეჟიმის ხაზით.

თითოეულ ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს თავის ვალუტის მცურავი კურსი მეორე ეკვივალენტთან ურთიერთობაში და არა ოქროსთან, აგრეთვე რამდენიმე ან ერთი წევრი-ქვეყნის ვალუტასთან ურთიერთობაში.

1978 წლის აპრილში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებაში შეტანილი იქნა მე-2 შესწორება, რომლის ძალითაც შემოღებული იქნა მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმი. წამყვანი ქვეყნები, განსაკუთრებით აშშ, უპირატესობას ანიჭებდნენ მცურავი კურსის რეჟიმს. ეს კი მათ დიდ მოგებას უქადდა, რამდენადაც მცირდებოდა მათი საგარეო პასივების რეალური ღირებულება.

ეს კი იყო აშშ-ის მიერ იმ ქვეყნების ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილის მითვისება, რომლებსაც გააჩნდათ დოლარის აქტივები. ამასთან, აშშ-მა მიიღო დამატებითი კონკურენციული უპირატესობა სხვა ქვეყნების ბაზრებზე.

ამრიგად, ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა შეცვალა ვალუტის მცურავმა გასაცვლელმა კურსმა, რომელიც სისტემატურად იცვლებოდა მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად. დაიწყო სავალუტო კურსის მოწესრიგების ჯგუფური ღონისძიებების განხორციელება.

სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი ურთიერთგარიგებისას აწყდებოდა ფიქსირებულ კურსს რომელიმე ერთ ვალუტასთან.

საგარეო სავალუტო ბაზარზე ადგილი ჰქონდა ვალუტის ინტერვენციის სხვადასხვა ტიპებსაც, სწორედ ამ მიზნით შემუშავებული და მიღებული იქნა თვისებრივად ახალი სავალუტო სისტემა, რომელიც კორექტირებული მცურავი კურსის სისტემის სახელწოდებით არის ცნობილი.

ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ მხოლოდ მცურავი გასაცვლელი კურსის შემოღება მოსპობდა მსოფლიო ეკონომიკაში პროტექციონისტული ბარიერების არსებობის მიზეზებს. მათი შეხედულებით, გარკვეული დროის მანძილზე და შემდეგ გასაცვლელი სავალუტო კურსი დაწესდება თავისი თანაბარზომიერების ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის კრიტიკოსთა პირველი დაბნეულობა გამოიწვია გასული საუკუნის 70-იანი წლების ფართო მასშტაბურმა ინფლაციამ, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიოს ეკონომიკა. ფიქსირებული გასაცვლელი კურსის პირობებში, ცალკეული სახელმწიფოები საგარეო ბაზარზე იძულებული იყვნენ შეესყიდათ საკუთარი ვალუტა, რათა არ მომხდარიყო მისი გასაცვლელი კურსის დაცემა დაწესებულ ზღვრამდე. ასეთი ღონისძიებების განხორციელება შიდა ბაზრის მიმოქცევაში ინარჩუნებდა არსებული ფულის რაოდენობას და ამით, მოახლოებულ ინფლაციას აქტიურ წინაღობად ხვდებოდა.

ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის მოწინაღმდეგეთათვის მეორე, არასასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა გასაცვლელი სავალუტო კურსის „თავისუფალ მცურავ“ მეთოდზე გადაყვანა და აქედან გამომდინარე, მისი უმყარობა და არასისტემურობა.

როგორც ცნობილია, ბრეტონ-ვუდსის სისტემით აშშ დოლარი გამოდიოდა ოქროს იურიდიულ ნიშნად. დოლარის ეს ფუნქცია გამაგრებული იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების მე-4 მუხლის I ქვედანაყოფის დებულებით – ქვეყნების ვალდებულებათა მეშვეობით მათი ვალუტის პარიტეტი გამოხატული უნდა იქნეს ოქროთი, როგორც საყოველთაო ეკვივალენტში, ან აშშ დოლარში, 1994 წლის 1 ივლისის ოქროს შინაარსის მიხედვით (ოქროს შინარსი 1 დოლარში შეადგენდა 0.888671 გრამს).

იმის გამო, რომ ვალუტის პარიტეტი საერთაშორისო სავალუტო ფონდში დაფიქსირებული იყო აშშ დოლარებში, დოლარები კი ოქროში, დოლარი იქცა საყოველთაო ეკვივა-

ლენტის პირდაპირ ნიშნად, ხოლო სხვა დანარჩენი ვალუტა – ირიბად, ე.ი. დოლარის მეშვეობით.

იამაიკის სავალუტო სისტემის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ). მას აქვს დაკისრებული სავალუტო რეჟიმისთვის თვალყურის დევნება.

მაგრამ მანამ ამ საკითხებს განვიხილავდეთ, მაინც გავარკვიოთ ამ კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა.

იმ ცენტრალურ პრობლემებს შორის, რომელთა გადაწყვეტა ახალი სავალუტო სისტემის ფარგლებში პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა საერთაშორისო ლიკვიდობის არაეფექტიანი სტრუქტურა იყო. პრობლემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მთავარი ლიკვიდური საშუალებები – ოქრო, აშშ დოლარი და მათთან ბოლოს შემოერთებული კოლექტიური საერთაშორის ვალუტა ნასესხობის სპეციალური უფლებები (SDR), არ აღმოჩნდნენ იმ დონეზე, რომ საერთაშორისო საგადასახდელო ბრუნვის მომსახურება ეფექტიანად ეწარმოებინათ, მათზე ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემით მიცემული ამოცანებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო ლიკვიდობის სტრუქტურაში იამაიკის შეთანხმებით არსებითი კორექტივების შეტანამ გამოიწვია ცვლილებები როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ პარამეტრებში.

მთავარ ლიკვიდურ აქტივებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება შემდეგში მდგომარეობდა:

ოქროს მიმართ მიღებული იქნა მისი საბოლოო დემონეტიზაციის შესახებ გადაწყვეტილება, ე.ი. იგი საბოლოოდ გამოდევნილი იქნა საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან. სხვანაირად, დღის წესრიგში დადგა საკითხი – ოქროს, როგორც ფულად ლითონს შეეცვალოს პოზიცია, მისი სასაქონლო ბაზარზე გატანით.

ამერიკული დოლარის მიმართ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მას თანდათანობით დაეთმო მთავარი ვალუტის პოზიცია.

გათვალისწინებული იქნა პერსპექტივაში კოლექტიური საერთაშორისო ვალუტის თანდათანობით გადაქცევა მთავარ საანგარიშსწორებო, საგადასახდელო და სარეზერვო საშუალებად.

რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილებების მიღება? ისინი საერთაშორისო სავალუტო ფონდის და წამყვანი განვითარებული ქვეყნების მთავრობათა ახირებას წარმოადგენდა, თუ გამოწვეული იყო იმ ობიექტური პროცესებით, რომლებიც მსოფლიო მეურნეობრივ ურთიერთობებს ახასიათებდა?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღების მიზეზი იყო გასული საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო სავალუტო რეზერვების სტრუქტურაში პრინციპულად ახალი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

საერთაშორისო ლიკვიდობის სტრუქტურაში აუცილებელი ცვლილებები, თავის მხრივ, გამოწვეული იყო არსებული სავალუტო მექანიზმის ღრმა კრიზისით. სავალუტო კავშირის რეგულირების ბრეტონ-ვუდსის მექანიზმი აგებული იყო ოქროსა და აშშ-ის დოლარზე, რომლებიც აერთიანებდა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისს. ოქრო, რომელიც მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე სავალუტო სისტემაში ასრულებდა მნიშვნელოვან როლს, განასახიერებდა ამ მექანიზმის ავტომატურ, სტიქიურ-საბაზრო ძალას, ხოლო აშშ-ის ეროვნული ვალუტა და კოლექტიური საერთაშორისო ვალუტა (SDR) საერთაშორისო-სავალუტო ურთიერთობების სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების მთავარ ძალებს განასახიერებდნენ.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ადგილი ჰქონდა აშშ-ის ეკონომიკური პოზიციების შესუსტებას, რომლის ლოგიკური შედეგი იყო ამერიკული ვალუტის გაუფასურება. სისტემატურად გაუფასურებადი დოლარის მსოფლიო ფულის სტატუსის შენარჩუნებამ გამოიწვია სავალუტო მექანიზმის შიგნით სტიქიურ-საბაზრო და სახელმწიფო-მონოპოლისტურ საწყისებს შორის მწვავე კონფლიქტები. დღის წესრიგში დადგა ამ კონფლიქტების მოხსნის აუცილებლობა, რაც მოითხოვდა საერთაშორისო ლიკვიდობის მთავარ ელემენტებს შორის ძალთა გადანაწილებას, მათ შორის სავალუტო სისტემაში აშშ დოლარის როლისა და ადგილის ძირეულად შეცვლას.

საერთაშორისო ლიკვიდობის სტრუქტურის შეცვლის შესაძლებლობა დაკავშირებული იყო კაპიტალისტური წარმოების

განსაზოგადოების ზრდასა და სამეურნეო ცხოვრებაში ინეტრნაციონალიზაციის გაძლიერებასთან.

სწორედ ეს პროცესები წარმოადგენდა სავალუტო-საფინანსო სფეროს მატერიალური ბაზის ფორმირებისა და საერთაშორისო დონეზე რეგულირების საფუძველს.

ასეთ სიტუაციაში ოქროსა და აშშ-ის ვალუტის ადგილს იჭერდა კოლექტიურად მართვადი საერთაშორისო ფულადი აქტივი, რომელიც სავალუტო კავშირების რეგულირების არსებული სისტემის უფრო ადეკვატური ხდებოდა.

იამაიკის სავალუტო კონფერენციის შემდგომ პერიოდში ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის რეფორმატორებმა ბევრი ღონისძიება გაატარეს საერთაშორისო ლიკვიდობის მიმართულებით.

ისმის კითხვა: რა კონკრეტული ცვლილებები განიცადა საერთაშორისო სავალუტო სისტემის სტრუქტურამ, როგორია მისი ძირეული კომპონენტების – ოქროს, დოლარის და კოლექტიური საერთაშორისო ვალუტის ადგილი და როლი?

ოქროს როლის განსაზღვრისთვის კაპიტალისტური მეურნეობის სავალუტო სისტემაში სულ ცოტა სამი ეტაპი უნდა გამოიყოს:

პირველ ეტაპზე (მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე) ოქროს ეკავა მონოპოლია მსოფლიო ფულის სტატუსში და სამართლიანადაც ამ ეპოქას „ოქროს სტანდარტის“ ეპოქას უწოდებდნენ.

იმის გამო, რომ სავალუტო მექანიზმი თავისი არსით ინტერნაციონალური ხასიათისაა, ოქრო, რომელიც შემოსილი არ არის ეროვნული მოსასხამით საერთაშორისო ანგარიშსწორებათა საშუალებების მექანიზმში ყველაზე ადეკვატურ როლში გამოდიოდა. მაგრამ ამ პერიოდის დისკუსიებში მსოფლიო მეურნეობის ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორიცაა: **ა. მარშალი, ლ. ვალრასი, ნ. პირსონი და ი. ფიშერი,** გამოდიოდნენ „ოქროს სტანდარტის“ წინააღმდეგ და ბიმეტალიზმის სისტემას უფრო მოქნილ სისტემად თვლიდნენ.

ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია არა მარტო ოქროს ადგილის შეცვლა, არამედ მისი, როგორც მსოფლიო ვალუტის არსებითი მოდიფიკაცია.

უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკულად შეწყდა ოქროს საყოველთაო საგადასახდელო საშუალების როლში გამოყენება. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ძირითად ვალუტად დოლარი იქცა, ამდენად დოლარი ასრულებდა საერთაშორისო ვალუტის როლს.

არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა ოქრომ, როგორც საყოველთაო საგადასახდელო საშუალებამ. ამასთან, კაპიტალისტური ქვეყნები თავიანთი საგადასახდელო ბალანსების დეფიციტის დასაფარავად აქტიურად იყენებენ ეროვნული რეზერვებიდან კონვერტირებულ ვალუტას და ნასესხებ საშუალებებს, ხოლო 1970 წლიდან – კოლექტიურ საერთაშორისო ვალუტას. ხოლო ისეთი ქვეყნები, როგორიცაა – აშშ და ინგლისი, ვალებს ანაზღაურებდნენ საკუთარი ეროვნული ვალუტებით, რომელთაც სარეზერვო ვალუტების სტატუსი გააჩნდათ. საგადასახდელო ბალანსის დაბალანსებაში ოქროს წილი სულ უფრო მცირდებოდა. თუ გასული საუკუნის 50-იან წლებში მისი წილი მხოლოდ 14-16%-ს შეადგენდა, შემდგომ წლებში უფრო მცირდებოდა, ხოლო 1971 წლიდან საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან ოქრო პრაქტიკულად გაქრა.

მესამე ეტაპი იწყება იამაიკის სავალუტო კონფერენციიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დებულებაში შეტანილი იქნა ცვლილებები:

1. გაუქმდა ოქროს ოფიციალური ფასი, ე.ი. ფასი, რომლითაც ოქროთი გარიგებებს აწარმოებდნენ ცენტრალური ბანკები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ოფიციალური ფასის გაუქმებით ოქრომ ავტომატურად შეწყვიტა ინტერნაციონალური ღირებულების საზომის ფუნქცია. რაც შეეხება ოქროთი გარიგებებს თავისუფალი ბაზრის ფასებით, დიდი რისკის გამო პერსპექტივები არ გააჩნდა.

2. განხორციელდა ზომები, რათა კიდევ უფრო შეეზღუდათ ჯერ კიდევ შემორჩენილი ოქროს სარეზერვო ფუნქცია.

მიუხედავად იმისა, რომ იამაიკის შეთანხმებით ნებადართულია ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს ყიდვა-გაყიდვა, ეს უკანასკნელნი მაინც თავს იკავებენ მისი გაყიდვისაგან და უპირატესად მას იყენებენ კრედიტის მისაღებად გირაოს როლში. ოქროს გამოყენების ეს არატრადიციული ფორმა იმის

მაჩვენებელია, რომ ოქრო საერთაშორისო ლიკვიდური აქტივებიდან ინფლაციის გამძაფრების დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ლიკვიდური რესურსების შესაძენად.

აშშ-ში რეიგანის ადმინისტრაციამ შექმნა ოქროს სპეციალური კომისია, რომელმაც 1982 წელს კონგრესს წარუდგინა სოლიდური მოცულობის მოხსენება, სადაც იყო მოთხოვნა ისევ ოქროს სტანდარტების შემოღების თაობაზე. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებდა მწვავე ინფლაციური პროცესები და მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია ოქროს დანერგვას, როგორც ღირებულების საზომს. აქვე ითვალისწინებდნენ იმას, რომ ფართო განვითარება ჰპოვა ამერიკული დოლარის საერთაშორისო ხასიათმა, კერძოდ, მიუთითებდნენ რომ უცხოეთში დაგროვილი იყო ამერიკული დოლარის დიდი მასა, განსაკუთრებით ევროვალუტის ბაზრებზე (1.5 ტრილიონი დოლარი, რომლის ოქროთი დაფარვა უბრალოდ შეუძლებელი და არარეალური იყო). ამრიგად, დოლარის ოქროზე კონვერტირების, ე.ი. ოქროს სტანდარტზე გადასვლის საკითხი ისევ დაიხურა.

თანამედროვე პირობებში, ოქროს მიმართ ყველა სახელმწიფო, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდი ორ მიზანს ისახავს:

1. მონეტური ოქროს ნაწილის დივერსიფიკაციას ჩვეულებრივ საქონელში;

2. ოქროს საბაზრო ფასის გადიდებას.

დღეისათვის მდგომარეობა საგანგაშოა, ძალზე გაძვირდა ყვითელი ლითონი მსოფლიო ბაზარზე, რაზედაც მეტყველებს ქვემოთ მოტანილი ოქროს საბაზრო ფასის დინამიკა 1976-2006 წლებში (აშშ დოლარი):

	1976	1980	1982	1984	2000	2005	2006
1 უნცია ოქროს (31.1 გრამის) ფასი თავისუფალ ბაზარზე	135.0	589.0	457.0	376.0	445.0	475.0	633.8

მსოფლიოს თავისუფალ ბაზარზე ოქროს ფასს ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: მის წარმოებაზე დანახარჯები და მიწოდება-მოთხოვნას შორის საბაზრო თანაფარდობა.

ფასების ფორმირებაში პირველი ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს. იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (2000 წლისთვის მთელი მსოფლიო 865 ტონა ოქროს მოიპოვებდა, რომელთაგან 695 ტონა მოდიოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაზე).

მეორე ფაქტორი, რომელიც მოთხოვნაზე ახდენს ზემოქმედებას, გამოწვეულია იმით, რომ გაიზარდა ოქროს საწარმოო მოხმარება 2000 წლის 1055 ტონიდან 2004 წელს 1082 ტონამდე. ამას ფასზე დიდი გავლენის მოხდენა ფაქტობრივად არ შეუძლია.

როცა საერთაშორისო სავალუტო სისტემაში ოქროს ბედის განხილვას ვამთავრებთ, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან ოქროს გამოდევნას ღრმა მიზეზები გააჩნდა, რომლის მატერიალური საფუძველია მსოფლიო მეურნეობის განსაზოგადოების ზრდა, რაც ობიექტურად ზღუდავს ოქროს მონეტური გამოყენების შესაძლებლობებს. განსაზოგადოების პროცესების შემდგომი ზრდის პირდაპირი მიზეზებია:

1. ოქროს მზარდი გამოყენება წარმოებს ახალ და უახლეს დარგებში – რადიოტექნიკაში, რადიოელექტრონიკაში, ავიაკოსმოსურ წარმოებაში. საყურადღებოა, რომ ამ დარგებში ოქროს მოხმარებამ დიდი ხანია გადაამეტა მის წლიურ მოპოვებას.

2. საგარეო-ეკონომიკური გაცვლის ინტენსიური ზრდა, რომელიც ფიქსირებული ფასების არსებობისას, მოითხოვს ოქროს დიდ მარაგებს.

3. ფინანსური ეკონომიკის ფორმირება-განვითარება იწვევს ფინანსურ-ფულადი კავშირების რეგულირების გაძლიერებას, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამის მარეგულირებელ აქტებს. ოქრო, რომლის წარმოებას გააჩნია ეროვნული ნიადაგი, არ ემორჩილება ეფექტიან საერთაშორისო რეგულირებას. ამან განაპირობა ის, რომ მეცნიერ-ეკონომისტები ასაბუთებენ, რომ ოქროს მონეტური გამოყენების ლიკვიდაცია ზრდის მასზე საერთაშორისო ლიკვიდობის მოცულობაზე კონტროლის შესაძლებლობებს.

საერთაშორისო ანგარიშსწორებათა სფეროდან ოქროს გამოდევნის მატერიალური საფუძვლის პარალელურად აუცილებელია გამოიყოს ამ პროცესის მიზეზიც. ეს მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ოქრომ, როგორც ფულადმა ლითონმა, შეწყვიტა მონეტარისტული კაპიტალის მოთხოვნები, კერძოდ, მას საერთაშორისო ექსპანსის როლი შეეზღუდა.

ოქროს აქტიურმა გამოდევნამ ფულადი ლითონის პოზიციიდან საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სავალუტო მექანიზმის განვითარების ახალ ეპოქას. დღის წესრიგში დადგა ახალი მსოფლიო ვალუტის შექმნის აუციცილებლობა.

აშშ-ის ხელისუფლება სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დოლარი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დოლარმა ომის შემდგომ პერიოდში პირველად 1971 წლის დეკემბერსა და 1973 წლის მარტში ორი დევალვაცია განიცადა, რითაც, როგორც მსოფლიო ვალუტამ, დისკრედიტაცია განიცადა. ამას სათანადო შეფასებები მისცეს აშშ-ის პარტნიორმა ქვეყნებმა და დააწესეს საკუთარ ვალუტათა „მცურავი" კურსები დოლართან მიმართებაში, ხოლო 1978 წლის აპრილიდან, როცა შეიცვალა ოქროს ოფიციალური კურსი, დოლარიც სხვა ვალუტების მსგავსად, გადაეშვა „მცურავ" კურსში. ეს კი აშშ-ის მთავრობას ხელს აძლევდა იმდენად, რადგანაც იგი იყო დევალვაციის ეფექტიანი გამოყენების ერთადერთი საშუალება. აშშ-ის დოლარის გაუფასურებამ გამოიწვია ქვეყანაში პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ტალღა. დაიწყო იმპორტის შევიწროება და ექსპორტის სტიმულირება პარტნიორი ქვეყნების საზიანოდ.

დოლარის გაუფასურებამ და აშშ-ის პარტნიორების ინტერესთა შელახვამ გამოიწვია ამ უკანასკნელის მიერ დოლარზე მხარდასაჭერად სავალუტო ინტერვენციის განხორციელება, რომ შეეჩერებინათ დოლარის შემდგომი გაუფასურება, წინააღმდეგ შემთხვევაში დოლარზე სპეკულაციური დაწოლა გამოიწვევდა მის როგორც საანგარიშსწორებო და სარეზერვო ვალუტის როლის დევალვაციას. ეს ასეც მოხდა. აშშ-ის მთავრობამ თვით აღიარა, რომ ამერიკულ დოლარს სისტემატური გაუფასურების გამო არ შეეძლო სრულყოფილად შეესრულებინა ღირებულების

საზომის ფუნქცია და ყოფილიყო დასავლეთის სავალუტო სისტემის შემდეგებელი.

იამაიკის კონფერენციაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება დოლარის, როგორც მსოფლიოს მთავარი ვალუტის თანდათანობით შეცვლის თაობაზე, რისთვისაც საჭირო იყო სპეციალური ფონდის შექმნა,მაგრამ ეს მეტად ძნელი საქმე აღმოჩნდა უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ 1982 წელს დოლარის ოფიციალურმა სარეზერვო მოცულობამ გადააჭარბა 182 მილიარდს, ხოლო კერძო კაპიტალის სახით საერთაშორისო ბაზრებზე მიმოიქცეოდა 1.5 ტრილიონი დოლარი[1]. ამ კოლოსალური ოდენობის ფულის მასის ამოღება საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტივებით შეუძლებელი იყო. ამას ისიც დაემატა, რომ აშშ-ის ხელისუფლების ცვლამ 1981 წელს, როცა პრეზიდენტი რ. რეიგანი მოვიდა, დაიწყო ამერიკის წინა ხელისუფალთა მოსაზრებების უგულვებელყოფა და 1982 წელს კონგრესისადმი წარდგენილ წლიურ მოხსენებაში მან განაცხადა, რომ „მანამ, სანამ დოლარი მსოფლიო ეკონომიკაში რჩება, მთავარ საანგარიშსწორებო და სარეზერვო ვალუტად, მისი პოზიციის განმტკიცებით იგებს არა მარტო აშშ, არამედ სხვა ქვეყნებიც“[2]. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. ეს პოზიცია მთლიანად იქნა გათვალისწინებული იამაიკის სავალუტო მექანიზმში, რაზედაც მეტყველებს ქვემოთ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები:

განვითარებული ქვეყნების ვალუტათა კურსი აშშ დოლართან მიმართებაში

№	ვალუტის დასახელება	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
1.	დიდი ბრიტანეთის გ/სტერლინგი	1.518	1.472	1.508	1.636	1.831	1.820	1.837
2.	იაპონიის იენა	239.7	203.0	219.9	234.9	231.8	237.7	239.8
3.	ევრო	0.924	0.896	0.946	1.133	1.244	1.244	1.295

[1] Жур. Мировая экономика и международные отношения, 1983, №4, стр. 73.

[2] **Черкасова Т. Н.** Государственно-монополистическое регулирование валютных отношений. М., 1985, стр. 35.

ერთი სიტყვით, აშშ-ის დოლარი კვლავინდებურად ასრულებს ღირებულების საზომის ფუნქციას. არა მარტო განვითარებული ქვეყნები, არამედ განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსოციალისტური ქვეყნები ნებაყოფლობით ახდენენ თავიანთი ვალუტების „მიბმას“ აშშ-ის დოლართან. დოლარი ისევ წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით საანგარიშსწორებო ვალუტას. დოლარი გადამწყვეტ როლს ასრულებს სარეზერვო ვალუტებს შორის, მთელს მსოფლიოში. დასავლეთის სამყაროს ერთობლივ რეზერვებში 2005 წელს დოლარის წილი 46%-ს, ევროს 21%-ს, ნასესხობის სპეციალური უფლების (SDR) – 28%-ს, იაპონურ იენას – 3%-ს, ინგლისურ გირვანქა სტერლინგის – 1.6%-ს შეადგენდა, ასე რომ დღემდე არ გამოჩნდა ისეთი ვალუტა, რომელიც დოლარს შეცვლიდა თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეზერვის ამპლუაში.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული აშშ-ის ვალუტის პოზიციის გაუმჯობესება, რომელსაც დასავლეთის ეკონომისტები უპირატესად იამაიკის სავალუტო სისტემას მიაწერენ, ჩვენი აზრით, დაზუსტებას მოითხოვს. აშშ დოლარის „რენესანსი“ გამოწვეულია აშშ-ისა და მთელი დასავლეთის სამყაროს ძალისხმევით, რომელშიც ლომის წილი მიუძღვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ყოფილი სოციალისტური სისტემის ქვეყნების გავლენაც.

დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მდებარე ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მძვინვარე ეკონომიკურმა კრიზისმა და მოსახლეობის საყოველთაო სიღატაკემ გამოიწვია აშშ-ის დოლარის ხელახლა დაბადება. ეს ქვეყნები ხომ დასავლეთის ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების გასაღებისა და სანედლეულო ბაზად გადაიქცა, რომელიც ხელს უწყობს დოლარის კიდევ უფრო განმტკიცებას.

გაბედულად შეიძლება აღინიშნოს, რომ იამაიკის სავალუტო სისტემამ ამერიკული დოლარის განმტკიცებით ვერ მოხსნა ის უმწვავესი წინააღმდეგობანი, რომლებიც თავის დროზე ადვილად გადაწყვიტა ბრეტონ-ვუდსის სავალუტო მექანიზმმა. ამ წინააღმდეგობათაგან მთავარია სავალუტო მექანიზმის

ინტერნაციონალიზაციის განვითარებასა და ამ მექანიზმის ჯერ კიდევ ძველი ფუნდამენტის რაციონალურ ბუნებას შორის არსებული წინააღმდეგობა.

როგორც აღვნიშნეთ, 1969 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ სესიაზე (რიო-დე-ჟანეიროში) მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ 1970 წლის 1 იანვრიდან საერთაშორისო სავალუტო სისტემაში გამოყენებული იქნეს ხელოვნურად შექმნილი ინტერნაციონალური ვალუტა ნასესხობის სპეციალური უფლებები (SDR – Special Drawing Rights)[1].

SDR-მა როგორც ეს აშშ-ს სურდა, მიიღო საერთაშორისო ლიკვიდობის დამატებითი საშუალება. თავდაპირველად მისი ღირებულება აშშ-ის დოლარებში გამოხატული შეადგენდა 35 დოლარს 1 უნცია ოქროზე. შემდეგ 1971 და 1973 წლების დოლარისა და გირვანქა სტერლინგის დევალვაციის გამო, SDR ღირებულება გახდა 42 დოლარი 1 უნცია ოქროზე. 1974 წლიდან მან ოქროსთან მიმართებაში დამოუკიდებლობა მიიღო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების მეორე შესწორებით, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლიდან, SDR გახდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის ფლაგმანი.

ამავე წლის 1 ივლისიდან SDR-ის ღირებულება განისაზღვრებოდა იმ 16 ვალუტის საბაზრო ღირებულებით, ანუ იმ 16 ვალუტის კალათასთან მიმართებაში, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა საერთაშორისო ოპერაციებში. 1981 წელს, SDR-ის განსაზღვრის სტაბილიზაციის მიზნით გადაწყდა კალათაში 16 ვალუტა დაყვანილიყო 5 ვალუტამდე. 1986 წლის 1 იანვრიდან SDR განისაზღვრებოდა, როგორც 0.452 დოლარი, 33.4 იენა, 0.0893 გირვანქა სტერლინგი. საერთაშორიო სავალუტო ფონდი ყოველდღიურად განსაზღვრავს მის ღირებულებას დოლარებში ბაზრის სავალუტო კურსით.

---

[1] SDR ქართულ ენაზე სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვანაირად ითარგმნება. მაგ. პროფ. გ. ხელაია თარგმნის – „მოსესხების სპეციალური უფლება", პროფ. რ. ბასარია „სესხის აღების სპეციალური უფლებები", პროფ. ვ. ზურაბიშვილი და პროფ. რ. კაკულია – „ნასესხობის სპეციალური უფლებები". ეს უკანასკნელი ქართულ ენასთან მიმართებაში და შინაარსობრივად სწორად მიგვაჩნია (ავტორები).

ამ ახალი საერთაშორისო ვალუტის წევრები გახდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი-ქვეყნები, რომელთაც იგი გაუნაწილდათ მათი კვოტების პროპორციულად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი სპეციალურ ღონისძიებებს ახორციელებს იმისათვის, რომ წევრ-ქვეყნებს მისი მოთხოვნის შესაბამისად მოეხდინათ SDR-ზე კონვერტირებადი ვალუტის გაცვლა. ამასთან, ახალი ვალუტით გატარებული ყველა ოპერაცია შეჰქონდათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალურ ანგარიშზე.

სავალუტო მექანიზმში შეტანილი იქნა საერთაშორისო ხასიათის რეგულირების ახალი ელემენტები. მაგრამ ახალი ვალუტის თავდაპირველი ემისია საერთაშორისო ლიკვიდობის სტრუქტურაში თვისებრივი ცვლილებების შეტანის საშუალებას არ იძლეოდა. ჯერ ერთი, ნასესხობის სპეციალური უფლებები, როგორც საერთაშორისო ვალუტა, უპირატესად განიხილებოდა, როგორც დამატებითი სარეზერვო საშუალება, რომელსაც უნდა შეევსო აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საგადასახდელო ბალანსების ქრონიკული დეფიციტის დაფინანსებისათვის საჭირო ლიკვიდური სახსრების მოცულობა. მაგრამ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დასაწყისში საგადასახდელო ინსტრუმენტის როლში ნასესხობის სპეციალური უფლებები იშვიათად გამოიყენებოდა, რომლის მთავარი მიზეზი გახლდათ ამერიკული დოლარის ქრონიკული გაუფასურების გამო მასზე უნდობლობის გაძლიერება. ასეთ სიტუაციაში SDR-ის მფლობელები მას უპირატესად სარეზერვო აქტივებად იყენებდნენ და არა გადახდის საშუალებად.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველა წევრი-ქვეყანა დაჟინებით მოითხოვდა საერთაშორისო ვალუტის არა მარტო მოცულობის, არამედ სტრუქტურულ ცვლილებებს. სწორედ ამიტომ ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის რეფორმატორთა მთავარი მიზანი იყო საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ამერიკული დოლარის თ..ნდათან ნასესხობის სპეციალური უფლებებით შეცვლა.

ნასესხობის სპეციალური უფლებების საერთაშორისო სავალუტო სისტემაში მთავარ ვალუტად გარდაქმნა ითვალისწინებდა მის გამოყენებას არა დამატებითი ფულადი საშუალების ამპლუაში, არამედ ეროვნულ ვალუტათა ღირებულების საზომად, საყოველთაო მსყიდველობითი და გადახდის საშუალებებად, აგრეთვე მთავარ სარეზერვო აქტივად.

ამ ამოცანების განხორციელება მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, რომელთაგან განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ამოსაღები დაბალი საპროცენტო განაკვეთი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ქვეყნების დაინტერესებას SDR-ის თავიანთ ანგარიშებზე მოზიდვის საქმეში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გაითვალისწინა რა ეს გარემოება, 1978 წლის 4%-დან SDR-ის საპროცენტო განაკვეთი 1981 წელს გაზარდა 14%-მდე, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა სახელმწიფოთა დაინტერესება ამ საქმით. თუ 1970-1978 წლებში ნასესხობის სპეციალური უფლებების ყოველწლიური ემისია არ აღემატებოდა 9.3 მილიარდ ერთეულს, 1982 წელს მან 21.4 მილიარდ ერთეულს მიაღწია. თანაც ერთიორად გაიზარდა მისი გამოყენება სხვადასხვა ოპერაციებში.

გამოდის რა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელ ნაწილად, სავალუტო ურთიერთობა მოწოდებულია უზრუნველყოს ნაციონალური შრომის სხვადასხვა დანახარჯთა თანაფარდობა საგარეო-ეკონომიკური გაცვლის პროცესში. ამ მეტად სერიოზულ ფუნქციას იგი ასრულებს სავალუტო კურსის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური ფულადი ერთეულების გაცვლის თანაფარდობას. თუ რამდენად სწორად ასახავს ეს თანაფარდობა ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობას, მათზე დიდად არის დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე გაცვლის ეკვივალენტობა.

საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სავალუტო კურსის მექანიზმი სხვადასხვა იყო.

ისტორიულად სავალუტო კურსის პირველი სისტემა ფუნქციონირებდა ოქროს სტანდარტის ეპოქაში, ე.ი. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ოქროს სავალუტო მონიზმის პერიოდში.

ყველა ნაციონალური ვალუტის ღირებულება უშუალოდ ოქროში გამოიხატებოდა. ეს იყო ვალუტათა ოქროს პარიტეტზე აგებული სავალუტო კურსის მექანიზმი.

ამა თუ იმ ქვეყნის გადახდის საშუალება თუ არ იყო მომგებიანი, შეიძლებოდა მოეთხოვათ ბალანსის დეფიციტის ოქროთი დაფარვა. ამით ძალაში შევიდა მაკორექტირებელი მექანიზმის მოქმედება – ოქროს გადინება. ეს იყო სტიქიური საბაზრო მექანიზმი, რომელიც ვალუტის კურსის შეჯერებას მის რეალურ მყიდველობითუნარიანობასთან ავტომატურად ახდენდა.

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ფუნქციონირების პერიოდში მოქმედებდა დოლართან მიმართებაში მკაცრი, მტკიცედ ფიქსირებული კურსის მექანიზმი, შესაძლო გადახრა ორივე მხარეს შეადგენდა მხოლოდ 1%-ს. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ქვეყნის სავალუტო კურსის გადახრა 1%-ზე მეტი იყო, მის ვალუტის მყიდველობითუნარიანობის პარიტეტთან მოსაყვანად ძალაში შედიოდა მაკორექტირებელი მექანიზმი, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ქვეყანა იწყებდა სავალუტო ინტერვენციას, ე.ი. საკუთარი ვალუტის ყიდვას ან გაყიდვას, რომ აღედგინა მისი დოლართან ფიქსირებული თანაფარდობა. ამის პარალელურად იცვლებოდა შიდა ეკონომიკური პოლიტიკა იმ მიზნით, რომ საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა შეცვლილიყო.

თუ მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, მაინც ადგილი ჰქონდა საგადასახდელო ბალანსის სტაბილურ დეფიციტს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს შეეძლო ეროვნული ვალუტის დევალვაციის ან რევალვაციის სანქცია მიეცა, რათა ქვეყანას ოფიციალურად შეეცვალა ეროვნული ვალუტის დოლართან ადრე დადგენილი თანაფარდობა.

თანამედროვე იამაიკის სავალუტო სისტემის დროს მოქმედი სავალუტო კურსის მექანიზმი წარმოადგენს მრავალი სავალუტო კურსის სისტემას, რომელიც აგებულია „მცურავი“ კურსის სტიქიურ-საბაზრო სისტემაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებით წევრ-ქვეყნებს უფლება მიეცათ საკუთარი შეხედულებებისამებრ აირჩიონ სავალუტო კურსის ესა თუ ის რეჟიმი. იამაიკის სავალუტო კურსის სისტემის დამახასიათებელი თავისებურებებია:

1. „მცურავი“ სავალუტო კურსის, როგორც სისტემის დაკანონებული ელემენტის არსებობა.

2. ნაციონალური ვალუტების მიბმა ანგარიშსწორების სხვადასხვა კოლექტიურ ერთეულთან, როგორიცაა: SDR, ევრო და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სავალუტო კურსის დაწესების უკანასკნელი მექანიზმი საფინანსო და სავალუტო ურთიერთობათა ავტომატურ რეგულირებას უხსნის გზას, მაგრამ ერთი წუთითაც არ არის დავიწყებული რეგულირების სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოთაშორისი და ზესახელმწიფოებრივი კონტროლის მექანიზმებიც.

სწორედ მთავარ საერთაშორისო ინსტიტუტს, რომელსაც სავალუტო სისტემაში დაკისრებული აქვს მარეგულირებელი ცენტრის ფუნქციები, წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. 1977 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც საერთაშორისო სავალუტო ფონდს დაევალა განახორციელოს ვალუტათა კურსზე ზედამხედველობის სპეციალური პოლიტიკა.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ-ქვეყნებს უფლება აქვთ თავისუფლად დააწესონ ეროვნული ვალუტის კურსი, მაგრამ ძალაშია ფიქსირებული პარიტეტების სისტემა და სავალუტო კურსის ცვალებადობის ზღვარი პარიტეტთან მიმართებაში. თითოეულ ქვეყანას შეუძლია მოახდინოს ეროვნული ვალუტის „ცურვა“ სხვა ვალუტასთან მიმართებაში, რითაც ფაქტობრივად ბაზარს აქვს დაკისრებული სავალუტო კურსის განსაზღვრა. თანაც ქვეყანა მოვალეა საერთაშორისო სავალუტო ფონდს აცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

პრაქტიკაში გამოცხადებული სავალუტო რეჟიმი მეტად ჭრელია. 1988 წლის 31 მარტს 58 ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება საკუთარ ვალუტათა კურსის დაწესების თაობაზე თავიანთი პარტნიორი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებაში. 39 ქვეყანამ პარტნიორად ამერიკული დოლარი აარჩია, 14-მა – ფრანგული ფრანკი, 17-მა – ნასესხობის სპეციალური უფლებები და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში ორი განსხვავებული აზრი არსებობს „მცურავი“ სავალუტო კურსის მექანზმის თაობაზე.

ვალუტათა თავისუფალ „ცურვას“ თავისი დამცველები და ეკონომიკური თეორიებიც კი გააჩნია.

ვალუტის „ცურვის“ თეორეტიკოსებმა წამოაყენეს თავიანთი კონცეფციის დაცვის ხუთი ძირითადი არგუმენტი.

1. ყოველგვარი სახის ბაზარი ოპტიმალურად განსაზღვრავს ღირებულებას. იმის ცდა, რომ საერთაშორისო შეთანხმებების დონეზე განისაზღვროს ვალუტათა კურსი, თავის მხრივ, უტოპიურ გარსშია მოქცეული და დიდად არის დაცილებული სინამდვილეს, ობიექტურობას;

2. „მცურავი“ სავალუტო კურსი ამარტივებს საგადასახდელო ბალანსების ავტომატურ რეგულირებას. სინამდვილეში სავალუტო ბაზარზე ვალუტის ღირებულებაზე ხანგრძლივი დაწოლა იწვევს საგადასახდელო ბალანსის წინასწორობის დარღვევას, მაშინ, როდესაც თავისუფალი კურსი ხელს უწყობს საგარეო გადასახდელთა წონასწორობის დამყარებას;

3. „მცურავი“ სავალუტო კურსი ყველა ქვეყანას დიდ თავისუფლებას აძლევს საკუთარი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის არჩევაში. აქ გამორიცხული არ არის უარყოფითი პროცესების განვითარებაც, მაგრამ მთავრობა თუ გამოიყენებს მონეტარიზმის პოლიტიკას, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება;

4. „მცურავი“ სავალუტო კურსი ხელს უწყობს სპეკულაციის თავიდან აცილებას;

5. „მცურავი“ სავალუტო კურსის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეს მექანიზმი ქმნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ოპტიმალურ პირობებს იმდენად, რამდენადაც იგი ამცირებს საგარეო ვაჭრობაზე პოლიტიკური ფაქტორების დაწოლას.

„მცურავი“ სავალუტო კურსის მექანიზმის მოწინააღმდეგეები კი ასაბუთებენ, რომ ამ მექანიზმის უარყოფითი მოვლენები სახეზეა, თუნდაც მაკროეკონომიკური თვალსაზრისით. ისინი ამტკიცებენ, რომ:

1. ბაზარს არ გააჩნია იმის რეალური შესაძლებლობანი, რომ უზრუნველყოს ისეთი სავალუტო კურსის დადგენა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სიტუაციასთან პრინციპულად დაკავშირებული და ადეკვატური იქნება. ამ დებულების სისწორეს ადასტურებს დოლარის ღირებულების ევოლუცია 1975-2005 წლებში;

2. ბაზარს არ შეუძლია სავალუტო კურსის მოკლევადიანი რეგულირება, პირიქით, იგი ხელს უწყობს მათ ხშირ ცვალებადობას და მერყეობას;

3. მოქნილი სავალუტო კურსი ვერ უზრუნველყოფს საგადასახდელო ბალანსის ავტომატურ გამოთანაბრებას;

4. „მცურავი“ სავალუტო კურსი ვერ დაიცავს ეროვნულ ეკონომიკას საგარეო მოვლენების უარყოფითი შედეგებისაგან;

5. „მცურავი“ სავალუტო კურსის შედეგია ის, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე პერმანენტულად იზრდება საპროცენტო განაკვეთების დონე;

6. „მცურავი“ სავალუტო კურსის დანერგვით გამწვავდა არასტაბილურობის ყველა ფაქტორი, რის გამოც ფასები ნედლეულსა და მასალებზე არასტაბილურია, იზრდება „მესამე სამყაროს“ საგარეო ვალები.

წამყვანი სახელმწიფოების მთავრობები და საფინანსო ორგანოები დარწმუნდნენ რა „მცურავი“ სავალუტო კურსის პრობლემათა მასშტაბებში, გადაწყვიტეს ერთიანი ძალით მართონ ვალუტათა კურსი. შვიდი სახელმწიფოს მეთაურებისა და მთავრობების მიერ 1986 წლის ტოკიოს და 1987 წლის ვენეციის შეხვედრებზე გადაწყვიტეს გაატარონ ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ეკონომიკის წონასწორობის აღდგენის მიზნით, რისთვისაც ეკონომიკურ სიტუაციებსა და პერსპექტივებზე უნდა გაძლიერდეს მრავალმხრივი მეთვალყურეობა, გამოყენებული უნდა იქნეს ობიექტური მაჩვენებლები ქვეყნების ეკონომიკური ზრდის, ბიუჯეტის დეფიციტის, საგადასახდელო ბალანსის, სავალუტო კურსის, ინფლაციის სრულყოფილი შესწავლა-ანალიზის მიზნით, რათა შემდგომში ერთობლივად განხორციელდეს ეფექტიანი მაკორექტირებელი ღონისძიებები.

თავი III
საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციები

თანამედროვე მსოფლიოს მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები გააჩნია, რომელთაგან იშვიათად თუ მოიძებნება ისეთები, რომლებსაც გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ ნაწილს, რომელთაც მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებები გააჩნიათ, შეუძლია გავლენა მოახდინონ, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობებზე. მეორე ნაწილს, რომლებიც წარმოადგენენ უპირატესად ფორუმებს, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს შეუძლიათ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ცალკეულ სახელმწიფოებში გასატარებელი პოლიტიკის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებაში. ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ძირითადად დასაქმებულია ინფორმაციის შეგროვებასა და სტატისტიკური მონაცემების პუბლიკაციაზე. მაგრამ ყველა მათგანს მეტ-ნაკლებად, ამა თუ იმ ზომით თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირებისა და თანამშრომლობის განვითარების ფასდაუდებელ საქმეში.

ჩვენს მიერ მე-3 თავში განხილული საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხა არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად. აქ თავმოყრილია ისეთები, რომლებსაც პოტენციური შესაძლებლობები გააჩნიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს ეკონომიკის აღმავლობასა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების დამყარებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დაყოფილი იქნეს შემდეგ კატეგორიებად:

- ორგანიზაციები, რომლებიც დასაქმებულია საკაცობრიო პრობლემებით;
- ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია განვითარებული ქვეყნების მიერ საბაზრო ეკონომიკასთან კავშირში;

- ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპულ. ინტეგრაციასთან. თითოეული მათგანი განვიხილოთ ცალ-ცალკე.

III.1. საკაცობრიო პრობლემებით დასაძმებული ორგანიზაციები

საკაცობრიო პრობლემებით დაკავებული ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ ეკონომიკასა და საფინანსო-სავალუტო ურთიერთობის დარგში, ძირითადად მოქცეული არიან გაეროს დაქვემდებარებაში. ამ სფეროში უშუალოდ გაეროს საქმიანობა შეზღუდულია. ფაქტობრივად მას ცვლის გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაში – იუნკტადი. გაეროზე დამოკიდებული სპეციალურ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც სახელმწიფოთა ეკონომიკურ და საფინანსო-სავალუტო განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, საყურადღებოა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე განვითარებადი ქვეყნების ინტერესების პრინციპების შემუშავებაზე დასაქმებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაში – იუნკტადი.

გაეროს გენერალური ასამბლეის მთელი საქმიანობა მიმართულია განვითარების პრობლემების გადასაწყვეტად, კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის აღორძინებისთვის. გაერო ცდილობს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება მოახდინოს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის რეკომენდაციების შემუშავების გზით.

გაეროს ძალისხმევით მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი საერთაშორისო სოლიდარობის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, განვითარებულმა ქვეყნებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სუსტად განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკურ დახმარებაში. ამ

მიზნით გაეროს 1961-1970 წლები გამოაცხადა „განვითარების პირველ ათწლეულად“. შემდგომში „გაეროს საერთაშორისო სტრატეგია განვითარების მეორე ათწლეულის (1971-1980)“ საფუძველზე მან ჩამოაყალიბა საერთაშორისო გაერთიანების მოქმედების საერთო გეგმა. ეს გეგმა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა 1970 წლის ოქტომბერში.

გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაში – იუნკტადი შეიქმნა 1964 წელს, როგორც გაეროს დამხმარე ორგანო იმ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ განვითარებისათვის საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ნედლეულის, ფინანსური რესურსების და სავაჭრო მოლაპარაკებათა სფეროში.

კონფერენცია ოთხ წელიწადში ერთჯერ იკრიბება და ჰყავს მუდმივად მოქმედი ოპერატიული ორგანოები: სამდივნო, რომლის ნაწილი მოთავსებულია ჟენევაში, ნაწილი კი – ნიუ-იორკში და საბჭო ვაჭრობასა და განვითარებაში, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს რეკომენდაციები და ბოლოს, სპეციალიზებული კომისიები სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს დაკისრებული ეკონომიკის სფეროში, წელიწადში ერთჯერ იკრიბება ჟენევაში. ამ საბჭომ შექმნა ევროპის, აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის რეგიონული კომისიები. ბოლო ორმა კომისიამ აქტიური როლი შეასრულა აზიისა და ამერიკის განვითარების ბანკების შექმნასა და ამ კონტინენტებზე ინვესტიციების დაფინანსებაში.

გაეროს ორგანიზაციას სურსათისა და სოფლის მეურნეობის ხაზით, რომელიც შეიქმნა 1945 წელს, მიზნად აქვს დასახული განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გასაღების გაუმჯობესება. ამ ორგანიზაციის მუდმივი ადგილსამყოფელია ქალაქი რომი. 1961 წლიდან მას დაკისრებული აქვს მსოფლიო სასურსათო პროგრამის შესრულების ხელმძღვანელობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მრეწველობის განვითარებაში, რომელიც მოთავსებულია ქალაქ ვენაში, 1979 წლიდან მიიღო განვითარებადი ქვეყნებისადმი ინდუსტრიალიზა-

ციაში ხელის შეწყობისა და ტექნოლოგიების გადაცემის სპეციალიზებული ორგანიზაციის სტატუსი.

გაეროს განვითარების პროგრამა შეიქმნა 1966 წელს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მიერ ნებაყოფლობით შემოწირულობის ბაზაზე შექმნილი ფონდით, ტექნიკური დახმარების პროგრამების დაფინანსება-კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

გაეროს სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი შეიქმნა 1974 წელს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისა და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების შემოწირულობებით, რათა ხელი შეუწყოს შედარებით ღარიბ ქვეყნებში სურსათის წარმოების სტიმულირებას.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის ორგანიზაციები. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის აღორძინებისა და ამ ქვეყნებში ფინანსური გაჯანსაღების უზრუნველმყოფ ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია 1944 წლის ივლისში აშშ-ის ქალაქ ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის მონაწილე 44 ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საფუძველ ჩაყრილი ორგანიზაციები.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის ორგანიზაციების წინაშე, გაეროს სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციების მსგავსად, მსოფლიო მნიშვნელობის ამოცანები დგას. ამ სისტემის ყველა დაწესებულების საქმიანობის წარმართველია განვითარებული ქვეყნების გავლენა საბაზრო ეკონომიკაზე. ფაქტობრივად, საქმე ეხება საფინანსო ორგანოებს, რომლებსაც საკუთარი რესურსები გააჩნიათ: მსოფლიო ბანკს-კაპიტალი, საერთაშორისო სავალუტო ფონდს – მონაწილე ქვეყნების წილობრივი შენატანები. თითოეული ქვეყნის წილი ამ ორგანიზაციების რესურსებში განსაზღვრავს მათი ხმების რაოდენობას. 2000 წლის ბოლოს საერთაშორისო ბანკში ხმების: 19.5% ეკუთვნოდა აშშ-ს, 5.50% იაპონიას, 5.50% გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს თითოეულს – 5.27%. ფაქტობრივად ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მთელი ხმების 40%-ზე მეტი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სფფ)[1] მისიაა საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობაში სტაბილურობის შენარჩუნება, რათა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას და ამით მიღწეული იქნეს დასაქმებისა და შემოსავლის მაღალი დონე. სტაბილურობა ერთდროულად დაფუძნებულია სახელმწიფოებს შორის ნდობაზე სავალუტო ურთიერთობის დარგში, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობასა და საგადასახდელო ბალანსების დაუბალანსებულობის შემცირებაზე.

სსფ-მა ამ მიზნების მისაღწევად განსაზღვრა „ქცევის კოდექსი", რომელიც, ბუნებრივია, იცვლება დრო და დრო და მას დაწესებული აქვს კონტროლი თითოეული წევრ-სახელმწიფოს მიერ ამ კოდექსში მოცემული წესების განუხრელ დაცვაზე. „ქცევის კოდექსის" წესები უპირატესად ეხება ვალუტის კურსისა და ვალუტის კონვერტირებადობის თავისებურებებს, მიმდინარე ოპერაციებში გადასახდელების თავისუფლებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მასზე დაკისრებული მისიის შესრულებისათვის რეგულარულად სწავლობს და აანალიზებს ფონდის თითოეული წევრი-ქვეყნის ეკონომიკურ, საფინანსო და სავალუტო პოლიტიკას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განკარგულებაშია მნიშვნელოვანი მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობები, რომლებიც ეხმარება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც სიძნელეებს განიცდიან საგადასახდელო ბალანსის რეგულირებაში. სსფ ამ სახელმწიფოებს ხელს უწყობს იმით, რომ ფონდის სახსრებით აძლევს სესხებს მყარ ვალუტაში, ე.ი. აძლევს მომავალში დასაფარავი კრედიტით სარგებლობის შესაძლებლობას. აღნიშნული ნასესხობა ქვეყანას მაშინ ეძლევა, თუ მას გააჩნია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოწონებული გაჯანსაღების ეკონომიკური პროგრამები.

ამრიგად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის განკარგულებაში არსებული ფინანსური ბერკეტებით უზრუნველყოფს, უპირატესად, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური

---

[1] საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა ვრცლად და ამომწურავად განხილულია V თავში (ავტორები).

სიდუხჭირიდან გამოყვანას და საგადასახდელო ბალანსის მოწესრიგება-რეგულირებას.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეიქმნა „ათეულთა ჯგუფი“, რომელშიც გაერთიანებულია 10 მაღალგანვითარებული სახელმწიფო (აშშ, გფრ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია, ჰოლანდია, კანადა და შვეცია). შემდეგში „ათეულთა ჯგუფს“ შეუერთდა შვეიცარია. ამ ჯგუფის წევრთა სესხების თაობაზე გენერალური შეთანხმების შესაბამისად საერთაშორისო სავალუტო ფონდის განკარგულებაში გადააქვთ დამატებითი საფინანსო რესურსები საერთაშორისო სავალუტო სისტემაში წარმოქმნილი სიძნელეების სალიკვიდაციოდ. სწორედ „ათეულთა ჯგუფმა“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საერთაშორისო სავალუტო სისტემის ფუნქციონირების ანალიზისა და გასული საუკუნის 60-იანი წლების სავალუტო კრიზისის რეგულირების საქმეში. ამ ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სახსრების გადიდებისათვის რესურსების მობილიზაციაში. შემდგომ პერიოდში „ათეულთა ჯგუფმა“ თანდათანობით საქმიანობის კოორდინაციაში თავისი ოფიციალური ადგილი დაუთმო უფრო წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ განვითარებადი ქვეყნებიც (ოცთა ჯგუფს – 70-იანი წლების დასაწყისში და შემდეგ დროებით კომიტეტს – 1974 წლიდან).

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ), რომელსაც ხშირად მსოფლიო ბანკს უწოდებენ, შეიქმნა მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში დახმარების გაწევის მიზნით. მე-2 მსოფლიო ომის შედეგად გაჩანაგებული ქვეყნების ეკონომიკის აღდგენის შემდეგ მსოფლიო ბანკმა მიზნად დაისახა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობიდან გამოყვანა, მათი მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა. ამისათვის მსოფლიო ბანკი და მისი ფილიალები ამ ქვეყნებს ფინანსურ დახმარებას უწევენ, გამოდიან მრჩეველების როლში. ამასთან ასტიმულირებენ სხვა წყაროების გამოყენებას ინვესტიციებად.

თვითონ მსოფლიო ბანკი სესხებს გამოუყოფს მხოლოდ გადახდისუნარიან მსესხებლებს, უპირატესად პოტენციურად მაღალრენტაბელური პროექტების განსახორციელებლად. იგი თავისი რესურსების მოსესხებას ახდენს განვითარებული ქვეყნების საფინანსო ბაზრებზე და ამიტომ მსოფლიო ბანკის კრედიტებიც გაიცემა საბაზრო პირობებით.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია შეიქმნა 1960 წელს ყველაზე ღარიბი ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, პრივილიგირებულ პირობებში. იგი იძლევა გრძელვადიან და უპროცენტო სესხებს მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების შემოწირულობის ანგარიშიდან.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია შეიქმნა 1956 წელს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის განვითარებისთვის ეროვნული და უცხოური კაპიტალის მობილიზაციის მიზნით. ამ კორპორაციამ შეიძლება განახორციელოს ინვესტიციები საკუთარი ან კვაზისაკუთარი ფონდებიდან.

მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის აგრეთვე სამი ორგანიზაცია:

- **ინვესტიციების საგარანტიო მრავამხრივი სააგენტო,** რომლის შექმნაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1985 წელს, მაგრამ ფუნქციონირება დაიწყო 1988 წელს. ეს სააგენტო ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში საერთაშორისო ინვესტიციების განთავსებას, აძლევს რა პოლიტიკური რისკებისაგან გარანტიას.
- **საინვესტიციო უთანხმოებათა მოწესრიგების საერთაშორისო ცენტრი** შეიქმნა 1966 წელს, რომელიც კონფლიქტებში მრჩევლისა და არბიტრის ფუნქციას ასრულებს.
- **საჰარის სამხრეთ მდებარე აფრიკის ქვეყნების დახმარების სპეციალური ფონდი** შეიქმნა 1985 წელს. იგი მის განკარგულებაში გადაცემული სპეციალური სახსრებით საგანგებო დახმარებას უწევს ღარიბ აფრიკის ქვეყნებს, რომლებსაც დაწყებული აქვთ სტრუქტურული რეფორმების მსხვილი პროგრამების რეალიზაცია.

III.2. ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია განვითარებული ქვეყნების მიერ

საერთაშორისო ორგანიზაციების ერთი ნაწილი შექმნილია სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით:

1. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის;

2. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც შეადგენენ ამ ორგანიზაციების წევრთა უმრავლესობას.

ეს ეხება ძირითადად ორ ორგანიზაციას 1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს და 2. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკს, რომელიც შექმნილია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ცენტრალური ბანკების კონტაქტებისა და თათბირებისთვის.

რაც შეეხება „პარიზის კლუბს“ და „ხუთთა ჯგუფს“ („ექვსთა“, ან კიდევ „შვიდთა“ ჯგუფებს), ისინი ითვლებიან არაფორმალურ ორგანიზაციებად, მაგრამ ძალიან გახმაურებული და ცნობილი დაწესებულებებია. „პარიზის კლუბი“ უმაღლესი სახელმწიფო პირებისაგან შედგება, რომლებიც დავალიანებათა შესახებ პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებს ეძებენ. „ხუთთა ჯგუფი“ ცდილობს საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნების პოლიტიკის კოორდინირებას სხვადასხვა დონეზე – ტექნიკური შემსრულებლებიდან სახელმწიფოთა მეთაურებამდე.

1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ 1961 წელს დაიკავა მეორე – ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ადგილი. ამ უკანასკნელის „დასავლური“ ორგანიზაციით შეცვლა განაპირობა „ცივი ომის“ ეპოქის პოლიტიკურმა მდგომარეობამ.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიქმნა 1948 წელს მარშალის გეგმის – აშშ-ის მიერ ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარების გეგმის განსახორციელებლად. ამ გეგმის მიზანი იყო ევრპის ქვეყნებისათვის მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ შეესყიდათ ტექნიკა, ნედლეული და კვების პროდუქტები, რათა მიეღწიათ მე-2 მსოფლიო ომით დანგრეული ეკონომიკის აღდგენისთვის. ამ ორგანიზაციას უნდა

მოეხდინა „მარშალის გეგმით“ გათვალისწინებული დახმარების განაწილება. მასში შედიოდნენ 16 ქვეყანა და გერმანიაში დასავლეთის საოკუპაციო ზონა. აშშ და კანადა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში წარმოდგენილი იყვნენ მეთვალყურეებად.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარება, შესაბამისად მის მიერ ჩამოყალიბებული იქნა ვაჭრობის ლიბერალიზაციის კოდექსი. თავის სისტემის ფარგლებში ამ ორგანიზაციამ 1950 წელს შექმნა ევროპის საგადასახდელო კავშირი ევროპის სახელმწიფოებს შორის სესხებისა და ვალების მრავალწახნაგოვან ანგარიშსწორებათა უზრუნველსაყოფად. 1958 წელს ამ უკანასკნელის ადგილი დაიკავა ევროპის სავალუტო შეთანხმებამ, რომლის არსებობამ ევროპის ვალუტათა კონვერტირებადობის დაბრუნების გამო მალე დაკარგა აზრი.

იმის გამო, რომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას დიდი წვლილი მიუძღოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღორძინებაში, მისი წევრი-ქვეყნების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მისი გაძლიერების შესახებ. სწორედ ამ მიზნით 1960 წელს 18 ქვეყანას შეუერთდა აშშ და კანადა და ხელწერილი იქნა კონვენცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შექმნის თაობაზე. ამჟამად მასში გაერთიანებულია 24 წევრი-ქვეყანა, დაემატა იაპონია, ფინეთი, ავსტრალია და ახალი ზელანდია.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა მინისტრთა საბჭო. მას ეხმარება აღმასრულებელი კომიტეტი და 30 სპეციალიზებული კომიტეტი, რომლებშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნები. ტრადიციისამებრ გენერალური მდივანი, რომელიც მართავს ამ ორგანიზაციას, ევროპელია. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მოთავსებულია პარიზში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 16%, მის წილად მოდის მატერიალური წარმოების ორი მესამედი. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში იგი

გადამწყვეტ როლს თამაშობს. ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების წინაშე სამი ამოცანაა დასმული: მაქსიმალური ზრდის უზრუნველყოფა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება, თავისუფალი ვაჭრობის აღორძინება და განვითარებული ქვეყნების წარმატებებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

2. **საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი** წარმოადგენს ყველაზე ძველ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას (შეიქმნა 1930 წელს). დასავლეთისა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობასთან ერთად. მასში გაერთიანებულია აშშ, კანადა, იაპონია, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ამ ბანკის ადგილსამყოფელია ბაზელი. ბანკის დამოუკიდებლობა გარანტირებულია მისი კაპიტალით, რომელიც შეადგენს 1.5 მილიარდ ოქროს ფრანკს.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ცენტრალური ბანკების თანამშრომლობის ცენტრს, მისი ადმინისტრაციული საბჭო შედგება 5 დამფუძნებელი-ქვეყნის ცენტრალური ბანკების მმართველებისგან (გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია) და 3 ქვეყნის (შვეიცარია, შვეცია, ნიდერლანდები) ცენტრალური ბანკების მმართველებისგან.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი მხოლოდ ცენტრალურ ბანკებს ემსახურება. იგი დეპოზიტების სახით ღებულობს ცენტრალური ბანკების ლიკვიდური აქტივების ნაწილს, საჭიროებისამებრ აძლევს მათ კრედიტებს, ახდენს მის განკარგულებაში არსებული რესურსების ბაზარზე განთავსებას. ბანკის პასივების ძირითადი ნაწილი შედგება ანაბრებისაგან ვალუტის ან ოქროს სახით.

3. **პარიზის კლუბი** – წარმოადგენს არაფორმალურ ორგანიზაციას, რომელიც შექმნეს ინდუსტრიულად მაღალ განვითარებულმა ქვეყნებმა მსესხებელი ქვეყნების გადახდისუნარიანობის შედეგად წარმოშობილი პრობლემების განსახილველად და გადასაწყვეტად. კლუბი განსაზღვრავს სახელმწიფო სესხებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების გარანტიით გაცემული სესხების უზრუნველყოფის პირობებს.

4. **„ოთხთა ჯგუფი“, „შვიდთა ჯგუფი“.** პირველი მათგანი ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში

საფრანგეთის იმდროინდელი ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის ვალერი ჟისკარ დ-ესტენის წინადადებით. იმ წლებში იგი იწვევდა საიდუმლო შეხვედრებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ აშშ-ის, გფრ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის ფინანსთა მინისტრები და მეგობრულ ვითარებაში ეძებდნენ პრობლემების გადაწყვეტის გზებს.

მალე მათ შეუერთდა იტალია და კანადა და შეიქმნა „შვიდთა ჯგუფი“. იგი ამჟამადაც არსებობს.

III.3. ევროკავშირის ორგანიზაციები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ობიექტური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ევროპაში შეიქმნა განსაკუთრებული ორგანიზაციების ფორმირების აუცილებლობა, რომლებიც დადებითად იმოქმედებდნენ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ აღორძინებაზე.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს რობერტ შუმანის იდეის – ევროპის ნახშირისა და ფოლადის საბადოების (1950 წ.) გაერთიანება (ბელგიის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ნიდერლანდების და ლუქსემბურგის შემადგენლობით). აღნიშნული გაერთიანება შეიქმნა 1951 წელს.

1955 წელს იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელების შეთანხმებით შეიქმნა სამთავრობათაშორისი კომიტეტი, რომელმაც მოამზადა ხელშეკრულების პაკეტი და 1958 წელს ხელშეკრულება შევიდა ძალაში.

რომის ხელშეკრულების (1957 წლის 25 მარტს) შესაბამისად, ერთი მხრივ, შეიქმნა ევროპის ეკონომიკური ასოციაცია, რომელიც დაფუძნებული იყო საბაჟო კავშირსა და საერთო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში, ხოლო, მეორე მხრივ, ჩამოყალიბდა ევროპის გაერთიანება ატომური ენერგეტიკის ხაზით (ევრატომი), რომლის დანიშნულება იყო ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენება. ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1959 წლის 1 იანვრიდან.

1959 წელს დიდი ბრიტანეთის თაოსნობით, პრემიერ-მინისტრ რ. მაკმილანის ინიციატივით შეიქმნა შვიდი სახელმწიფოს ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ: დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი და შვეიცარია.

ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა. პირველ რიგში გაერთიანებას ახალი წევრები – ესპანეთი და პორტუგალია დაემატა. ამასთან, მომწიფდა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების აუცილებლობაც.

ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შემდეგი ეტაპი დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. მადრიდის სამიტმა მოიწონა **ევროპული სავალუტო კავშირის** პირველი ეტაპის დაწყება, რაც გულისხმობდა ვალუტის კურსის მექანიზმისადმი მიერთებას.

1992 წელს **მაასტრიხტის** ხელშეკრულების დადებით ევროკავშირის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ამ ხელშეკრულების შედეგად ჩამოყალიბდა ევროკავშირი, რომელიც უნდა დაფუძნებოდა სამ საყრდენს. მათგან პირველი ევროპის ეკონომიკური გაერთიანება იქნებოდა და მისი დარეგულირება მოხდებოდა ევროპულ დონეზე. მეორე საყრდენია – მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები, ხოლო მესამე საყრდენი – საერთო-საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

1995 წელს ევროკავშირში მორიგი შევსება განხორციელდა. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის სფეროს მიემატა სამი ქვეყანა – შვედეთი, ავსტრია და ფინეთი და ისინი გახდნენ ევროკავშირის მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე წევრები. ამჟამად ევროკავშირში გაერთიანებულია 27 ქვეყანა.

დღეისთვის ევროკავშირი შედგება რამდენიმე ინსტიტუტისაგან, რომელთაგან საყურადღებოა – ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვ.

ევროკავშირის საბჭო, რომელსაც ასევე **მინისტრთა საბჭოს** უწოდებენ, არის ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო ორგანო. საბჭოს ექვსი თვის ვადით ხელმძღვანელობს ერთი წარმომადგენელი თითოეული წევრი სახელმწიფოდან. საბჭო

იკრიბება ცხრა ძირითად კონფიგურაციაში, იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხი განიხილება. ასეთი სულ 9 კონფიგურაციაა:

- ეკონომიკური და ფინანსური საკითხები;
- თანამშრომლობა მართლმსაჯულების და საშინაო საქმეთა სფეროში;
- კონკურენცია;
- ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები;
- გარემოს დაცვა;
- განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა;
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, მომხმარებელთა საკითხები.

საბჭოს აღმასრულებელი ფუნქციები:

1. ევროკავშირისთვის გრძელვადიანი მიზნების შემუშავება;

2. საშუალო ხანგრძლივობის მიზნები. ევროკავშირისთვის და ეროვნული მაკროეკონომიკური პოლიტიკის მონიტორინგის კოორდინაცია;

3. ევროპული კანონმდებლობის შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობებთან.

საბჭოს საკანონმდებლო ფუნქციები:

როგორც წესი, საბჭო შედგება მინისტრებისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ აგრარული საკითხების საბჭო შედგება სოფლის მეურნეობის მინისტრებისაგან, ხოლო ეკონომიკური და ფინანსური საკითხების საბჭო ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან.

ევროკავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტია **ევროპული საბჭო**, ანუ ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო.

ევროკომისია მოიაზრება, როგორც ევროკავშირის საჯარო სამსახური, მისი როლი ევროკავშირის განვითარებაში ძალიან დიდია. ევროკომისია წარმოადგენს ევროკავშირის ინტეგრაციის მთავარ მამოძრავებელ ძალას.

ევროპარლამენტი შეიქმნა პარიზის ხელშეკრულებით. მას ევროპარლამენტი ეწოდა 1962 წელს.

საერთო აგრარულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს ოთხი პოლიტიკა: საქონლის, სამუშაო ძალის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების.

საერთო ბაზარი. საერთო ბაზრის იდეა წარმოიშვა რომის ხელშეკრულების დროს.

ცნობილია ევროპის საერთო ბაზრის ეკონომიკური ინტეგრაციის შემდეგი ეტაპები:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონა (არ არსებობს ხილული შეზღუდვები ვაჭრობაზე);

2. საბაჟო კავშირი (თავისუფალი სავაჭრო ზონას დამატებული საერთო საგარეო სავაჭრო ტარიფები);

3. შიდა ნაწარმის ბაზარი (საბაჟო კავშირს დამატებული საქონლის თავისუფალი გადაადგილება);

4. საერთო ბაზარი (შიდა ნაწარმის ბაზარს დამატებული მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება);

5. სავალუტო კავშირი (საერთო ბაზარს პლუს საერთო ვალუტა);

6. ეკონომიკური კავშირი (სავალუტო კავშირს პლუს საერთო-ეკონომიკური პოლიტიკა).

4. ევროპის კავშირის სასამართლო უზრუნველყოფს შეთანხმებათა შესრულებას და კანონიერების დაცვას და ამ პოზიციიდან განიხილავს წევრი-ქვეყნების, კომისიის, საბჭოს, ამა თუ იმ პირის შუამდგომლობებს, რომლებიც ეხება საბჭოს ან კომისიის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანას.

ზემოთ მოტანილი ოთხი ძირითადი ორგანიზაციის პარალელურად არსებობს **საკონტროლო-სარევიზიო პოლიტიკა**, რომელიც თვალყურს ადევნებს კავშირის ფინანსურ ურთიერთობებს და საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი **საკონსულტაციო ორგანოები — ევროპის ეკონომიკური კავშირი და ევროატომის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი.**

დაბოლოს, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ევროპის საბჭოს სხდომებზე წელიწადში სამჯერ იკრიბებიან წევრი-ქვეყნების სახელმწიფო მეთაურები და მთავრობები. ამ საბჭოს არ გააჩნია იურიდიული სტატუსი და უფლებამოსილება,

იგი არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანების მთელი საქმიანობის განვითარებასა და ურთიერთკავშირს, პოლიტიკურ თანამშრომლობას. სწორედ ამ საბჭოს დონეზე მიიღება გადაწყვეტილებები კავშირის საქმიანობათა მიმართულებების პრინციპულ საკითხებზე, აგრეთვე უთანხმოებებისა და კონფლიქტური სიტუაციების მოხსნაზე, რომელთა გადაჭრა ვერ მოაგვარა კავშირის მინისტრთა საბჭომ.

III.4. ევროპის სავალუტო კავშირი: პრობლემები და პერსპექტივები

ევროკავშირს გააჩნია ეკონომიკური და ფინანსური დანიშნულების ბევრი ორგანო და კომიტეტი, რომელთაგან ზოგიერთი გათვალისწინებული იყო თვით ხელშეკრულებით, მაგალითად, ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომლის კაპიტალი ეკუთვნის წევრ-ქვეყნებს და რომელიც ღებულობს საერთაშორისო ბაზრებზე სესხებს, რათა წევრი-ქვეყნების სახელმწიფო ორგანიზაციებსა და საწარმოებზე გასცეს გრძელვადიანი კრედიტები. აგრეთვე სესხებით დააკმაყოფილოს ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც გაერთიანების ასოცირებული წევრებია.

ანალოგიური ფუნქციები გააჩნია ევროპის სოციალურ ფონდს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საერთო ბაზრის ახალ პირობებთან სამუშაო ძალის ადაპტაცია. ამ მიზნით ფონდს შეუძლია გასცეს ფინანსური დახმარებები.

1973 წელს ჩამოყალიბებული სავალუტო თანამშრომლობის ევროპის ფონდის როლი მნიშვნელოვნად ამაღლდა 1979 წელს ევროპის სავალუტო სისტემის შექმნის გამო, თუმცა იგი ამჟამად ასრულებს მხოლოდ ტექნიკურ ფუნქციებს.

ევროგაერთიანების მიზნებსა და ამოცანებს შორის განსაკუთრებით ყურადსაღები იყო სავალუტო პრობლემების დაძლევა, რაც თავის მხრივ მოითხოვდა სავალუტო ინტეგრაციის აუცილებლობას, რომლის წანამძღვრები ნათლად გამოიკვეთა რომის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ (1958 წლიდან).

ევროგაერთიანების სივრცეში სავალუტო ინტეგრაციის ძირითად ელემენტებად მიჩნეული იქნა: გაცვლითი კურსის ერთობლივი ცურვის უზრუნველყოფა; სავალუტო ინტერვენციის განხორციელება, მათ შორის ერთობლივის – ცენტრალური კურსიდან გაცვლითი კურსების გადახრის წინასწარ შეთანხმებულ ზღვრულ ფარგლებში მოსაქცევად; ურთიერთდაკრედიტების ფონდების შექმნა გაცვლითი კურსების რეგულირებისათვის; კოლექტიური ვალუტის, როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების – სარეზერვო ინსტრუმენტის შემოღება; მონეტარული და სავალუტო რეგულირების რეგიონული ორგანოების შექმნა.

ევროგაერთიანების ჩარჩოებში გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო მწვავე დისკუსიები სავალუტო ინტეგრაციის ფორმირების შესახებ, ძირითადად „ეკონომისტებსა“ და „მონეტარისტებს“ შორის. „ეკონომისტები“ (წევრი-ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა) მოითხოვდნენ ეკონომიკური და სავალუტო ინტეგრაციის პარალელურ რეჟიმში წარმართვას ისე, რომ მეორე ყოფილიყო პირველის შედეგი და არა წანამძღვარი.

„მონეტარისტები“ (უპირატესად ფრანგები) მოითხოვდნენ სავალუტო კავშირის შექმნას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო სხვა სფეროებში ინტეგრაციული პროცესისადმი.

ევროგაერთიანების ჰააგის სამიტზე (1969 წელს) მიღებული იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის შესახებ. ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრის პიერ ვერნერის ხელმძღვანელობით შეიქმნა სპეციალური ჯგუფი. რას ითვალისწინებდა პიერ ვერნერის გეგმა? მისი ხელმძღვანელობით შემუშავებული იქნა „ვერნერის ათწლიანი გეგმა“ (1971-1980 წლების), რომლის **პირველი ეტაპი (1971-1974 წლებს)** ითვალისწინებდა:

- გაცვლითი კურსების მერყეობის დიაპაზონის +/– 1.2%-მდე დაყვანას, მოგვიანებით კი განულებას;
- ვალუტის სრული ურთიერთკონვერტირებადობის მიღწევას;
- სავალუტო პოლიტიკის უნიფიცირებას მაკროეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკათა ჰარმონიზაციის საფუძველზე;

მეორე ეტაპი (1975-76 წლები) ითვალისწინებდა პირველი ეტაპის მნიშვნელოვანწილად ექსპერიმენტული ღონისძიებების დასრულებას და ახალი მექანიზმების დამკვიდრებას;

მესამე ეტაპი (1977-79 წლები) ითვალისწინებდა:

- ევროპული ფულადი ერთეულის შექმნს ფიქსირებული პარიტეტის საფუძველზე გაცვლითი კურსების და ფასების გაწონასწორების მიზნით;
- ერთიანი საბიუჯეტო სისტემის ფორმირებას;
- საბანკო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას და საბანკო რეგულირების კოორდინაციას;
- ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემის შექმნას აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის ანალოგიურად;
- ერთიანი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას;

ევროპის სავალუტო ინტეგრაციის ახალი ეტაპი დაიწყო „სავალუტო (საკურსო) გველის“ შექმნით. იგი დაწესდა 1973 წლის მარტში და წარმოადგენდა გფრ-ის, საფრანგეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის, დანიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის ვალუტათა კურსების თანაფარდობას. ვალუტებს შორის საკურსო თანაფარდობის დიაპაზონი უნდა მერყეობდეს მხოლოდ +/– 2.25%-მდე. რა იყო აქ მთავარი მომენტი? წევრი-ქვეყნების ვალუტებს შორის საკურსო თანაფარდობის შენარჩუნება უფრო ვიწრო დიაპაზონში, ვიდრე აშშ დოლარის მიმართ აღნიშნული ვალუტების მერყეობის დიაპაზონი იყო ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ფარგლებში ანუ „გველი გვირაბში“[1]. 1973 წლის მარტში დაშვებული იქნა დოლარის მცურავი კურსის რეჟიმში გადაყვანა, რამაც ბრეტონ-ვუდსის სისტემის მოშლა და „სავალუტო გველის“ განწირულობა დააჩქარა. ამას ისიც დაემატა, რომ ბრეტონ-ვუდსის სისტემიდან გავიდნენ: დიდი

---

[1] „გველი გვირაბში“ წარმოადგენს სავალუტო რეჟიმს, რომელიც მოქმედებდა 1972-1973 წლებში და რომელიც დაწესა ევროგაერთიანების ექვსმა ქვეყანამ (გფრ, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) საკურსო თანაფარდობა ვიწრო დიაპაზონში +/–1.125%-მდე. „გვირაბი“ წარმოადგენს კურსების მერყეობის გარეგან ზღვარს სხვა ვალუტების კურსების აშშ დოლართან მიმართებაში (+/–2.25%-მდე).

ბრიტანეთი (1972 წლის ივნისი), იტალია (1973 წლის თებერვალი), საფრანგეთი (1974 წლის თებერვალი), თუმცა ეს უკანასკნელი არსებულ სისტემას დაუბრუნდა 1975 წელს.

„სავალუტო გველის" არაეფექტიანობა გამოიწვია:

1. სავალუტო პოლიტიკის კოორდინაციის სირთულემ, რომელიც დაკავშირებული იყო ეროვნულ ვალუტებზე სხვადასხვა მასშტაბის სპეკულაციური დაწოლის თავიდან ასაცილებლად საკურსო თანაფარდობების მნიშვნელოვან ცვლილებებთან;

2. სავალუტო რეზერვების შენარჩუნების მიზნით ერთობლივი ინვესტიციებისათვის თავის არიდებამ, რაც არსებითად დადგენილი მარჟის მიღმა ავტონომიურ რეჟიმში ცურვას ნიშნავდა.

1978 წლის ივლისში ბრემენის სამიტზე შეიქმნა ევროპის სავალუტო სისტემა. შემოღებული იქნა ევროპის უნაღდო ანგარიშსწორების ფულადი ერთეული – ეკიუ, რომლის კურსი განისაზღვრებოდა სავალუტო კალათის პრინციპით (მოიცავდა 12 წევრი-ქვეყნის ვალუტაზე).

ეკიუ ნაწილობრივ ოქროთი იყო უზრუნველყოფილი, რისთვისაც შეიქმნა ერთობლივი ოქროს ფონდი, რომელიც განთავსებული იყო ევროპის სავალუტო თანამშრომლობის ფონდის ანგარიშზე.

ევროპის ქვეყნების ვალუტათა გაცვლითი კურსის რეგულირება ერთობლივი ინვესტიციების პრინციპს ეყრდნობოდა ეკიუში ცენტრალური კურსიდან +/–2.25%-მდე გადახრის ამპლიტუდით. ცალკეულ ქვეყნებს (იტალია, ესპანეთი) მარჟა უფრო მაღალი ჰქონდათ (6%), 1993 წლიდან კი მარჟა ყველასათვის გაიზარდა (+/–15%-მდე).

სავალუტო ინვესტიციებისათვის დეფიციტის მქონე ქვეყნებს სესხებს აძლევდა არა მარტო სიჭარბის მქონე ქვეყნების ცენტრალური ბანკები, არამედ ევროპის სავალუტო თანამშრომლობის ფონდიც, რომელიც მოგვიანებით ევროპის მონეტარულ ინსტიტუტად გარდაიქმნა.

ეკიუ გამოიყენებოდა კერძო სექტორშიც. მაგალითად, ბანკებს შეეძლოთ დეპოზიტების შექმნა ეკიუში, რომელიც წარმოადგენდა ეკიუს კალათაში შემავალი ვალუტების ერთგვარ კომპოზიციას (არაოფიციალური ეკიუ).

ყოველივე ამის მიუხედავად ევროპის სავალუტო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა სავალუტო სტაბილურობის ზონად. 1979-1993 წლებში სავალუტო კურსები 16-ჯერ გასცდა დადგენილ მარჟებს. 1992-1993 წლებში სისტემა კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა (გირვანქა სტერლინგი, ლირა, ფრანკი), რის გამოც მარჟები +/–15%-მდე გაიზარდა.

ევროპის სავალუტო სისტემას სხვა მრავალი ნაკლოვანებები გააჩნდა, სახელდობრ:

1. წევრი ქვეყნები ეკონომიკურად არათანაბრად განვითარებას უჩიოდნენ;

2. დილემის წინაშე აღმოჩნდა ეკიუ;

3. ცენტრალური ბანკები ეკიუს ფართოდ ჯერ კიდევ ვერ იყენებდნენ.

4. ევროპაში დოლარი დომინირებდა.

ევროპაში შექმნილი სავალუტო სიძნელეების დაძლევა ჰქონდა გათვალისწინებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სავალუტო კავშირის შექმნის ახალ პროგრამას („დელორის გეგმას", 1989 წელი), რომლის მიზნები იყო:

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და მაკროეკონომიკური მენეჯმენტის, მათ შორის საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის, გადაცემა წევრი-ქვეყნებიდან ევროკავშირისათვის;
- ევროპის სავალუტო ინსტიტუტისა და დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის შექმნა;
- ეკიუს, როგორც კოლექტიური ვალუტის როლის გაზრდა, მისი ოფიციალური და კერძო სეგმენტის ერთიან საემისიო ჩარჩოში მოქცევით და მისი ეგიდით ეროვნული ვალუტების ურთიერთკონვერტირებადობის გაძლიერებით;

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ (1992 წლის თებერვალი) დაამტკიცა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის ეტაპები:

I ეტაპი (1.07.1990-31.10.1993) ითვალისწინებდა:

- ევროკაშირის შიგნით, მასსა და „მესამე სამყაროს" ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობაზე შეზღუდვების მოხსნას;

- წევრი-ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების (ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია და სხვა) მაქსიმალური დაახლოებსა;
- ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსების სტაბილიზაციას;

II ეტაპი (1.01.1994-31.12.1998)

- ეროვნული სავალუტო ინსტიტუტის, როგორც ევროპული ცენტრალური ბანკის წინამორბედის ჩამოყალიბებას;
- ეროვნული ცენტრალური ბანკებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება და მათ მიერ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის დაკრედიტებისა და მთავრობების ვალდებულებათა პირდაპირი შესყიდვის აკრძალვას;
- წევრი ქვეყნებისათვის ბიუჯეტის ზღვრული დეფიციტის და სახელმწიფო ვალის დონის ზღვრული ლიმიტების დადგენა-სტაბილურობისა და ზრდის ფაქტს (1997 წლის ივნისი).
- იმ 11 ქვეყნის განსაზღვა, რომლებიც ევროზე უნდა გადასულიყვნენ (1998 წელი).

III ეტაპი (1999-2000 წლები)

ევროპის ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის ფუნქციონირების დაწყებას (1998 წლის ივნისი);

- ეროვნული ვალუტების და ეკიუს ფიქსირებული კურსის დადგენას ევროს მიმართ (1999 წლის იანვარი);
- ფინანსური ბაზრების ოპერაციებისა და უნაღდო ანგარიშსწორების გადაყვანას ევროზე;
- ევროს ნაღდ ბრუნვაში გაშვება (2002 წლის იანვარი) და ეროვნულ ვალუტებზე მის გადაცვლას (2002 წლის ივლისიდან).

ევროპის სავალუტო კავშირის ინსტიტუციური ორგანოა ევროპის ცენტრალური ბანკი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტირების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა და ამ

პოლიტიკის აღსრულება, ბანკის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა.

ევროკავშირის ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ევროს საერთაშორისო პოზიციის გაძლიერება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ევროზონაში ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას.

ერთიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკას განსაზღვრავს ევროკავშირის საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები (ეკოფინის საბჭო), რომლის სხდომებშიც მონაწილეობს ევროპის ცენტრალური ბანკიც.

როგორია ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის (ეცბ) ფუნქციები?

ერთიანი პოლიტიკის საკვანძო გადაწყვეტილებებს იღებს ეცბ, ხოლო უშუალოდ ახორციელებენ ეროვნული ცენტრალური ბანკები.

ევროპის ცენტრალური ბანკი წევრი-ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით ახორციელებს:

- ეკონომიკურ ანალიზს (ეკონომიკური ზრდა, სამომხმარებლო მოთხოვნა, ფისკალური პოლიტიკა, შრომის ბაზარი და მაკროეკონომიკური პროგნოზები);
- მონეტარულ ანალიზს (ფულის აგრეგატების დინამიკა, ფართო ფულის (M_3) აგრეგატის რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა);

ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებია:

1. ოპერაციები ღია ბაზარზე;
2. 1-დღიანი კრედიტები და დეპოზიტები;
3. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით არსებითი დადებითი ძვრებია წევრი-ქვეყნების სავალუტო ურთიერთობებში, ბოლომდე დაუძლეველია ევრო-დოლარის დილემა.

ჯერ-ერთი, ადგილი ჰქონდა ევროს თავდაპირველ გაუფასურებას დოლარის მიმართ. თუ 1 ევრო 1999 წლის 1 იანვრისთვის იცვლებოდა 1.168 დოლარზე, იგი 2000 წლის 31 დეკემბრისათვის იცვლებოდა მხოლოდ 0.825 დოლარზე, ე.ი. გაუფა-

სურდა 29.%-ით, რომლის მიზეზები იყო: ეკონომიკურ ზრდის შედარებით მაღალი ტემპები აშშ-ში; შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი აშშ-ში; ნავთობის მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა; ევროპის ცენტრალური ბანკის „მიშვებითი" პოლიტიკა; ევროს შიდა სტაბილურობის დარღვევა (სამომხმარებლო ფასების ზრდა 2%-იანი ზღვარს მიღმა; ევროს მხარდასაჭერად კოლექტიური ინტერვენციების დაბალი ეფექტიანობა).

2001 წლიდან ძალთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც განპირობებული იყო: აშშ-ში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებით, საპროცენტო განაკვეთების შემცირებით (მარტო 2001 წელს 6.5%-დან 3.5%-მდე შემცირდა). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გადიდებით, 11 სექტემბრის ტრაგედიით, კორპორაციული სკანდალებით და სხვ.

* * *

ამრიგად, მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ძირეულად გარდაიქმნა სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური, ფინანსური და სავალუტო ურთიერთობები. დღეს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის მიღწევათა გათვალისწინების გარეშე. თანაც ეს პროცესი არ გახლავთ ერთდროული, იგი წარმოადგენს მუდმივად განვითარებად და განახლებად პროცესს. ამასთან, ეს პროცესი წარმოადგენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოების, საერთაშორისო დაფინანსების განვითარების, დავალიანებათა პრობლემების წარმოშობის და წარმოების მობილური ფაქტორების – კაპიტალისა და სამუშაო ადგილების გადიდების ობიექტურ შედეგს.

საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ლიბერალიზმი, რომელმაც ფართო განვითარება ჰპოვა საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში, იქნება იგი ვაჭრობა თუ მომსახურება.

საერთაშორისო ვაჭრობა თუ წარმოების ძრავას წარმოადგენს, ფინანსებსა და სავალუტო ურთიერთობებს ეს ძრავა მოძრაობაში მოჰყავს. სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ რადიკალურად შეცვალა ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობათა ისეთი ფორმები, როგორიცაა: საფინანსო, საკრედიტო და ფულად-სავალუტო ურთიერთობები.

თავი IV

საერთაშორისო სავალუტო და ფინანსურ ურთიერთობათა ეკონომიკური თეორიები

კაცობრიობის განვითარების ისტორიის ყველა ეტაპზე ეკონომიკურ თეორიაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა გაცვლით ურთიერთობებს, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობას. კაპიტალიზმის გენეზისის პერიოდში, როცა თავისუფალი კონკურენცია თავის ადგილს ეძებდა ეკონომიკურ თეორიაში, პირველ სკოლად მოგვევლინა მერკანტილიზმი, რომელიც ქვეყნისა და ხალხის სიმდიდრის წყაროს მიმოქცევის სფეროში – კონკრეტულად საგარეო ვაჭრობაში, ეძებდა.

თავისუფალი გაცვლის თეორიას საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დიდმა ეკონომისტებმა. საერთაშორისო ვაჭრობის დარგში კი ეკონომისტთა მსჯელობის მთავარი საგანი იყო პრაქტიკული საკითხი – ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად რა გზა ყოფილიყო არჩეული: თავისუფალი ვაჭრობის თუ პროტექციონიზმის? მე-18 საუკუნეში ადამ სმიტიდან მომდინარე **კლასიკურმა თეორიამ**, რომელიც შემდგომ საუკუნეებში მნიშვნელოვანწილად იქნა გამდიდრებული, ამ კითხვას ნათლად გასცა პასუხი – თავისუფალი გაცვლა საშუალებას იძლევა ეროვნული სიმდიდრის გასადიდებლად სრულად იქნეს გამოყენებული ნებისმიერი ქვეყნის მთელი პოტენციალი.

კლასიკური თეორიის მამამთავარმა **ადამ სმიტმა** მოგვცა **აბსოლუტურ უპირატესობათა თეორია**, ხოლო **დავიდ რიკარდო** მოგვევლინა **თავისუფალი ვაჭრობის** კონცეფციის ფუძემდებლად, რომელიც მან გამოიყვანა შეფარდებით უპირატესობათა პრინციპიდან. შემდგომ პერიოდებში **ჯ. ს. მილმა, გ. ხაბერლერმა, ე. ჰეკშერმა, ბ. ოლინმა, პ. სამუელსონმა, ვ. ლეონტიევმა** და თანამედროვე ეკონომიკური აზრის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლებმა კიდევ უფრო სრულყვეს კლასიკური თეორია.

ადამ სმიტმა წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ საჭიროა საზღვარგარეთ იყიდოთ ყველა ის საქონელი, რომელსაც უცხოელი მწარმოებლები უფრო იაფად აწარმოებენ,

ვიდრე მყიდველი ქვეყანა, ამიტომ იგი საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე ხელის შეშლის კატეგორიული წინააღმდეგია. ადამ სმიტი თავის ამ დასკვნას ამაგრებს სამი დამატებითი არგუმენტით:

1. ორ ერს შორის გაცვლა თითოეულ მათგანს საშუალებას აძლევს გაყიდონ მათთვის ჭარბი კონკურენტუნარიანი შრომის პროდუქტი და ამით, ღირებულების მატარებლად გახადონ მათთვის უსარგებლო, გამოუყენებელი ფასეულობა. ეროვნულ საზღვრებს გარეთ ბაზრის განვითარება ხელს უწყობს წარმოების გადიდებას და, შესაბამისად, შემოსავლის ზრდას;

2. საგარეო ვაჭრობა დაზოგვისკენ მიდრეკილების საშუალებას იძლევა, რაც, თავის მხრივ, დაგროვების პროცესის მეშვეობით ზრდის ეროვნულ კაპიტალს. მაშინ, როცა ექსპორტი ეროვნულ შემოსავალს ადიდებს, უცხოეთში საქონლის შესყიდვა ამცირებს ეროვნული მოხმარების დანახარჯებს. ამასთან, დაზოგვა არის სხვაობა შემოსავალსა და მოხმარებას შორის;

3. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ საგარეო ვაჭრობა ზიანს აყენებს საქმიანობის ნაკლებკონკურენტუნარიან სახეებს და მოიშველიოს პროტექციონისტური პოლიტიკის განხორციელება. ამაზე ადამ სმიტი თავს იკავებს და ასაბუთებს: ეს იწვევს კაპიტალდაბანდების ზრდას შესაბამისი შედეგების გარეშე. ამიტომ მაინც საჭიროა თავისუფალი საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე ზრუნვა და არა კონკურენტუნარო წარმოების განვითარება.

ადამ სმიტი ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს ამაგრებს დებულებით — გაცვლა ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველი მოვლენაა; თითოეული ქვეყანა მასში ნახულობს აბსოლუტურ უპირატესობებს, რომელიც პროტექციონიზმს შეუძლია შეზღუდოს ან საერთოდ მოსპოს. ადამ სმიტის ანალიზი წარმოადგენს კლასიკური თეორიის ამოსავალ წერტილს, რომელიც ყველა სახის თავისუფალი ვაჭრობის საფუძველთა საფუძველია.

ადამ სმიტის მსჯელობას თუ ბოლომდე გავაგრძელებთ, მივიღებთ პარადოქსს: დავუშვათ რომელიმე ქვეყანამ უცხოეთში დაბალ ფასებში და განუსაზღვრელი ოდენობით შეიძინა ყველაფერი, რაც მას სჭირდება და მოიხმარს. მაშინ ამ ქვეყანას გასაყიდი რა ექნება? რით გადაიხადოს შესყიდული საქონლის

ღირებულება? ადამ სმიტის აბსოლუტური უპირატესობის თეორია ამაზე პასუხს ვერ იძლევა.

დავიდ რიკარდომ ადამ სმიტის თეორია ჩიხიდან გამოიყვანა და დაასაბუთა – გაცვლა ორ ქვეყანას შორის რა ზომით არის შესაძლებელი და სასურველი და გამოყოფს საერთაშორისო სპეციალიზაციის კრიტერიუმებს. ნებისმიერი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს დასპეციალდნენ ისეთი დარგების წარმოებაში, რომლებიც მათ ნაკლები დანახარჯებით მეტ ეფექტს მისცემს და რომლებისთვის შეფარდებითი სარგებლიანობა შედარებით მაღალი იქნება.

დავიდ რიკარდომ ხაზგასმით მიუთითა, რომ საერთაშორისო გაცვლა შესაძლებელია და სასურველი იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ინტერესების ყოველმხრივ დაკმაყოფილებას. მან განსაზღვრა ფასის ისეთი ზონა, რომლის ჩარჩოებშიც გაცვლა თითოეულისთვის სასარგებლოა.

ჯონ სტიუარტ მილმა კი დაასაბუთა, თუ რა ფასით განხორციელდება გაცვლა. მისი მოსაზრებით, გასაცვლელი ფასის დადგენა წარმოებს მიწოდება-მოთხოვნის კანონის შესაბამისად იმ დონეზე, როცა ნებისმიერი ქვეყნის ერთობლივი ექსპორტის გადაზდა წარმოებს ამ ქვეყნის ერთობლივი იმპორტით. საერთაშორისო ღირებულების ეს კანონი, რომელიც უშუალოდ დაფუძნებულია ეროვნულ ეკონომიკაში ბაზრის ფუნქციონირების პრინციპზე, სტიუარტს საშუალებას აძლევს მოახდინოს ინტერესთა იერარქია, რომელსაც იწვევს სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობა. მისი აზრით, ქვეყნები, რომლებიც საგარეო ვაჭრობიდან ღებულობენ შედარებით დიდ სარგებელს ის ქვეყნებია, რომელთა პროდუქტებზედაც საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნაა და რომელთაც უცხოურ საქონელზე ნაკლები მოთხოვნები გააჩნიათ.

თუ ადამ სმიტის, დავიდ რიკარდოსა და ჯონ სტიუარტ მილის საგარეო ვაჭრობის ანალიზი ემყარებოდა შრომითი ღირებულების თეორიას, გოტფრიდ ხაბერლერი საერთოდ უარყოფს მას და ასაბუთებს მატერიალური დოვლათის მოცულობით, რომელიც შეიძლება ქვეყანაში წარმოებული იქნეს იქ არსებული წარმოების ფაქტორებით, საგარეო ვაჭრობის

მეშვეობით მიიღწევა მოხმარების ოპტიმალური დაკმაყოფილება, ე.ი. განხორციელდება წარმოება-მოხმარების წონასწორობა.

ამრიგად, მე-19 საუკუნეში კლასიკური თეორიის ანალიზი არ იძლევა შეფარდებითი უპირატესობის შექმნის ახსნას, რომელიც გააჩნია რომელიმე ქვეყანას ამა თუ იმ პროდუქტთან მიმართებაში და ეს ანალიზი რჩება წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის დონეზე.

ამ პრობლემის ახსნა სცადა შვედურმა სკოლამ, მისი ორი წარმომადგენლის ელი ჰეკშერისა და ბერტილ ოლინის მოსაზრებით. მათ წამოაყენეს წარმოების ფაქტორთა განთავსების თეორია, რომლის ძალითაც საერთაშორისო გაცვლა ეკონომიკურად მთლიანად გამართლებულია. იგი იძლევა როგორც მთელი მსოფლიოს საწარმოო შესაძლებლობების, ისე თითოეული ქვეყნის განკარგულებაში არსებული ეროვნული წარმოების ფაქტორების გამოყენების ოპტიმიზაციის, ასევე გარკვეული დროის მანძილზე წარმოების ფაქტორთა ფასების გამოთანაბრების საშუალებას.

ელი ჰეკშერმა 1919 წელს დაადგინა, რომ საერთაშორისო გაცვლა გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის განკარგულებაში არსებული წარმოების ფაქტორების (კაპიტალი, შრომა, მიწა) შეფარდებითი სიუხვიდან, ან შეფარდებითი იშვიათობიდან. თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელია ტენდენცია განავითაროს ის წარმოება, რომლისთვისაც მათ განკარგულებაში არსებული წარმოების ფაქტორთა თანაფარდობა ყველაზე უკეთესია. მისი მოსაზრებით, ავსტრალიის და დიდი ბრიტანეთის გაცვლითი ურთიერთობებისთვის აუცილებელია ავსტრალიამ, რომელიც მდიდარია მიწით, მაგრამ ღარიბია კაპიტალითა და სამუშაო ძალით (იგი იყენებს შრომას), განავითაროს მარცვლეულის, საკვები კულტურებისა და მეცხოველეობის წარმოება, ხოლო დიდ ბრიტანეთმა, რომელიც მდიდარია კაპიტალითა და შრომით და ღარიბია მიწით, ავსტრალიასთან საქონელბრუნვის ორგანიზაციისათვის განავითაროს სამრეწველო საქონლის წარმოება.

ელი ჰეკშერის ეს კონცეფცია 1933 წელს ბერტილ ოლინმა ასე განავითარა: საერთაშორისო გაცვლა წარმოადგენს ჭარბი ფაქტორების იშვიათ ფაქტორებზე გაცვლას. საქონელთა მობილურობას ცვლის წარმოების ფაქტორების უფრო გაძნელე-

ბული მობილურობა. პრაქტიკაში საერთაშორისო გაცვლამ გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა გამოიწვიოს წარმოების ფაქტორთა ფასების გათანაბრება.

პოლ სამუელსონმა 1948 წელს ამ ორი მიმდინარეობის სინთეზი ჩამოაყალიბა შემდეგ თეორემაში: წარმოების ფაქტორების ერთგვაროვნობის, ტექნიკის იდენტურობის, სრულყოფილი კონკურენციის და საქონელთა სრული მობილურობის შემთხვევაში საერთაშორისო გაცვლა ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორთა ფასების გამოთანაბრებას მოასწავებს.

ეს თეორემა ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ჰოს-ის თეორემის სახელწოდებით – იმ სამი ეკონომისტის საპატივცემლოდ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს წარმოების სამი ფაქტორის თეორიას.

მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ წარმოების ფაქტორთა ფასები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. სინამდვილეში, დანახარჯები, ურომლისოდაც შეუძლებელია საქონლის საერთაშორისო გაცვლა (დაზღვევა, ტრანსპორტი, მიმოქცევის ხარჯები) და მისგან განუყოფელია, ართულებს სპეციალიზაციის პროცესს და აძნელებს ფასებით წარმოების ფაქტორთა ფასების გამოთანაბრებას.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ და ეკონომიკურმა აზრმა გამოავლინა ჰოს-ის თეორემის ნაკლოვანებანი, რომ ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია არა მარტო გამოყენებული წარმოების ფაქტორთა რაოდენობაზე, არამედ მათ ხარისხსა და შეთანაწყობის ეფექტიანობაზე, ტექნიკურ პროგრესზე, მოთხოვნაზე და ბაზრის დახასიათებაზე და მრავალ ელემენტზე, რომლებიც იცვლებიან ქვეყნებისა და კონიუქტურის მიხედვით. ეს ნაკლოვანება დადგენილი იქნა ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვასილი ლეონტიევის მიერ, რომელმაც ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები მიიყვანა შეფარდებით უპირატესობათა თეორიის სრულყოფის მოთხოვნამდე, კერძოდ, წარმოების ფაქტორთა თავისებურებების ეროვნული ბაზრების დახასიათებების, ეროვნულ მოთხოვნათა განსხვავებულობასთან საქონელთა თანდათანობით ადაპტაციის გათვალისწინებით.

ვასილ ლეონტიევმა 1953 წელს გვიჩვენა, რომ მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ წლებში (1947-1953 წლებში) მსოფლიო მასშტაბით აშშ-ის ეკონომიკა ანვითარებდა წარმოების ისეთ დარგებს, რომლებიც საჭიროებდნენ შედარებით მეტ შრომას, ვიდრე კაპიტალს. ამგვარი ევოლუცია პარადოქსალური იყო ისეთი ქვეყნისთვის, როგორც აშშ-ია. იგი ხომ ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც მე-2 მსოფლიო ომიდან საკუთარი კაპიტალის მნიშვნელოვანი გადიდებით გამოვიდა, ამასთან მისი პარტნიორი ქვეყნები სამუშაო ძალის სიჭარბეს უჩიოდნენ.

ვ. ლეონტიევმა პირველად მოგვცა იმის ახსნაც, რომ შრომის ფაქტორი ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული სპეციფიკურობით ხასიათდებოდა. მის განკარგულებაში იყო უფრო კვალიფიციური სამუშაო ძალა, ვიდრე გააჩნდა მის პარტნიორებს.

წარმოების ფაქტორთა განთავსების თეორია იძლევა ვ. ლეონტიევის პარადოქსის ახსნის საშუალებას წარმოების ფაქტორების თავისებურებათა განსხვავებულობის გათვალისწინებით, რომლებიც საერთაშორისო გაცვლის სფეროში პარტნიორების განკარგულებაშია.

ამრიგად, უცხოელი ეკონომისტების მიერ ჩამოყალიბებული და ზემოთ მოტანილი ყველა ეკონომიკური აზრი მიმართულია იმის დასამტკიცებლად, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილებით, რომელიც აგებულია თავისუფალ გაცვლაზე, შეიძლება მიღწეული იქნეს ეკონომიკური ოპტიმუმი როგორც მსოფლიო დონეზე, ისე თითოეული ქვეყნის დონეზე. გაცვლის ყოველგვარ წინააღმდეგობას შეუძლია ამ ოპტიმუმიდან გადახვევა და გაცვლით გამოწვეული წარმოების ფაქტორთა ეფექტიანობის დაცემა-დამუხრუჭება.

საერთაშორისო გაცვლის კლასიკური თეორია თავის თავში გულისხმობს დიდ შინაგან, ორგანულ ურთიერთკავშირს, თუმცა ეს თეორია ძირითადად მაინც აგებულია ფუნდამენტურ ჰიპოთეზაზე, როგორიცაა – გაცვლა ხორციელდება ბაზრის პრინციპის შესაბამისად, ე.ი. მიწოდება-მოთხოვნის თავისუფალ შეთანაწყობაზე. მაგრამ ამ თეორიის მოწინააღმდეგეები ასაბუთებენ, რომ გაცვლის პროცესში მისი მონაწილეები ხშირად არღვევენ ზემოთ

აღნიშნულ კანონზომიერებას, ამიტომ საეჭვოა კლასიკური თეორიის ჭეშმარიტება.

კლასიკური თეორიის მოწინააღმდეგენი უგულვებელყოფენ ამ თეორიის მომხრეთა მთავარ პოსტულატს, რომ რეალურ ცხოვრებაში კონკურენცია შეუძლებელია იმ დონეზე იყოს სრულყოფილი, როგორც ამას კლასიკური მოდელი ქადაგებს. ჯერ კიდევ ადამ სმიტი მიუთითებდა, რომ შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური კავშირები, რომლებიც სავაჭრო პარტნიორების ერთ ნაწილს მეორე ნაწილის საზიანოდ მისცემს გაცვლის უპირატესობას ბაზრის კანონზომიერებათა წინააღმდეგ. რეალობასა და კლასიკური მოდელის დასკვნას შორის ზოგიერთი განსხვავება ყოველთვის იყო, არის და იქნება, მაგრამ ეს არ იძლევა კლასიკური თეორიის ჭეშმარიტების უგულვებელყოფის საფუძველს. იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შორის განსხვავებულობა დიდია, მაშინ გაცვლა გამომდინარეობს არა პარტნიორების შეფარდებით უპირატესობებიდან და მათი წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფიდან, არამედ ეკონომიკური აგენტების ძალთა თანაფარდობიდან. რა თქმა უნდა, შედეგებიც სხვა იქნება. პრინციპში კლასიკური თეორიის გაყალბება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევით. ამასთან, ამ თეორიის მიმდევრებსა და მოწინააღმდეგეებს შორის პოლემიკა ძირითადად გავლენას ახდენს პროტექციონიზმსა და თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთა შორის პოლემიკაზე.

პროტექციონიზმის კონცეფცია ხშირ შემთხვევაში მაცდურია, თუმცა მისი უარყოფა არამც და არამც არ შეიძლება. იმ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა იმარჯვებს, რომელშიც ოპტიმალურად არის შეთანაწყობილი პროტექციონისტული და ფრიტრედერობის მიმართულებანი, მაგრამ პროტექციონიზმის აღზევება უმეტესწილად ამა ქვეყნის ძლიერთა ხვედრია. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირება, მათგან დამოუკიდებლად, ისევ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების კარნახით წარმოებს. უფრო მეტიც, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურებიც ფუნქციონირებენ ძლიერი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. მათი მთავარი მიზანია განვითარებადი ქვეყნების ფინანსური სტაბილიზაცია მოახდინონ

მონეტარისტული დოგმებით, რომლის მთავარი, ამოსავალი მოთხოვნაა „შოკური თერაპია“, რის განხორციელებასაც არც ერთ განვითარებად სახელმწიფოში ეკონომიკის სასიკეთო გარდაქმნა არ მოუხდენია, პირიქით, იგი იწვევს ქვეყნის მოსახლეობის გაღატაკებას და მათი სოციალურ დაუცველობას.

უკანასკნელ ათასწლეულში მსოფლიო ვაჭრობის მიმართულებები და სტრუქტურა არსებით ძვრებს განიცდის, რომელთა ამომწურავი ახსნა ვაჭრობის კლასიკური თეორიების მეშვეობით ძნელდება. ზემოთ აღნიშნული ბიძგს აძლევს როგორც უკვე არსებული თეორიების შემდგომ განვითარებას, ისე ალტერნატიული კონცეფციების შემუშავებას. ამგვარ თვისობრივ ძვრებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ტექნიკური პროგრესის გადაქცევა მსოფლიო ვაჭრობის დომინირებულ ფაქტორად; მსგავსი (ერთნაირი, იგივეობრივი) სამრეწველო საქონლის შემხვედრი მიწოდების მზარდი წილი და ფირმებს შორის ვაჭრობის წილის მკვეთრი ზრდა მსოფლიო საქონელბრუნვაში.

გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში ამერიკელმა ეკონომისტმა რ. ვერნონმა შეიმუშავა თეორია **პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის** შესახებ. მეცნიერმა სცადა მზა ნაწარმის სასიცოცხლო ეტაპების ე.ი. დროის იმ პერიოდის, რომლის განმავლობაშიც პროდუქტი მოძრაობს ბაზარზე და უზრუნველყოფს გამყიდველის მიზნების განხორციელებას, აეხსნა მსოფლიო ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებანი.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი მოიცავს ოთხ – დანერგვის, ზრდის, სიმწიფისა და დაცემის სტადიებს. პირველ სტადიაზე ხორციელდება ახალი პროდუქციის შემუშავება ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი მოთხოვნილებების საპასუხოდ. ამიტომ ამ სტადიაზე ახალი პროდუქცია იწარმოება შედარებით მცირე მოცულობით, რაც მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციასა და კონცენტრირებულია ინოვაციების დანერგვაზე (რომელიც, როგორც წესი, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებშია შესაძლებელი). ამასთან, მწარმოებელს თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა უკავია და პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი გაედინება საგარეო ბაზარზე.

პროდუქტზე მოთხოვნის **ზრდის სტადიაზე** წარმოების მასშტაბები ფართოვდება და თანდათან ვრცელდება იგი სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც. პროდუქტი უფრო სტანდარტიზებულ სახეს იღებს, იზრდება მწარმოებლებს შორის კონკურენცია და ექსპორტის მოცულობა.

სიმწიფის სტადიაზე პროდუქციის წარმოება მასობრივ ხასიათს იღებს, კონკურენტულ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ფასებს ენიჭება და ბაზრის გაფართოებისა და ტექნოლოგიათა გავრცელებასთან ერთად ქვეყანა კარგავს კონკურენტულ უპირატესობებს. იწყება წარმოების გადანაცვლება განვითარებად ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია სტანდარტიზებულ საწარმოო პროცესში იაფი სამუშაო ძალის ეფექტიანი გამოყენება.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დაცემის სტადიაზე გადასვლისას მოთხოვნა მცირდება (განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში). წარმოება და გასაღების ბაზრები კონცენტრირდება უპირატესად განვითარებად ქვეყნებში, ინოვაციების დამნერგავი ქვეყანა კი იმპორტიორად გადაიქცევა.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია საკმაოდ რეალისტურად ასახავს მრავალი დარგის ევოლუციას, მაგრამ ის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციათა ახსნის უნივერსალურ თეორიას არ წარმოადგენს. მაშინ, როდესაც მეცნიერული კვლევა-ძიება და მოწინავე ტექნოლოგია არ გვევლინება კონკურენტული უპირატესობების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად, პროდუქტის წარმოება მართლაც გადაინაცვლებს იმ ქვეყნებში, რომელთაც გააჩნიათ ფართობითი უპირატესობები წარმოების სხვა ფაქტორის (მაგალითად, იაფი სამუშაო ძალის) მიხედვით. ამასთან, საქონლის ბევრი სახეობა, რომელთაც ხანმოკლე სასიცოცხლო ციკლი და ტრანსპორტირების მაღალი დანახარჯები ახასიათებთ, ხარისხის მიხედვით დიფერენციაციის მაღალი შესაძლებლობები გააჩნიათ, პოტენციურ მომხმარებელთა ვიწრო წრე ჰყავთ და ა.შ., ვერ თავსდება სასიცოცხლო ციკლის თეორიის ჩარჩოებში.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში პ. კრუგმანმა, კ. ლანკასტერმა და ზოგიერთმა სხვა ეკონომისტმა შეიმუშავეს საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური კონცეფციის ალტერნატი-

ული თეორია, რომელიც ემყარება ე.წ. მასშტაბის ეფექტს. ამ ეფექტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების განსაზღვრული ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის პირობებში, წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად მცირდება გრძელვადიანი საშუალო ხარჯები, ე.ი. წარმოიქმნება წარმოების მასშტაბების ზრდით გამოწვეული ეკონომია.

მასშტაბის ეკონომიის თეორიის ავტორთა თვალსაზრისით, ბევრი ქვეყანა (კერძოდ, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები) ერთნაირადაა უზრუნველყოფილი წარმოების ძირითადი ფაქტორებით, ასეთ შემთხვევაში მათთვის ხელსაყრელი იქნება ერთმანეთთან ვაჭრობა ისეთი დარგების სპეციალიზაციისას, რომელთათვისაც დამახასიათებელია წარმოების მასობრივი ეფექტი. ამ პირობებში სპეციალიზაცია წარმოების გაფართოების საშუალებას იძლევა და პროდუქცია იწარმოება ნაკლები დანახარჯებით და მაშასადამე, შედარებით დაბალ ფასად. მასობრივი წარმოების ეფექტის რეალიზაციისთვის აუცილებელია საკმარისად ტევადი ბაზრის არსებობა. საერთაშორისო ვაჭრობა ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს, რადგან ის გასაღების ბაზრების გაფართოების საშუალებას იძლევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით ყალიბდება ერთიანი ინტეგრირებული ბაზარი, რომელიც აღემატება ცალკე აღებული ნებისმიერი ქვეყნის ბაზარს, ამიტომ მომხმარებელს მიეწოდება მეტი და შედარებით დაბალფასიანი პროდუქცია.

ამასთან ერთად, მასშტაბის ეფექტის რეალიზაცია, როგორც წესი, იწვევს სრულყოფილი კონკურენციის რღვევას, რადგან ის უკავშირდება წარმოების კონცენტრაციასა და ფირმათა გამსხვილება-მონოპოლიზაციას. შესაბამისად, იცვლება ბაზრების სტრუქტურაც, რომელიც ან ოლიგოპოლურ ბაზრებად იქცევა, სადაც სჭარბობს ერთგვაროვანი პროდუქტებით დარგთაშორისი ვაჭრობა, ან მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრებად, რომლებშიც განვითარებულია დიფერენცირებული პროდუქტებით შიდადარგობრივი ვაჭრობა. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო ვაჭრობა სულ უფრო მეტად კონცენტრირდება გიგანტური საერთაშორისო ფირმების, ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელში, რაც გარდაუვლად იწვევს შიდა საფირმო ვაჭრობის მოცულობის ზრდას. ამ ვაჭრობის მიმართულება ხშირად

განისაზღვრება არა ფარდობითი უპირატესობის პრინციპის ან განსხვავებული წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის საფუძველზე, არამედ თვით ფირმის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

1991 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა მაიკლ პორტერმა გამოსცა წიგნი „ქვეყნების კონკურენტული უპირატესობები“, რომელშიც საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ანალიზის საქმეში ახლებური მიდგომა გამოიკვეთა. აშკარაა, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიო სასაქონლო ნაკადების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება არა ბუნებრივ, არამედ შეძენილ უპირატესობებს, რომელიც მიზანმიმართულად ყალიბდება კონკურენტული ბრძოლის პროცესში. მ. პორტერი ითვალისწინებს რა, რომ მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთს კონკურენციას არა ქვეყნები, არამედ ფირმები უწევენ, ის ააშკარავებს, როგორ ქმნის და ინარჩუნებს ფირმა კონკურენტულ უპირატესობებს და რა როლს ასრულებს ამ პროცესში მთავრობა.

მსოფლიო ბაზარზე ფირმის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელ კონკურენტულ უპირატესობებს, ერთი მხრივ, სწორედ შერჩეული კონკურენტული სტრატეგია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ კონკურენტული უპირატესობების ფაქტორთა ურთიერთმიმართება განსაზღვრავს.

ფირმის მიერ კონკურენტული სტრატეგიის შერჩევა ორ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული: 1. იმ დარგის სტრუქტურაზე, რომელშიც მოცემული ფირმა ეწევა საქმიანობას და 2. გარკვეულ პოზიციაზე, რომელიც ფირმას უკავია თავის დარგში. დარგის საბაზრო სტრუქტურა (ე.ი. მასში კონკურენტული ბრძოლის ხასიათი) განისაზღვრება კონკურენტული ფირმების რაოდენობითა და ახალი კონკურენტების გამოჩენის შესაძლებლობებით, საქონელ-სუბსტიტუტების არსებობით, ნედლეულისა და მოწყობილობების მიმწოდებელთა, აგრეთვე მოცემული დარგის საბოლოო პროდუქტის მომხმარებელთა კონკურენტული პოზიციებით. ყოველივე ეს ზემოქმედებს დარგში მიმდინარე მონოპოლიზაციის ხარისხზე და მაშასადამე, ფირმის შემოსავლიანობაზე (კონკურენტუნარიანობაზე).

დარგში ფირმის მიერ დაკავებული პოზიცია განისაზღვრება იმით, თუ რის ხარჯზე უზრუნველყოფს ფირმა თავის შემოსავ-

ლიანობას. კონკურენტულ ბრძოლაში პოზიციათა სიმყარის გარანტიაა დანახარჯების დაბალი დონე, ან წარმოებული პროდუქტის დიფერენციაცია (ახალი სამომხმარებლო თვისების მქონე პროდუქტების შექმნა, გაყიდვის შემდგომი მომსახურების შესაძლებლობათა გაფართოება და სხვა).

მსოფლიო ბაზარზე წარმატების მისაღწევად აუცილებელია ფირმის მიერ სწორად შერჩეულ სტრატეგიის მისადაგება ქვეყნის კონკურენტული უპირატესობისადმი. მ. პორტერი გამოყოფს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ოთხ დეტერმინანტს: ჯერ ერთი, წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფა. აღსანიშნავია ის, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. განვითარებულ სპეციალიზებულ ფაქტორებს (მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას, მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას, ინფრასტრუქტურას და სხვ.), რომელთაც ქვეყანა მიზანმიმართულად ქმნის; მეორე, მოცემული დარგის პროდუქციაზე იმ შიდა მოთხოვნის პარამეტრები, რომელიც მისი მოცულობისა და სტრუქტურის შესაბამისად, მასშტაბის ეფექტის გამოყენების საშუალებას იძლევა, ბიძგს აძლევს ინოვაციებსა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და ხელს უწყობს ფირმების გასვლას საგარეო ბაზარზე; მესამე, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი მომწოდებელი დარგების არსებობა (რაც უზრუნველყოფს აუცილებელი რესურსების ადვილად მისაწვდომობას) და იმ მონათესავე დარგების ფუნქციონირება, რომლებიც აწარმოებენ ურთიერთშემავსებელ პროდუქციას (ეს იძლევა ტექნოლოგიების, მარკეტინგის, მომსახურების, ინფორმაციის გაცვლის და სხვა სფეროში ურთიერთზემოქმედების საშუალებას). მ. პორტერის აზრით, სწორედ ამგვარად ფორმირდება ეროვნული კონკურენტუნარიანი დარგების კლასტერები. დაბოლოს, მეოთხე, დარგის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ფირმების სტრატეგიის ეროვნულ თავისებურებებზე, სტრუქტურასა და კონკურენციაზე, ე.ი. იმაზე, თუ როგორი პირობებით განისაზღვრება ქვეყანაში ფირმის შექმნა და მისი მართვის თავისებურებები და როგორია შიდა ბაზარზე კონკურენციის ხასიათი.

მ. პორტერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყნებს წარმატების მიღწევის ყველაზე დიდი შანსები იმ დარგებში (ან მათ სეგმენტებში) გააჩნიათ, სადაც კონკურენტული უპირატესობის

ოთხივე დეტერმინანტი (ეგრეთ წოდებული „რომბი“) ყველაზე დიდი ხელსაყრელობით გამოირჩევა. ამასთან, ეროვნული „რომბის“ კომპონენტები ურთიერთს განამტკიცებენ და თითოეული მათგანი ზემოქმედებს დანარჩენებზე. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო. მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გზით ის ზემოქმედებს წარმოების ფაქტორებსა და შიდა მოთხოვნის მახასიათებლებზე, ფირმათა სტრუქტურასა და შიდა ბაზარზე მიმდინარე კონკურენტული ბრძოლის ფორმებზე.

ამრიგად, მ. პორტერის თეორიის თანახმად, კონკურენცია დინამიკური, განვითარებადი პროცესია, რომლის საფუძველს წარმოადგენს ინოვაციები და ტექნოლოგიების განუწყვეტელი განახლება.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან თავის გავლენას აძლიერებს მონეტარიზმი, რომელიც წარმოდგენილი იყო ჩიკაგოს სკოლის სახელწოდებით და რომელსაც სათავეში ედგა ამერიკელი ეკონომისტი მ. ფრიდმენი, და ე.წ. „რაციონალური ლოდინის“ სკოლა.

მონეტარისტები, როგორც ცნობილია, გამოდიან იმ პროცესებიდან, რომლებიც მიმდინარეობს ფულად-საკრედიტო სფეროში და რომლებიც, თავის მხრივ, ზემოქმედებენ საერთო სამეურნეო კონიუნქტურაზე.

მონეტარისტების მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია **გაცვლითი კონცეფცია:** ეკონომიკაში დომინირებული როლი ენიჭება არა წარმოების, არამედ მიმოქცევის სფეროს.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მონეტარისტების ამოსავალ თეორიულ დებულებას წარმოადგენს ფულის ძველი რაოდენობრივი თეორია, თუმცა მოდერნიზებული სახით.

სამეურნეო კონიუნქტურის რეგულირების მონეტარისტული რეკომენდაციების მთავარი წინაპირობაა თეზისი – მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობაზე სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის როლის შესახებ.

ამასთან კავშირშია მონეტარისტების ძირითადი ეკონომიკური რეკომენდაცია – უზრუნველყოფილი იქნეს ფულადი მასის გაფართოების ტემპების სტაბილურობა პროდუქციის წარმოების ზრდის ხანგრძლივი ტენდენციების გათვალისწინებით. მ.

ფრიდმენის გამოანგარიშებით, სასურველია ფულის მასის წლიური ზრდის ტემპი არ აღემატებოდეს 4%-ს.

მონეტარისტები, როგორც ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლები, მოითხოვენ ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს პირდაპირ ჩაურევლობას. მონეტარისტთა იდეური მემკვიდრეებია „რაციონალური ლოდინის" თეორიის მიმდევრები.

ეს სკოლაც თავის კონცეფციის და სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის რეკომენდაციების საფუძვლად იღებს სამეურნეო სუბიექტის ფსიქოლოგიის როლს, ამით ამ სკოლის წარმომადგენლები უარყოფენ ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტურობას.

თანამედროვე პირობებში ფულის თეორიისადმი დიდი დაინტერესება მონეტარისტების დამსახურებაა, რომლებმაც ფულისადმი კეინსური იგნორირების თეორიის ნაცვლად წამოაყენეს ლოზუნგი „ფულს აქვს მნიშვნელობა". ამერიკელი ეკონომისტი მილტონ ფრიდმენი არა მარტო ავტორია მნიშვნელოვანი სტატისტიკური გამოკვლევებისა, არამედ მან შექმნა ფულის მოთხოვნის მოქნილი თეორია, რომელმაც შთანთქა ლიკვიდობის შესახებ კეინსის იდეები. მ. ფრიდმენის ფულის თეორიაში გამოკვეთილია ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ფულის მიმოქცევის სიჩქარეს.

საყურადღებოა ისიც, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომისტებს შორის მონეტარიზმის ტერმინის გაგებაშიც არ არის ერთიანი აზრი. მონეტარიზმი ვიწრო გაგებით, ეწოდება საკრედიტო-ფულად პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მიმოქცევაში ფულის მასის რეგულირებისკენ და არა სარგებლის განაკვეთის ზემოქმედებისაკენ, რომელიც ახასიათებს ფულადი ბაზრის მდგომარეობას. ფართო გაგებით, მონეტარიზმი ეწოდება საკრედიტო-ფულად პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ეკონომიკის სტაბილიზაციისაკენ.

ამრიგად, მონეტარიზმი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომლის მიზანია მიმოქცევაში ფულის მასის რეგულირებით ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სტაბილიზაციაზე, ე.ი. გახდეს მეურნეობრივი განვითარების სტაბილიზაციის მექანიზმი.

მონეტარისტული თეორიის ფუძემდებელი მილტონ ფრიდმენი, მონეტარიზმის ქვეშ გულისხმობს ფულის რაოდენობრივ თეორიას. სწორედ აღნიშნულზე წერდა იგი: „იმას, რისთვისაც ადრე მიჩვეული ვიყავით ფულის რაოდენობრივი თეორია გვეწოდებია ამჟამად ეწოდება მონეტარიზმი“.

მ. ფრიდმენის მონეტარიზმის არსის გარკვევაში სამართლიანად არის ხაზგასმული, რომ იგი ერთბაშად არ შექმნილა, როგორც პასუხი გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის უმკაცრესი ინფლაციისა, ან როგორც კეინსელობაზე რეაქცია.

მონეტარიზმი უნდა გავიგოთ, როგორც ორი პრინციპის შერწყმა: 1. „ფულს აქვს მნიშვნელობა“, ან სხვა სიტყვებით, ფულად-საკრედიტო სფეროში ცვლილებები დიდ გავლენას ახდენენ საერთო მეურნეობრივ კონიუქტურაზე და 2. ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის რეგულირება.

იმის გამო, რომ უფრო ღრმად გავერკვეთ მონეტარისტთა მოსაზრებებში, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ფულის რაოდენობრივი თეორიის პერიპეტიები.

ფულის რაოდენობრივი თეორიის იდეების პროპაგანდა მე-17 საუკუნეში იწყება, მას სხვადასხვა დროს შეეხნენ თავიანთ ნაშრომებში **რიჩარდ კანტილიონი, დავიდ იუმი, ჰენრი ტორნტონი, დავიდ რიკარდო, ალფრედ მარშალი, ირვინგ ფიშერი, დავიდ პატინგინი** და სხვ. ამ მკვლევართა მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა იმ ფაქტორების შესწავლას, რომლებიც განსაზღვრავდნენ ხანგრძლივი პერიოდისთვის ფასების საერთო დონეს.

მარქსისტული შეხედულებით ფულის რაოდენობრივი თეორიის არსი იმის მტკიცებაში მდგომარეობს, რომ საქონელთა ფასები და ფულის ღირებულება განისაზღვრება ფულის რაოდენობით, თანაც იგი საქონელთა ფასების პირდაპირ პროპორციულია, ხოლო ფულის ღირებულება, უკუპროპორციული ფულის რაოდენობასთან: რაც მეტია მიმოქცევაში ფულის რაოდენობა, მით მეტია საქონელთა ფასები და ნაკლებია ფულის ღირებულება.

ფულის რაოდენობრივი თეორია ფასების საერთო დონის განმსაზღვრელ ფაქტორთა შესწავლისას იქედან გამოდის, რომ

ფასების ცვლილებები პირველ რიგში განისაზღვრება ფულის რაოდენობით. ეს ჰიპოთეზა ჩვეულებრივად გაცვლის ტოლობის სახით წარმოგვიდგება, რომელშიც შედიან მიმდინარე შემოსავლების სიდიდეები: MY=PQ (ფიშერის ფორმულა), სადაც M – დროის გარკვეულ პერიოდში ფულის საშუალო რაოდენობაა მიმოქცევაში, Y – ფულის მიმოქცევის სიჩქარე შემოსავლების წრებრუნვაში, P – მიმდინარე წარმოების საბოლოო მოხმარებისა და მომსახურების ფასების ინდექსი, ხოლო Q – მთლიანი, ან წმინდა ეროვნული პროდუქტის ფიზიკური მოცულობის მაჩვენებელი, ან გაყიდული საქონლის რაოდენობა.

ირვინგ ფიშერი ამ ფორმულით აწარმოებს ფულის რაოდენობრივი თეორიის დასაბუთებას. სწორედ იგი აცხადებდა: „ამრიგად, იმ მარტივი ფაქტის გამო, რომ ფული, რომელიც დახარჯულია დოვლათისთვის, ტოლი უნდა იყოს ამ დოვლათის, გამრავლებული მის ფასებზე, აქედან გამომდინარე, ფასების დონე შეიძლება იზრდებოდეს ან ეცემოდეს ფულის რაოდენობის ცვლილებებიდან გამომდინარე, თუ ამავე დროს არ მიმდინარეობს ცვლილებები მისი მიმოქცევის სიჩქარეში, ან გარკვეული დოვლათის რაოდენობაში“.

ირვინგ ფიშერთან, როგორც შემდგომში **ჯ. კეინსთან,** ფულის რაოდენობრივი თეორია შეთანაწყობილია „რეგულირებადი ვალუტის“ თეორიასთან.

ფულის რაოდენობრივი თეორიის მიმდევრები ასაბუთებდნენ, რომ ეკონომიკა შეიძლება იყოს შეწონასწორებული სრული დასაქმების პირობით. ამასთან, ისინი უშვებდნენ ეკონომიკის შეწონასწორების მდგომარეობიდან გადახრას ფულად-საკრედიტო სფეროში წონასწორობის დარღვევის გამო. როცა ფულადი მასის ზრდა ჩამორჩება წარმოების გაფართოებას, შეიძლება მან ზემოქმედება მოახდინოს ფასებსა და ხელფასზე შემცირების პოზიციიდან. ბაზარზე არასაკმარისი კონკურენციის პირობებში ეს გამოიწვევს წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონის შემცირებას და არა ფასებისა და ხელფასების შემცირებას. ისინი ამ პრობლემის გადაჭრის ორ გზას იძლეოდნენ:

1. მიღებული იქნეს „თავისუფალი კონკურენციის პოზიტიური პროგრამა“ (ასე უწოდა მას 1934 წელს **ჰენრი საიმონსი**),

რათა მივაღწიოთ ფასებისა და ხელფასის ისეთ მანევრირებას, რომელიც უზრუნველყოფს მათი შემცირების შესაძლებლობას. აგრეთვე შეიქმნას ისეთი საკრედიტო-ფულადი სისტემა, რომელიც მოახდენდა მომავალში დეფლაციური გავლენის შესაძლებლობათა მინიმიზაციას.

გასული საუკუნის 30-იანი წლების „დიდმა დეპრესიამ“ ჩაასვენა ფულის რაოდენობრივი თეორიის მზე, ამ თეორიას საბოლოო დარტყმა მიაყენა ჯ.მ. კეინსის წიგნმა „დასაქმების, სარგებლისა და ფულის საერთო თეორია“, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა.

ძველ რაოდენობრივ თეორიასა და თანამედროვე მონეტარისტულ თეორიას შორის ისტორიული ზღვარი დაუდო 1956 წელს მილტონ ფრიდმენის რედაქტორობით გამოცემულმა წიგნმა „Studies in the Quality Theory of Money“. ამ წიგნში შესულია ფულის მოთხოვნის შესახებ ოთხი ემპირიული გამოკვლევა.

მ. ფრიდმენმა თავის მონეტარისტულ თეორიას ფულზე, ანუ მოთხოვნის თეორიას უწოდა „ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორია“.

მ. ფრიდმენის მოსაზრებით „ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორია“ ეს არის ფულზე მოთხოვნის თეორია და არა თეორია, რომელიც იძლევა გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის, ფულადი შემოსავლების სიდიდის ან ფასების დონის განმარტებებს. ფულის რაოდენობრივი თეორია უძლურია რაიმე თქვას ზემოთ მოტანილი ცვლადების ფუნქციონირებაზე მანამ, სანამ არ მომხდარა ფულის მიწოდების პირობების კონკრეტული დაზუსტება, აგრეთვე სხვა ცვლადების დაზუსტება. „სხვა ცვლადებს“ მიეკუთვნება ფულის მიმოქცევის სიჩქარის ფუნქციის არგუმენტები, კერძოდ: 1. ფულის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები (მათი უხეში შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სარგებლის საბაზრო განაკვეთები, ხოლო მძლავრი ინფლაციის დროს – ინფლაციის ტემპები), 2. რეალური შემოსავლის საშუალო დონე ან მოსახლეობის 1 სულზე სიმდიდრე; 3. სხვა ცვლილებები, რომლებიც ფულის სარგებლიანობას გამოხატავენ. ბოლო ორი ცვლადი კითხვებს არ იწვევს. ფულის სარგებლიანობა ასე ექვემდებარება სწრაფ ცვალებადობას. მ. ფრიდმენი ამტკიცებდა, რომ პირადი შემოსავლის ცვლადად შეიძლება

ყველაზე მეტად გამოყენებული იქნეს „პარმენანტული“ შემოსავლის სიდიდე, რომლის ცვალებადობა დაკავშირებულია წარმოების გაფართოების ტრენდულ ტემპებთან, მაგრამ ის გარემოება, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთზე, ბადებს მთელ რიგ სერიოზულ კითხვებს. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ უახლესი თეორიის მომხრეები ეთანხმებიან კეინსელობის ძირითად დებულებებს? რა განსხვავებაა ამ მოდელსა და კეინსელობის მოდელს შორის?

ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორიის მთელი შინაარსი დაიყვანება ორ ძირითად დებულებაზე: 1. ფულის მიმოქცევის სიჩქარის ელასტიკურობა სარგებელთან საბოლოო სიდიდეა, ამიტომ ასეთი დამოკიდებულება მყარია; 2. სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება ეკონომიკის რეალურ სექტორში (ე.ი. საქონელთა ბაზარზე).

მონეტარიზმი ძველი რაოდენობრივი თეორიისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ამ კონცეფციის მომხრეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანებას, დახანებას. წარსულში ასეთი დაგვიანების შესაძლებლობას აღიარებდნენ ირვინგ ფიშერი და კლარკ უორბერტონი. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანების სრულყოფილი გაგება დაიწყო მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში მილტონ ფრიდმენის ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ.

მ. ფრიდმენი წინა 75-წლიანი სტატისტიკური მონაცემების ანალიზით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოქნილმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს წონასწორობის დარღვევა. ამიტომ გაცილებით უკეთესია განვახორციელოთ ფულადი მასის გაფართოების ტემპების სტაბილიზაციის ისეთი პოლიტიკა, რომელიც პროდუქციის მოცულობის მატების ტრენდული ტემპის ტოლი იქნება. მ. ფრიდმენი თვლის სასურველად წელიწადში ფულადი მასის მატების 4-პროცენტიან ტემპს. ამ დასკვნამდე ფრიდმენის მისვლა გამოიწვია იმ აქსიომატურმა გარემოებამ, რომ ეკონომისტებს შეუძლიათ საიმედოდ იწინასწარმეტყველონ სამეურნეო კონიუნქტურა არა უმეტეს ერთ წელზე მეტი პერიოდისათვის და არ შეუძლიათ

გაითვალისწინონ ფულად-საკრედიტო სფეროში მომხდარ ცვლილებათა შედეგების გამოვლინების დაგვიანება.

მ. ფრიდმენის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანების შესახებ ჩატარებული გამოკვლევა გახდა ორიგინალური დასკვნების გაკეთების საფუძველი: არ შეიძლება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მოქმედების განუსაზღვრელი თავისუფლების მინიჭება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანების ფრიდმენისეულმა დასკვნებმა მწვავე კრიტიკა გამოიწვია **ჯონ კალბერსტონის, ჯონ კარეკენისა და რობერტ სოლოუს** მხრიდან. აკრიტიკებდნენ რა მ. ფრიდმენის ზემოთ მოტანილ დებულებას, ამტკიცებდნენ, რომ მ. ფრიდმენი განსაკუთრებით პესიმისტურად აფასებს მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის სტაბილიზაციის შესაძლებლობას. მ. ფრიდმენის კრიტიკოსთა აზრით, მართალია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებების გამოვლენა ხარჯების მოძრაობაზე შეიძლება სრულად შეფასდეს ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, თუმცა შედეგთა მთლიან ჯაჭვში მისი ცალკეული რგოლები თავიანთ სახეს გამოავლენენ დროის სხვადასხვა პერიოდებში. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი შედეგი შეიძლება მიღებული იქნეს სწრაფად, ამასთან მთლიანი ეფექტი, რომელიც გამოწვეულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებებით, დროთა ვითარებაში გაძლიერდება და შესაბამისად, ეკონომიკის გარკვეულ სტაბილიზაციას უნდა ველოდოთ 6-9 თვის შემდეგ. ამაზე სწრაფად უპასუხა მ. ფრიდმენმა. ის ამტკიცებდა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში განხორციელებული ღონისძიებებით გამოწვეული სასურველი შედეგები რამდენიმე თვეში სავსებით არ ეწინააღმდეგება მის მიერ გაკეთებულ დასკვნებს. დაგვიანებით ასეთი პოლიტიკის არასასურველი შედეგების შეცნობა სამეურნეო ცხოვრებაში გამოიწვევს უფრო მწვავე დესტაბილიზაციას.

ამ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არ შეწყვეტილა და ლოგიკურადაც, ასე, მაგალითად, სენტ-ლუისის ფედერალური სარეზერვო ბანკის ეკონომისტები, მიუხედავად ამისა, ყოველთვის გამოდიოდნენ მონეტარიზმის დამცველთა როლში, თვლიან რა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში

ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება სამეურნეო ცხოვრების სტაბილიზაციაზე 80%-ით გავლენას ახდენს პირველი სამი კვარტლის მანძილზე.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შესრულებული ეკონომეტრიკული მოდელის ავტორები კი ამტკიცებენ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებათა ზემოქმედება ვლინდება შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ამიტომ, მათი აზრით, სწორია მ. ფრიდმენის მიერ შემოთავაზებული ფულადი მასის მატების მუდმივი ტემპისადმი მხარდაჭერა.

აქვე შეიძლება დავუმატოთ, რომ უარსაყოფი არც ფულის მიმოქცევის რეგულირების მნიშვნელობაა, მაგრამ ეკონომიკის სტაბილიზაციაზე სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე ფულად-საკრედიტო რეგულირება.

ისმის კითხვა: ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში რამდენად დიდია ფულის მნიშვნელობა? ფულის მნიშვნელოვანი როლის შესახებ მონეტარისტთა მიღწევები მილტონ ფრიდმენს უნდა უმადლოდეს. მისმა გამოკვლევამ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანების შესახებ გვიჩვენა, რომ ფულადი მასის დინამიკაში უმაღლესი და უდაბლესი წერტილები უცილობლად წინ უსწრებს ეკონომიკური ციკლის უმაღლეს და უდაბლეს წერტილებს.

ეკონომიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს 1963 წელს გამოცემული ანა დ. შვარცთან თანაავტორობით დაწერილი წიგნი „A Monetary Nhistory of the United States. 1867-1960“ ამ წიგნში ფრიდმენი და შვარცი ნათლად ასაბუთებენ, რომ აშშ-ში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების რყევადობა დამაჯერებლად შეიძლება ახსნილი იქნეს მონეტარისტული თეორიის საფუძველზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნის მე-7 თავი, რომელიც ეძღვნება „უდიდეს დეპრესიას“. საქმე იმაშია, რომ სწორედ მაშინ, დეპრესიის პროცესში გამოვლინდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაეფექტიანობა. ამასთან, მნიშვნელოვნად ასუსტებს ფულის რაოდენობრივი თეორიისადმი ნდობას.

მ. ფრიდმენმა მეორე მონოგრაფიაში „The Relative Stability of the Monetary Velocity and jnvest ment Multiplier in the United

States, 1897-1958", რომელიც დაწერილია 1963 წელს დავით მაიზელმანთან თანაავტორობით წარმოადგინა სულ სხვა დასაბუთება თეზისისა მასზე, რომ ფული ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს.

მ. ფრიდმენმა და დ. მაიზალმანმა ახლებური ინტერპრეტაციით ჩამოაყალიბეს საკითხი მასზე, რომ ერთობლივი ხარჯების მოცულობა (უფრო სწორად მოხმარებაზე გაწეული ხარჯების მთლიანი ჯამი), როგორც კეინსელები ასაბუთებდნენ, „ავტონომიურ" ხარჯებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მათ გამოიყენეს რა 1897 წლიდან 1958 წლამდე არსებული მონაცემები, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ გამოვთიშავთ „დიდი დეპრესიის" პერიოდს, მაშინ ყოველთვის მოხმარებასა და ფულის რაოდენობას შორის კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე მოხმარებასა და „ავტონომიურ" ხარჯებს შორის. მათი ეს დებულება მხარს უჭერს ფულის რაოდენობრივ თეორიას.

მ. ფრიდმენმა 60-70 წლების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მონეტარისტული მიდგომები ჩამოაყალიბა აგრეთვე „ფულად-საკრედიტო სისტემის ანალიზის თეორიული საფუძვლების", შესახებ სტატიებში, რომლებიც 1970-1971 წლებში პერიოდულად ქვეყნდებოდა.

თავი V
საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ურთიერთობები მის წევრ-ქვეყნებთან

V.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ფორმირება, მიზნები და ამოცანები

როგორც წინა თავებში აღინიშნა, მე-2 მსოფლიო ომმა და ეკონომიკურმა გლობალიზაციამ მოითხოვა მსოფლიოს რეგიონებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობა.

საერთაშორისო ორგანიზაციები საკუთარი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, სერიოზულ საქმიანობას ეწევიან მსოფლიო ეკონომიკის აღორძინებისა და იმ პრობლემების აღმოფხვრის საქმეში, რომლებიც უკან სწევენ მსოფლიო პროგრესს.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებიდან საკაცობრიო ფუნქციებს ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) შექმნას საფუძველი ჩაუყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიმართული იყო ახალი, უფრო სტაბილური საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ასაშენებლად. სსფ-მა დაარსებიდან 60 წლის მანძილზე ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა მსოფლიო ეკონომიკის ასაღორძინებლად. როდესაც 1944 წლის ივლისში ბრეტონ-ვუდსში (აშშ-ის ნიუ-ჰემპშირის შტატი) შეიკრიბა 44 ქვეყნის დელეგაცია, რომ შეექმნათ ორგანიზაციები, რომლებიც მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ დაარეგულირებდნენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს და არ გაიმეორებდნენ პარიზის მსოფლიო კონფერენციის შეცდომებს, რომელმაც საბოლოო წერტილი დაუსვა პირველ მსოფლიო ომს.

რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნა განპირობებული იყო ეკონომიკური აქტივობის აღდგენი-

სათვის დახმარების გაწევით, ხოლო სავალუტო ფონდს ხელი უნდა შეეწყო ვალუტათა კონვერტირებადობისა და მრავალმხრივი ვაჭრობის აღდგენისთვის.

სსფ-ის შტაბ-ბინა მოთავსებულია ვაშინგტონში. მასში გაერთიანებულია მსოფლიოს 184 წევრი-სახელმწიფო.

სსფ წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური სისტემის ცენტრალურ დაწესებულებას.

იგი არის საერთაშორისო გადასახდელებისა და ეროვნულ ვალუტათა კურსების სისტემა, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებს ნებას აძლევს ერთმანეთს შორის აწარმოონ ეკონომიკური ოპერაციები.

სსფ მიზნად ისახავს ამ სისტემას ააცილოს კრიზისული მოვლენები წევრი-ქვეყნების დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის შექმნაში ხელის შეწყობის გზით.

სსფ წევრ-ქვეყნებს აძლევს სესხებს საგადასახდელო ბალანსის პრობლემების დასაძლევად, სტაბილიზაციისა და რეფორმების პოლიტიკის გადასაჭრელად.

მაგალითად, 1997-1998 წლებში აზიური ფინანსური კრიზისის დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადამჭრელი ღონისძიებები გაატარა და სერიოზული დახმარება გაუწია კორეას რეზერვების განმტკიცებაში. სსფ-მა აიღო ვალდებულება და კორეას გაუფორმა 21 მილიარდი აშშ დოლარის სესხი ეკონომიკის რეფორმების, საფინანსო და კორპორაციული სექტორის რესტრუქტურიზაციისა და ეკონომიკური დაცემის დასაძლევად.

სსფ-მა 2000 წლის ოქტომბერში დაამტკიცა კენიაზე გასაცემი დამატებითი კრედიტი 52 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით გვალვისა და სიღატაკის დასაძლევად.

სსფ წევრი-ქვეყნების მთავრობებსა და ცენტრალურ ბანკებს უწევს ტექნიკურ დახმარებას და თავის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციას უკეთებს კადრების მომზადებას. მაგალითად, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ სსფ-მა გამოიჩინა ინიციატივა და ბალტიის ქვეყნებს, რუსეთს და სხვა ქვეყნებს დაეხმარა ცენტრალურ ბანკებში სახაზინო სისტემის ორგანიზაციის საქმეში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ძირითადი ობიექტია: მაკროეკონომიკური პოლიტიკა და პოლიტიკა ფინანსური სექტორის სფეროში.

სსფ წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზედამხედველობის განხორციელებისას ძირითადად იხილავს მთლიანობაში ეკონომიკის შედეგებს, რომელიც ცნობილია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სახით. მასში შედის: ხარჯებისა და გამოშვებული პროდუქციის მთლიანი მოცულობა, დასაქმება და ინფლაცია, აგრეთვე ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი.

სსფ-ს მთელი ყურადღება გადატანილი აქვს ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე, ე.ი. პოლიტიკაზე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან, საპროცენტო განაკვეთების, ფულად-საკრედიტო და გაცვლითი კურსის რეგულირებასთან. ამასთან, სსფ სერიოზულ ყურადღებას აქცევს ფინანსურ სექტორს, საბანკო სისტემის რეგულირებასთან ერთად.

სსფ სათანადო ყურადღებას ანიჭებს სტრუქტურული პოლიტიკის ღონისძიებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობაში გამოკვეთილი პრიორიტეტებია:

- არაინფლაციური ეკონომიკური ზრდა;
- საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობა;
- მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზნებია:

- საფინანსო და სავალუტო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე ხელშეწყობა კონსულტაციისა და ერთობლივად მუშაობის მექანიზმის ფორმირების გზით;
- დაბალანსებული საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პროცესზე ხელშეწყობა დასაქმების მაღალი დონისა და რეალური შემოსავლების მიღწევის გზით;
- ვალუტების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით დახმარების გაწევა;

- წევრ-ქვეყნებს შორის მიმდინარე ოპერაციებში მრავალმხრივი საანგარიშსწორებო სისტემის შესაქმნელად დახმარების აღმოჩენა;
- წევრი-ქვეყნების საერთო რესურსების ფონდის ანგარიშიდან დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა;
- ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად უნდა შემცირდეს საგადასახდელო ბალანსების წონასწორობის დარღვევის ფაქტები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი აწარმოებს სესხების გაცემას მის წევრ-ქვეყნებზე მათი საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხების დაფინანსება ძირითადად წარმოებს ფონდის ჩვეულებრივი რესურსების ანგარიშზე, გამონაკლის შემთხვევაში – ნასესხები სახსრებით.

ფონდის ძირითადი ფინანსური რესურსები იქმნება წევრი-ქვეყნების შენატანებისაგან.

როგორც წესი, კვოტები მთლიანობაში გამოხატავს სსფ-ის წევრი-ქვეყნის შეფარდებით წილს მსოფლიო ეკონომიკაში: რაც დიდია ქვეყნის ეკონომიკა პროდუქციის წარმოების მოცულობით და რაც უფრო დიდია საგარეო ვაჭრობაში მისი წილი, მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის კვოტა. აშშ, რომლის წილი მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებით დიდია, მას სსფ-ში შეაქვს ყველაზე მეტი საწევრო შენატანი – მთელი კვოტების მოცულობის 17.5%.

მსოფლიოში ყველაზე პატარა ეკონომიკის მქონე პალაუს სახელმწიფოს სსფ-ში შეაქვს 0.001%.

1999 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა კვოტების მეთერთმეტე გადასინჯვის ახალი სისტემა, რომლის ძალითაც სსფ-ის კვოტების მოცულობა 1990 წლის შემდეგ პირველად გაიზარდა 45%-ით, ანუ 212 მილიარდით, რაც დაახლოებით 300 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობისაა.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის თითოეულ წევრ-ქვეყანას გააჩნია ნასესხობის სპეციალურ უფლებებში გამოხატული კვოტა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამ ქვეყნის ფონდთან

ურთიერთობაში. სახელდობრ, კვოტა განსაზღვრავს ფონდის წევრი-ქვეყნის შენატანების სიდიდეს, ხმების რაოდენობას, ფონდის სახსრებით დაკრედიტების უფლებას, ე.ი. ფონდის ფინანსურ რესურსებთან დაშვებას და ნასესხობის სპეციალური უფლებების განაწილებაში მის წილს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების საფუძველზე კვოტას 75% გადახდილი უნდა იქნეს ფონდის წევრი-ქვეყნის ვალუტით, ხოლო 25% – სარეზერვო აქტივების სახით (ნასესხობის სპეციალური უფლებებით ან სარეზერვო ვალუტით, ისეთით, როგორიცაა აშშ-ის დოლარი, იაპონიის იენა). კვოტები განსაზღვრავს არა მარტო წევრ-სახელმწიფოთა შენატანებს, არამედ მისი ხმების რაოდენობას, დაფინანსების თანხას, რომელიც შეუძლია მიიღოს სსფ-დან, აგრეთვე ნასესხობის სპეციალური უფლებების წილს მისი განაწილებისას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი-ქვეყნის კვოტას საწყისი სიდიდის განსაზღვრა წარმოებს ამ ქვეყნის მაკროეკონომიკური მონაცემებით, სპეციალურად ამ მიზნისთვის დადგენილი ფორმულების საფუძველზე. ეს ფორმულებია:

1. ბრეტონ ვუდსის ზოგადი ფორმულა:

$Q=(0.01v+0.025R+0.05P+0.2276vc \times (1+c/v)$.

ამ ფორმულის გარდაქმნილი ფორმებია:

$Q=(0.0065v+0.205125R+0.078P+0.4052vc \times (1+c/v)$;

$Q=(0.0045v+0.389668R+0.07P+0.76976vc \times (1+c/v)$;

$Q=0.005v+0.042280464R+0.044(P+C)+0.8352vc$;

$Q=0.0045v+0.05281008R+0.039(P+C)+1.0432vc$.

სადაც:

Q – კვოტა;

v – მთლიანი ეროვნული პროდუქტი;

R – რეზერვების საშუალო თვიური დონე;

P – მიმდინარე გადასახდელების საშუალო წლიური თანხა;

c – მიმდინარე შემოსულობათა საშუალო-წლიური თანხა;

vc – მიმდინარე შემოსულობათა ცვლილებები, რომლებიც განისაზღვრება როგორც სტანდარტული გადახრა 5-წლიანი მცოცავი საშუალო სიდიდით.

კვოტის პირველი გაანგარიშებისთვის რამდენიმე ფორმულის გამოყენება გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნის კვოტების გამოთვლის მანევრირებისათვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აპარატი მიღებულ შედეგებს უდარებს ფონდის სხვა წევრი-ქვეყნების შესაბამის მონაცემებს (მსგავსი სიდიდის ქვეყნების მონაცემებს) და იძლევა მისაყენებელი კვოტას რეკომენდაციას, რომელსაც იხილავს ფონდის აღმასრულებელი კომიტეტის საბჭო. მომავალ წევრ-ქვეყანასთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ რეკომენდაცია განიხილება აღმასრულებელი საბჭოს სრული შემადგენლობის მიერ და ბოლოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭოს ეგზავნება რეზოლუცია განსახილველი ქვეყნის სავალუტო ფონდში წევრობის შესახებ, საყურადღებოა, რომ ხუთ წელიწადში 1-ჯერ წარმოებს კვოტების ყოველმხრივი გადასინჯვა.

სსფ-ის 10 წევრი-ქვეყნის ხმების რაოდენობა და მათი კვოტები (%)

№	ქვეყნები	ხმების რაოდენობა	კვოტები (%)
1	აშშ	371743	17.14
2	იაპონია	133378	6.15
3	გერმანია	130332	6.01
4	საფრანგეთი	107635	4.96
5	დიდი ბრიტანეთი	107635	4.96
6	იტალია	70777	3.26
7	საუდის არაბეთი	70105	3.23
8	კანადა	63945	2.95
9	ჩინეთი	63942	2.95
10	რუსეთი	59704	2.75

წყარო: www.IMF.ORG/IMFSURVEY

საერთაშორისო სავალუტო ფონდი 1962 წლიდან თავის ჩვეულებრივ რესურსებს პერიოდულად ავსებს ნასესხები სახსრებით. იმის გამო, რომ კვოტებით შექმნილი სახსრები

ყოველთვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული[1], თანაც სსფ-ის წევრი-ქვეყნების დაშვება სხვადასხვა საკრედიტო მექანიზმებთან სულ უფრო თავისუფალი ხდება. სწორედ ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ლიკვიდობა პერიოდულად განიცდის სიძნელეებს.[2] უფრო მეტიც, ფონდს საჭიროდ მიაჩნია ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შეწონასწორების დროებით დარღვევისას დამატებითი მოცულობის კრედიტზე მოთხოვნა განხილული იქნეს, როგორც დროებითი და პრობლემის დაფინანსება მოხდეს დროებითი სესხის ანგარიშზე და არა ფონდის მოცულობის მუდმივი გადიდების გზით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში სესხების მიღების გაკონტროლება წარმოებს პერიოდული მიმოხილვების გზით, რომლებსაც აღმასრულებელი საბჭო ადგენს. არსებული წესების შესაბამისად, დაუფარავი სესხებისა და გამოუყენებელი კრედიტის საერთო თანხამ არ უნდა გადამეტოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტების საერთო თანხის 50-60%-ს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს პროცენტი ფაქტობრივად არასოდეს არ აღემატება 18-20%-ს, რაც განპირობებულია ამ მიზნით აკუმულირებული თანხების მაღალი ლიკვიდობით, რის გამოც სსფ-ის მიერ დროებითი სესხების გაცემის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ამ თანხების გამოყენების შესაძლებლობა აყვანილია კრედიტორების საერთაშორისო რეზერვების დონემდე.

---

[1] **საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩვეულებრივი სახსრები**, რომლებიც ყოველთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს, ინახება საერთო რესურსების ანგარიშზე გამოსაყენებელ ვალუტებსა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებში. **გამოსაყენებელ ვალუტად** იწოდება ის ვალუტა, რომელიც ჩართულია ფონდის საოპერაციო ბიუჯეტში. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ყოველკვარტალურად ადგენს საოპერაციო ბიუჯეტს, იმ თანხების ჩვენებით, რომლის გამოყენება შეიძლება და რომელიც გამოხატულია კონკრეტულ ვალუტასა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებში. ვალუტა გამოიყენება იმ წევრი-სახელმწიფოების მიერ, რომელსაც დადებითი საგადასახდელო ბალანსი და ძლიერი სარეზერვო პოზიცია გააჩნიათ.

[2] ფონდის ლიკვიდობა წარმოადგენს შეფარდებას სსფ-ის ყოველთვის გამოსაყენებელ ლიკვიდურ აქტივებსა და სსფ-ის ლიკვიდურ ვალდებულებებს შორის.

V.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარების ფორმები და დაფინანსების მექანიზმი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის წევრ-ქვეყნებს ფინანსურ დახმარებას უწევს დაფინანსების პოლიტიკისა და მექანიზმების სხვადასხვა ღონისძიებათა ფორმით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან საგადასახდელო ბალანსის პრობლემათა ძირითადი ტიპებით, რომელთა სალიკვიდაციოდაც არიან ისინი გამიზნული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საერთო რესურსებისა და სპეციალური ანაზღაურების ანგარიშებიდან ფინანსურ დახმარებას გასცემს წევრი-ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის სფეროში საერთო ამოცანების გადასაწყვეტად; აგრეთვე მუდმივი დაფინანსების მექანიზმების ფარგლებში კონკრეტული მიზნებისათვის (გაუთვალისწინებელი შემთხვევების საკომპენსაციო დაფინანსების მექანიზმები და ბუფერული მარაგებისა და გაფართოებული დაფინანსების მექანიზმები) და დროებითი მექანიზმის სახით („ნავთობის კრედიტის მექანიზმები", დამატებითი დაფინანსების მექანიზმი).

დამატებითი დაფინანსების მექანიზმი შეიქმნა 1979 წლის თებერვალში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის წევრ-ქვეყნებს თავდაპირველად ეხმარება მხოლოდ ე.წ. ტრანშის პოლიტიკის საფუძველზე. სსფ სხვა სახის დახმარების მოქნილ პოლიტიკას მაშინ მიმართავს, როცა წევრი-ქვეყნების ფინანსური მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მის წევრ-ქვეყნებზე დახმარების მუდმივი მექანიზმის წყაროა ფონდის ჩვეულებრივი სახსრები, ხოლო დროებითი დახმარების წყაროს წარმოადგენს ნასესხები ფულადი საშუალებები.

როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი-ქვეყანა იყენებს ფონდის სახსრებს, იგი საკუთარი ვალუტით ყიდულობს სხვა წევრი-ქვეყნების ვალუტას ან ნასესხობის სპეციალურ უფლებებს, რომელიც სსფ-ის საერთო რესურსების

ანგარიშზე ირიცხება. ამრიგად, სსფ-ის ფონდიდან მიღებული დახმარებით იზრდება წევრი-ქვეყნის ვალუტის რეზერვი ფონდში და, შესაბამისად, მცირდება ფონდის აქტივების მოცულობა სხვა კონვერტირებად ვალუტებსა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მისი ძირითადი საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად წევრ-ქვეყნებს აძლევს სესხებს ოთხი ტრანშის სახით, რომელიც საპროცენტო კვოტას 25%-ის ტოლია. საკრედიტო ტრანშების შესყიდვა სსფ-ის წევრი-ქვეყნის მიერ ხორციელდება ეკონომიკურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, საგადასახდელო ბალანსის სფეროში ფინანსური სიძნელეების აღმოსაფხვრელად.

საყურადღებოა, რომ პირველი და სხვა მომდევნო საკრედიტო ტრანშების მეშვეობით დასაფინანსებელი ღონისძიებები გამოირჩევიან პრობლემათა სირთულით, ე.ი. ისინი მიმართულია უფრო სერიოზული პრობლემების გადასაწყვეტად.

სსფ-ის წევრ-ქვეყანას შეუძლია ფონდში პირველი საკრედიტო ტრანშის ანგარიშზე დაუყონებლივ შეისყიდოს კონვერტირებული ვალუტა ან ნასესხობის სპეციალური უფლებები, მაგრამ ჩვეულებრივად მათი შესყიდვა ხორციელდება სარეზერვო ან გაფართოებული კრედიტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომლებიც ატარებენ საკრედიტო ხაზის ხასიათს, როცა წევრ-ქვეყანას ეძლევა იმის გარანტია, რომ მას შეუძლია საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტით სარგებლობა, დაწესებულ საზღვრებში და წინასწარ დათქმულ დროში იმ პირობით, რომ იგი სრულად დაიცავს მიღწეული შეთანხმების დებულებებს. კრედიტის შესახებ ასეთ შეთანხმებას „სტენდ-ბაი“ ეწოდება, რომელიც, როგორც წესი, იდება ერთი წლიდან წელიწადნახევრამდე ვადით, ხოლო გაფართოებულ კრედიტზე შეთანხმება 3 წლის ვადით[1].

ჩვეულებრივად წევრი-ქვეყნების მიერ საკუთარი ვალუტის გამოსყიდვა, რომელიც სსფ-მა შეიძინა კრედიტის შესახებ

---

[1] საერთაშირისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ურთიერთობები ვრცლად განხილულია V.3 ქვეთავში „საერთაშორისო სავალუტო ფონდის ევოლუციის ძირითადი ეტაპები“ (ავტორები).

„სტენდ-ბაი“ შეთანხმების ფარგლებში, წარმოებს რვა ყოველკვარტალური გადასახდელის სახით, რომლებიც იწყება სესხის მიღებიდან 3 წლისა და 3 თვის შემდეგ და, შესაბამისად, მთავრდება კრედიტის მიღების შემდეგ 5 წელიწადში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრაქტიკაში 1974 წლის სექტემბრიდან შემოღებული იქნა მისი წევრი-ქვეყნების გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მათი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უფრო დიდი მასშტაბით დაკრედიტებას საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის დარღვევის აღსაკვეთად, თუ ის გამოწვეულია წარმოების სტრუქტურული დაუბალანსებლობით.

ხანგრძლივი ვადით კრედიტის მისაღებად საჭიროა წევრ-ქვეყანამ სსფ-ს წარუდგინოს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, სადაც პირველი 12 თვისათვის აუცილებელია გათვალისწინებული ღონისძიებების დეტალური პროგრამის წარდგენა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი 1989 წლიდან განსაკუთრებულ როლს თამაშობს დავალიანებათა შესამცირებლად ღონისძიებათა შემუშავებაში. თავის წევრ-ქვეყნებს სსფ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში კონსულტაციასთან ერთად ფინანსურ დახმარებასაც უწევს. სსფ-ის მხრივ დავალიანებათა შესამცირებელი ღონისძიებების განხორციელებაში დახმარება განპირობებულია იმით, რომ ქვეყანას გააჩნია გარდაქმნის საშუალოვადიანი პროგრამა, რომელშიც დომინირებს სტრუქტურული რეფორმები, რომელიც მიღებულია საკრედიტო შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებით, ე.წ. „სტენდ-ბაით“.

სსფ-ში 1986 წლის მარტში შემოღებული იქნა კრედიტის გაცემის ახალი მექანიზმი იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთაც შემოსავლების დაბალი დონე გააჩნიათ. ასეთი შეღავათიანი სესხები გაიცემა საგადასახდელო ბალანსის სფეროში. ამ მექანიზმით სარგებლობის უფლება მოპოვებული აქვს 62 ქვეყანას, რომელთაც გააჩნიათ საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები ხანგრძლივი პერიოდისათვის. ასეთ ქვეყნებს შეუძლიათ 3 წლის მანძილზე მიიღონ სესხები სსფ-ში მათი კვოტას 50%-ის ოდენობით. პირველ წელს ეძლევა კვოტას 15%-ის ოდენობით, მეორე წელს – 20% და მესამე წელს – 15%.

ამრიგად, სსფ-ის ფულადი საშუალებები – წევრი-ქვეყნების ვალუტებისა და SDR თანხა, რომლებიც იქმნება საწევროებითა და სესხებით, ფონდის მიერ წევრი-ქვეყნებისთვის გასაცემი სესხების დაფინანსების წყაროდ გამოიყენება.

ასეთი სახსრები თავს იყრის სსფ-ის საერთო რესურსების ანგარიშზე. ამ ანგარიშიდან წარმოებს ფონდის ფინანსური ოპერაციებიც. ამ უკანასკნელის მიზანია წევრ-ქვეყნებს გაუწიოს დროებითი ფინანსური დახმარება საგადასახდელო ბალანსის სფეროში სიძნელეების გადასალახავად.

სსფ-ის ოფიციალური ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ წევრი-ქვეყნების ცენტრალურ ორგანოებთან – ხაზინასთან, ცენტრალურ ბანკთან, ვალუტის სტაბილიზაციის ფონდთან.

სსფ-ის ფინანსურ რესურსებთან წევრი-ქვეყნების დაშვების რეგულირების წესი ყველასათვის ერთნაირია. წევრი-ქვეყანა, რომელსაც ესაჭიროება უცხოური ვალუტა მიმდინარე ოპერაციების გადასახდელად, მოვალეა სსფ-ს წარუდგინოს მოთხოვნა ფინანსურ სახსრებზე და საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ლიკვიდური რეზერვების მძიმე მდგომარეობის დამადასტურებელი მასალები. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ქვეყანა ღებულობს, ან ყიდულობს მისთვის საჭირო ვალუტას ან SDR-ს საკუთარი ეროვნული ვალუტით.

ამ ოპერაციით სსფ ზრდის წევრი-ქვეყნის ეროვნული ვალუტის მარაგს და ამცირებს სარეზერვო ვალუტათა მარაგს.

რას წარმოადგენს ნასესხობის სპეციალური უფლებები, როგორც აღვნიშნეთ (ნსუ-SDR)?

ნსუ არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივი, რომელიც სსფ-ის მიერ შემოღებული იქნა 1969 წელს მისი წევრ-ქვეყნების მიერ გამოთქმული შიშის გამო, რომ არსებული საერთაშორისო რეზერვები და მათი პოტენციური ზრდა შეიძლება საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის უზრუნველსაყოფად არასაკმარისი აღმოჩნდეს. იმ დროისთვის ძირითად სარეზერვო აქტივებს წარმოადგენდა ოქრო და აშშ დოლარები, ამიტომ სსფ-ის წევრ-ქვეყნებს არ ჰქონდათ სურვილი საერთაშორისო რეზერვები დაკავშირებული ყოფილიყო ოქროს მოპოვებაზე, რომლისთვისაც ობიექტურად დამახასიათებელია გაურკვევლობა.

ამას ისიც ემატებოდა, რომ აშშ-ის საგადასახდელო ბალანსს გააჩნდა ქრონიკული დეფიციტი, რის გამოც იგი არ გამოდგებოდა დოლარებში რეზერვების შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად.

ნსუ შემოღებული იქნა დამატებით სარეზერვო აქტივის სახით, რომელიც სსფ-ს შეეძლო პერიოდულად „გაენაწილებია" თავისი წევრ-ქვეყნებს შორის მასზე მოთხოვნილების წარმოქმნის შემთხვევაში, ხოლო აუცილებლობის პირობებში შეეძლო მისი გაუქმება.

ნსუ-ს ხშირად „ქაღალდის ოქროს" უწოდებენ, მიუხედავად ამისა, მას არ გააჩნია ფიზიკური ფორმა და იგი ნაწილდება წევრ-ქვეყნებს შორის (ბუღალტრული ჩანაწერების სახით) მათ კვოტებთან განსაზღვრული პროცენტული შეფარდებით. დღეისათვის სსფ-მა მის წევრ-ქვეყნებს შორის გაანაწილა 21.4 მილიარდი ნსუ ანუ 32 მილირადი აშშ დოლარი.

სსფ-ის წევრ-ქვეყნები ნსუ-ს იყენებენ ერთმანეთს შორის განსახორციელებელ ოპერაციებში. ამასთან, იგი წარმოადგენს სსფ-ის საანგარიშსწორებო ერთეულს.

ნსუ-ს ღირებულების დაწესება ყოველწლიურად მიმდინარეობს ოთხი ვალუტის – ევროს, იენის, გირვანქა სტერლინგისა და დოლარისაგან შედგენილი კალათის გამოყენებით.

2004 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ნსუ ტოლი იყო 1.48 აშშ-ის დოლარის.

უფრო კონკრეტულად განვიხილოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ კრედიტის მიცემა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სიძნელეებს განიცდიან.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი გასცემს კრედიტს (მყარი უცხოური ვალუტით) იმ წევრ-სახელმწიფოებზე, რომლებსაც გააჩნიათ საგადასახდელო ბალანის პრობლემები.

სსფ-ის სესხები აადვილებს სტაბილიზაციის პროცესს და საგადასახდელო ბალანსის პრობლემების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები შემოსავლებთან შესაბამისობაში მოჰყავს. ამასთან, სსფ იძლევა სესხებს ეკონომიკური პოლიტიკის, მათ შორის

რეფორმებისათვის მხარდასაჭერად და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

წევრი-ქვეყანა, როდესაც სსფ-ის მიმართავს ფინანსური დახმარებისათვის, მას უნდა გააჩნდეს შემდეგი სახის პრობლემები: განიცდის ეკონომიკურ კრიზისს, ან ახლოსაა ამ კრიზისთან, სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტა განიცდის სპეკულაციურ შემოტევას, საერთაშორისო რეზერვები ამოწურულია, ეკონომიკური აქტივობა ეცემა, იზრდება გაკოტრებულთა რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის საგარეო გადასახდელთა ბალანსისა და მყარი ეკონომიკური ზრდის აღსადგენად პირობების შექმნა მოითხოვს ეკონომიკურ სტაბილიზაციასა და ოფიციალურ ან კერძო დაფინანსებას შორის განსაზღვრულ შეთანწყობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წევრი-ქვეყნების ხელისუფალთ აძლევს რეკომენდაციებს არსებული პრობლემების უფრო ეფექტიანად გადაწყვეტისთვის. თავის მხრივ, სსფ-ის წევრი-ქვეყანა შეიმუშავებს ღონისძიებათა პროგრამა-პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საგარეო ანგარიშსწორების, ფულად-საკრედიტო და ფინანსური სტაბილიზაციისა და მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წევრ-ქვეყნებზე გასცემს სესხებს სხვადასხვა წესების ან „მექანიზმების" ჩარჩოებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფინანსების უდიდესი ნაწილი გაიცემა დაკრედიტების პოლიტიკის სხვადასხვა ტიპის მეშვეობით. ესენია:

1. „სტენდ-ბაის" კრედიტის შესახებ შეთანხმება;
2. სსფ-ის გაფართოებული დაკრედიტების მექანიზმი;
3. სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდისადმი მხარდაჭერის მიზნით გაცემული დაფინანსების მექანიზმი;
4. დამატებითი რეზერვების დაფინანსების მექანიზმი;
5. საგანგებო დახმარება.

„სტენდ-ბაის" კრედიტის შესახებ შეთანხმება. სსფ-ის მხარდაჭერა „სტენდ-ბაის" კრედიტზე წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაკრედიტების პოლიტიკის საფუძველს. ამ სახის კრედიტზე შეთანხმება წევრ-სახელმწიფოს გარანტირებულს ხდის, რომ იგი მიიღებს ამ სახის სესხს,

ჩვეულებრივ 12-18 თვის განმავლობაში საგადასახდელო ბალანსის მოკლევადიანი პრობლემების მოსაგვარებლად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული დაკრედიტების მექანიზმი გათვალისწინებულია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სიძნელეებს განიცდიან საგადასახდელო ბალანსის დაფინანსებაში.

აღნიშნული კრედიტის მისაღებად აუცილებელია ქვეყანამ შეიმუშაოს სტრუქტურული პოლიტიკის ღონისძიებები, განსაკუთრებით საგადასახადო სისტემისა და საფინანსო სექტორის რეფორმების მიმართულებით, რომელიც გამიზნული იქნება ეკონომიკის ფუნციონირების გაუმჯობესების, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სრულყოფის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1970 წლის ბოლოს დაიწყო უღარიბესი ქვეყნებისადმი ფინანსური დახმარების გაწევა.

დამატებითი რეზერვების დაფინანების მექანიზმი გათვალისწინებულია იმ წევრი-ქვეყნებისათვის, რომლებიც საგანგაშო სიძნელეებს განიცდიან საგადასახდელო ბალანსის მოწესრიგების საქმეში. ეს სესხი მოკლევადიანია და ხელს შეუწყობს ბაზარზე დესტაბილიზაციისა და უნდობლობის აღმოფხვრას.

რაც შეეხება საგანგებო დახმარების მექანიზმს, ეს დახმარების ისეთი ფორმაა, რომელიც გამიზნულია სტიქიური უბედურებებით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად.

სსფ-ის წევრი ქვეყნები, რომლებიც სარგებლობენ ფონდის კრედიტით, იხდიან პროცენტებს ბაზარზე ჩამოყალიბებული განაკვეთების შესაბამისად.

ის ქვეყნები, რომლებიც იყენებენ სიღარიბესთან დაკავშირებულ სესხებს, იხდიან პროცენტს შეღავათიანი ფიქსირებული განაკვეთით წლიურ 0.5%-ს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განზრახვათა შორის საყურადღებოა ის, რომ მსესხებელ-სახელმწიფოებმა, პირველ რიგში, სსფ-სგან აღებული სესხები უნდა დაფარონ. სახელმწიფო-მსესხებელი მოვალეა დააბრუნოს სსფ-ის კრედიტი დაწესებული გრაფიკის მიხედვით, რომ ეს სახსრები გამოყენებული იქნეს სხვა ქვეყნების მიერ საგადასახდელო ბალანსის დასაფინანსებლად.

სსფ-მა დააწესა ვადაგადაცილებული დავალიანების აღკვეთის წესები. ამასთან, არსებით ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სსფ გამოცხადებული იქნა პრივილეგირებულ კრედიტორად.

სსფ-ის რესურსების გამოყენებაში წესრიგის დამყარების მიზნით მან 2000 წლის მარტში მოითხოვა წევრი-ქვეყნების ცენტრალური ბანკების მხრიდან შიდა კონტროლის, ფინანსური ანგარიშებისა და აუდიტის მექანიზმის პროცედურის გამკაცრება.

V.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ევოლუციის ძირითადი ეტაპები

1952 წელს შემოღებული იქნა „სტენდ-ბაის" კრედიტის შესახებ შეთანხმება. ამ მექანიზმით პირველი კრედიტი ბელგიამ გამოიყენა (50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით). ტერმინი „სტენდ-ბაი" ნიშნავს იმას, რომ წევრი-სახელმწიფოს წაყენებული პირობების შესრულებისას უფლება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს გამოყოფილი სახსრები. წევრი-ქვეყნები ხშირად იყენებენ ამ უფლებას.

სსფ-მა 1963 წელს დააწესა საკომპენსაციო დაფინანსება იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც მნიშვნელოვან საქონელს აწარმოებენ, მაგრამ მისი ფასები ეცემა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ენერგეტიკული კრიზისის დროს, როდესაც ნავთობზე ფასები 4-ჯერ გაიზარდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებში ხელი შეუწყო ვალუტის პროფიციტის ბრუნვაში დაბრუნებას **ნავთობის დროებითი** მექანიზმის საშუალებით. სსფ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნებიდან ღებულობდა სესხს და აძლევდა კრედიტს ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებს, რათა ამ უკანასკნელთ დაეფინანსებინათ ნავთობის ყიდვასთან წარმოშობილი დეფიციტი.

როგორც აღინიშნა, 1974 წელს შეიქმნა სსფ-ის **გაფართოებული დაკრედიტების მექანიზმი**, რათა საშუალოვადიანი დახმარება გაეწია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც საგადასახდელო ბალანსის პრობლემებს განიცდიდნენ.

სსფ-მა გასული საუკუნის 80-იან წლებში, სერიოზული ფინანსური დახმარება გაუწია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს სავალო კრიზისის დაძლევის საქმეში.

1989 წლიდან სსფ-მა მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებიც ცენტრალიზებულ-გეგმიანი მეურნეობრიობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადადიოდნენ. სსფ-მა 1993 წელს შემოიღო დამატებითი დაფინანსების მექანიზმი სისტემური გარდაქმნების უზრუნველსაყოფად.

1994-1995 წლებში მექსიკის უმძიმესი ფინანსური კრიზისისაგან თავის დაღწევის მიზნით სსფ-ის მიერ გაიცა სესხი 17.8 მილირადი აშშ დოლარის მოცულობით.

1997-1998 წლების აზიის ფინანსური კრიზისის დასაძლევად სსფ-ის მიერ გაიცა 36 მილიარდი დოლარის სესხი (ინდონეზიას, კორეას, ტაილანდს).

სსფ 2004 წელს აწესებს **სავაჭრო ინტეგრაციის მექანიზმს** პატარა განვითარებადი ქვეყნებისათვის ვაჭრობის ლიბერალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების შერბილების მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავის წევრ-ქვეყნებს მნიშვნელოვან ტექნიკურ დახმარებას უწევს შემდეგ სფეროებში:

1. ფულად-საკრედიტო და საფინანსო სექტორების განმტკიცებას საბანკო სისტემების რეგულირების, მათი ზედამხედველობისა და რესტრუქტურიზაციის, სავალუტო საშუალებების და სავალუტო ოპერაციების მართვის სრულყოფის რეკომენდაციების მიცემის გზით;

2. საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებისთვის რეკომენდაციების მიცემა;

3. სტატისტიკურ მონაცემთა მომზადება, მათი მართვა და მონაცემთა სიზუსტის ხარისხის ამაღლება;

4. ეკონომიკური და ფინანსური კანონმდებლობის შედგენა და ანალიზი.

შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც. როგორ ხდება სსფ-ის ფინანსური დახმარების რესურსებთან მისი წევრი ქვეყნების დაშვება?

სსფ-ის საკრედიტო რესურსებთან მისი წევრი-ქვეყნების დაშვება განპირობებულია ერთი მხრივ, მათი საგადასახდელო

ბალანსის გაჯანსაღებისათვის საჭირო აუცილებელი სახსრების მოთხოვნისა და, მეორე მხრივ, ამ წევრი-ქვეყნების მზადყოფნით იმისათვის, რომ შეასრულებენ სსფ-ის პირობები.

ეს დაშვება შეზღუდულია გარკვეული პირობებით. წესდებაში ისინი თავდაპირველად ასე იყო ჩამოყალიბებული:

1. წევრი-ქვეყნის მიერ მოთხოვნილი თანხა უცხოურ ვალუტაში, რომელიც მიღებული უნდა იქნეს 12 თვის განმავლობაში და არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელმწიფოს კვოტას სიდიდის 25%-ს.

2. ამ ქვეყნის ვალუტის საერთო თანხა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტივებში არ უნდა აღემატებოდეს მისი კვოტას მოცულობის 200%-ს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში სსფ-ის წესდებაში შეტანილი ცვლილებებით ფონდიდან 12 თვეში შესასყიდი ვალუტის კვოტას მოცულობის 25%-ით შეზღუდვა გაუქმდა.

დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ წევრი-ქვეყანა მოვალეა ფონდიდან უკან შეისყიდოს თავის ეროვნული ვალუტა SDR-ით ან უცხოური ვალუტით. ადრე აღებული კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს ვალუტის შესყიდვიდან 3 წლიდან 5 წლამდე ვადაში. ამასთან მითითებულია, რომ წევრი-ქვეყანა მოვალეა, თუ ამის საშუალებას აძლევს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, ვადაზე ადრე მოახდინოს ეროვნული ვალუტის გამოსყიდვა, ხოლო სსფ, თავის მხრივ, უფლებამოსილია მოითხოვოს მისგან ამ ოპერაციის განხორციელება.

კრედიტი მაშინაც ითვლება დაფარულად, თუ სსფ-ში არსებული დავალიანების მქონე წევრი-ქვეყნის ეროვნული ვალუტა სხვა წევრმა-ქვეყანამ შეისყიდა.

სსფ-ის წევრი ქვეყნების ფონდის საკრედიტო და ფინანსურ რესურსებთან სხვადასხვა საკრედიტო მექანიზმის ფარგლებში დაშვება შეზღუდულია ლიმიტებით, რომლებიც თითოეულისთვის დაწესებულია მათი კვოტების მოცულობის გათვალისწინებით.

სარეზერვო წილი: სსფ-ის წევრი-ქვეყნის უცხოური ვალუტის პირველი ულუფა შეადგენს კვოტას 25%-ს, რომელმაც მიიღო „ოქროს წილის“ სახელწოდება. ეს იმით იყო განპირობებული, რომ საწყის პერიოდში სსფ-ში წევრ-ქვეყანას

თავისი კვოტა შეჰქონდა ოქროს ან სარეზერვო ვალუტის სახით. გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ, როცა შეწყდა ოქროს შეტანა, ეს სახელწოდება შეიცვალა ტერმინით „სარეზერვო წილი“. ეს წილი განისაზღვრება როგორც წევრი-ქვეყნის კვოტას მოცულობის გადამეტება სსფ-ის განკარგულებაში არსებული ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის მარაგებზე. თუ სსფ ეროვნულ ვალუტას სესხად გასცემს სხვა წევრ-ქვეყანაზე, მაშინ ამ ეროვნული ვალუტის წევრ-ქვეყანას ავტომატურად ეზრდება სარეზერვო წილი.

წევრმა-ქვეყანამ სარეზერვო წილის ფარგლებში შეიძლება პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს სსფ-ის სახსრები. ასეთი სახსრების შესყიდვისას საჭირო არ არის ფონდთან წინასწარი შეთანხმება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსურ დახმარებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის შემოღება 1987 წლის დეკემბრისათვის. იგი ეძლევა უღარიბეს ქვეყნებს, რომლებიც ახორციელებენ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის 3-წლიან პროგრამებს. აღნიშნული სესხის მიღების უფლება გააჩნია 70 განვითარებად ქვეყანას. კრედიტის მოცულობა დამოკიდებულია საგადასახდელო ბალანსის მოთხოვნებით. თანაც მაქსიმალური კრედიტი განსაზღვრულია კვოტის 190%-ის ოდენობით 3-წლიანი ხელშეკრულებით. გამონაკლის შემთხვევაში კრედიტის მოცულობამ შეიძლება მიაღწიოს კვოტას 255%-ს.

1963 წლის თებერვლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდში შეიქმნა სპეციალური დანიშნულების დაფინანსების მექანიზმი — საკომპენსაციო დაფინანსების მექანიზმი, რომელმაც 1988 წლის აგვისტოში განიცადა ტრანსფორმაცია და იგი გაერთიანდა გაუთვალისწინებელი საგარეო შემთხვევათა დაფინანსების მექანიზმთან. დახმარება ეძლევა იმ წევრ-ქვეყნებს, რომლეთა საგადასახდელო ბალანსის სირთულეები გამოწვეულია ამ ქვეყნისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საექსპორტო ვაჭრობიდან შემოსავლების შემცირებით.

ამ დახმარების მექანიზმს 1981 წლის მაისში დაემატა იმ ქვეყნების ფინანსური დახმარება, რომელთა საგადასახდელო

ბალანსის სიძნელეები გამოწვეულია მარცვლის იმპორტთან დაკავშირებული ხარჯებით.

1969 წლის ივნისში შეიქმნა ბუფერული მარაგების დაფინანსების მექანიზმი. ამ მექანიზმით დახმარება ეძლევა სსფ-ის იმ წევრ-ქვეყნებს, რომლებსაც საგადასახდელო ბალანსის სიძნელეები შეექმნათ სანედლეულო საქონლის ბუფერული მარაგებისთვის დამტკიცებული საწევროს დაფინანსებით. საერთაშორისო ბუფერული მარაგებისთვის კრედიტის საერთო თანხა არ შეიძლება კვოტის 35%-ს აღემატებოდეს. დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს დამტკიცებული აქვს მისი რესურსების გამოყენება კაკაოს, ნატურალური კაუჩუკისა და შაქრის ბუფერული მარაგების შესაქმნელად.

1993 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით შეიქმნა სისტემური გარდაქმნების დაფინანსების მექანიზმი, რომლითაც დახმარება გაეწევა სსფ-ის წევრ-ქვეყნებს, რომელთაც საგადასახდელო ბალანსის ფინანსური მდგომარეობა გაუუარესდათ ტრადიციული საგარეო ვაჭრობის კავშირების დარღვევისა და ამის ნიადაგზე საბაზრო ფასების გადიდების შედეგად. აქ შედის ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი-ქვეყნები და სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკები.

ამრიგად, სსფ თავის წევრ-ქვეყნებს ეხმარება:

- ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციის ანალიზისა და მონიტორინგის განხორციელებით ეროვნულ და გლობალურ დონეზე და წევრ-ქვეყნებს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში უწევს კონსულტაციებს;
- სესხების გაცემით მტკიცე ვალუტაში სტაბილიზაციის პოლიტიკისა და რეფორმებისადმი მხარდაჭერისათვის, რათა დაძლეულ იქნეს საგადასახდელო ბალანსის პრობლემები და უზრუნველყოფილი იქნეს მყარი ეკონომიკური ზრდა;
- წევრ-ქვეყნებს უწევს ტექნიკურ დახმარებას ფართო სპექტრით, აგრეთვე მთავრობათა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სსფ-ს სერიოზული კონტროლი აქვს დაწესებული საერთაშორისო სავალუტო სისტემის საქმიანობაზე, მათ შორის წევრი-ქვეყნების საკურსო პოლიტიკაზე, თითოეულ წევრ-ქვეყანას

ევალება ითანამშრომლოს სსფ-თან სავალუტო რეჟიმების მოწესრიგების უზრუნველსაყოფად და გაცვლითი კურსის სისტემის სტაბილურობის მისაღწევად.

სსფ ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას სამი ფორმით:

1. ქვეყნებზე ზედამხედველობა წარმოებს რეგულარული (ჩვეულებრივად ყოველწლიური) ყოველმხრივი კონსულტაციების სახით წევრი-ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე.

კონსულტაციები მიმდინარეობს სსფ-ის წესდების მე-4 მუხლის შესაბამისად. დასაწყისში სსფ-ის ეკონომისტები მიემგზავრებიან წევრ-ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური მონაცემების შესაგროვებლად. მთავრობისა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელ პირებთან ერთად იხილავენ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას უკანაკნელ ცვლილებებთან კონტექსტში.

სსფ-ის თანამშრომლები აანალიზებენ სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ (საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სავალუტო) პოლიტიკას, აფასებენ ფინანსური სისტემის საიმედოობას და განიხილავენ მრეწველობის, სოციალური გარემოს, შრომის, სახელმწიფო მმართველობის, გარემოს დაცვის და სხვა სფეროებთან მიმართებაში ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა. შემდეგ თანამშრომელთა ჯგუფი მიღებული და გაანალიზებული ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე ადგენს მოხსენებას, რომელსაც ამტკიცებს სსფ-ის ხელმძღვანელობა, ხოლო აღმასრულებელი საბჭო აჯამებს განხილვის შედეგებს და ამ საბჭოს თავმჯდომარე მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს ქვეყნის მთავრობას და მოკლე დაკვნას (შეიძლება მთლიანად მოხსენებას) აქვეყნებს საინფორმაციო უწყებაში და ათავსებს სსფ-ის ვებ-გვერდზე.

2. გლობალური ზედამხედველობა ითვალისწინებს სსფ-ის აღმასრულებელ საბჭოზე გლობალური ეკონომიკური ტენდენციებისა და ცვლილებათა მიმოხილვის განხილვას. ასეთი სახის ძირითადი მიმოხილვები წარმოებს „მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების“ მოხსენებათა მასალების ბაზაზე, რომელსაც წელიწადში 2-ჯერ ამზადებს სსფ-ის პერსონალი.

3. რეგიონული ზედამხედველობის პროცესში სსფ განიხილავს პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება რეგიონული შეთანხმებების ჩარჩოებში (მაგალითად, ევროკავშირის, ევროპის ზონების, დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური და სავალუტო კავშირების და სხვა სახით).

V.4. ევროკავშირის საკრედიტო ურთიერთობანი

ევროპის სავალუტო სისტემამ სავალუტო კურსისა და სავალუტო ინტერვენციის დაცვის მექანიზმის შემოღებით შექმნა ობიექტური წინაპირობა მოკლევადიანი და საშუალოვადიანი დაკრედიტების სისტემის ფორმირებისათვის. მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ევროპის სავალუტო სისტემაში ფართო განვითარება ჰპოვა ამ ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ ერთმანეთზე სხვადასხვა სახისა და ფორმის სესხების გაცემამ. ამ მხრივ ყურადსაღებია ე.წ. ზემოკლევადიანი დაფინანსება, რომელიც ფაქტობრივად არ წარმოადგენს კრედიტს. თუმცა იგი მთლიანობაში წარმოდგენილია ჩვეულებრივი საბანკო სესხის მანტიით. ასეთი კრედიტი იფარება ინტერვენციიდან მესამე თვეს, ე.ი. მისი ხანგრძლივობა საშუალოდ არ აღემატება 3 თვე ნახევარს. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი სამი თვით პროლონგირება.

ევროპის სავალუტო სისტემის ფარგლებში 1971 წლიდან შემოღებული იქნა საშუალოვადიანი დაკრედიტება. ასეთი კრედიტი შეიძლება გაცემული იქნეს 2-დან 5 წლამდე ვადით იმ წევრ-ქვეყნებზე, რომელთაც საგადასახდელო ბალანსში ფინანსური სიძნელეები გააჩნიათ.

ევროპის სავალუტო სისტემის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა კრედიტის სხვადასხვა მექანიზმები, რომლებიც გამიზნული იყო ევროპის გაერთიანების წევრი-ქვეყნების ეკონომიკის კონვერგენციის უზრუნველსაყოფად.

ევროპის გაერთიანების მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით კრედიტის მექანიზმი უპირატესად გამოიყენებოდა წევრი-ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის მხარდასაჭერად. ნავთობის

„შოკის“ დროს 1.8 მილიარდი დოლარის მოცულობით კრედიტი გაიცა ირლანდიისა და იტალიის სასარგებლოდ. ასეთი სახის კრედიტის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა 1981 წლის გადაწყვეტილებით.

1979 წლის 14 მარტიდან წევრი-ქვეყნების ეკონომიკის კონვერგენციის მიზნით შეიქმნა ევროპის გაერთიანების ახალი ინსტრუმენტი – გრძელვადიანი კრედიტით წარმოებს ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციისა და მცირე და საშუალო საწარმოთა დაფინანსება. ეს კრედიტები, რომელთა წყაროა სესხების ანგარიშზე არსებული რესურსები, გაიცემა პაკეტების შემდეგი ოდენობით: პირველი განისაზღვრა 1979 წელს 1 მილიარდი, მეორე – 1982 წელს – 2 მილიარდი, მესამე – 1983 წელს – 3 მილიარდი, მეოთხე – 1986 წელს – 1.5 მილიარდი ეკიუთი.

ამასთან, ეკონომიკის კონვერგენციისადმი ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული იქნა რესურსების ტრანსფერტი იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ნაკლებად მდიდრები არიან.

არსებობდა ევროპის საინვესტიციო ბანკის და გაერთიანების სესხების სპეციალური მექანიზმიც, რომელთა მიზანი იყო ევროპის გაერთიანების წევრი-ქვეყნების დროებითი ფინანსური სიძნელეების დაძლევა.

ევროპის ეკონომიკური კავშირის საკრედიტო ურთიერთობათა შესწავლა სრულყოფილი არ იქნება, თუ არ განვიხილავთ ევროპის ქვეყნების ფინანსური ბაზრების ინტეგრაციის პროცესს. თანაც ამ უკანასკნელის დაწყება შეუძლებელი იყო, თუ არ განხორციელდებოდა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა ლიბერალიზაცია. ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობ პირობებს შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საბანკო საქმეში ახალი ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიის აღზევება, რამაც უზრუნველყო მსოფლიო ფინანსური ცენტრების ინფორმაციათა დამუშავება და ამ ინფორმაციებით კაპიტალის ბაზრების სისტემატური მომარაგება.

ამრიგად, უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე მიმდინარეობს წამყვანი ქვეყნების ფინანსური ბაზრების ინეტრნაციონალიზაციის პროცესი, რომელსაც ადრე წინააღმდეგობას უწევდა ფულად-საკრედიტო სისტემების ნაციონალური რეგულირება, რაც,

თავის მხრივ, ხელს უშლიდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ფულადი ბაზრების დარეგულირების პროცესი, რომ ისინი გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანი ევრობაზრებთან ურთიერთობისას. ამავე პერიოდიდან ხორციელდება ლონდონის „ბიგ-ბენის“ პოლიტიკა, რომლის არსი მდგომარეობს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესუსტებაში. 1979 წელს გაუქმდა ვალუტის კონტროლი, რამაც გამოიწვია დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის გამოცოცხლება. ბრიტანეთის ხელისუფლებამ 1983 წელს ფინანსური ბაზრის დარეგულირების განხორციელებით გადაწყვიტა: ფიქსირებული საკომისიოს გაუმჯობესება; ჯობერებსა და ბროკერებს შორის მკაცრი შეზღუდვების მოსპობა. თანაც ბროკერებს მიეცათ ფასიანი ქაღალდების კურსის კოტირებისა და არასაბირჟო კაპიტალისთვის საბროკერო ფირმების გახსნა-ფუნქციონირების უფლებები, „ბიგ-ბენმა“ ლონდონის ბაზარზე ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. ფაქტობრივად მან შვა მძლავრი კონკურენცია, რამაც გამოიწვია საშუამავლო მომსახურების ფასების მკვეთრი დაცემა და ფართომასშტაბიანი შერწყმის პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობა ასე თუ ისე ახორციელებდა ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ფინანსური და საბანკო ოპერაციები მთლიანად დერეგლამენტირებული გახდა. 1987 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა საკრედიტო შეზღუდვები. შეცვლილი იქნა საბანკო და საფინანსო მომსახურების ფასებზე კონტროლის სისტემა. საფრანგეთის ხელისუფლებამ ფართო გასაქანი მისცა საბაზრო ძალების განვითარებასა და მოახდინა საბაზრო ურთიერთობის მოდერნიზაცია.

საბანკო და ფულად-საკრედიტო ლიბერალიზაციის დაჩქარებული ტემპები ახასიათებდა იაპონიასა და გერმანიასაც.

ევროპაში ფართო განვითარება ჰპოვა ფინანსური და ფასიანი ქაღალდების ბაზრებმაც. ამასთან, ჩამოყალიბდა **ევრობაზრები**, რომლებიც არა მარტო მსოფლიო, არამედ ნოვატორულ ბაზრებად წარმოდგა საერთაშორისო ფინანსურ თვალსაწიერში. ევრო-

ბაზრები მსოფლიოს უმსხვილეს ფირმებს და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს სთავაზობენ კაპიტალისა და კრედიტის ფართომასშტაბიან განთავსებას. მათ მობილიზაცია გაუკეთეს მსოფლიოს ყველა უმსხვილეს ბანკს, საფინანსო ცენტრებსა და ყველა კონვერტირებულ ვალუტას. ისინი წარმოადგენენ აგრეთვე ინოვაციების მუდმივ წყაროს.

ფინანსური ბაზრები, რომლებიც ჩამოყალიბებულები იქნენ ანაბრებსა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთებზე დონის განსაზღვრის მიზნით, წარმოადგენენ ევრობაზრებს, ანუ ევროვალუტათა ბაზრებს. ამ ბაზრების ერთ-ერთი სეგმენტია საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ევროკრედიტები. ეს სესხები უპირატესად გაიცემა საბანკო სინდიკატების ფარგლებში.

საბანკო შუამავლობის ასეთ ბაზრებთან ერთად განვითარდა **ფასიანი ქაღალდების ევრობაზრებიც,** რომელთა შორის ყველაზე მთავარია ევროობლიგაციების ბაზარი. მოგვიანებით ჩამოყალიბდა მოკლე და **საშუალოვადიანი ევროთამასუქების ბაზარი. დაბოლოს, 1983 წლის დასაწყისში გამოჩნდა ევროაქციათა ბაზარი.** ფაქტობრივად ეს უკანასკნელი წარმოადგენს ემისიურ ბაზარს, როცა საწარმოებს უფლება აქვთ ევრობაზრებზე გაუშვან კაპიტალის გადიდების მთელი მოცულობა, როგორც ამას ნაციონალურ ბაზრებზე აკეთებენ.

ევრობაზრების განვითარება და მსოფლიო ფინანსური ინტეგრაცია უეჭველად წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტს. ფაქტობრივად, ისინი საშუალებას იძლევიან მოხდეს ფინანსური რესურსების მსოფლიო მასშტაბით ოპტიმალური განაწილება. ევრობაზრების მეშვეობით:

- წარმოებს საგარეო გადასახდელებში დარღვეული წონასწორობის აღდგენა;
- ეკონომიკური აგენტების რისკისაგან დაცვა;
- ხდება კონკურენციის სტიმულირება და საფინანსო და საბანკო შუამავლობის ფასების შემცირება.

როგორც ცნობილია, კაპიტალის ეროვნული ბაზრების ერთმანეთისგან იზოლირება არ იძლეოდა თავისუფალი დანაზოგების ეკონომიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

ოპტიმალურად გამოყენების გარანტიას. ევრობაზრების განვითარებით კი შეიქმნა ფინანსური რესურსების მსოფლიო მასშტაბით მიწოდება-მოთხოვნის თავისუფალი თანაფარდობის შესაძლებლობა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფირმებსა და გაერთიანებებს იგი საშუალებას აძლევდა კრედიტზე მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ არა ძნელად მისაღწევი ქვეყნის შიდა ბაზრის ან მეზობელი ქვეყნების ბაზრებით, არამედ ევრობაზრების მეშვეობით.

საყურადღებოა, რომ ევრობაზარი რამდენადმე აძლიერებს რისკის ფაქტორს. თვით ევრობანკები ზრდიან რა ევროკრედიტის მოცულობას (ისინი ღებულობენ დეპოზიტებს ან მოკლევადიან სესხებს საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების დასაფინანსებლად), ისინი თავის თავზე ღებულობენ რისკს: თუ დეპოზიტები მოულოდნელად მცირდება, ან ბაზრის არეალს შემცირების ტენდენცია ახასიათებს, მათ არ შეუძლიათ გასაწევი ხარჯებიდან თავის დაღწევა. სწორედ ამიტომ ევრობანკს ეკისრება ლიკვიდობის რისკის პასუხისმგებლობა.

ევროკავშირი ამჟამად 27 წევრ-ქვეყანას ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების პროცესმა 4 ეტაპი გაიარა, ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებებს მიეკუთვნება: 1979 წელს შექმნილი ევროპის სავალუტო სისტემა და ერთიანი საანგარიშსწორებო სრულფასოვანი ვალუტის – ევროს შემოღება, რომელიც ანგარიშის, მონეტებისა და ბანკნოტების ფორმით ფუნქციონირებს.

1985 წელს მიღებული იქნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელიც ითვალისწინებდა 1992 წლის ბოლოსთვის ევროპის ეკონომიკურ კავშირში მთლიანად ინტეგრირებული ბაზრის შექმნას, ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ჰარმონიზაციას, ზენაციონალური მექანიზმების გაძლიერებას.

V.5. სესხები ექსპორტის განვითარებისთვის

როგორც წესი, ექსპორტის განვითარება შეუძლებელია საბანკო კრედიტის გარეშე. ლაპარაკია უბრალო სესხებზე, ისეთებზე, როგორიც გაიცემა კომერციული ოპერაციებისთვის

ნაციონალურ, ეროვნულ ბაზარზე. გარდა ამისა, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებაში მოჰყავთ სპეციალური კრედიტი, რომელიც გამიზნულია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის. ექსპორტიორები თავიანთ კლიენტებს არა მარტო საქონელს სთავაზობენ, არამედ საქონლის ყიდვის დაფინანსებას. ასეთი საბანკო სესხების პირობები შეიძლება იყოს გასაყიდი საქონლის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელიც. მაგალითად, საექსპორტო კრედიტის ფრანგული სისტემა მათი ხანგრძლივობის გათვალისწინებით ტრადიციულად გამოყოფს სამი კატეგორიის საბანკო სესხს, ესენია: მოკლევადიანი – 6-18 თვით, საშუალოვადიანი – 18 თვიდან 7 წლამდე და გრძელვადიანი – 7-10 წლით ვადით. ეს სისტემა სესხებს სთავაზობს აგრეთვე საზღვარგარეთის მყიდველებს და საქონლის მომწოდებლებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ექსპორტიორებს მოახდინონ გადასახდელთა განვადება, თუმცა ეს უკანასკნელი ოპერაციები ბოლო პერიოდში განვითარების ნაკლები სტიმულირებით ხასიათდება.

საექსპორტო სესხების საპროცენტო განაკვეთები, როგორც წესი, დაბალია. სხვანაირად საქონლის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ტემპი არ იქნებოდა მაღალი. ასეთი სესხები ორივე მხარეს უწყობს ხელს, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე კომერციული (მოგების მოტივაცია) თვალთახედვით.

უკანასკნელი წლების მანძილზე მოვლენები რადიკალურად შეიცვალა. ფაქტობრივად ცალკეული ქვეყნების ე.წ. „თვითშემოქმედება“ ექსპორტ-იმპორტის განვითარებისათვის შეღავათიანი საბანკო სესხების გაცემაში, შეიცვალა მათი შემცირების პოზიციებიდან. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან თანდათანობით მოისპო სავალუტო-საკრედიტო სფეროში საექსპორტო კრედიტის უპირატესად განვითარების ხელშემწყობი პირობები და მიღწეული იქნა საერთაშორისო (ზოგჯერ რეგიონულ) დონეზე საექსპორტო სესხების განაკვეთების დაწესების საქმეში კონსენსუსი და იგი მიუახლოვდა საბაზრო დონეს. აქ საინტერესო შედეგებთან გვაქვს საქმე. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ ექსპორტის დაფინანსების კონკურენციული ბრძოლა და შეემცირებინათ სახელმწიფო ფინანსების დამატებითი დანახარჯები, რომლებიც თან ახლავს

დოტაციურ დაფინანსებას, 1982-1988 წლებში შემცირდა საექსპორტო კრედიტის სფეროში გავრცელებული შეღავათები.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საექსპორტო კრედიტი ჩართული იქნა ბანკებს შორის ჩამოყალიბებული თავისუფალი კონკურენციის ბრუნვაში, სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე – ეს ეხება როგორც მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე გაცემულ სესხებს, ისე განვითარებად ქვეყნებზე შეთავაზებულ საექსპორტო კრედიტს.

ცალკე უნდა აღინიშნოს მოწყობილობების დაფინანსებისთვის გაღებული საბანკო სესხები. ექსპორტიორ საწარმოს მანამ, სანამ აწარმოებს შეკვეთილ მოწყობილობას, მიეცემა წინასწარი დაფინანსების სესხი მყარი საპროცენტო განაკვეთებით. საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაცია უპირატესად მიიღწევა ხაზინის მეშვეობით.

საზღვარგარეთ ქვეყნებისთვის გაცემული ხაზინის სესხები ფართოდ ვითარდება განვითარებად ქვეყნებში გავლენის სფეროების მოპოვებისათვის, რომელიც უპირატესად წარმოდგენილია ექსპორტის მოცულობის გასადიდებლად, ე.ი. განვითარებადი სახელმწიფოების ბაზრის დაპყრობისთვის.

მაღალგანვითარებული ქვეყნები დიდ ყურადღებას აქცევენ საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხელშეწყობი ფისკალური ღონისძიებების განხორციელებას. მაგალითად, საფრანგეთის აღმასრულებელი ორგანოები საექსპორტო საქონელს მთლიანად ანთავისუფლებენ ყველა სახის გადასახადისგან (გარდა ზოგიერთი საქონლის აქციზის გადასახადით დაბეგვრისა). უფრო მეტიც, საექსპორტო საქონლის მწარმოებელს სახელმწიფო უფარავს იმ დამატებული ღირებულების გადასახადის მთელ მოცულობას, რომელიც მას გადახდილი აქვს საექსპორტო საქონლის წარმოების სხვადასხვა სტადიაზე. სამაგიეროდ ქვეყნის ეროვნულ ბაზარზე გასაყიდად შემოტანილი იმპორტული საქონლის დაბეგვრა განსაკუთრებით, დამატებული ღირებულების გადასახადით, იმავე ტექნოლოგიებით წარმოებს, რა ტექნოლოგიითაც თავისუფლდება ამ გადასახადისგან საქონლის ექსპორტიორი.

V.6. საერთაშორისო კრედიტი და დავალიანებათა მსოფლიო ბრიზისი

კაპიტალი, შრომის მსგავსად, ქვეყნებს შორის მიმოიქცევა. მაგრამ ეს მოძრაობა სრულებითაც არა ჰგავს ქვეყნებს შორის მანქანების, მოწყობილობებისა და ტექნიკის მოძრაობას. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში იგულისხმება კრედიტისა და ვალდებულებების ფინანსური ნაკადები. კრედიტორები ანუ მესაკუთრეები მსესხებლებს, ან საზღვარგარეთის ფილიალებს გადასცემენ ფულს, რათა იგი გამოყენებული იქნეს ვალდებულებების ან აქტივების გასაცვლელად, თანაც კრედიტორებისათვის მომავალში უზრუნველყოფილია სარგებელი ან დივიდენდი. ტრადიციულად კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები იყოფა კერძო და სახელმწიფო, გრძელვადიან და მოკლევადიან, პირდაპირ და პორტფელურ ნაკადებად, შემდეგნაირად:

I. **კერძო დაკრედიტება (ან საკუთრების უფლების შეძენა):**

1. გრძელვადიანი დაბანდებები (ობლიგაციები, აქციები, პატენტების ან საავტორო უფლებების გამოყენება); პირდაპირი ინვესტიციები (დაკრედიტება ან უცხოეთის ინვესტორის საკუთრებაში, ან მის კონტროლს ქვეშ არსებული რესურსებით); პორტფელური ინვესტიციები (დაკრედიტება ან უცხოეთის საწარმოების იმ აქციათა შეძენა, რომლებიც ინვესტორებს არ ეკუთვნის და არც მისი კონტროლს ქვეშ არის);

2. მოკლევადიანი დაბანდებები (საკრედიტო თამასუქები 1 წლამდე და ნაკლები ვადით – ძირითადად პორტფელური ინვესტიციები);

II. **სახელმწიფო დაკრედიტება (ან საკუთრების უფლების შეძენა – უპირატესად პორტფელური ინვესტიციები და დაკრედიტება, როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი).**

საერთაშორისო კრედიტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში დიდ ცვლილებებს განიცდის. თუ 1973 წლამდე მთავარი კრედიტორის როლში მარტო აშშ გამოდიოდა, ამ წლიდან მას შეუერთდნენ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები, ხოლო ძირითადი მსესხებლები გახდნენ განვითარებადი ქვეყნები.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებიდან კაპიტალის უმსხვილესი ნეტო-იმპორტიორი გახდა აშშ, ხოლო ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები ყოველწლიურად დაახლოებით იმდენი ოდენობის კრედიტს ღებულობდნენ, რამდენსაც გასცემდნენ. უკანასკნელ ათწლეულში მთავარ კრედიტორად იაპონია გახდა, მას მიყვება კანადა და ზოგიერთი ევროპული ქვეყანა. ამ პერიოდში დომინირებულ ფორმას ღებულობს კერძო კრედიტი – როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მსესხებლებზე და მან რამდენადმე შეავიწროვა 1950-1973 წლებში გავრცელებული კონტროლს დაქვემდებარებული ფირმების პირდაპირი ინვესტირება.

ამასთან, საერთაშორისო დაკრედიტება მწვავე კრიზისს განიცდის. განვითარებული ქვეყნების სასარგებლოდ 1974-1982 წლებში კრედიტის ფართომასშტაბიანი ნაკადები 1982 წლის ბოლოს მოულოდნელად შეწყდა ნდობის კრიზისის გამო. კრედიტორებმა ახალი სესხების გაცემის შეწყვეტასთან ერთად მოითხოვეს ადრე გაცემული ვადადაუმდგარი ვალების დაბრუნებაც. ფაქტობრივად 40-მდე ქვეყანამ ვერ შეძლო სესხების დაბრუნება, რამაც 1984 წლისთვის მსოფლიო უმსხვილესი ბანკები გაკოტრების პირას მიიყვანა.

ასეთ პირობებში ამომწურავ პასუხს ითხოვს კითხვები, როგორიცაა: რატომ? რა მოხდა? რამ გაამწვავა საერთაშორისო დაკრედიტების კრიზისი? როგორ უნდა იქნეს დაძლეული ეს კრიზისი? და მომავალში როგორ უნდა იფუნქციონიროს საერთაშორისო კრედიტმა?

მსოფლიო ეკონომიკის სტაბიურობისა და წინასწარგანჭვრეტის პირობებში, როდესაც მსესხებლები პატივს სცემენ აღებულ ვალდებულებებს და დროულად აბრუნებენ კრედიტს, საერთაშორისო დაკრედიტება შესაძლებელია ეფექტიანი გახდეს გლობალური პოზიციებიდან, რომელსაც ზოგიერთი მონაწილისათვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე მეორეთათვის – ზარალი.

განვიხილოთ ორი ვარიანტი. პირველად გავაანალიზოთ ისეთი შემთხვევა, როცა საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები მთლიანად აკრძალულია. მაშინ თითოეულმა ქვეყანამ საკუთარი ფინანსური სიმდიდრე უნდა აამოქმედოს და შესაბამისობაში

მოიყვანოს რეალური კაპიტალის მარაგებთან. დავუშვათ, „ა“ ქვეყანას გააჩნია ჭარბი ფინანსური სიმდიდრე და შედარებით ნაკლებმიმზიდველი შიდა საინვესტიციო შესაძლებლობები, ხოლო „ბ“ ქვეყანას გააჩნია შეზღუდული სიმდიდრე და კაპიტალის მომგებიანად დაბანდებისათვის შესაძლებლობათა სიჭარბე. თუ დაკრედიტების მთელი მოცულობა ხორციელდება ეროვნულ ჩარჩოებში, „ა“ ქვეყნის კრედიტორები უნდა დათანხმდნენ შემოსავლის დაბალ ნორმას იმის გამო, რომ ქვეყნის შიდა რეალური აქტივების მიწოდება მეტია კაპიტალის ზღვრულ სარგებლიანობასთან შედარებით. ამასთან, კონკურენცია აიძულებს „ა“ ქვეყნის კრედიტორებს მიიღონ შემოსავლის დაბალი ნორმა. თანაც „ბ“ ქვეყანას სახსრების შეზღუდულობა საშუალებას არ აძლევს განახორციელოს რეალური კაპიტალური დაბანდებები. ეს კი ზრდის კრედიტზე სარგებლის წლიურ დონეს.

მეორე შემთხვევაში დავუშვათ, რომ საერთაშორისო ფინანსური ნაკადების შეზღუდულობა მთლიანად ლიკვიდირებულია. „ა“ ქვეყნის სიმდიდრის მფლობელებსა და „ბ“ ქვეყნის მსესხებლებს შორის ურთიერთობის ძლიერი სურვილია. რატომ ხდება, რომ ერთნი სესხებს აძლევენ დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, ხოლო მეორენი მეტ განაკვეთს ღებულობენ, მაშინ, როცა სხვადასხვა გარიგებისას დაკრედიტების რიცხვი და საიმედოობა ერთნაირია? იმის გამო, რომ „ა“ ქვეყნის კრედიტორებს საშუალება აქვთ სესხები გასცენ დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, ისინი ეცდებიან სესხები გასცენ „ბ“ ქვეყნის მსესხებლებზე, სადაც შემოსავლის ნორმა უფრო მაღალია. ასეთ შემთხვევაში „ა“ ქვეყნის ფინანსური სიმდიდრე უფრო მეტი შემოსავლის მომტანია, ვიდრე საკუთარი ქვეყნის მსესხებლებზე სესხების გაცემისას მიიღებდა. ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. თუ „ა“ ქვეყნის კრედიტორები იგებენ, იგი ზიანს აყენებს ამ ქვეყნის მსესხებლებს, იმის გამო, რომ კონკურენცია უცხოური მსესხებლების მხრივ აიძულებს მათ გადაიხადონ ახალ სესხებზე მაღალი პროცენტი. ამასთან, „ბ“ ქვეყნის მსესხებლები იგებენ, სამაგიეროდ კრედიტორები ნაკლებ შემოსავალს ღებულობენ ქვეყნაში უფრო იაფი უცხოური საკრედიტო ნაკადების გამო.

განვითარებადი ქვეყნების დაკრედიტების კეთილმყოფელობა მნიშვნელოვნად შენელდა გასული საუკუნის 70-იანი წლების შუახანებიდან. როგორც წესი, კრედიტის ნორმალური განვითარება გულისხმობს, რომ მსესხებელს გააჩნია ვალის დაფარვის უნარი. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ისინი აღებულ სესხებს ვერ ფარავენ. 80-იანი წლების დასაწყისისთვის 38 ქვეყნის მთავრობები იძულებულნი იყვნენ უცხოელი კრედიტორებისთვის საბანკო სესხები და მათი პროცენტების გადახდის განვადება ეთხოვათ. თუ ყოველი განვადება მსესხებლისთვის სასარგებლოა, კრედიტორისთვის იგი ზიანის მომტანია. ამაზე მეტყველებს 1984 წელს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტების კაილესა და საქსის მიერ ჩატარებული გამოკვლევა. საფონდო ბაზარზე 20%-ით დაეცა უმსხვილესი ამერიკული ბანკების იმ აქციათა კურსი, რომლებიც განთავსებული იყო საერთაშორისო დაკრედიტების სფეროში.

მოვლენებმა უფრო სერიოზული სახე მიიღო 1982 წლის ზაფხულში. 9 ამერიკული ბანკის მიერ უცხოელ მსესხებლებზე გაცემული „არასაიმედო“ კრედიტის სიდიდემ გადაამეტა ამ ბანკების საკუთარი ანაზღაურებული კაპიტალის მოცულობას. უფრო მეტიც, მხოლოდ სამი ქვეყნის (არგენტინის, ბრაზილიის და მექსიკის) მიერ აღებული სესხების თანხა აღემატებოდა მათ საკუთარ კაპიტალს.

ამასთან, მოვალეთა პრობლემები მწვავე იყო. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ისინი ღებულობენ საბანკო სესხებს მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, რომელიც დოლარის ფასების ზრდის მომასწავლებელი გახდა. უფრო გვიან, 1985 წლისათვის ჩამოყალიბდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის „ახალი ერა“, რომელსაც სათავეში აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა ჩაუდგა და რომელმაც გადაწყვიტა შეეჩერებინა ინფლაცია, თუნდაც სამუშაო ადგილების შემცირებით. ყოველივე ამის გამო მაღალი ნომინალური საპროცენტო განაკვეთები გადაიქცნენ მაღალ რეალურ საპროცენტო განაკვეთებად. ამან კი მსესხებლებს მიაყენა დაახლოებით ისეთი ზიანი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1929-1932 წლების უდიდესი დეპრესიის პერიოდში.

იმის გამო, რომ მსესხებელი ქვეყნები საგონებელში ჩავარდნენ კრედიტუნარიანობის დაცემითა და საკუთარი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებით, არავითარ საშუალებას არ თაკილობდნენ დაეფარათ აღებული სესხები. თუმცა ეს დიდ სოციალურ კატაკლიზმებთან იყო დაკავშირებული, რაც ეკონომიკური ზრდის შენელებასა და დაცემასაც კი მოასწავებდა.

საინტერესოა, თანამედროვე „დავალიანებათა მსოფლიო კრიზისად“ წოდებული მოვლენა შემთხვევითია, თუ იგი გამოიწვია საერთაშორისო კრედიტის მექანიზმის ფუნდამენტურმა დეფექტებმა. განვიხილოთ ეს პრობლემა, როგორც მიმდინარე მომენტის, ისე ხანგრძლივი ტენდენციების პოზიციებიდან.

გარკვეული დონით ნავთობის ფასების ზრდამ, რომელმაც წარმოშვა მსოფლიო ეკონომიკის დეპრესია, გამოიწვია საინვესტიციო სახსრებზე მოთხოვნის კოლოსალური გადიდება და მსოფლიო შემოსავლის გადანაწილება ნავთობექსპორტიორი ქვეყნების სასარგებლოდ. გავიდა რამდენიმე წელი, მანამ, სანამ არაბეთის ნავთობით მდიდარ ქვეყნებში დაგროვილი კაპიტალი არ მოექცა საინვესტიციო პროგრამებში. მანამ, სანამ ეს ქვეყნები ეწეოდნენ კაპიტალის დაგროვებას, ისინი კრედიტს იძლეოდნენ ლიკვიდურ ფორმაში: ობლიგაციების, თამასუქების და საბანკო დეპოზიტების ანგარიშზე აშშ-ისა და სხვა ქვეყნების საფინანსო ცენტრებში. ამ გზით მსოფლიოს ძირითად ბანკებში თავი მოიყარა კოლოსალურმა ახალმა რეზერვებმა.

საბანკო რეზერვების ზრდამ გამოიწვია განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტიმულირება. საბანკო შოკმა ცენტრალური ბანკები ორი რთული ამოცანის წინაშე დააყენა: ან მხარი უნდა დაეჭირათ მასობრივ უმუშევრობაზე, ანდა ინფლაციის · დაჩქარებაზე. ცენტრალურმა ბანკებმა აირჩიეს მეორე გზა. „ნავთობდოლარების“ ნაკადი მსოფლიოს ცენტრალურმა ბანკებმა კრედიტის ფორმით განათავსეს განვითარებადი ქვეყნების მსესხებელთა ყულაბაში.

უმსხვილესმა კერძო ბანკებმა მიიღეს ოპტიმალური შესაძლებლობები ახალი ფინანსური რეზერვებით თვით განვითარებულ ქვეყნებში მოეხდინათ ახალი პროექტების დაფინანსება. განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა ენერგოდამზოგავი პროგრამების დაფინანსება. მაგრამ განვითარებად ქვეყნებში გაიზარდა კრედიტზე

მოთხოვნები, რამაც კომერციული ბანკების სტიმული გამოიწვია, თუმცა ეს სტიმულები სტაბილურობით არ ხასიათდებოდა. 1974 და 1982 წლების საკრედიტო დავალიანებათა კრიზისმა განვითარებად ქვეყნებში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საკრედიტო-საბანკო დაწესებულებები პანიკაში ჩააგდო. საერთაშორისო კრედიტი ნაკლებ სტაბილური აღმოჩნდა ქვეყნის შიდა კრედიტთან შედარებით.

საერთაშორისო კრედიტის წონასწორობის მდგომარეობიდან ხშირი გამოყვანა უპირატესად განპირობებული იყო საკუთრების უფლებათა არასრულყოფილებით. იმის გამო, რომ მოვალეებს გააჩნდათ სუვერენიტეტი, მათ ვერავინ ვერ დააძალებდა ვალების გადახდას, თუ მათ ამის სურვილი არ ექნებოდათ. ეს განსაკუთრებით მაშინ იყო შესამჩნევი, როდესაც მსესხებლის როლში თვითონ მთავრობები გამოდიოდნენ. მათ შეეძლოთ დაწესებულ ვადებში არ გადაეხადათ აღებული ვალები, ხოლო კრედიტორებს არ გააჩნდათ იმის შესაძლებლობანი, რომ მიემართათ სასამართლოსთვის და მათ აქტივებზე ყადაღა დაედოთ.

წარსულში კრედიტორ-სახელმწიფოებს ასეთი შესაძლებლობები გააჩნდათ. მაგალითად, მე-19 საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, როცა ამ ქვეყნების კრედიტორებს ეგვიპტემ აღებული სესხების დაბრუნებაზე უარი განუცხადა, ძალის გამოყენებით მიაღწიეს ეგვიპტეში აკრეფილი გადასახადების ხელში ჩაგდებას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში კრედიტორებს საბრძოლო ხომალდები უჭერდნენ მხარს, რათა ვენესუელას მათთვის ვალი დაებრუნებინა. მაგრამ დღეს სიტუაცია მსოფლიო არენაზე შეიცვალა. ასეთი მეთოდებით საერთაშორისო კრედიტის დაბრუნება შეუძლებელია. მოვალე ქვეყანას უცხოური სესხების გამოყენება შეუძლია იმ მომენტამდე, სანამ კრედიტის თანხა არ გადაამეტებს დაგროვილი ვალისა და პროცენტის გადასახდელ თანხას. ამის შემდეგ იგი ოფიციალურად აცხადებს ვალის გადახდის შეწყვეტას. რა თქმა უნდა, განვითარებადი ქვეყნების გამოცდილმა ლიდერებმა იციან, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა დასაბუთებული უნდა იყოს კარგი არგუმენტებით. ვალის გადახდის შეწყვეტა შეიძლება დასაბუთებული იქნეს ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობით, ვაჭრობის პირობების გაუარესებით

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, სტიქიური უბედურებებით, ომებით და ა.შ. როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნების მთავრობები მიმართავენ ვალის გადავადებას ან გადაუხდელობას იმ მოტივით, რომ ვალები წარმოიშვა წინა მთავრობების მიერ აღებული სესხებით და ვალის ვალდებულებებით. ასეთ სიტუაციაში ხშირად, როგორც მოვალე-ქვეყანა, ისე კრედიტორები, ცდილობენ ვალის მომსახურება კოსმეტიკურად შეალამაზონ, გადადონ იგი. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ვალის ანულირებას. ამასთან, ფუნდამენტური პრობლემა მაინც შენარჩუნებულია: ვალის არ გადახდის სურვილი ძალიან ძლიერია, თუ მოვალე-ქვეყნის აქტივები კრედიტორებს არ შეუძლიათ გაყინონ.

მოვალე-ქვეყნების მიერ ვალის გადახდის შეწყვეტის მოტივები საერთაშორისო კრედიტორებს აიძულებს მთავრობებზე გასაცემი კრედიტის საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად გაზარდონ საკუთარი ქვეყნის კერძო და სახელმწიფო მსესხებლებზე გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთის დონესთან შედარებით. ეს ერთგვარ რისკზე პრემიას წარმოადგენს, რომლის მიღება კრედიტორებს გარანტირებული აქვთ მანამ, სანამ მოვალე-ქვეყანაში არ დაიწყება ეკონომიკური კრიზისი. პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ხანგრძლივი პერიოდის თვალთახედვით რისკზე პრემია კრედიტორებს დიდ მოგებას აძლევს.

მეორე დამახასიათებელი თავისებურება მოვალე-ქვეყნის დაკრედიტებისა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ მსესხებელს კრედიტორი გარკვეულ დრომდე თავისუფლად აძლევს კრედიტს, მაგრამ იგი მალე ვარდება პანიკაში იმის გამო, რომ მსესხებლის გირაოს გარეშე დაკრედიტება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კოლექტიურად.

ისმის კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს მსესხებლების დაკრედიტებისას საკუთრების უფლების პრობლემა და რით შეიძლება გამოვიწვიოთ ქვეყანა-მსესხებლების სურვილი ვალი გადაიხადოს?

ჩვეულებრივად, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში დასაქმებული ეკონომისტები რეკომენდაციებს იძლევიან იმის იმედი ოქონიონ, რომ კრედიტორები თავიანთი ვალის მომსახუ-

რებას თავისდროულად მოახდენენ, იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ დაიცვან მათი მომავალი კრედიტუნარიანობა.

მაგრამ ასეთი რეკომენდაციები ბევრ შემთხვევაში რეალობას მოკლებულია იმის გამო, რომ მოვალე-ქვეყნის მთავრობამ იცის, რომ ვალს დროულად ვერ გადაიხდის, თანაც იგი ხანმოკლე პერიოდში საპროცენტო განაკვეთების გადიდების გამო ორმაგდება და სამმაგდება. ამასთან კრედიტორებს სურვილი ეკარგებათ ასეთ მსესხებელს გაუფორმონ ახალი კრედიტი, თუნდაც ძველი ვალისა და პროცენტის გადასახდელად. რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოქმედებას, იგი ახალი კრედიტის გაცემას უკავშირებს ზოგიერთი პირობის შესრულებას: გადახდის გრაფიკის მკაცრად შესრულებას და მოვალე ქვეყნის მაკროეკონომიკური ხარჯების შემცირებას (სახელმწიფო ხარჯებისა და ფულის მასის მნიშვნელოვნად შემცირებას, სახელმწიფო სექტორში ხელფასის განაკვეთების დაწევას და სხვ.). იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ახალი სესხების გაცემის სტიმულირებისთვის მოვალემ უნდა გადაიხადოს ძველი ვალი.

ვალის მომსახურების საკითხის გადაწყვეტა ზემოაღნიშნული გზით არარეალურია. ამ შემთხვევაში ყველაზე მისაღებია გადაწყდეს მოვალეების დაკრედიტებისას, საკუთრების უფლების ძირითადი პრობლემა, რომელიც მდგომარეობს კრედიტორებზე გირაოს წარდგენაში. თუ მოვალემ იცის, რომ მისი რეალური აქტივები კრედიტორის ხელში გადავა, იგი ცდილობს ვალი დროულად დაფაროს, თანაც ასეთი გარანტიის პირობებში გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დაბალია. ვალის კეთილსინდისიერი მომსახურება იმითაც არის განპირობებული, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები ხორციელდება, ამიტომ ისინი ერთდროულად არიან კრედიტორები და მოვალეები და ყოველთვის ცდილობენ მოახდინონ ურთიერთჩათვლა და ურთიერთდაკრედიტება და არ დაუშვან გარიგებათა ანგარიშსწორებაში ისეთი დარღვევები, როგორიცაა ვალის გადახდაზე უარის გამოცხადება.

V.7. უცხოური კაპიტალის საგადასახადო დაბეგვრა

უცხოური კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა საერთაშორისო ბაზარზე, ასევე თავისუფალი საერთაშორისო დაკრედიტება იწვევს როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული პროდუქტის წარმოების გადიდებას.

აქვე საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს ერთი მეტად სასარგებლო დასკვნა განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო დაბეგვრის პოზიციიდან. თუ ქვეყნების ფინანსური დახმარება საკმაოდ დიდი მოცულობისაა, ისე, რომ გავლენა მოახდინოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის დონეზე, ეს სიძლიერე შეიძლება ამ ქვეყნის მიერ გამოყენებული იქნეს მის სასარგებლოდ და მსოფლიოს სხვა ქვეყნების საზიანოდ.

ამა თუ იმ ქვეყანას თუ დიდი ოდენობის საკრედიტო რესურსები გააჩნია და კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ასევე კრედიტზე დიდი მოთხოვნაა, საკრედიტო რესურსების მქონე ქვეყანა აიძულებს მსესხებელ ქვეყნებს უფრო დიდი სარგებელი უხადონ მას, რითაც იგი ფაქტობრივად ახდენს გადასახადის უცხოელ მსესხებლებზე გადაკისრებას.

როგორც წესი, საერთაშორისო დაკრედიტებისა და ნასესხობის საგადასახადო დაბეგვრის ანალიზი იმაზე მიუთითებს, რომ გადასახადებისგან თავის არიდება მიუღებელია, მაგრამ პრაქტიკაში ამის საწინააღმდეგო ფაქტებიც საკმაოზე მეტია. კრედიტორებსა და მსესხებლებს შეუძლიათ მრავალნაირი საშუალებებით დამალონ გარიგების არსებობა, ამით ისინი არღვევენ საერთაშორისო თუ ნაციონალურ კანონმდებლობებს სავალუტო რეგულირების თაობაზე. ყველაზე მეტად გავრცელებულია „ტრანფერტული ფასწარმოქმნის“ ინსტრუმენტი. კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის ხშირად ადგილი აქვს არა მარტო სესხის გარიგებას, არამედ ყიდვა-გაყიდვის გარიგებასაც. თუ მათ სესხების გადამალვის სურვილი გააჩნიათ, ამას ადვილად აღწევენ იმით, რომ თავიანთი შიდა საქონელგაცვლაში შემოაქვთ საქონლისა და მომსახურების არასაბაზრო ფასები. მაგალითად, შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება,

რომლითაც მსესხებელი კრედიტორზე ყიდის ზოგიერთ საქონელს გარკვეული დროისთვის ნაღდ ანგარიშზე. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ კრედიტორი ზოგიერთ საქონელს განსაზღვრულ ვადაში მთლიანად ვერ ანაზღაურებს, ან მსესხებელი მოგვიანებით საქონლის ღირებულებაზე უფრო მეტ თანხას უნაზღაურებს კრედიტორს. ასე, რომ ფალსიფიცირებული ფასებით აზორციელებენ მსესხებლისაგან დამატებით საპროცენტო გადასახდელ „ტრანსფერტს“ კრედიტორისათვის. მსესხებელი ღებულობს სახსრებს დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე გამოსაყენებლად, ხოლო კრედიტორი ღებულობს პროცენტს. ამასთან, საერთაშორისო საკრედიტო გარიგებისთვის მთავრობა ვერ ღებულობს ვერავითარ გადასახადს.

თავი VI
საერთაშორისო ანგარიშსწორება

სახელმწიფოებსა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მყარდება მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები, როგორიცაა: პროდუქციის წარმოება, ვაჭრობა, სამუშაოები, მომსახურება, კაპიტალის მოძრაობა და სხვ. ამ ურთიერთობათა საბოლო აქტია საერთაშორისო ანგარიშსწორება ე.ი. საერთაშორისო ანგარიშსწორების აუცილებლობა გამოწვეულია საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის, აგრეთვე მომსახურების ინტერნაციონალიზაციით.

ამრიგად, საერთაშორისო ანგარიშსწორება არის ფულად მოთხოვნილებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადახდების მოწესრიგება, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოებსა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ბაზაზე.

საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელების სფეროებია: საგარეო ვაჭრობა, პროდუქციის წარმოება ერთობლივი საწარმოებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სხვა ფორმით, მომსახურება, საბანკო და კომერციული სესხების აღება და გაცემა, კაპიტალის სახელმწიფოთაშორისო მოძრაობა.

სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, უშუალოდ საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით. უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა განვითარდა საჩეკო მიმოქცევის ბაზაზე, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მრავალრიცხოვან გარიგებათა საბოლოო ანგარიშსწორება წარმოებს ვალდებულებათა ურთიერთჩათვლის გზით, ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე.

ადრე საერთაშორისო ანგარიშსწორება ოქროზე იყო აგებული, მაგრამ ანგარიშსწორებები ოქროს გადაგზავნის გარეშე წარმოებდა. ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა მხოლოდ ურთიერთანგარიშსწორებათა სალდოს დასაფარავად. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა ოქროს ოფიციალური დემონეტიზაცია, იგი მაინც

რჩება საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალებად. ამიტომ არის, რომ ბევრი ქვეყნის საბანკო დაწესებულებები მას მაინც იტოვებენ სარეზერვო ფონდში.

ოქროს სტანდარტის ეპოქაში, საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ გამოიყენებოდა ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული **საკრედიტო ფულის გადასაგზავნი თამასუქი** – ტრატა. **ტრატა** არის ერთი პირის (კრედიტორი, ანუ ტრასანტი) ბრძანება მეორე პირისადმი (მსესხებელი, გადამხდელი ანუ ტრასატი) გადაუხადოს თამასუქზე აღნიშნული თანხა მესამე პირს (თამასუქის წარმომდგენს, ანუ რემიტენტს), ან წარმომდგენს, თუ თამასუქი არ არის სახელობითი. გადასაგზავნი თამასუქის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ტრასატმა დაადასტუროს თავისი თანხმობა ნაჩვენებ დროში ვალის გადახდაზე. ეს თანხმობა, რომელსაც **აქცეპტი** ეწოდება, წერილობით უნდა იქნეს დადასტურებული.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახდელო ურთიერთობები და პირობები ითვალისწინებენ შემდეგი ელემენტების გამოყენებას – **გადახდის პირობები, ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა, საგადასახდელო ვალუტა, ანგარიშსწორების ფორმები და გადახდის საშუალებები.**

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ერთ-ერთი მთავარია გადახდის პირობები, რომელშიც განასხვავებენ: ნაღდ გადასახდელებს, ანგარიშსწორებას სესხების გაცემით და ნაღდ გადახდებს კრედიტის არჩევის უფლებით.

ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტის შერჩევა დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე, საპროცენტო განაკვეთსა და გარიგების სავალუტო ეფექტიანობაზე. ვალუტის შერჩევის დროს, რომელშიც ფიქსირებულია საქონლის (მომსახურების) ფასი, მთავარია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზემოაღნიშნულ პირობებს, რაც, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებაზე.

ცნობილია საქონლის ფასების განსაზღვრის შემდეგი საშუალებები:.

1. **ფასების უცვლელობის ფიქსაცია კონტრაქტის შესრულების პერიოდში**, ე.ი. ფასის მტკიცე ფიქსაცია კონტრაქტის

ხელმოწერის დროს. ამ საშუალებას მაშინ მიმართავენ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე შეიმჩნევა ფასების შემცირება.

2. კონტრაქტზე ხელმოწერისას ფასების განსაზღვრის პრინციპების დაფიქსირება. რაც შეეხება თვით ფასების განსაზღვრას, იგი ხდება კონტრაქტის შესრულების პროცესში. ეს გზა გამოიყენება მაშინ, როდესაც მსოფლი ბაზარზე შეიმჩნევა ფასების ზრდა.

3. ფასის მტკიცე ფიქსაცია კონტრაქტის ხელმოწერის დროს, მაგრამ დასაშვებია მისი ცვალებადობა საბაზრო ფასების ცვლილებებთან დაკავშირებით (გადახრა დასაშვებია 8%-მდე).

4. მცოცავი ფასების დაწესება ხარჯების ცვლილებებთან მიმართებაში.

5. ფასების ფიქსირების შერეული ფორმა (ფასების ნაწილი მტკიცედ ფიქსირებულია, ხოლო ნაწილი – განისაზღვრება მცოცავი ფორმით).

საგადასახდელო ვალუტა არის ის ვალუტა, რომლითაც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ანგარიშსწორება. ამ ვალუტით იფარება იმპორტიორის (მსესხებლის) გადახდის ვალდებულებები.

ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტის არასტაბილურობის შემთხვევაში ფასებს აფიქსირებენ შედარებით უფრო მყარ ვალუტაში, ხოლო გადახდას ახდენენ იმპორტიორი ქვეყნის ვალუტით. თუ ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა და საგადასახდელო ვალუტა ერთმანეთს არ დაემთხვევა, მაშინ კონტრაქტში ითვალისწინებენ ურთიერთგადაყვანის კურსსა და ვალუტათა ურთიერთგადაყვანის პირობებს. ამ უანასკნელში გაითვალისწინება: სატელეგრაფო გადახდა გზავნილებით, ან საანგარიშსწორებო თამასუქით; კურსის დათქმა განსაზღვრულ სავალუტო ბაზარზე კოტირების დროს.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში გამოიყენება გადასახდელების შემდეგი სახეები:

1. საავანსო გადასახდელები, რომლებიც ჩვეულებრივ გზავნილებათა საშუალებით წარმოებს;

2. გადასახდელები საქონლის მიწოდებისას, ან მას შემდეგ ხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე უპირატესად აკრედიტივებისა და ინკასოს საშუალებით;

3. გადასახდელები საქონლის შემოსვლისას, რომელიც გზავნილების საშუალებით წარმოებს;

4. გადასახდელები გადახდის ვადის დადგომისას, როდესაც მოთხოვნას უზრუნველყოფა არ გააჩნია.

გადასახდელების ზემოაღნიშნული სახეები ითვალისწინებს კრედიტის გაფორმებასაც.

საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემა მოიცავს შემდეგ ძირითად ფორმებს: ინკასოთი, აკრედიტივით, ღია ანგარიშით, საბანკო გზავნილებით, თამასუქებითა და ჩეკებით ანგარიშსწორებას.

მანამ, სანამ განვიხილავდეთ ამ ფორმებს, აუცილებელია შევჩერდეთ საერთაშორისო ანგარიშსწორების ზოგადი ხასიათის თავისებურებებზე.

1. სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაცია საბანკო-საანგარიშსწორებო ოპერაციების უნიფიცირებით;

2. საერთაშორისო ანგარიშსწორების დოკუმენტალური გაფორმების აუცილებლობა;

3. საერთაშორისო ანგარიშსწორების რეგულირება საერთაშორისო სამართლის, სამთავრობათშორისო საკანონმდებლო აქტებისა და საბანკო წესების საფუძველზე;

4. იურიდიულ და ფიზიკურ პირებსა (ექსპორტიორი, იმპორტიორი) და მათ მომსახურე ბანკებს შორის ურთიერთობა საგადასახდელო დოკუმენტაციის გაფორმებით, გადაგზავნის, დამუშავებისა და გადახდის პროცესში.

ამასთან, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, განსაკუთრებით საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, ხარჯებისა და რისკის მოწესრიგების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქონლის (მომსახურების) მიწოდების პირობების განსაზღვრას და მათ კონტრაქტში გათვალისწინებას. უპირველეს ყოვლისა, დასაზუსტებელია საქონლის გადატვირთვის ადგილი, საკუთრების უფლებისა და მყიდველისადმი გამყიდველის ვალდებულებათა გადაცემა, სატრანსპორტო ხარჯების გადაცემა, სატრანსპორტო ხარჯების განაწილება მყიდველ-გამყიდველს შორის.

საერთაშორისო ანგარიშსწორების პოზიციიდან მიწოდების უმნიშვნელოვანეს პირობად ითვლება:

1. **ფრანკო-ქარხანა**. მყიდველმა საქონელი უნდა მიიღოს მომწოდებლის (გამყიდველი) საწარმოდან (წარმოების ადგილი, შენახვა) არა უგვიანეს კონტრაქტში გათვალისწინებული ვადისა. მყიდველი გაიღებს საქონლის ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ყველა ხარჯებს;

2. **ფორ (ფრანკო ჩასატვირთი პლატფორმა)**. გამყიდველი მოვალეა საქონელი მიიტანოს გაგზავნის პუნქტში (ვაგონთან);

3. **ფოტ (ფორფრანკო-სატვირთო)**. მყიდველი მოვალეა საქონელი მიიტანოს სატვირთო მანქანასთან და გადაიხადოს ყველა ხარჯი საქონლის გადაცემის მომენტამდე;

4. **ფას (ფრანკო-გემის ბორტის გასწვრივ)**. გამყიდველი მოვალეა დაწესებულ დროში საქონელი გემის ბორტთან მიიტანოს. ამ მომენტამდე ყველა ხარჯს გამყიდველი იხდის;

5. **ფობ (ფრანკო ბორტი)** მყიდველი იხდის ყველა ხარჯს საქონლის გემზე ჩატვირთვამდე, კონტრაქტით დაწესებულ ვადაში;

6. **კაფ (ღირებულება და ფრახტი)**. მყიდველი ანაღდებს საქონლის გემში ჩატვირთვისა და ფრახტის ყველა ხარჯს დანიშნულების ნავსადგურში გემის მისვლამდე;

7. **სიფ (ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი)** მყიდველი მოვალეა გადაიხადოს ჩატვირთვის, დაზღვევის და ფრახტის ხარჯები დანიშნულების ნავსადგურში გემის მისვლამდე;

8. **ფრკ (ფრანკო-ჩატვირთვა)**. მყიდველი ანაღდებს ყველა ხარჯს დანიშნულების ადგილზე ტვირთების გადაზიდვისათვის საქონლის გადაცემის მომენტამდე;

9. **სიპ (ფრახტის, გადაზიდვისა და გადახდის დაზღვევამდე)**, დაზღვევის ანაზღაურება წარმოებს განსაზღვრულ ადგილამდე.

საგარეო-ეკონომიკური გარიგების განხორციელებისთვის გამოიყენება მთელი რიგი სპეციალური დოკუმენტაცია: სასაქონლო და თანმხლები, სადაზღვევო, რომლებიც რეკომენდებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

სასაქონლო დოკუმენტებს მიეკუთვნება: **კონოსამენტი** — ფასიანი ქაღალდი, რომელსაც მეფრახტე აძლევს ექსპორტიორს საზღვაო გადაზიდვების შესახებ აღებული ხელშეკრულების საფუძველზე, ე.ი. დოკუმენტი, რომელსაც გემის მფლობელი

აძლევს ტვირთის გამგზავნს იმის დასადასტურებლად, რომ ტვირთი მიღებულია გადასატანად საზღვაო გზით და ვალდებულია დანიშნულების ნავსადგურში ჩაიტანოს ტვირთი და ჩააბაროს კონოსამენტის სრულუფლებიან მფლობელს.

ამრიგად, კონოსამენტი სამ ფუნქციას ასრულებს: ადასტურებს გემის მეპატრონის მიერ ტვირთის გადასაზიდად მიღებას; წარმოადგენს საქონელ განმკარგულებელ დოკუმენტს და მოწმობს ხელშეკრულების დადებას საზღვაო გადაზიდვის შესახებ, რითაც გემის მეპატრონე იღებს ვალდებულებას ადგილზე მიიტანოს ტვირთი.

საზღვაო კონოსამენტს შეესაბამება სამდინარო კონოსამენტი. სარკინიგზო გადაზიდვისას იწერება ზედნადები, საავიაციო გადაზიდვისას — საავიოზედნადები.

სადაზღვევო დოკუმენტებს მიეკუთვნება: სადაზღვევო პოლისები და სერთიფიკატები, რომლებიც სავალდებულოა და თან ახლავს გასაგზავნ დოკუმენტებს, რასაც ბანკი ითხოვს გადახდის ოპერაციის მოსახდენად.

თანმხლებ დოკუმენტებს მიეკუთვნება: ანგარიშ-ფაქტურა (საქონლის აღწერის საბუთი), წონითი სერთიფიკატი, ვეტერინარული მოწმობა.

ინკასო არის ისეთი საბანკო ოპერაცია, რომლის საშუალებითაც ბანკი კლიენტის დავალებით იმპორტიორის ანგარიშიდან ექსპორტიორს გადაურიცხავს გაყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულების თანხას. ექსპორტიორი იმპორტიორის მისამართით საქონლის გაგზავნის შემდეგ ავალებს მომსახურე ბანკს მიიღოს განსაზღვრული თანხა საინკასო დავალებაში მითითებული პირობების გათვალისწინებით. **საინკასო ანგარიშსწორებაში მონაწილეობენ — ექსპორტიორი**, რომელიც თავის მომსახურე ბანკს ავალებს საინკასო ანგარიშსწორების განხორციელებას; **ექსპორტიორის მომსახურე ბანკი**, რომელიც ექსპორტიორისაგან ღებულობს საინკასო დავალებას; **იმპორტიორი-გადამხდელი**, რომელიც იხდის მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ღირებულებას და **იმპორტიორის მომსახურე ბანკი**, რომელიც იმპორტიორის ანგარიშზე არსებული ვალუტებიდან მოთხოვნილ თანხას გადაურიცავს ექსპორტიორ ბანკს ექსპორტიორის ანგარიშზე ჩასარიცხავად.

საინკასო ანგარიშსწორებაში არჩევენ მარტივ და დოკუმენტურ ინკასოს. მარტივი ინკასოს დროს ანგარიშსწორება წარმოებს საგადასახდელო მოთხოვნის მეშვეობით კომერციული დოკუმენტაციის ბანკში წარდგენის გარეშე. დოკუმენტური ინკასო წარმოადგენს საგადასახდელო მოთხოვნაზე თანდართული კომერციული დოკუმენტებით გადასახდელის გადახდევინებას.

ინკასოს მეშვეობით საერთაშორისო ანგარიშსწორებასა და საბანკო კრედიტს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ამ ფორმით ანგარიშსწორების დროს იმპორტიორი ღებულობს კრედიტს, რათა დროზე იქნეს ანაზღაურებული ექსპორტიორის მიერ საქონლის მიწოდებისთვის კუთვნილი თანხები. ასევე ექსპორტიორს თავის მომსახურე ბანკი აძლევს ე.წ. ონკოლის სესხს. ე.ი. გზაში მყოფი მატერიალურ ფასეულობათა საბუთების საწინდარით. ხშირად იმპორტიორის მომსახურე ბანკი გარანტის როლში გამოდის, ე.ი. იგი, როგორც იურიდიული პირი პასუხისმგებელია თამასუქზე გაკეთებული ვალდებულებების შესრულებაზე.

საგადასახდელო პირობების შესაბამისად საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში ინკასოს გამოყენება დიდ რისკთან არის დაკავშირებული. იმპორტიორს (მყიდველს) შეუძლია სხვადასხვა მიზეზით უარი თქვას საქონლის (მომსახურების) მიღებაზე და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე. ეს კი დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან (საქონლის უკან დაბრუნება). ამიტომ ექსპორტიორი იძულებულია იგი გაყიდოს აუქციონზე, ან მესამე მხარეზე დაბალი ფასით.

იმის გამო, რომ ინკასო ექსპორტიორს არ აძლევს გადატვირთული საქონლის განაღდების სრულ გარანტიას, შეირჩევა გადახდის სხვა, უფრო ოპტიმალური პირობები, მაგალითად, ანგარიშსწორების **სააკრედიტივო ფორმა.**

აკრედიტივი არის ფულადი საანგარიშსწორებო დოკუმენტი, ერთი საბანკო დაწესებულების მეორის მიმართ განსაზღვრული თანხის ვინმეზე გადახდის თაობაზე, ე.ი. მოახდინოს სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების ანაზღაურება საქონლის გადატვირთვისთვის სპეციალურად გამოყოფილი სახსრებიდან, ან აკრედიტივის წარმომდგენს გადაუხადოს მოთხოვნილი ფულადი თანხა.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ფულადი აკრედიტივის განაღდება წარმოებს მასში მითითებული ვალუტის მიხედვით, ან იმ ქვეყნის ვალუტით, სადაც აკრედიტივი წარედგინება.

არსებობს **სასაქონლო აკრედიტივიც**. იგი უპირატესად გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში საქონლის მყიდველ-გამყიდველებს შორის ანგარიშსწორებისას. მყიდველი თავის ბანკს აძლევს დავალებას სასაქონლო აკრედიტივის გახსნის თაობაზე, სადაც მითითებული უნდა იქნეს: მომწოდებლის დასახელება, მისამართი, თანხა, აკრედიტივის მოქმედების ვადა, გასანაღდებელი საქონლის (მომსახურების) სახე, მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტი და სხვ.

ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმას საფუძვლად უდევს იმის აუცილებლობა, რომ მომწოდებელი მყიდველისაგან დროულად მიიღებს რეალიზებული საქონლის ღირებულებას. როგორც წესი, სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისად, ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმის პირობებში მყიდველი მოვალეა საქონლის მიწოდებამდე გადაიტანოს განსაზღვრული თანხა ექსპორტიორის მიერ მითითებულ ბანკში. საქონლის დროულად გაგზავნის შემდეგ ექსპორტიორს შეუძლია მიიღოს გახსნილი აკრედიტივიდან კუთვნილი თანხები.

საერთაშორისო სააკრედიტივო ანგარიშსწორების ორი ფორმა არსებობს: გამოთხოვილი და გამოთხოვის გარეშე.

გამოთხოვილ აკრედიტივთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ნებისმიერ დროს შეიძლება აკრედიტივის თანხისა და პირობების შეცვლა ან აკრედიტივის ანულირება.

გამოთხოვის გარეშე აკრედიტივი არის ემიტენტის მტკიცე ვალდებულება იმის შესახებ, რომ აკრედიტივის თანხა არ შეცვალოს და გაუქმება არ მოახდინოს დაინტერესებული მხარეების გარეშე. საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკაში აკრედიტივის ეს ფორმა ფართოდ არის გავრცელებული.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმებს შორის ფართოდ გავრცელებულია ანგარიშსწორება ღია ანგარიშით, რომლის არსი მდგომარეობს საქონლის მიწოდების პერიოდულად ანაზღაურებაში შემდგომი გადახდისა და იმპორტიორის ანგარიშზე დავალიანების ჩარიცხვის პირობით.

ანგარიშსწორება ღია ანგარიშით საბანკო კრედიტის გამოყენების ფორმაა. ამ ფორმას ექსპორტიორები ნაკლებად ეტანებიან, იგი არ აძლევს მათ იმის გარანტიას, რომ საექსპორტო ამონაგები დროულად იქნება მიღებული. თანაც, ექსპორტიორის კაპიტალის ბრუნვადობის შენელებას აქვს ადგილი, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებულია გამოიყენოს ბანკის კრედიტი. ექსპორტიორისთვის ანგარიშსწორება ღია ანგარიშით ყოველთვის როდია არახელსაყრელი. მაშინ, როდესაც კონტრაგენტები მონაცელეობით გამოდიან მყიდველ-გამყიდველის როლებში, იმპორტიორის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ექსპორტიორის მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში, საქონლის მიწოდების შეჩერებას იწვევს.

ამ წესით ანგარიშსწორებისას საქონლის რეალიზაციის შემდეგ, ექსპორტიორი მისი ღირებულების თანხას დავალიანებაში გაატარებს, ხოლო იმპორტიორი აღებულ კრედიტს ექსპორტიორის ანგარიშზე გაატარებს, საქონლის გადახდის შემდეგ უნაღდო საბანკო გზავნილების ფორმით.

ანგარიშსწორების ღია ანგარიშით დავალიანების დაფარვის წესს განსაზღვრავს კონტრაგენტებს შორის შეთანხმება. ამ ანგარიშით დავალიანებათა საბოლოო მოწესრიგება წარმოებს ბანკების მეშვეობით ანგარიშთა სხვა ფორმების გამოყენებით (საბანკო გზავნილების, ჩეკებისა და თამასუქების წარდგენის გზით).

ღია ანგარიშით ანგარიშსწორება ფართოდ ვითარდება მაშინ, როდესაც მყიდველსა და გამყიდველს შორის ნდობის ატმოსფეროა. ეს უპირატესად ხორციელდება საქონლის რეგულარული მიწოდების პირობებში. ანგარიშსწორების ამ ფორმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქონლის მოძრაობა ფულის მოძრაობას წინ უსწრებს. ეს ფორმა ფაქტობრივად გამოიყენება იმპორტიორის დაკრედიტების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში, ექსპორტიორის ნდობის გამომხატველია.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა საბანკო გზავნილება, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ბანკი (გზავნილების გამგზავნი) დავალებას წარუდგენს მეორე ბანკს (გზავნილების მიმღებს) გარკვეული თანხის გადახდის თაობაზე.

საგადასახდელო დავალება, რომლითაც ხორციელდება გზავნილება, საერთაშორისო საგადასახდელო ბრუნვის განსაკუთრებულ წესებს ექვემდებარება. გზავნილება ხორციელდება არა მარტო საქონლური გარიგებით, არამედ მომსახურების განაღდებისა და ცალმხრივი გადასახდელების მოხდენისთვის. საერთაშორისო ბრუნვის საგადასახდელო დავალება განსხვავებულია შიდასახელმწიფოებრივი საგადასახდელო დავალებისაგან იმით, რომ იგი შეიძლება გამოიწეროს როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით.

თუ საგადასახდელო დავალება გამოიწერება მიმღების ვალუტით, მაშინ ბანკი-კორესპონდენტი დავალებაში აღნიშნულ თანხას იწერს მის ანგარიშზე. ბანკი-კორესპონდენტი საზღვარგარეთის ბანკია, რომელსაც მუდმივი საბანკო კავშირები გააჩნია მოცემულ ბანკთან. ბანკი-კორესპონდენტის გახსნილ ნოსტროს ანგარიშზე მომსახურე ბანკი ჩარიცხავს სხვადასხვა ოპერაციებიდან შემოსულ მთელს ვალუტას. ამ ანგარიშიდანვე წარმოებს თანხების გადარიცხვა ანგარიშის მფლობელი ბანკის ყველა საგადასახდელო დავალებით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გზავნილების საგადასახდელო დავალებით აღსრულება გარკვეულად ხანგრძლივ დროს მოითხოვს. თანაც ბანკი წარმოადგენს რა საგადასახდელო დავალებას, იგი უნდა ზრუნავდეს ბანკ-კორესპონდენტში გახსნილი თავისი ანგარიშის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფაზე.

მონაცემების ელექტრონული დამუშავების შემოღებამ პრინციპულად ახალი შესაძლებლობები წარმოშვა გადასახდელთა ანაზღაურების დროის შესამცირებლად. ამის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მონაცემების ელექტრონული დამუშავების საშუალებით შექმნას უდოკუმენტო საგადასახდელო ბრუნვა, სწორად ჩაატაროს კალკულაცია, დაამყაროს კავშირები ბანკებთან ტელეკომუნიკაციების მეშვეობით, მონაცემთა გაცვლის გზით, მინიმუმამდე დაიყვანოს რისკი საგადასახდელო დავალების გადაცემისას.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ იყენებენ გადასაგზავნ და კომერციულ თამასუქებს. თამასუქი ესაა მოწმობა, რომელიც შეიცავს თამასუქის გამცემის წერილობით ვალდებულებას, თამასუქის წარმომდგენს, ან მასზე აღნიშნულ პირს გადაუხადოს განსაზღვრული თანხა დაწესებულ ვადაში. თამასუ-

ქი საქონლის ნისიად გაყიდვამ წარმოშვა. გადასაგზავნი თამასუქი ისეთი თამასუქია, რომელიც წარდგენილია ექსპორტიორის მიერ იმპორტიორზე. თანამედროვე პირობებში მრავალი გარიგება ხორციელდება თამასუქის მეშვეობით. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისების დროს ფართო განვითარებას პოულობს კომერციული კრედიტი. მას ხელს უწყობს ის, რომ ასეთი კრედიტების ორმხრივი ვალდებულება არ ცხადდება და გარეშე თვალთაგან დაფარულია.

თამასუქის გამოყენება ეკონომიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. 1930 წელს სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ერთიანი, უნიფიცირებული კანონმდებლობა თამასუქის შესახებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ ქვეყნებს არ გააჩნდეთ განსხვავებული საკანონმდებლო აქტები.

როგორც აღინიშნა, თამასუქი წერილობითი ვალდებულებაა, განსაზღვრულ ვადაში ვალის გადახდის წერილობითი დაპირებაა. არსებობს გადასაგზავნი (გადაპირებული) თამასუქი, რომელსაც ტრატა ეწოდება. მასში, როგორც აღნიშნეთ, მონაწილეობს სამი პირი. ერთი (ტრასანტი) უბრძანებს მეორეს (ტრასატს), გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) განსაზღვრული თანხა.

თუ მე-20 საუკუნის 50-იან წლამდე ფართოდ იყო გავრცელებული კომერციული თამასუქი, მან შემდგომ პერიოდში დაკარგა თავისი მნიშვნელობა და გზა გაუხსნა საბანკო თამასუქს, რომელთაგან მთავარია საბანკო ტრატა. ტრატა ისეთი სახის თამასუქია, რომელსაც იურიდიული პირი გამოსწერს ბანკის სახელზე და ეს უკანასკნელი აქცეპტს უკეთებს.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის სფეროში გადახდის ერთ-ერთი საშუალებაა ჩეკი. ჩეკი წერილობითი განკარგულებაა, რომელიც გამოწერილი უნდა იქნეს განსაზღვრული ფორმით და პირდაპირ და უპირობოდ უნდა განაღდდეს წარდგენისას, მასში ნაჩვენები თანხის ოდენობით. ჩეკი ფასიანი ქაღალდია, რომელიც განასახიერებს საკუთრების უფლებას და რომლის გამოყენება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც უფლება აქვს მის გამოყენებაზე.

იმის გამო, რომ საერთაშორისო საგადასახდელო ბრუნვაში ჩეკის გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა, 1930-1931 წლებში

ქვეყნების დიდი ნაწილის მიერ ხელმოწერილი იქნა ჟენევის კონვენცია ჩეკებზე. დღეს კაცობრიობას აქვს კონკრეტული სამართლებრივი მოთხოვნები, რომელიც საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ჩეკების გამოყენებას უდევს საფუძვლად. ესენია:

1. ტერმინი „ჩეკი“ დოკუმენტზე აღნიშნული უნდა იყოს იმ ენაზე, რომელზედაც ჩეკია გამოწერილი;

2. აუცილებელია არსებობდეს უპირობო განკარგულება – გადახდილი იქნეს მასზე აღნიშნული თანხა. თანხების რიცხვითა და სიტყვით აღნიშვნების განსხვავებისას, მოხდება წერილობითი სახით აღნიშნული თანხის გადახდა;

3. ჩეკში მოცემული უნდა იყოს თანხის გადამხდელის დასახელება;

4. ჩეკში ნაჩვენები უნდა იყოს გადახდის ადგილი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ბანკის ადგილმდებარეობას ემთხვევა;

5. ჩეკზე აღნიშნული უნდა იყოს მისი გამოწერის დრო და ადგილი;

6. ჩეკზე აუცილებელია ჩეკის გამცემის ხელმოწერა.

ჩეკი შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

1. წარმომდგენზე ჩეკი;

2. საორდერო ჩეკი. იგი გამოყენებულია საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ პირზე გამოიწერება;

3. სახელობითი ჩეკი;

4. საკასო ჩეკი;

5. განაღდების ჩეკი;

6. კროსირებული ჩეკი.

ევროპის ქვეყნებში ფართო გავრცელება ჰპოვა „ევროჩეკებმა“, რომლებიც მიიღება გადასახდელად ევროპის საბანკო სისტემის მონაწილე ნებისმიერ ქვეყანაში.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ერთ-ერთ ფორმად გამოყენებულია **საკრედიტო ბარათი,** რომელიც პლასტმასისაგან არის დამზადებული და რომელიც საშუალებას აძლევს საემისიო ბანკებს აწარმოონ უნაღდო ცალობრივი გადახდები. საქონლის ყიდვის დროს თუ მყიდველის ანგარიშზე ბანკში სახსრები არ იქნება, მას ეძლევა ლიმიტირებული მოკლევადიანი სესხი.

თავი VII
საგადასახდელო ბალანსი

VII.1. საგადასახდელო ბალანსის არსი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

ნებისმიერი ქვეყნის სამთავრობო ორგანოების სწორი და ოპტიმალური ფულადი, სავალუტო, საკრედიტო და საგადასახდელო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ისინი კარგად ერკვეოდნენ საერთაშორისო დონეზე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთქმედების მექანიზმში. ამასთან, ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ სავალუტო ბაზრების ფუნქციონირებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებს, რათა დროულად იქნეს გამოვლენილი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები. სწორედ ამ საქმეში სამთავრობო ორგანოებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს **საგადასახდელო ბალანსი**, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშგებას, სადაც სისტემატიზებული სახით არის ჩამოყალიბებული მოცემული ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციათა საერთო მონაცემები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, დროის განსაზღვრულ პერიოდში და რომელიც გვიჩვენებს რა დადებით და უარყოფით მოვლენებთან გვაქვს საქმე და როგორ გამოვასწოროთ მათი არასასურველი შედეგები. საგადასახდელო ბალანსის ანგარიშები უნიკალურია იმ მხრივ, რომ მასში აისახება მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის მიმდინარე რეალური და ფინანსური ნაკადები.

საგადასახდელო ბალანსის პირველი არაოფიციალური პუბლიკაცია განხორციელდა აშშ-ში 1923 წელს.

ნებისმიერი ქვეყნისთვის მეტად საინტერესო და აუცილებელია საგადასახდელო ბალანსში ნაჩვენები სამი სახის ინფორმაცია:

1. ქვეყნებს შორის გაცვლის შედეგების ჩანაწერების მეშვეობით შეიძლება დასკვნის გაკეთება „მცურავი“ სავალუტო კურ-

სის სისტემის სტაბილურობაზე. საგადასახდელო ბალანსი ქვეყნის მმართველებს ხელს უწყობს გამოვლინდეს იმ ადამიანთა ხელში თავმოყრილი ვალუტების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათი შენახვით (მოცემული ქვეყნის ვალუტის რეზიდენტები) და ისინი, რომლებიც ცდილობენ მოიშორონ ეს ვალუტა (უცხოელები).

2. საგადასახდელო ბალანსი შეუცვლელია ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში. იგი ხელს უწყობს უცხოელთა ხელში არსებული მოცემული ვალუტის მოცულობის განსაზღვრას და ვალუტის ფიქსირებული კურსის მიზანშეწონილობაზე მხარდაჭერის საქმეს, თუ მას კრიზისი ემუქრება.

3. საგადასახდელო ბალანსის ანგარიშები იძლევიან დავალიანების დაგროვების, პროცენტების, ვალის ძირითადი თანხების გადასახდელებისა და ქვეყნის მიერ მომავალი გადასახდელებისთვის კონვერტირებადი ვალუტის შესაძლო გამომუშავების შესახებ ინფორმაციებს. ეს ინფორმაციები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გაირკვეს მოვალე-ქვეყანას შეუძლია თუ არა ადვილად, ან ძნელად დაფაროს უცხოელი კრედიტორების ვალები.

ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნისა და დანარჩენი მსოფლიოს რეზიდენტებს შორის დადებულ ყველა ეკონომიკურ გარიგებათა სისტემატურ ჩანაწერებს დროის გარკვეული პერიოდისათვის. უფრო გაშლილად, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ნებისმიერი ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირების, ფირმების, კორპორაციების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და უწყებების მიერ სხვა ქვეყნების ანალოგიურ წარმომადგენლებთან დადებულ გარიგებათა კრებსით ბალანსს. იგი იძლევა ქვეყნის სავაჭრო, სავალუტო, საფინანსო და სხვა სახის უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობების დახასიათებას და ასახავს ყველა ოპერაციათა მიხედვით სავალუტო სახსრების შემოსავალგასავალს შორის თანაფარდობას.

ნებისმიერი ქვეყნის **რეზიდენტი** ის სამეურნეო ერთეულია, რომლის ეკონომიკური ინტერესების სფერო დაკავშირებულია ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიასთან. საყურადღებოა ისიც, რომ რეზიდენტი შეიძლება იყოს მოცემული ქვეყნის იურიდიული პირი, ან არა; შეიძლება გააჩნდეს ამ ქვეყნის ეროვნება, ან არა;

ოპერაციების განხორციელებისას შეიძლება იმყოფებოდეს ამ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ან არა.

საყურადღებოა, რომ დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში ზოგიერთი ეკონომისტი რეზიდენტის კატეგორიას განსხვავებულად განმარტავს, ასე, მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტის პ. ხ. ლინდერტის აზრით „ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც გააჩნია მოცემულ ქვეყანაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, შეიძლება იყოს ამ ქვეყნის რეზიდენტი, მისი მოქალაქეობისა და საპასპორტო სტატუსის მიუხედავად“[1].

საცხოვრებელი ადგილისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანებს გააჩნიათ მიდრეკილება, ჰქონდეს იმ ქვეყნის ვალუტა, სადაც ისინი ატარებენ თავიანთი ცხოვრების დიდ ნაწილს. ამასთან, პრაქტიკაში ხშირად ძნელია სწორად განისაზღვროს ტურისტების, დიპლომატების, სამხედრო პერსონალის, საზღვარგარეთ დროებით დასაქმებული მუშების და მრავალეროვანი კომპანიების განყოფილებათა მუშაკების „ძირითადი“ საცხოვრებელი ადგილი. ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობა საიმედო არ არის, მაგრამ მნიშვნელოვან განსხვავებას მაინც არ იძლევა.

ეკონომიკური გარიგება წარმოადგენს ნებისმიერი ღირებულების გაცვლას, ე.ი. აქტს, რომლითაც გადაიცემა ეკონომიკურ საქონელზე საკუთრების უფლება, გაიღება ეკონომიკური მომსახურება, ე.ი. აქტივებზე საკუთრების უფლება მოცემული ქვეყნის რეზიდენტიდან გადადის მეორე ქვეყნის რეზიდენტის ხელში.

ნებისმიერ გარიგებას ორი მხარე გააჩნია. მოცემული ქვეყნის თვალსაზრისით გარიგება ასე განისაზღვრება: **კრედიტი** არის ღირებულებათა გადინება, რომელსაც მოსდევს კომპენსირებული ღირებულების შემოსვლა, ან შესაბამისი გადასახდელი მოცემული ქვეყნისათვის.

დებეტი არის იმ ღირებულებათა მოდინება, რომელიც უნდა გადაიხადონ მოცემული ქვეყნის რეზიდენტებმა.

როგორც წესი, საგადასახდელო ბალანსის შედგენა ემყარება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აგების პრინციპებს –

---

[1] **П. Х. Линдерт.** Экономика мирохозяйственных связей. М., 1992, стр. 95.

ანგარიშზე ორმაგი ბუღალტრული ჩაწერის სისტემას, ე.ი. თითოეული ოპერაციის გატარება ხდება ორი ურთიერთშემვსები აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი ჩანაწერების საფუძველზე. ერთი ჩანაწერი ხორციელდება როგორც კრედიტი, ხოლო მეორე – როგორც დებეტი.

მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიად ითვლება:

– ქვეყნის გეოგრაფიული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც საქონელთა გაადგილება თავისუფალია;

– ეროვნული საჰაერო სივრცე, ტერიტორიული წყლები და საერთაშორისო წყლებში მიმდებარე კონტინენტური შელფი, რომელზედაც ქვეყანას აქვს განსაკუთრებული უფლება;

– ნებისმიერი თავისუფალი ზონები, ბაჟგადაუხდელი ტვირთის შესანახად განკუთვნილი საწყობებისა და საცავების ჩათვლით და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სავაჭრო ადგილები;

– ტერიტორიული ანკლავი – გეოგრაფიული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მოცემული ქვეყნის ტერიტორიის გარეთ, მაგრამ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკულების ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე გამოიყენება ამ ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ. ასეთებს მიეკუთვნება: საელჩოების, საკონსულოების, სამხედრო და სამეცნიერო ბაზებით დაკავებული ტერიტორია;

– სამხედრო და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციების შტატი, რომელთა შტაბ-ბინა მდებარეობს ექსტერიტორიულ ანკლავებში.

ეკონომიკურ საქმიანობათა პროცესი წარმოშობს ეკონომიკურ ოპერაციებს, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. რეალურ და ფინანსურ ოპერაციებს. რეალურ ოპერაციებში ჩაითვლება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საქონლის მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით გადაადგილება, ხოლო ფინანსური ოპერაციები მოიცავს საქონლისათვის შესაბამის ანაზღაურებას.

როგორც წესი, ეკონომიკური ოპერაციები ღირებულებით მაჩვენებლებში გამოიხატება. თვით ეს ოპერაციები იყოფა სამ ჯგუფად:

1. საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციები;

2. განაწილებითი ოპერაციები;

3. ფინანსური ოპერაციები.

განაწილებითი ოპერაციები კავშირშია ტრანსფერტის ცნებასთან[1]. იგი გულისხმობს ერთი ეკონომიკური ერთეულიდან მეორე ეკონომიკური ერთეულის მისამართით მატერიალური და ფინანსური ნაკადების მოძრაობას შესაბამისი ანაზღაურების მიზნით, შემხვედრი ნაკადების მოძრაობის გარეშე.

ტრანსფერტი ორი სახისაა: მიმდინარე და კაპიტალური.

მიმდინარე ტრანსფერტები მოიცავს იმ გაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური ერთეულების მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან.

კაპიტალური ტრანსფერტები მოიცავს ერთდროული ხასიათის შემოსავლებს, რომლითაც წარმოებს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების შესყიდვა. კაპიტალურ ტრანსფერტებში შედის აგრეთვე სუბსიდიები კაპიტალურ დაბანდებებზე, კაპიტალზე გადასახადები და სხვ.

კაპიტალური ტრანსფერტები ზემოქმედებას არ ახდენენ არც ერთი ქვეყნის დანაზოგის მოცულობაზე, მაშინ, როცა მიმდინარე ტრანსფერტები ზრდის დახმარების მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ეროვნული დანაზოგის მოცულობას და ამცირებს ეროვნული დანაზოგის სიდიდეს დონორი ქვეყნის ეკონომიკაში.

საგარეო ბალანსის სტრუქტურა ოპერაციათა ხასიათის მიხედვით ორი განყოფილებისაგ შედგება: მიმდინარე ოპერაციების ბალანსი და კაპიტალის მოძრაობის ბალანსი.

მიმდინარე ოპერაციების ბალანსი შედგება: საგაჭრო ბალანსისა და მომსახურებისა და არაკომერციული ოპერაციების ბალანსისგან.

კაპიტალის მოძრაობის ბალანსი წარმოადგენს დროის გარკვეულ პერიოდში სახელმწიფო და კერძო კაპიტალის

---

[1] **ტრანსფერტი** ლათინურად „Transfert" ნიშნავს „გადატანას" ანუ „დაბრუნებულ გადასახდელებს". ეს ცნება გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში და ნიშნავს, რომ ღირებულების მაჩვენებელში გამოხატული რესურსების გადაცემა წარმოებს შესაბამისი ანაზღაურების, ან კომპენსაციის გარეშე (გადასახადები, სოციალური დაზღვევის ანარიცხები, პენსიები, სუბსიდიები და დოტაციები). (ავტორები).

ექსპორტ-იმპორტს შორის, აგრეთვე მიღებულ და გაცემულ საბანკო თუ კომერციულ სესხებს შორის შეფარდებას.

საგადასახდელო ბალანსი შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. ბალანსი მაშინ არის აქტიური, როდესაც მოცემული ქვეყანა დროის განსაზღვრულ პერიოდში მეტ შემოსავალს ღებულობს, ე.ი. მეტი ღირებულების საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ეწევა, ვიდრე შემოაქვს. მაშასადამე, ქვეყანას უცხოეთის ქვეყნები მეტს უხდიან, ვიდრე ის მათ უხდის.

საგადასახდელო ბალანსი პასიურია, როცა ქვეყანა დროის განსაზღვრულ პერიოდში საზღვარგარეთის ქვეყნებს მეტს უხდის, ვიდრე ისინი მას უხდიან, ე.ი. მეტი ღირებულების საქონლისა და მომსახურების იმპორტს ეწევა, ვიდრე მას ექსპორტში გააქვს.

ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს ერთი ქვეყნის მიმართ შეიძლება აქტიური სალდო ჰქონდეს, ხოლო მეორის მიმართ — პასიური სალდო, ასევე ზოგიერთი მუხლი შეიძლება პასიური ჰქონდეს, ხოლო ზოგიერთი — აქტიური. მთავარია მთლიანობაში — შემოსავლებისა და გასავლების (ხარჯების) ურთიერთშეჯამებით საგადასახდელო ბალანსს აქტიური ან პასიური სალდო გააჩნდეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული საგადასახდელო ბალანსის ზოგადი სქემა ასეთი სახისაა:

საგადასახდელო ბალანსი სტანდარტული კომპონენტები	კრედიტი	დებეტი

I. მიმდინარე ოპერაციების ანგარიში

ა) საქონელი და მომსახურება

საქონელი

1. საქონლის ექსპორტ-იმპორტი
2. საქონელი შემდეგი გადამუშავებისთვის
3. საქონლის რემონტი
4. სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ ნავსადგურში შეძენილი საქონელი
5. არამონეტური ოქრო
   5.1. ოქრო, როგორც დაგროვების საშუალება
   5.2. სხვა

მომსახურება

1. სატრანსპორტო მომსახურება
   1.1. საზღვაო ტრანსპორტი
      1.1.1. სამგზავრო
      2.1.2. სატვირთო
      3.1.3. სხვა
   1.2. საჰაერო ტრანსპორტი
      1.2.1. სამგზავრო
      1.2.2. სატვირთო
      1.2.3. სხვა
2. მიმოსვლა
   2.1. საქმიანი
   2.2. პირადი
3. კავშირგაბმულობის მომსახურება
4. სამშენებლო მომსახურება
5. სადაზღვევო მომსახურება
6. ფინანსური მომსახურება
7. კომპიუტერული და ინფორმაციული მომსახურება
8. როიალტი და სალიცენზიო მომსახურება
9. სხვა საქმიანი მომსახურება
   9.1. საქონლის გაყიდვა საზღვარგარეთ, საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული მომსახურება საზღვარგარეთ
   9.2. საოპერაციო ლიზინგი

9.3. სხვა საქმიანი, პროფესიული და ტექნიკური მომსახურება

10. კერძო პირთა მომსახურება და მომსახურება კულტურის და დასვენების სფეროში

10.1. აუდიოვიზუალური პროგრამების შექმნა და მასთან დაკავშირებული მომსახურება

10.2. კერძო პირთა მომსახურება და მომსახურება კულტურისა და დასვენების სფეროში

11. სახელმწიფო მომსახურება, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში

ბ) შემოსავლები

1. შრომის ანაზღაურება
2. შემოსავლები ინვესტიციებიდან

2.1. პირდაპირი ინვესტიციები

2.1.1. შემოსავლები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალში მონაწილეობას

2.1.1.1. დივიდენდები და განაწილებული მოგება

2.1.1.2. რეინვესტირებული შემოსავლები და გაუნაწილებული მოგება

2.1.2. შემოსავლები საკუთარ ვალდებულებებიდან (პროცენტები)

2.2. პორტფელური ინვესტიციები

2.2.1. შემოსავლები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალში მონაწილეობას (დივიდენდები)

2.2.2. შემოსავლები საკუთარ ვალდებულებებიდან (პროცენტები)

2.2.2.1. ობლიგაციები და სხვა საკუთარ ვალდებულებები

2.2.2.2. ფულის ბაზრის ინსტრუმენტები და სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

2.3. სხვა ინვესტიციები

გ) მიმდინარე ტრანსფერტები

1. სახელმწიფო მმართველობის სექტორი
2. სხვა სექტორები

2.1. მუშაკთა ფულადი გზავნილები

2.2. სხვა ტრანსფერტები

II. კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციების ანგარიში

კაპიტალის ანგარიში

1. კაპიტალური ტრანსფერტები
   - 1.1. სახელმწიფო მმართველობის სექტორი
     - 1.1.1. ვალის პატიება
     - 1.1.2. სხვა
   - 1.2. სხვა სექტორები
     - 1.2.1. მიგრანტების ტრანსფერტები
     - 1.2.2. ვალის პატიება
     - 1.2.3. სხვა
2. არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვა

ბ) ფინანსური ანგარიში

1. პირდაპირი ინვესტიციები

- 1.1. უცხოეთში
  - 1.1.1. სააქციონერო კაპიტალი
    - 1.1.1.1. მოთხოვნები ფილიალებისადმი უცხოეთში
    - 1.1.1.2. ვალდებულებები ფილიალებისადმი უცხოეთში
  - 1.1.2. რეინვესტირებული შემოსავლები
  - 1.1.3. სხვა კაპიტალი
    - 1.1.3.1. მოთხოვნები ფილიალებისადმი უცხოეთში
    - 1.1.3.2. ვალდებულებები ფილიალებისადმი უცხოეთში
- 1.2. ეროვნულ ეკონომიკაში
  - 1.2.1. სააქციონერო კაპიტალი
    - 1.2.1.1. მოთხოვნები უცხოელი პირდაპირი ინვესტორებისადმი
    - 1.2.1.2. ვალდებულებები უცხოელი პირდაპირი ინვესტორების მიმართ
  - 1.2.2. რეინვესტირებული შემოსავლები
  - 1.2.3. სხვა კაპიტალი
    - 1.2.3.1. მოთხოვნები უცხოელი პირდაპირი ინვესტორებისადმი
    - 1.2.3.2. ვალდებულებები უცხოელი პირდაპირი ინვესტორების მიმართ

2. საპორტფელო ინვესტიციები

2.1. აქტივები

2.1.1. ფასიანი ქაღალდები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალში მონაწილეობას

2.1.1.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები

2.1.1.2. სახელმწიფო მმართველობის სექტორი

2.1.1.3. ბანკები

2.1.1.4. სხვა სექტორები

2.1.2. სავალო ფასიანი ქაღალდები

2.1.2.1. ობლიგაციები და სხვა ვალის ვალდებულებები

2.1.2.1.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები

2.1.2.1.2. სახელმწიფო მმართველობის სექტორი

2.1.2.1.3. ბანკები

2.1.2.1.4. სხვა სექტორები

2.1.2.2. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები

2.1.2.2.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები

2.1.2.2.2. სახელმწიფო მმართველობის სექტორი

2.1.2.2.3. ბანკები

2.1.2.2.4. სხვა სექტორები

2.1.2.3. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

2.1.2.3.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები

2.1.2.3.2. სახელმწიფო მმართველობის სექტორი

2.1.2.3.3. ბანკები

2.1.2.3.4. სხვა სექტორები

2.2.1. ფასიანი ქაღალდები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალში მონაწილეობას

2.2.1.1. ბანკები

2.2.1.2. სხვა სექტორები

2.2.2. საკალო ფასიანი ქაღალდები

2.2.2.1. ობლიგაციები და სხვა ვალის ვალდებულებები

2.2.2.1.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები

2.2.2.1.2. სახელმწიფო მმართველობის სექტორი

2.2.2.1.3. ბანკები

2.2.2.1.4. სხვა სექტორები

2.2.2.2. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები

2.2.2.2.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები

2.2.2.2.2. სახელმწიფო მმართველობის სექტორი

2.2.2.2.3. ბანკები

2.2.2.2.4. სხვა სექტორები

2.2.2.3. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

2.2.2.3.1. ბანკები

2.2.2.3.2. სხვა სექტორები

3. სხვა ინვესტიციები

3.1. აქტივები

3.1.1. კომერციული კრედიტი

3.1.1.1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები

3.1.1.1.1. გრძელვადიანი

3.1.1.1.2. მოკლევადიანი

3.1.1.2. სხვა სექტორები

3.1.1.2.1. გრძელვადიანი

3.1.1.2.2. მოკლევადიანი

3.1.2. სესხები

3.1.2.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები

3.1.2.1.1. გრძელვადიანი

3.1.2.1.2. მოკლევადიანი

3.1.2.2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები

3.1.2.2.1. გრძელვადიანი
3.1.2.2.2. მოკლევადიანი
3.1.2.3. ბანკები
3.1.2.3.1. გრძელვადიანი
3.1.2.3.2. მოკლევადიანი
3.1.2.4. სხვა სექტორები
3.1.2.4.1. გრძელვადიანი
3.1.2.4.2. მოკლევადიანი
3.1.3. ნაღდი ფული და დეპოზიტები
3.1.3.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები
3.1.3.2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები
3.1.3.3. ბანკები
3.1.3.4. სხვა სექტორები
3.1.4. სხვა აქტივები
3.1.4.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები
3.1.4.1.1. გრძელვადიანი
3.1.4.1.2. მოკლევადიანი
3.1.4.2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები
3.1.4.2.1. გრძელვადიანი
3.1.4.2.2. მოკლევადიანი
3.1.4.3. ბანკები
3.1.4.3.1. გრძელვადიანი
3.1.4.3.2. მოკლევადიანი
3.1.4.4. სხვა სექტორები
3.1.4.4.1. გრძელვადიანი
3.1.4.4.2. მოკლევადიანი
3.2. ვალდებულებები
3.2.1. კომერციული კრედიტი
3.2.1.1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები
3.2.1.1.1. გრძელვადიანი
3.2.1.1.2. მოკლევადიანი
3.2.1.2. სხვა სექტორები

3.2.1.2.1. გრძელვადიანი
3.2.1.2.2. მოკლევადიანი
3.2.2. სესხები
3.2.2.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები
3.2.2.1.1. გრძელვადიანი
3.2.2.1.2. მოკლევადიანი
3.2.2.2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები
3.2.2.2.1. გრძელვადიანი
3.2.2.2.2. მოკლევადიანი
3.2.2.3. ბანკები
3.2.2.3.1. გრძელვადიანი
3.2.2.3.2. მოკლევადიანი
3.2.2.4. სხვა სექტორები
3.2.2.4.1. გრძელვადიანი
3.2.2.4.2. მოკლევადიანი
3.2.3. ნაღდი ფული და დეპოზიტები
3.2.3.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები
3.2.3.2. ბანკები
3.2.4. სხვა ვალდებულებები
3.2.4.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოები
3.2.4.1.1. გრძელვადიანი
3.2.4.1.2. მოკლევადიანი
3.2.4.2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები
3.2.4.2.1. გრძელვადიანი
3.2.4.2.2. მოკლევადიანი
3.2.4.3. ბანკები
3.2.4.3.1. გრძელვადიანი
3.2.4.3.2. მოკლევადიანი
3.2.4.4. სხვა სექტორები
3.2.4.4.1. გრძელვადიანი
3.2.4.4.2. მოკლევადიანი

4. **სარეზერვო აქტივები**

4.1. მონეტური ოქრო

4.2. ნასესხობის სპეციალური უფლებები

4.3. სარეზერვო პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში

4.4. უცხოური ვალუტა

4.4.1. ნაღდი ფული და დეპოზიტები

4.4.1.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოებში

4.4.1.2. ბანკებში

4.4.2. ფასიანი ქაღალდები

4.4.2.1. აქციები

4.4.2.2. ობლიგაციები და სხვა ვალის ვალდებულებები

4.4.2.3. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

4.5. სხვა აქტივები

ჩვენს მიერ მოტანილ საგადასახდელო ბალანსის მაჩვენებლებს აუცილებელია გაუკეთდეს კომენტარები, მით უმეტეს საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნია არც საგადასახდელო ბალანსის და არც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გამოყენების ხანგრძლივი გამოცდილება.

რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებული მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია აისახება მიმდინარე ოპერაციების ბალანსში. მასში შედის: საქონელი, მომსახურება, შემოსავლები, ტრანსფერტები.

„საქონლის“ ქვეშ იგულისხმება ყველა ის მატერიალური ფასეულობა, რომლის მფლობელობა იცვლება რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის ურთიერთობის პროცესში. საქონლის მესაკუთრე ითვლება შეცვლილად, თუ საქონლის გამყიდველი-ექსპორტიორი მას არ ასახავს, როგორც თავის ქონებას, აფიქსირებს მის გაყიდვას, რეალიზაციას და შესაბამის ჩანაწერს აკეთებს ფინანსურ ანგარიშებში. ექსპორტიორის საპირისპირო ალრიცხვას აწარმოებს მყიდველი-იმპორტიორი.

საქონელზე მესაკუთრის შეცვლა, ჩვეულებრივად საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთას ნიშნავს. გამორიცხული არ არის შემთხვევები, როდესაც საქონელი იცვლის მესაკუთრეს, მაგრამ არ გადაკვეთს საზღვარს, ასეთი საქონელია:

1. გემები, თვითმფრინავები, გაზის და ნავთობის ჭაბურღილები და საექსპლოატაციო პლატფორმები;

2. სასაზღვრო ორგანიზაციების, საწარმოების მიერ მოხმარებული საქონელი;

3. ქვეყნის გემების მიერ დაჭერილი თევზი, რომელიც უშუალოდ საზღვარგარეთ გაიყიდა და სხვ.

ამასთან, არის ისეთი საქონელი, მიუხედავად საზღვრის გადაკვეთისა არ იცვლის მესაკუთრეს, მაგრამ არ ითვლება საგარეო ვაჭრობის მოცულობაში. ასეთებია:

1. საექსპლოატაციო იჯარით მიღებული საქონელი (ვაგონები და კონტეინერები ეკიპაჟის გარეშე, აგრეთვე ფირფიტების, ფილმების, კასეტების გაქირავება);

2. სატრანსპორტო მოწყობილობა, თევსაჭერი გემები, ჭაბურღილები, რომლებიც ფუნქციონირებს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები ვადით;

3. გადასამუშავებელი და შესაკეთებელი საქონელი;

4. პირდაპირი სატრანზიტო ვაჭრობა;

საქონელი, რომლის ექსპორტირება, ან იმპორტირება წარმოებს არა გაყიდვის მიზნით, არამედ გამოყენების, ბაზრობების ან სხვა მიზნით.

მომსახურებაში შედის:

1. „გადაზიდვები“, რომლებიც მოიცავს სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებს ყველა სახის ტრანსპორტით და რომლებიც განხორციელებულია რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისთვის და, პირიქით, აგრეთვე გადასაზიდი მოწყობილობების გაქირავება ეკიპაჟთან ერთად („ჩარტერული მომსახურება“).

2. „მგზავრთა გადაყვანაში (მომსახურებაში)“ შედის ყველა სახის მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო გადაყვანებთან.

3. „მიმოსვლა“ მოიცავს იმ მომსახურებასა და საქონელს, რომელსაც შეიძენენ ფიზიკური პირები, ძირითადად მოგზაურები

და რომლებიც იმყოფებიან მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით.

4. „მოგზაურად“ ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ერთ წელზე ნაკლები დროით ჩერდება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის რეზიდენტსაც იგი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გამონაკლისი ვრცელდება სტუდენტებსა და სამედიცინო პაციენტებზე, რომლებიც თავიანთი ქვეყნის რეზიდენტებად ითვლებიან მაშინაც კი, როდესაც ისინი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან ერთ წელზე მეტი ხნით.

5. „შემოსავლები“ მოიცავს იმ ნაკადებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, ერთი მხრივ, მუშაკ-რეზიდენტებზე (სასაზღვრო, სეზონური და სხვა მოკლე ვადით მომუშავეებზე) გაცემულ კომპენსაციას, მეორე მხრივ, შემოსულობებს კაპიტალურ დაბანდებათა შემოსავლებიდან და გადასახდელებს საგარეო-ფინანსური აქტივებისა და პასივების მიხედვით.

6. „მუშაკთა კომპენსაცია“ მოიცავს სასაზღვრო, სეზონური და სხვა მუშაკთა ხელფასს, გაცემულს ერთი ქვეყნის რეზიდენტ-დამქირავებლის მიერ მეორე ქვეყნის რეზიდენტ-მუშაკზე.

7. „შემოსავლები ინვესტიციებიდან“ მოიცავს შემოსავლებს, რომელსაც რეზიდენტი იღებს როგორც საზღვარგარეთის ქვეყნის ფინანსური აქტივების მფლობელი. ინვესტიციებიდან შემოსავალი მიიღება დივიდენდებისა და სარგებლის სახით.

ტრანსფერტები წარმოადგენს განსაზღვრულ დამბალანსებელ პოზიციებს, რომელთა დანიშნულებაა გააწონასწოროს ცალმხრივი ოპერაციები და რომლებსაც ახორციელებს ერთი ეკონომიკური ერთეული მეორე ეკონომიკური ერთეულის მიმართ ფულადი გადასახდელის, მომსახურების გაწევის სახით, ან საქონელზე, მატერიალურ, არამატერიალურ, ან ფინანსურ აქტივებზე საკუთრების გაცემის სახით, სანაცვლოდ ადეკვატური კომპენსაციის გარეშე იმავე სახით, ე.ი. საქონლის, მომსახურების ან ფულადი სახით.

„კაპიტალის მოძრაობის ბალანსი“ თავს უყრის ყველა იმ ოპერაციას, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული ქვეყნის მიერ უცხოური ფინანსური აქტივებისა და პასივების მფლობელობის ცვლილებასთან.

მოცემული ქვეყნის ეკონომიკის უცხოური ფინანსური აქტივები მოიცავს მონეტურ ოქროს, ნასესხობის სპეციალურ უფლებებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდში და მოთხოვნებს არარეზიდენტებისადმი, ხოლო პასივები – დავალიანებებს არარეზიდენტების მიმართ.

აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციები ასახავს მატერიალურ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლას. ფინანსური ელემენტები შეიძლება გაიცვალოს ფინანსურ ელემენტებზე, ან რეალურ რესურსებზე.

კაპიტალის მოძრაობის ბალანსი ორი განყოფილებისგან შედგება: კაპიტალი სარეზერვო აქტივების გარდა და სარეზერვო აქტივები.

„პირდაპირი ინვესტიციები" გულისხმობს იმ სახსრების ერთობლიობას, რომელსაც ერთი ქვეყნის რეზიდენტი – ეკონომიკური ერთეული (პირდაპირი ინვესტორი), ათავსებს მეორე ქვეყნის რეზიდენტ-ეკონომიკურ ერთეულში (პირდაპირი ინვესტორების საწარმო – ობიექტში) ხანგრძლივი დროით მის ოპერაციებში მონაწილეობის წილის შეძენის მიზნით.

„პორტფელური ინვესტიციები" მოიცავს საგარეო მოთხოვნებისა და ვალდებულებათა კომპლექსს, რეალიზებულს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ფასიან ქაღალდებში, პირდაპირი ინვესტიციებისა და რეზერვების შემადგენლობაში ანალოგიური ინსტრუმენტების გარდა.

„სავალო ნასესხები ფასიანი ქაღალდები" წარმოდგენილია ობლიგაციებისა და გრძელვადიანი თამასუქების სახით.

ამრიგად, საგადასახდელო ბალანსში აისახება ქვეყნის საერთო საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სტრუქტურა, ქვეყნის შიდა ეკონომიკური დისპროპორციები, კონკურენტუნარიანობა და სხვ. მასზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე, ქვეყნის საგარეო ხარჯების ზრდა, სამხედრო ხარჯების დონე, საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის განვითარება, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ხარისხი და ინფლაციის ტემპები.

საგადასახდელო ბალანსზე მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მთავარია სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების არათანაბარი დონე. თუ მოვლენას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მე-2 მსოფლიო ომიდან ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური მხოლოდ აშშ გამოვიდა. სწორედ ამის გამო ამ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს აქტიური სალდო გააჩნდა. ომის შემდგომ პერიოდში აღდგენითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და იაპონიაში ეკონომიკური ზრდის ტემპები მაღალი იყო, რამაც დადებითად იმოქმედა მათ საგადასახდელო ბალანსებზე. აშშ-მ, იაპონიამ, გფრ-მ, დიდ ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ფაქტობრივად მოახდინეს დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის მართვა.

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში კოლოსალურად იზრდება სახელმწიფოს საგარეო ხარჯები. თუ 1975-1985 წლებში აშშ-ის საგარეო ხარჯები 164.4 მილიარდ დოლარს შეადგენდა, მან 1986-1990 წლებში, ე.ი. 5 წელიწადში 183.6 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ეს ხარჯები ძირითადად მიმართული იყო თავდაცვისუნარიანობის, ეკონომიკური დახმარებისა და კონკურენციულ ბრძოლაში წარმატებების მისაღწევად. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული ხარჯები აშშ-ის საგადასახდელო ბალანსს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობაზე დიდად მოქმედებს საგარეო ვაჭრობის განვითარება და კაპიტალის დაბანდების სფეროების ზრდა.

იმ მრავალრიცხოვან მიზეზთა შორის, რომელიც მძიმედ მოქმედებს საგარეო ვაჭრობის განვითარების დონეზე, აღსანიშნავია: კონკურენციული ბრძოლა გასაღების ბაზრების გადანაწილებისთვის, სანედლეულო ბაზის განსამტკიცებლად, კაპიტალის დაბანდების სფეროების გასაფართოებლად, რომლებიც დღეს მეტად აქტუალური პრობლემებია. ამას ემატება ინფლაციური პროცესების გამწვავება. მაგალითად, ინფლაცია მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს საგადასახდელო ბალანსზე, ამცირებს

სამამულო საქონლის კონკურენტუნარიანობას, მაგრამ დევალვაცია ექსპორტის გაფართოებას უწყობს ხელს, რაც, საბოლოო ჯამში, აუმჯობესებს საგადასახდელო ბალანსის სალდოს.

VII.2. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შედგენაში

საგადასახდელო ბალანსის რეალობა დიდად არის დამოკიდებული იმ შესწორებებზე, რომლებსაც საფუძვლად უდევს კარგად დამუშავებული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მეთოდოლოგია. მაგალითად, საგარეო ვაჭრობის ურთიერთობის საგადასახდელო ბალანსში გათვალისწინებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ექსპორტ-იმპორტის მონაცემთა შეტანა ღირებულებით ფორმაში.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რამდენადმე მოწესრიგებული ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში ქვეყნის საქონლის ექსპორტ-იმპორტის ობიექტური შეფასებისათვის შეტანილი უნდა იქნეს სულ ცოტა სამი სახის შესწორება საბაჟო სტატისტიკიდან:

1. ცვლილებები ტერიტორიულ შეფასებაში. საბაჟო სტატისტიკაში ქვეყნის გარეთ არსებული საზღვაო თუ სხვა ტერიტორიები გათანაბრებულია საზღვარგარეთთან, მაშინ, როდესაც საგადასახდელო ბალანსში ისინი ჩვეულებრივად შედიან ეროვნული ტერიტორიის შემადგენლობაში. საგადასახდელო ბალანსის მონაცემების გამოყენებით მნიშვნელოვნად იცვლება ქვეყნის იმპორტ-ექსპორტის საბაჟო შეფასებები;

2. საბაჟო სტატისტიკაში გაითვალისწინება ისეთი ოპერაციები, რომლებიც საგადასახდელო ბალანსში არ შეიძლება გატარდეს „საქონლის“ პოზიციიდან. მაგალითად, გაუნაღდებელი ოპერაციები, ძალიან შეზღუდული მოცულობების ოპერაციები, აგრეთვე ნავთობის დამამთავრებელი დამუშავება და სხვადასხვა ცდომილებანი.

3. მებაჟეები არ ითვალისწინებენ ქვეყანაში დაწესებული გარკვეული ღირებულების საქონლის ყიდვა-გაყიდვას, მაშინ, როდესაც საგადასახდელო ბალანსში იგი გაითვალისწინება ერთობლივი შეფასებით.

რეალობაზე აგებული ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი ობიექტურად მოითხოვს აქ მოტანილი შესწორებების შეტანას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი ვერ მოგვცემს რეალურ სალდოს.

გარდა ამისა, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი ნორმალურ პირობებში ითვალისწინებს „საერთაშორისო შუამავლობის“ ოპერაციებს. ექსპორტ-იმპორტისგან განსხვავებით, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის საზღვარს, საერთაშორისო შუამავლობა იმ ოპერაციებს გულისხმობს, რომლებიც არ გადაკვეთს „საბაჟო ტერიტორიას“. ასეთ ოპერაციებს მიეკუთვნება, მაგალითად, საზღვარგარეთ საქონლის შესყიდვა და ისევ საზღვარგარეთის სხვა ქვეყანაში გაყიდვა. ამ ოპერაციათა ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობის იყოს. აუცილებელია საგადასახდელო ბალანსმა „საქონლის“ პოზიციაში კორექტირება გაუკეთოს საერთაშორისო შუამავლობის ოპერაციებს საბაჟო სტატისტიკის მონაცემთა გამოყენებით.

საგადასახდელო ბალანსში საფინანსო ორგანოების მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს მომსახურების ვაჭრობა. ასე, მაგალითად:

- მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საგარეო ვაჭრობასთან, რომელშიც უნდა იქნეს გათვალისწინებული დამატებითი ხარჯები საქონელზე, საზღვაო და სხვა სახის ტრანსპორტზე დაზღვევა;
- მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების გაცვლასთან. აქ შეიძლება გამოიყოს კაპიტალური მშენებლობა, ტექნიკური თანამშრომლობა, მმართველობითი მომსახურება და სხვ.;
- მოგზაურობა, რომელიც აერთიანებს ტურიზმს და საქმიან მივლინებებს;

- სხვადასხვა მომსახურება, რომელიც მრავალმხრივ და მრავალფეროვან ოპერაციებს აერთიანებს (საბანკო ხარჯები, ლიზინგი და ა.შ.);
- ხელფასი და სხვა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული შემოსავლები;
- სამთავრობო ოპერაციები, რომლებიც აერთიანებს ქვეყანაში საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებისა და ჩვენი ქვეყნის მთავრობის საზღვარგარეთ საქმიანობასთან დაკავშირებულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

იმისათვის, რომ ობიექტურად იქნეს შედგენილი საქონლისა და მომსახურების ბალანსი, აუცილებელია გავაანალიზოთ მუხლი „სხვა საქონელი და მომსახურება“, და შესწორდეს ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული სტატისტიკური წუნი. ეს შესწორება აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ არ დარჩეს საბანკო ანგარიშსწორებასა და საბაჟო სტატისტიკას შორის შეუსაბამობა და განსხვავება.

VII.3. საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და საგადასახდელო ბალანსის ურთიერთობა

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსი არის საგადასახდელო ბალანსის გაგრძელება საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირება-მოწესრიგებაში და წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთდავალიანებათა შეფარდებას დროის გარკვეული პერიოდისთვის.

ქვეყნებს შორის ურთიერთდავალიანების წარმოშობა პირდა-პირ კავშირშია საქონლის (მომსახურების) ექსპორტ-იმპორტთან, კაპიტალისა და კრედიტის მოძრაობასთან.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსის აქტივი აერთიანებს: საზღვარგარეთის აქციებს, ობლიგაციებს, თამასუქებს და მიმდინარე ანგარიშებს უცხოეთის ბანკებში. პასივი აერთიანებს: მოცემულ ქვეყანაში მოქცეული სხვა ქვეყნების ანალოგიურ

მოთხოვნებს და ქონებას. ბალანსის აქტივისა და პასივის სალდო გვაძლევს იმის საშუალებას გავარკვიოთ ქვეყანა კრედიტორია თუ მოვალე.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსი არსებითად განსხვავდება საგადასახდელო ბალანსისგან. მასში აისახება მოცემული ქვეყნის მოთხოვნები და დავალიანებები, ე.ი. მასში შეიტანება ამ ქვეყნის დაუფარავი მოთხოვნა-დავალიანებები. საგადასახდელო ბალანსში აისახება მხოლოდ ფაქტობრივად მომხდარი გადახდები დროის გარკვეული პერიოდისათვის, ე.ი. მიღებული შემოსავლები და წარმოებული გადახდები. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსში აისახება ქვეყნის მიერ მიღებული და გაცემული სესხები, მათ შორის აუნაზღაურებელიც. ყოველივე ამის გამო სალდოები ერთმანეთს არ ემთხვევა. უფრო მეტიც, დასავლეთის მოწინავე ქვეყნები საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსის მიხედვით მიეკუთვნებიან კრედიტორ ქვეყნებს, მაგრამ მათი საგადასახდელო ბალანსები უმეტესწილად პასიურია.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსის სქემა ასეთია:

I. ქვეყნის საზღვარგარეთის აქტივები 334.0 მილიონი აშშ დოლარი

1.	ოქროსა და ვალუტის რეზერვები	3.5
2.	დანარჩენი სახელმწიფო აქტივები (სახელმწიფო სესხები)	15.5
3.	კერძო აქტივები საზღვარგარეთ	158.0
4.	პირდაპირი ინვესტიციები	35.5
5.	პორტფელური ინვესტიციები	10.5
6.	საზღვარგარეთის არასაბანკო ოპერაციები	5.0
7.	ქვეყნის საბანკო აქტივების კორპორაციების საზღვარგარეთის აქტივები	2.5
8.	ქვეყნის ბანკების საზღვარგარეთის აქტივები	3.5

II. ქვეყნის ვალდებულებანი უცხო მეანაბრეების მიმართ — 384.0 მილიონი აშშ დოლარი

1.	უცხო სახელმწიფოთა დაბანდებანი (უპირატესად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები)	102.5
2.	დანარჩენი ვალდებულებანი (უპირატესად კერძო)	225.0
3.	პირდაპირი ინვესტიციები	25.3
4.	ქვეყნის საბანკო კორპორაციების უცხოური ვალდებულებანი	1.5
5.	ქვეყნის ბანკების საზღვაგარეთის ვალდებულებანი	—

ჩვენს მიერ მოტანილი ციფრები პირობითია. იგი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსის სალდო უარყოფითია, სადაც ქვეყნის საგარეო დავალიანება 50 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

საგარეო დავალიანება წარმოადგენს ქვეყნის ფაქტობრივ დავალიანებათა მოცულობას კრედიტორი ქვეყნისადმი, რომლის ანაზღაურება უნდა მოხდეს დაწესებულ ვადაში.

VII.4. ფინანსურ ურთიერთობათა განვითარება და დავალიანებათა პრობლემები

საქონელმიმოქცევისა და მომსახურების განვითარების პროცესი საერთაშორისო დონეზე არასოდეს არ იყო დაბალანსებული. იგი ნებისმიერი ქვეყნის მიმართ გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთებში წარმოშობდა და წარმოშობს საგადასახდელო ბალანსის ხან დადებით სალდოს, ხან კი უარყოფითს. საგარეო გადასახდელების საყოველთაო დაბალანსებისთვის ყოველთვის აუცილებელია კომპენსირებული დაფინანსების ნაკადები.

ამასთან, მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ევრობაზრების ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ფინანსური ბაზრების სწრაფი ტემპებით განვითარება, თანაც ლიბერალიზმის პრინციპების შესაბამისად არსებითად გაძლიერდა კაპიტალის ავტონომიური მოძრაობა.

ქვეყნებს შორის საერთაშორისო გაცვლის შედეგები მკაფიოდ აისახება მიმდინარე ოპერაციების ბალანსში, რამდენადაც მასში გაერთიანებულია საქონელთან და მომსახურებასთან, კაპიტალის შემოსავალთან (პროცენტი და დივიდენდი) დაკავშირებული ყველა ოპერაცია. თავისი შინაგანი ბუნებით საერთაშორისო გაცვლა სავალდებულო არ არის ყოველთვის დაბალანსებული იყოს:

ჯერ-ერთი, ამისათვის არსებობს სტრუქტურული საფუძველი. თუ ქვეყნების ერთ ნაწილში დაგროვება აღემატება ინვესტიციებს, მეორე ნაწილში კი პირიქით ხდება, სავსებით დასაშვებია, რომ ამა

თუ იმ განვითარებად ქვეყანაში ინვესტიციებზე მოთხოვნა გაცილებით მეტი იყოს ეროვნული დაგროვების შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ქვეყნის სტრუქტურულ დაფინანსებაზე მოთხოვნას, ე.ი. მიმდინარე გადასახდელების ბალანსის დეფიციტს. ამასთან, ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში დაგროვების დონე აღემატება მასზე მოთხოვნებს, განსაკუთრებით ინვესტიციებში და აქედან გამომდინარე – ამ სახელმწიფოს დაფინანსების შესაძლებლობები მოჭარბებულად გააჩნია, ე.ი. საქმე გვაქვს მიმდინარე ოპერაციების ბალანსის აქტიურ სალდოსთან.

მეორე, **კონიუნქტურული ხასიათის მიზეზები**. გარკვეულ მომენტებში ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედებს ინფლაციის პროცესი, ან ვალუტის კურსის მერყეობა. სავაჭრო პარტნიორებს შორის მეტად სწრაფმა, ან მეტად შენელებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნებში ცვლილებები, რასაც შედეგად აქტივის გენერირება, ან საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი მოჰყვება.

დასასრულ, შემთხვევითი ან საგარეო მიზეზები: მცირე მოსავალი, ბუნებრივი კატაკლიზმები, ნედლეულსა და საწვავზე ფასების მკვეთრი ზრდა ან შემცირება.

ამრიგად, მიმდინარე ოპერაციების დაუბლანსებლობა დამახასიათებელია საერთაშორისო ვაჭრობისთვის. თუ ის გამოწვეულია შემთხვევითი მიზეზებით, მისი დაფინანსება უნდა მოხდეს ვალუტის საკუთარი რეზერვებით, ე.ი. ქვეყნის ხაზინის ანგარიშიდან. თუ მას გააჩნია ნათლად გამოხატული სტრუქტურული ხასიათი, იგი დაფინანსებული უნდა იყოს კერძო ინვესტიციებით, ე.ი. ქონების ტრანსფერტით. ორივე შემთხვევაში, თუ ქვეყანა, რომელსაც დეფიციტი გააჩნია, გადახდისუნარიანია, დაუბალანსებლობა შეიძლება დაფინანსდეს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხებით.

მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 60-წლიანი პერიოდის მანძილზე მიმდინარე ანგარიშების დაუბალანსებლობა პერმანენტული და ხანგრძლივი იყო: ჯერ-ერთი, იგი დაკავშირებული იყო ევროპის ქვეყნებში ეკონომიკის აღდგენით გამოწვეულ დეფიციტთან, მეორე, ამერიკის საგადასახდელო ბალანსის აქტივებთან, შემდეგ ამერიკის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტთან, რომელიც გამოიწვია კორეასთან და ვიეტნამთან

ომმა და გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აშშ-ის ეკონომიკურმა კრიზისმა. ამასთან ევროპის ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის სალდო დადებითი გახდა, ხოლო განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში მთელი ამ ხნის მანძილზე შეიმჩნეოდა საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურული დეფიციტი. თუმცა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაუბალანსებლობა ხასიათდებოდა მოკრძალებული სიდიდით.

ნავთობის შოკმა შექმნა ახალი სიტუაცია, მან იმპორტიორ-ქვეყნებში გამოიწვია მნიშვნელოვანი მიმდინარე დეფიციტი და ექსპორტიორ-ქვეყნებში კოლოსალური დადებითი სალდო. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო გახდა ამერიკის საგადასახდელო ბალანსის გაძლიერების მოწმე, მაშინ, როდესაც გამოიკვეთა გფრ-ს, იაპონიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალგაზრდა ინდუსტრიული ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის მაღალი აქტიური სალდოები.

ნავთობის შოკის ყოველწლიური გაძლიერების შედეგად აუცილებელი გახდა უარყოფითი სალდოს მქონე ქვეყნები გამხდარიყვნენ მოვალეებად, ხოლო დადებითი სალდოს ქვეყნები – კრედიტორებად.

ამრიგად, მიმდინარე სალდოს ცვლილებებს თან ახლდა დადებითი და უარყოფითი სალდოს მქონე ქვეყნებს შორის სავალო და საკრედიტო ვალდებულებათა ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდა, რომელთა ცირკულირება წარმოებდა მსოფლიო ბანკის არხებით, ანდა უშუალოდ. ჩამოყალიბდა დავალიანების სამი თანმიმდევრული ნაკადი: პირველი ორი ახასიათებდა ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს, ხოლო მესამე აშშ-ს; პირველ ორ შემთხვევაში კრედიტორებად გამოდიოდნენ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები, ხოლო მესამე შემთხვევაში – საგადასახდელო ბალანსის დადებითი სალდოს მქონე ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, უპირატესად გფრ და იაპონია.

ამ საკრედიტო ნაკადებმა გამოიწვიეს საერთაშორისო დავალიანებათა გაცვლასთან დაკავშირებული ზრდის ტენდენციის შესამჩნევი ნაკლომი: მოკლევადიანმა სესხებმა – სამომხმარებლო საქონლის, ხოლო საშუალო და გრძელვადიანმა სესხებმა – მოწყობილობებისა და უმსხვილესი პროექტების.

VII.5. დამოუკიდებელი ფინანსური ნაკადების განვითარება

ეკონომიკის გლობალიზაციისა და ეროვნული მეურნეობების ურთიერთ შეღწევისა და საბანკო საქმიანობაში ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალის ავტონომიური მოძრაობა.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან მოყოლებული ეროვნული კანონმდებლობებით კაპიტალის განთავსებისა და მისი თავისუფლად მოძრაობის შეზღუდვის გამო ბანკები იძულებული გახდნენ აშშ-ის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაეწყოთ ოპერაციები დოლარებით. ასე ჩამოყალიბდა ევრობაზარი. ამის შემდეგ დღემდე ამ ოპერაციების მუდმივად და აღმავალი ხაზით განვითარებას აქვს ადგილი. თუ 1963 წლისათვის საერთაშორისო ბანკების ავუარები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში აღწევდა 20 მილიარდ დოლარს, მან 90-იანი წლების დასასრულს 5500 მილიარდ დოლარს მიაღწია. ევროფულის ბაზარს ამ პერიდისათვის დაემატა ევროობლიგაციის ბაზარი, რომლის ემისიის მოცულობამ გადამეტა 300 მილიარდ დოლარს.

დასასრულ, საავალუტო კონტროლის თანდათანობით შეწყვეტა-შენელებამ იაპონიასა და ევროპის ქვეყნებში გზა გაუხსნა ეროვნულ ფინანსურ ბაზრებში შესულიყვნენ როგორც ინვესტორებად, ისე ემიტენტებად. ასევე, ბანკებს მიეცა შესაძლებლობა თავიანთი საქმიანობა თავისუფლად განევითარებიათ ეროვნული საზღვრების გარეთ.

ქვეყნებს შორის ფინანსური ნაკადები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, საფრანგეთის საზღვარგარეთის ოპერაციათა მოცულობამ, რომელიც საგადასახდელო ბალანსში იყო გათვალისწინებული, 1995 წლისათვის 4015 მილიარდ ფრანკს მიაღწია.

ამრიგად, 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის დაიწყო მაღალგანვითარებული ქვეყნების ფართომასშტაბიანი ფინანსური ინტეგრაცია, რომელიც დღეისათვის უფრო მაღალი ტემპებით ვითარდება.

საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობათა განვითარება თავისთავად არ წარმოადგენს პრობლემათა წყაროს. იგი მაშინ შეიძლება გახდეს დავალიანების ზრდის მიზეზი, როცა სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვევს ვალებისა და სესხების ზღვარგადასულ დაგროვებას, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ბევრი ქვეყნის გადახდისუნარიანობაზე.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ფართოდ განვითარებულმა საერთაშორისო ეკონომიკურმა კავშირებმა სერიოზული პრობლემები გაუჩინა განვითარებად ქვეყნებს დავალიანებათა კოლოსალური ზრდისა და ფაქტობრივად ეკონომიკური დაბალანსების საქმეში. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნავთობის შოკის შედეგები. 1985-1990 წლებში განვითარებადი ქვეყნების კუმულიაციურმა დეფიციტმა (ნავთობმომპოვებელი ქვეყნების გამოკლებით) მიაღწია 980 მილიარდ დოლარს. დავალიანებათა კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების რეაქციამ ნავთობის მეორე შოკის პერიოდში. ისინი ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით ატარებდნენ შეზღუდულ ფულად პოლიტიკას, რამაც ისინი საპროცენტო განაკვეთების გადიდებასთან მიიყვანა, ეს კი ნიშნავდა ვალის ზრდას.

ფაქტობრივად განვითარებად ქვეყნებში შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპები, შემცირდა საექსპორტო ნედლეულის ფიზიკური და ღირებულებითი მოცულობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 2004 წლისათვის განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალმა გადაამეტა 2800 მილიარდ აშშ დოლარს. მარტო საშუალო და გრძელვადიანმა დავალიანებამ ამ ქვეყნების შიდა ეროვნული პროდუქტის 50%-ს გადააჭარბა და მათი ორი წლის ექსპორტის ღირებულების ჯამს აღემატებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში მდგომარეობა უფრო გართულებულია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით ძირითადი „მოვალე-ქვეყნების“ წილად მოდიოდა 780 მილიარდი დოლარი და მათი წილი შიდა ეროვნული პროდუქტის ნახევარს აღემატებოდა.

უფრო მეტიც, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებული ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა უძლურია დაფაროს საგარეო ვალი, რის გამოც საერთაშორისო

სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი იძულებულია ვალების პროლონგირება მოახდინონ ამ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამკაცრების დამატებითი ღონისძიებების შემუშავებით. რა თქმა უნდა, ბევრ ქვეყანაში ამ მეთოდმაც ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. საერთაშორისო საფინანსო ორგანოების მიერ ამჟამად ასეთ ქვეყნებზე წარმოებს დამატებითი სესხების გაცემა პროცენტების დასაფარავად, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სიღატაკესა და ამწვავებს სოციალურ მდგომარეობას.

განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალების ზღვარგადასული ზრდა იწვევს კრედიტორი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის შენელებას. გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული 5 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატები საგადასახდელო ბალანსის დადებითი სალდოდან დეფიციტამდე მივიდა, რომელიც ხშირად მთლიანი შიდა პროდუქტის 3-5 პროცენტს აღწევს. ანალოგიური მდგომარეობაა იაპონიაში, გფრ-ში, საფრანგეთში და სხვა ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში.

ყურადსაღებია ერთი საინტერესო ფაქტიც. უმსხვილეს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე წლის მანძილზე საგადასახდელო ბალანსის კუმულაციურმა დეფიციტმა[1] და აქტივებმა მკვეთრად შეცვალეს შექმნილი სიტუაცია. 1995 წლის ბოლოს აშშ იყო ყველაზე მსხვილი მსოფლიო კრედიტორი ქვეყანა, რომელიც ფლობდა უცხოეთში წმინდა ვალს 240 მილიარდი დოლარის მოცულობით, პარალელურად 1999 წლის ბოლოს იგი გახდა ნეტო-მოვალედ და ქვეყნის ვალმა 900 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 17%-ს შეადგენდა.

ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების ურთიერთობა, განსაკუთრებით ნეტო-მოვალეებსა და ნეტო-კრედიტორებს შორის ლოგიკურად იწვევს ეკონომიკური პრობლემების პარალელურად პოლიტიკურ დაძაბულობასაც, რომელთა გადაწყვეტაში პერიოდულად მონაწილეობენ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომელთა ფინანსური შესაძლებლობებით წარმოებს საგადასახდელო ბალანსის რეგულირება. ხშირ შემთხვევაში ზე-

[1] წლების მანძილზე დაგროვილი დეფიციტი (ავტორები).

მოაღნიშული მოვლენის შედეგად პასიური საგადასახდელო ბალანსის მქონე ქვეყნებს ერთდროულად გააჩნიათ არა მარტო ერთმაენთს შორის დავალიანებები, არამედ ისინი კრედიტორების როლშიც კი გამოდიან განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობაში. ადრე თუ გვიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს დაფინანსება იწვევს ამ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას, რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების საზიანოდ და მათი კონკურენტების სასარგებლოდ.

თავი VIII
განვითარებადი ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემის ტრანსფორმაციის პრობლემები

VIII.1. საქართველო განვითარებადი ქვეყნების გზას მიჰყვება

საქართველოს ეკონომიკური გარდაქმნების მრავალრიცხოვან ელემენტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ფულად-საკრედიტო სისტემის ძირეული ტრანსფორმაცია. ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს ამ სისტემამ შეიძინოს ჩვენი ქვეყინისთვის დამახასიათებელი თვისებები, რათა ის ეროვნული სამეურნეო ცხოვრების ბირთვი და ძირითადი რეგულატორი გახდეს.

ფულად-საკრედიტო სისტემის ტრანსფორმაცია მეტად რთული საქმეა, მით უმეტეს ქვეყანას ორი საუკუნის მანძილზე ფაქტობრივად ეს სისტემა არ გააჩნდა. ამასთან, სსრ კავშირმა საქართველო სამოცდაათი წლის განმავლობაში მოწყვიტა ცივილიზებული სამყაროს ფულად-საკრედიტო სისტემების ფუნქციონირების ფაქტორებსა და პრინციპებს.

სსრ კავშირში ჩამოყალიბდა ე.წ. „მონობანკის“ ფენომენი, რომლისთვისაც მთავარი დამახასიათებელი თავისებურება გახლდათ ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკის კლასიკური ფუნქციების გაყალბებული სახით წარმოდგენა. მაგალითად, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს შორის კონკურენციის არ არსებობამ, ფინანსური რესურსების უპირატესად ვერტიკალურმა მოძრაობამ, კრედიტის პასიურმა როლმა, საკასო დაგეგმვამ, ნაღდი და უნაღდო ფულის მიმოქცევის პრინციპებისა და სფეროების მკაცრმა შეზღუდვამ და ინფლაციის „ჩაქოლვამ“ ქვეყანა ზღვარგადასული ცენტრალიზებული დაგეგმვის მარწუხებში მოაქცია. ამასთან, ფულად-საკრედიტო სისტემის შეგნებულად ორგანიზებულმა კარჩაკეტილობამ და გარე სამყაროსგან იზოლირებულად ფუნქციონირებამ თავის გამოვლენა ჰპოვა მანეთის არაკონვერტირებასა და სავალუტო კურსის ხელოვნურად დაწესებაში და შექმნა სახელმწიფოებრივი სავალუტო მონოპოლია.

საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის ასეთ გაუკუღმართებულ საწყის პირობებს ისიც დაემატა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქვეყანაში ფეხი მოიკიდა ერთმა მეტად სერიოზულმა და ამასთან არასასიამოვნო მიდრეკილებამ. ქვეყანაში ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემის კოპირებით და არა განვითარებადი ქვეყნების მაგალითით. როგორც ცნობილია, განვითარებულ ქვეყნებში ფულადი და საკრედიტო-სავალუტო ბაზრის განვითარება უმაღლეს დონეს აღწევს. თანაც, ისინი იმის ნათელ მაგალითს იძლევიან, თუ როგორი წვლილი უნდა შეიტანოს ნორმალურად ფუნქციონირებადმა ფულად-საკრედიტო სისტემამ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ოპტიმალურ მობილიზაციას და მათ ეფექტიანად გამოყენებას, ეკონომიკურ ბრუნვაში დანახარჯთა შემცირებასა და გარიგებათა შეუფერხებლად განხორციელებას, ფინანსური დისციპლინის განმტკიცებას და ამ მოვლენებისადმი ბაზრის ყველა მონაწილის დამორჩილებას.

საჭიროა უკუვაგდოთ ის მცდარი მოსაზრება, რომელიც ჩვენთან დომინირებს. თითქოს საკმარისია გადავიღოთ აშშ-ში, გფრ-ში თუ იაპონიაში არსებული ესა თუ ის სტრუქტურა, ან მექანიზმი და უმალვე მივაღწევთ ფულად-საკრედიტო სფეროში ისეთივე წარმატებებს, როგორც ზემოაღნიშნულ ქვეყნებს გააჩნიათ. ეს ასე ადვილად არ მოხდება. განვითარებულ ქვეყნებს ფულად-საკრედიტო სფეროში დღევანდელი წარმატებების მიღწევისათვის დასჭირდათ არა ათეული, ასეული წლებიც კი. ამასთან ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ამოსავალი ეკონომიკური პოზიციები და მოსახლეობის ჩვევები გააჩნია, ვიდრე მათ. ამიტომ ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ნაჩქარევ დანერგვას დამატებითი ქაოსი და დესტაბილიზაცია შეიძლება მოჰყვეს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომგებიანი და სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების გადმოტანა, რომლებმაც ჩვენზე ადრე იწვნიეს ზედმეტად რეგულირებადი ფულად-საკრედიტო და ფინანსურ ურთიერთობათა დაძ-

ლევისა და ცივილიზებული საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების განვითარების პრობლემათა სირთულეები. მაგრამ ქვეყნის პრაქტიკულ ცხოვრებაში ფაქტობრივად გამოყენებული არაა განვითარებადი ქვეყნების მიერ ამ სფეროში დაგროვილი უდიდესი გამოცდილება. არადა სუსტად განვითარებული ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო რეგულირების თაისებურებათა შესწავლა იმის საშუალებას მაინც მოგვცემდა, რომ ქვეყნისთვის აგვეცდინა ის სირთულეები და „წყალქვეშა ქვები", რომლებსაც ამ სისტემის რეფორმირების პროცესში ექნებოდა ადგილი.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი დახმარებებისა და კონსულტაციების გაწევისას აქცენტს მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე იღებს და არა სუსტად განვითარებულზე. იგი თავისი მიზნებითა და მისწრაფებებით ღრმად იდეოლოგიზებული ორგანიზაციაა. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკურად განვითარებულმა ქვეყნებმა ეს ორგანიზაცია მათ საქმიანობაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად შექმნეს და არა სუსტად განვითარებული ქვეყნების სიღატაკის დასაძლევად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გფრ-ის, იაპონიის, იტალიის, კანადის და საფრანგეთის ეკონომიკურ ინტერესთა გათვალისწინებით იხილავს თითოეული განვითარებადი ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის პრობლემებს, თანაც დაინტერესებული არ არის განვითარებად ქვეყნებში „მიღწეული წარმატებების" პროპაგანდით, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების „დახმარებით" ეკონომიკურად უფრო დამოკიდებული ხდებიან და ვერ ახერხებენ აღებული სესხების დაფარვას. მიმდინარეობს მათი დაკაბელება. ამ მომენტებს ცივი გონებით სჭირდება განსჯა.

განვითარებად ქვეყნებს თავიანთი განვითარების საწყის სტადიაზე ახასიათებდათ ფულად-საკრედიტო ურთიერთობების სფეროში ფართო სახელმწიფო ჩარევა. ეს ქვეყნები ბანკების ნაციონალიზაციის, კრედიტის ცენტრალიზებული განაწილებისა და სარგებლის განაკვეთების კონტროლის დაწესების მეშვეობით ცდილობდნენ ეკონომიკაში პრიორიტეტული დარგების განვითარების დაჩქარებას. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი აბსოლუტური უმრავლესობა განიცდიდა კაპიტალის ნაკლებობას, ექსპორტის შენელებას და იმპორტის ზრდას.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მდგომარეობა მნიშვნელოვნად დაიძაბა. ექსპორტის შემცირებასა და საერთოდ საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესებას თან დაერთო საგარეო სესხების საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა. ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა საგადასახდელო ბალანსის მოწესრიგებაზე. ბევრი განვითარებული ქვეყანა იმპორტის შენელებისა და ექსპორტის სტიმულირებისათვის იძულებული გახდა მოეხდინა ეროვნული ვალუტის დევალვაცია. ამასთან, ყველა საწარმოში, რომლებიც სავალუტო კრედიტებს იყენებენ, გაიზარდა ვალის მომსახურების ხარჯები.

ფირმებისა და გაერთიანების რენტაბელობა მკვეთრად ეცემოდა, რაც განპირობებული იყო იმპორტის მოცულობის შემცირებითა და გაძვირებით. ამან კი თავის მხრივ, გამოიწვია საფინანსო დაწესებულებათა მყიდველობითუნარიანობის დაცემა.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა 90-იანი წლების დასაწყისიდან. განვითარებადი ქვეყნები იმის გამო, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან ფაქტობრივად ვერ ღებულობენ საბანკო სესხებს, იძულებული გახდნენ ეკონომიკური განვითარებისათვის დაეწყოთ შიდა რეზრვების ტოტალიტარული მობილიზაცია. ამისათვის ერთადერთი გზა ეფექტიანი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნაა, მაგრამ ეს ძალზე ძნელი საქმეა. ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები დიდ შედეგს არ იძლევა, რაც იმით არის განპირობებული, რომ განვითარებად ქვეყნებზე ზეგავლენას ახდენს საყოველთაო საერთაშორისო ტენდენციები. ასე მაგალითად, კაპიტალის საერთაშორისო მობილურობის ამაღლება, ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ახალი საფინანსო ინსტრუმენტების განვითარება.

ვაჭრობის, ტურიზმისა და სამუშაო ძალის მიგრაციის მეშვეობით მზარდი ეკონომიკური ინტეგრაცია დანარჩენ მსოფლიოსთან აიძულებს განვითარებად ქვეყნებს ფულად-საკრედიტო ბაზრები ლიბერალური განვითარების გზაზე დააყენონ, ე.ი. ჩაკეტილი ბაზრები გახადონ ღია, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება ყველა ქვეყნისთვის. ჩაკეტილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სულ უფრო ძვირი და არაეფექტიანი

ხდება. ეს კი მოითხოვს საერთოდ მიღებული ატმოსფეროს რეგულირებისა და მექანიზმების შესაფერის პრაქტიკას.

ისმის კითხვა: რაში მდგომარეობს განვითარებადი ქვეყნების მთავრობათა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანების მსგავსება იმ ამოცანებთან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენთან ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში?

ჩვენი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია გადაუდებლად ჩამოვაყალიბოთ და გავაფართოვოთ ფინანსური დანაზოგების შექმნის მექანიზმი და მათი რესურსების გადაცემა ინვესტორებზე, რომელთაც ამ რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები გააჩნიათ.

აქამდე ბევრი განვითარებული ქვეყნის პოტენციური დანაზოგების დიდი ნაწილი ფიზიკურ აქტივებში (საქონელში, ოქროში) იყო მოქცეული და მიიმართებოდა მოხმარების სფეროში, რითაც არავითარ უკუგებას არ იძლეოდა ეკონომიკური ზრდის პოზიციებიდან. უკეთეს შემთხვევაში, ეს დანაზოგები გამოიყენებოდა და გამოიყენება თვითდაფინანსებაში, ან მიმოქცევის სფეროში, რაც იწვევდა ინვესტიციების ადგილობრივი წყაროების განიავებას და ზრდიდა უცხოურ ინვესტიციებზე მოთხოვნებს.

და თუ ქვეყნის შიდა რესურსების ნაწილი მაინც ხმარდება საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებას, ისიც არაეფექტიანია იმ მარტივი ჭეშმარიტების გამო, რომ ფინანსური რესურსების მესაკუთრენი მათ ნაკლებად ეფექტიან საკუთარ წარმოებებში აბანდებენ და არა პრიორიტეტულ დარგებში, რომელთა პოტენციურად მაღალრენტაბელური პროექტების რეალიზაცია შეუძლებელია ფინანსური რესურსების უქონლობის მიზეზით.

ფინანსური დანაზოგების სტიმულირება და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება მიიღწევა ერთადერთი გზით – ფულად-საკრედიტო ინფრასტრუქტურის განვითარებით.

ფინანსური რესურსების მფლობელთა და ინვესტორთა შორის პირდაპირი კავშირების („მეზობელ“ ბაზრებისა და თვითდაფინანსების გზით) ნაცვლად საბანკო შუამავლობით დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობები ზრდის ფულის ეროვნულ შემოსავალთან თანაფარდობას, რითაც მიიღწევა

რეალური რესურსების გამოთავისუფლება და დანაზოგებისა და ინვესტიციების ნორმათა ზრდა.

ფულადი რესურსების მესაკუთრეები და ინვესტორები, რომლებიც ადრე გაფანტულები და ერთმანეთისაგან იზოლირებული იყვნენ, ფულად-საკრედიტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით კონსოლიდაციას აღწევენ. იზრდება ორგანიზებულობის დონე და ეროვნული ფინანსური ბაზრის ინტეგრირების არეალი, რითაც იგი ღრმად დამოკიდებული ხდება ფასწარმოქმნის მექანიზმთან. სხვათა შორის, განვითარებულ ქვეყნებში ამ პროცესმა მიიღო ეკონომიკის „მონეტიზაციის“ (ფულადი ბრუნვის წილის ზრდა მთელი ეკონომიკის მასშტაბით ნატურალურ გაცვლასთან შედარებით) და „ფინანსური გაღრმავების" (ფულად გარიგებათა წილის ზრდა საფინანსო დაწესებულებათა მეშვეობით) სახელწოდებანი. ნათელია, რომ ერთსაც და მეორესაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ჩვენთანაც ექნება ადგილი.

განვითარებად ქვეყნებში ფულადი პოლიტიკის ამოცანები მარტო ამით როდია შემოსაზღვრული, მას გადამწყვეტი როლი ენიჭება ქვეყნის საერთო-ეკონომიკური სტაბილიზაციის საქმეში. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ფულად-საკრედიტო სისტემა სუსტად არის განვითარებული, ამ როლის მატერიალიზება სულ სხვაგვარად მიმდინარეობს, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, რაც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ტრადიციულად ფულადი პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკის ანტიციკლური რეგულირების მექანიზმს. ამ ქვეყნებში ასეთი რეგულირების საფუძველია მთავრობათა უნარი გამოიწვიონ ფულადი ბაზის ზრდის დაჩქარება ან შენელება და კრედიტის ღირებულების გადიდება და შემცირება (კერძო სექტორში). განვითარებული ქვეყნების მთავრობათა ეს უნარი გამოწვეულია მაღალორგანიზაციულად და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი ფულად-საკრედიტო ბაზრების არსებობით, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებსა და რეგიონებში სარგებლის განაკვეთების შედარებით ერთგვაროვნებით.

განვითარებადი და სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის ტიპიურია ეკონომიკის მოკლევადიანი სტაბილიზაციის უზრუნ-

ველსაყოფად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენების შესაძლებლობათა შეზღუდულობა, რომლის ძირითადი მიზეზებია:

1. მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში საფინანსო-საკრედიტო ბაზრებისა და დაწესებულებების არაორგანიზებულად ფუნქციონირება და მათი დამოკიდებულება განვითარებული ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემებზე. ამ ქვეყნების კომერციული ბანკების უმრავლესობა ცალკეული ტრანსნაციონალური ბანკების ფილიალებს წარმოადგენენ და სესხებზე მოთხოვნებს არა ეროვნული ცენტრალური ბანკის მეშვეობით იკმაყოფილებენ, არამედ ზემოაღნიშნული უცხოური ბანკებით. სამამულო კომერციული ბანკები უსახსრობის გამო ვერ უძლებენ კონკურენციულ ბრძოლას და კოტრდებიან;

2. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სავალუტო შემოსულობათა დაგროვება მოუწესრიგებელია, რის გამოც ეს შემოსულობანი შიდა ფინანსური რესურსების არასტაბილური წყაროა. ამას ისიც ემატება, რომ სავალუტო შემოსულობაზე კონტროლის დაწესება გაძნელებულია უცხოური კონვერტირებული ვალუტების ქვეყნის შიდა ბრუნვაში დომინირების გამო;

3. პროდუქციის რეალური წარმოების საკრედიტო ურთიერთობათა და პირობათა გაუმჯობესებაზე არადროული რეაგირება, რასაც ხელს უშლის სტრუქტურული გარდაქმნების შენელებული ტემპიც. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტთა გამოყენებასა და ეკონომიკის შიდა წარმოების დინამიკას შორის ურთიერთკავშირი შენელებულ და გაურკვეველ ხასიათს ატარებს.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მასტაბილიზებელი ფუნქციების აღნიშნული თავისებურებანი არა იმდენად სამეურნეო კონიუნქტურის მოკლევადიანი მერყეობის გამოთანაბრება, არამედ განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიისთვის აუცილებელი ფინანსური პირობების შექმნაა.

ეს პირობებია – შიდა ფასების სტაბილიზაცია (ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის კრიტერიუმად შიდა ინფლაციის დაახლოებით ისეთივე ტემპები, როგორიც მსოფლიო ინფლაციას გააჩნია) და საგადასახდელო ბალანის შედარებითი სტაბილიზაცია (განვითარებადი ქვეყნებისთვის დასაშვებად მიჩნეულია საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ისეთი

დეფიციტი, რომელიც შეიძლება კომპენსირებული იქნეს კაპიტალის მოდინებითა და დახმარებით).

ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პრობლემათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი საკითხი — განვითარებულ ქვეყნებში გამოყენებული ამ პოლიტიკის საქვეყნოდ ცნობილი ინსტრუმენტები შეიძლება თუ არა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული განვითარებად ქვეყნებში? რა თქმა უნდა, ამ საკითხში სპეციალისტთა ერთიანი აზრი არ არსებობს, მაგრამ ერთი კი ცხადია, კონკრეტული ქვეყნის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით განვითარებული ქვეყნების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ესა თუ ის ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებული იქნეს. ამასთან აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ეკონომიკის „მონეტიზაციის“ დაბალი დონე. ყველა ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია საქართველოსთვის.

VIII.2. ეროვნული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა ჩამოყალიბება და ცენტრალური (ეროვნული) ბანკების ფუნქციათა განვითარება

ნებისმიერ ქვეყანაში ფულად-საკრედიტო რეგულირების ბაზას წარმოადგენს სხვადასხვაგვარი საფინანსო ინსტიტუტები: ცენტრალური და კომერციული ბანკები, არასაბანკო საფინანსო დაწესებულებები. განვითარებადი ქვეყნებისა და განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები სტრუქტურული თვალსაზრისით ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განვითარებად ქვეყნებში ცენტრალური ბანკის ხელშია საფინანსო-საკრედიტო სისტემის მთლიანი აქტივების დიდი ნაწილი, დანარჩენი ნაწილი კი მოდის კომერციულ ბანკებზე. რაც შეეხება სპეციალიზებულ საკრედიტო და საკონტრაქტო-შემნახველ დაწესებულებებს, კოოპერაციულ-საინვესტიციო ორგანიზაციებს, ისინი ნაკლებად არიან განვითარებული. ამიტომ არის, რომ ამ ქვეყნების საფინანსო-საკრედიტო სისტემა არ ხასიათდება მაღალეფექტიანი საქმიანობით. ცენტრალური ბანკი ასრულებს ბევრ, მათთვის მიუ-

ღებელ ფუნქციებს. ეკონომიკაში ცოტაა დანაზოგების განთავსებისა და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ალტერნატიული ინსტრუმენტები. ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს შორის კონკურენცია და რესურსების ოპტიმალურად განთავსების მექანიზმი. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის, რომ ინსტიტუციური სტრუქტურების სრულყოფა საფინანსო რეფორმების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ზემოაღნიშნული დასკვნები ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილ მონაცემებში:

განვითარებად ქვეყნებს შორის შედარებით მოწინავე ქვეყნების საფინანსო-საკრედიტო სისტემათა ინსტიტუციური სტრუქტურა
(აღნიშნულ დაწესებულებათა აქტივების წილი (%) საფინანსო სისტემების აქტივების მთლიან თანხასთან 2000 წელს)

№		ცენტრალური ბანკები	კომერციული ბანკები	სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებები	საკონტრაქტო-შემნახველო დაწესებულებები	კოოპერაციულ-სახელმწიფო დაწესებულებები	გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები
1.	ბრაზილია	27	32	12	2	4	23
2.	ინდოეთი	10	47	6	12	1	24
3.	პაკისტანი	20	65	1	2	1	11
4.	თურქეთი	33	54	4	6	0	3
5.	ჩილე	14	44	1	11	1	28
6.	სამხრეთ კორეა	9	53	14	4	10	10
	შედარებისათვის: 8 მოწინავე ქვეყანა	3	37	9	16	4	31

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული ფულად-საკრედიტო სისტემის მთავარი მარეგულირებელი რგოლის – ცენტრალური ბანკის ფორმირება-ფუნქციონირება. განსაკუთრებით ყურადსაღებია მოსაზრება იმაზე, რომ ცენტრალური ბანკისადმი ნდობა

ეროვნული ფულად-საკრედიტო სისტემის წარმატებით განვითარების პირველი და უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

მთავარ საკითხს ყველა განვითარებული ქვეყნისთვის ცენტრალური ბანკის შექმნის ადრეულ ეტაპზე, წარმოადგენდა მისი სამთავრობო ორგანოებისაგან დამოუკიდებლობის ხარისხი. ამ საკითხის გადაწყვეტის პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იყო, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებშიც. აშშ-სა და გფრ-ში ფედერალური სარეზერვო სიტემის (ფსს) და დოიჩე ბუნდესბანკის დამოუკიდებლობა კონსტიტუციითაა გარანტირებული. დიდი ბრიტანეთის ბანკს ტრადიციულად მიცემული აქვს დამოუკიდებლობა ფულადი პოლიტიკის გატარებაში. ამის საპირისპიროდ, საფრანგეთის ბანკი სამთავრობო სტრუქტურათა მხრივ მკაცრი კონტროლის ობიექტია.

განვითარებადი ქვეყნებისათვის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საყოველთაოდ ცნობილია (ეს ნათლად გამოიკვეთა საქართველოშიც), რომ ამ ქვეყნების მთავრობები დაინტერესებული არიან ყოველდღიური ხარჯების დასაფარავად ფართოდ გამოიყენონ ფულის ემისია და დაიკმაყოფილონ „წუთიერი" მოთხოვნები, რასაც თან მოჰყვება ინფლაცია და ჰიპერინფლაცია. სწორედ ამის გამო ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციით ცენტრალურ ბანკს ფულად-საკრედიტო რეგულირებაში მიცემული აქვს დამოუკიდებლობა. მაგრამ ხშირად ცენტრალური ბანკის იურიდიული დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველყოფს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას. ამის მიზეზები შეიძლება იყოს მთავრობის მხრივ მხარდაჭერის შესუსტება, ბანკის მესვეურთა უხერხემლობა, მათი პირადი კავშირები სამთავრობო სტრუქტურათა ლიდერებთან და სხვ. რაც შეეხება უცხოურ საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს ან მთავრობებს, ისინი არ ერევიან სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში.

განვითარებად ქვეყნებში ცენტრალური ბანკის ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია შესაფერისი სტრუქტურის შერჩევა და მათი უფლებამოსილებათა მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება. ცენტრალური ბანკი უნდა ასრულებდეს იმ კლასიკურ ფუნქციებს, რომლებიც დიდი ხანია ჩამოყალიბდა ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნა გამოკვლევა „ცენტრალური ბანკის ალტერნატივები განვითარებულ ქვეყნებში“[1]. ამ გამოკვლევაში ჩამოთვლილია ალტერნატიული ე.წ. „ცენტრალური საბანკო ინსტიტუტები“, რომელთათვის დამახასიათებელია მრავალმხრივი მიზნები, კონსტიტუციური უფლებამოსილებანი, ინსტრუმენტები და ცენტრალურ მთავრობებთან ურთიერთობანი:

1. **გარდამავალი ცენტრალური საბანკო დაწესებულება,** რომელიც წარმოადგენს სავალუტო სააგენტოსა და ცენტრალურ ბანკს შორის შუალედურ რგოლს. როგორც წესი, მთავრობა შესამჩნევად ზემოქმედებს ასეთი ინსტიტუტის საქმიანობაზე.

2. **ზენაციონალური ცენტრალური ბანკი** ასრულებს სავალუტო კავშირებში შემავალი ქვეყნების ცენტრალური ბანკის ფუნქციებს. ასეთ შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე ცალკეული მთავრობების გავლენა სუსტია.

3. **ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში ცენტრალური საბანკო დაწესებულება** ვერ აკონტროლებს ფულის მიმოქცევას იმის გამო, რომ მსოფლიო სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებს დომინირებული პოზიციები უკავიათ.

4. **ე.წ. სავალუტო ანკლავში** ცენტრალური ბანკის ფუნქციები ჩვეულებრივად იყოფა განვითარებადი ქვეყნის ცენტრალურ ბანკსა და მსხვილი პარტნიორი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შორის.

განვითარებულ ქვეყნებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ცენტრალური ბანკების თავისებურებათა შეფასება განვითარებული ქვეყნების კლასიკურ მოდელებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ განვითარებად ქვეყანას ამ სფეროში თავისი სპეციფიკა გააჩნია, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი საერთო დამახასიათებელი თავისებურებანი:

I. **განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ცენტრალური ბანკის ფუნქციები არ შეიძლება შეიზღუდოს „კლასიკური“ ფუნქციებით.** მანამ, სანამ ქვეყნის საკრედიტო-საფინანსო დაწესე-

---

[1] **Colfins Ch.** Alternatives to the Central Bank in the Developing World, Occasional Paper – 20, - imf., 1983, July.

ბულებების სისტემა გახდება ფულადი პოლიტიკის ეფექტიანი გადამცემი მექანიზმი ან მეგზური, თვითონ ამ სისტემამ უნდა მიაღწიოს განვითარების ადეკვატურ დონეს. როგორც წესი, კერძო სექტორი ცალკე ვერაფერს გახდება, ვერ უზრუნველყოფს აუცილებელი ფინანსური ინფრასტრუქტურის შექმნას, განსაკუთრებით უცხოური ან ნაციონალიზებული ბანკების დომინირების პირობებში. ამ კონტექსტში ცენტრალური ბანკის როლი მდგომარეობს მიზანმიმართული სტრატეგიის განხორციელებაში, რომელიც მოიცავს:

1. ახლად ჩამოყალიბებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების სტიმულირებას და მხარდაჭერას;

2. ქვეყანაში საბანკო საქმის განვითარებას;

3. ფულისა და კაპიტალის მფლობელებისა და ინვესტორებისათვის აქტივებისა და რესურსების განთავსების ფორმათა გაფართოებას;

4. რეგიონული დისბალანსების შემცირებას;

5. იმ დანახარჯთა შემცირებას, რომელიც გამოწვეულია ფულად-საკრედიტო გარიგებათა განხორციელებით;

6. კონკურენციული გარემოს შექმნას საბანკო საქმეში და ოლიგოპოლური ტენდენციისთვის წინააღმდეგობის გაწევას;

7. მოსახლეობის მხრიდან საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებისადმი ნდობის ამაღლებას.

II. **ცენტრალური ბანკის ფინანსური განვითარების კატალიზატორის მთავარი როლის გამო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტრადიციული ინსტრუმენტები** (სარეზერვო მოთხოვნები, ოპერაციები ღია ბაზარზე, საპროცენტო განაკვეთები, აღრიცხვისა და რეფინანსირების მექანიზმები და სელექციური საკრედიტო პოლიტიკა) **ღებულობენ ორმაგ დანიშნულებას.**

მაგალითად, ცენტრალური ბანკის სარეზერვო მოთხოვნები შეიძლება ასრულებდეს, ერთი მხრივ, კომერციული ბანკების კონტროლის ფუნქციას და, მეორე მხრივ, ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვითარების სტიმულირების ფუნქციას (იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ბანკებს თავიანთი რეზერვების ნაწილი დაბანდებული ჰქონდეთ ამა თუ იმ კომპანიის ობლიგაციებში). ამასთან, იგი ზოგჯერ რეგიონების განვითარების

გამოთანაბრების ფუნქციასაც ასრულებს (სხვადასხვა რეგიონისთვის სხვადასხვა სარეზერვო მოთხოვნები).

ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტების მრავალმხრივი დანიშნულება განაპირობებს მიზნებსა და მათ გამოყენებას შორის კონფლიქტების დიდ შესაძლებლობას. მაგალითად, ღია ბაზარზე ოპერაციების განვითარების ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში ვარდება მთავრობის მისწრაფებასთან, რათა იაფად დააფინანსოს თავისი მოთხოვნილებები.

III. **განვითარებადი ქვეყნების ბევრი ცენტრალური ბანკი საქმიანობას საანგარიშო წელს მუდმივად ზარალით ამთავრებს.** ეს წარმოუდგენელია განვითარებული ბანკების ფინანსურ საქმიანობაში.

განვითარებად ქვეყნებში ცენტრალური ბანკის მყარი ზარალი წარმოიშობა შემდეგი მიზეზების გამო:

- ხშირად ბანკის წყაროები მიიმართება სახელმწიფო სექტორის დასაკრედიტებლად ძალზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. მაგალითად, არგენტინაში საკანონმდებლო აქტითაა დაკანონებული სახელმწიფოზე სესხების გაცემა იმ მოტივით, რომ ცენტრალური ბანკის მიერ ფულის ემისიით მიღებული მოგება სახელმწიფოს ეკუთვნის. მაგრამ მთავრობის დაკრედიტება მრავალჯერ აღემატება ბანკის საემისიო შემოსავალს. ეს კი იწვევს ცენტრალური ბანკის პერმანენტულ ზარალიანობას;
- ცენტრალური ბანკის ზარალის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების შეღავათიანი დაკრედიტება და გაკოტრებული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა გადარჩენა;
- ზარალის ნაწილი დაკავშირებულია სავალუტო პოლიტიკის გატარებასთან.

ცენტრალური ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო უნდა გახდეს იმ ზარალის განსაზღვრა, რომელიც გამოწვეულია ცენტრალური ბანკის ეკონომიკაში ადმინისტრაციული ჩარევით.

IV. **განვითარებად ქვეყნებში ცენტრალური ბანკის პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრების დეფიციტის პრობლემა.**

როგორც ცნობილია, კომერციული ბანკები წარმოადგენს იმ პირველ ფინანსურ დაწესებულებებს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროცესში ჩამოყალიბდნენ. სხვადასხვა ქვეყნების კომერციული ბანკები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგიერთ ქვეყანაში უპირატესად განვითარებულია ნაციონალიზებული ბანკები, ზოგიერთში კი – კერძო ბანკები. განვითარებადი ქვეყნების კომერციული ბანკების განსხვავებულობის მიუხედავად, მათთვის დამახასიათებელია ერთნაირი ზოგადი პრობლემები და ნაკლოვანებები:

1. **მოსახლეობის საბანკო მომსახურების სფერო მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს და ხშირად შეზღუდულია ქალაქებით.** ბევრ შემთხვევაში მოსახლეობის თვალში კომერციულ ბანკებს ნდობა დაკარგული აქვთ (ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოშიც რეფორმის საწყის ეტაპზე);

2. **საბანკო სისტემებს ხშირად ოლიგოპოლური სტრუქტურა გააჩნიათ.** მაგალითად, ინდონეზიაში, ტაილანდში, მალაიზიაში, ფილიპინებში ათამდე უმსხვილესი კომერციული ბანკის ხელშია დეპოზიტების მთელი თანხის 50-80%. ჩილეში, თურქეთში, ბრაზილიაში, მექსიკაში, არგენტინაში, სამხრეთ კორეაში ბევრი ბანკი საფინანსო-სამრეწველო კონგლომერატის ნაწილია. საბანკო საქმის კონცენტრაცია სპობს კონკურენციას, აუარესებს მომსახურების ეფექტიანობას. იგი ამცირებს სამთავრობო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ქმედითუნარიანობას.

3. **ბევრ განვითარებად ქვეყანაში ცუდად ფუნქციონირებს ბანკთაშორისი ფულადი ბაზრები.** ამასთან აქტიური ბანკთაშორისი დაკრედიტება და ნასესხობა წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და საერთოდ ქვეყანაში რესურსების განლაგების ეფექტიანობის წინაპირობას.

საბანკო სექტორში ჩამორჩენილობის მიზეზებია:

- არასწორი საგადასახადო დაბეგვრა;

- ცენტრალურ ბანკში რეფინანსირების განუსაზღვრელი და იაფი შესაძლებლობები;
- საპროცენტო განაკვეთის დონის შეზღუდვა, რაც ხელს უშლის ბანკებს შორის შეთანხმებათა და გარიგებათა დადებას;

4. განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია საფინანსო შუამავლობის მაღალი ხარჯები, რაც გამოწვეულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

- საბანკო სისტემის ოლიგოპოლიური სტრუქტურა ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს დანახარჯთა შემცირების სტიმულირებას;
- საპროცენტო განაკვეთის დონის შეზღუდვა ბანკებს უსპობს იმის საშუალებას, რომ მოიზიდონ კლიენტები და შესთავაზონ დეპოზიტებზე მიმზიდველი სარგებელი;
- ინფლაციის მაღალი ტემპები ხელს არ უწყობს კლიენტების მიერ დეპოზიტების ბანკებში ხანგრძლივად დაბანდებას და ამიტომ ჭარბობს მოკლევადიანი დეპოზიტები;
- განვითარებადი ქვეყნების ბანკები, როგორც წესი, უფრო მაღალი განაკვეთებით იბეგრებიან განვითარებული ქვეყნების ბანკებთან შედარებით;
- განვითარებადი ქვეყნების ბანკების უმწვავესი პრობლემაა გაცემული სესხების დაუბრუნებლობა.

5. განვითარებადი ქვეყნების კომერციული ბანკების ერთერთი სერიოზული ნაკლოვანებაა შტატების გაბერვა, საკრედიტო პოლიტიკაში ელასტიკურობის არარსებობა, პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია.

VIII.3. ფულად-საკრედიტო რეფორმები განვითარებად ქვეყნებში

ფულად-საკრედიტო რეფორმები, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში გატარდა ან დაიწყო, მოიცავს შემდეგ უმნიშვნელოვანეს ელემენტებს:

1. ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა ლიბერალიზაციას ან დერეგულირებას[1];

2. ცუდად ფუნქციონირებად საბანკო და დანარჩენი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა რეორგანიზაციას და მათ საქმიანობაზე კონტროლის სრულყოფას.

ლიბერალიზაცია მეტნაკლები ზომით ეხება ფულად-საკრედიტო სფეროში სახელმწიფოებრივი ჩარევის ყველა ასპექტს. რაც შეეხება ფულად-საკრედიტო რეფორმის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საპროცენტო განაკვეთების დარეგულირება, სამთავრობო საკრედიტო პროგრამების გადასინჯვა, კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლის სრულყოფა, კაპიტალის ბაზრების განვითარება და ა.შ., დამოუკიდებელი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებია, რომელთა შესახებ არსებული პრაქტიკის საფუძვლიან განხილვა-შესწავლას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

ფულად-საკრედიტო სისტემის რადიკალური ლიბერალიზაციის პირველი ცდა გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში განხორციელდა არგენტინაში, ჩილესა და ურუგვაიში. ამ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა ჩვენთვის იმდენად არის აუცილებელი, რომ მათში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, მათი განხორციელების პოლიტიკური შედეგები და პრობლემათა და სირთულეთა ის წრე, რომელთაც ადგილი ჰქონდა ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა დარეგულირებისას.

---

[1] ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა დარეგულირება ნიშნავს ამ სფეროში საბაზრო მექანიზმის მოქმედების საწინააღმდეგოდ ხელოვნურად შექმნილი ბარიერის აღმოფხვრას (ავტორები).

არგენტინაში, ჩილესა და ურუგვაიში რეფორმები სწრაფად განხორციელდა, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებასთან ერთად ჰქონდათ საერთო ნიშნები და დამახასიათებელი თავისებურებანი. ესენია:

1. მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნათა მნიშვნელოვანი შემცირება, რომელიც, მაგალითად, ჩილეში მოთხოვნამდე დეპოზიტებში 10%-ს არ აღემატებოდა, ხოლო ვადიან დეპოზიტებში – 4%-ს;

2. კონტროლის მოხსნა საპროცენტო განაკვეთებსა და კაპიტალის მოძრაობაზე. ადგილობრივ ბანკებს უფლება მიეცათ მიეღოთ დოლარის დეპოზიტები და გაეცათ დოლარის სესხები, უცხოეთში აეღოთ კრედიტი (ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთავრობა არ იძლეოდა უცხოურ კრედიტზე საგარანტიო ვალდებულებებს);

3. ნაციონალიზებული ბანკების პრივატიზაცია;

4. მიზნობრივი საკრედიტო პროგრამების განხორციელების შეწყვეტა, კრედიტის მოცულობათა ზრდის შეზღუდვისა და მათ განაწილებაზე სახელმწიფოებრივი ზეგავლენის მოხსნა;

5. ახალი ბანკების რეგისტრაციის პროცესის გამარტივება;

6. უცხოური ბანკების საქმიანობის შეზღუდვის შესუსტება და მათზე ადგილობრივ ბანკებთან თანაბარ პირობებში კონკურენციის დაშვება.

განხორციელებული რადიკალური რეფორმების შედეგად ამ ქვეყნებმა, განსაკუთრებით ჩილემ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. გაძლიერდა კონკურენცია საბანკო სისტემაში; საფინანსო ბრუნვაში ჩართული იქნა ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების მთელი გამმა, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი 1.5-ჯერ გაიზარდა, ორ ათეულს მიაღწია უცხოური ბანკებისა და მათი ფილიალების რიცხვმა.

ამ წარმატებების მიღმა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა დარეგულირების პროცესს თან ახლდა მწვავე პრობლემები და წინააღმდეგობები. პირველ რიგში, აღსანიშნავია ხანგრძლივი პერიოდისათვის ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთების დაწესება. შიდა და უცხოური საპროცენტო განაკვეთების დონეთა მნიშვნელოვანმა განსხვავებამ და სავალუტო შეზღუდვათა არარსებობამ აიძულა ადგილობრივი მეწარმეები კრედიტის

ასაღებად უცხოური ბანკებისთვის მიემართათ. განვითარებად ქვეყნებში გაძლიერდა საქონლის იმპორტი. დაიწყო მიმოქცევაში ფულადი მასის უკონტროლო ზრდა. ამის პარალელურად ფულზე შიდა მოთხოვნა უსაზღვრო იყო. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია გასული საუკუნის 80-იან წლებში ეკონომიკური კრიზისის აღზევება, რასაც თან დაერთო მსოფლიო საპროცენტო განაკვეთების დონეთა მნიშვნელოვანი ზრდა და ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო დაკრედიტების ფაქტობრივად შეწყვეტა.

საყურადღებოა, რომ საფინანსო-საკრედიტო ლიბერალიზაციის მაკროეკონომიკური ნეგატიური შედეგები კიდევ უფრო გაამწვავა საკრედიტო-საბანკო დაწესებულებათა ქცევამ მიკროეკონომიკურ დონეზე.

კომერციული ბანკები, მთავრობათა მიერ თავსმოხვეული მკაცრი მარეგულირებელი სისტემის (სუსტი კონკურენცია, „ზემოდან“ დაწესებული საპროცენტო განაკვეთები და ცენტრალური ბანკების მიერ სესხების განაწილების მანკიერი სტილი) „ფრთებს ქვეშ“, ათეული წლობით მუშაობის მიუხედავად, მზად არ აღმოჩნდნენ თავისუფალი კონკურენციის პირობებში საქმიანობისათვის. ისინი არ ითვალისწინებდნენ რისკს, კერძოდ, მსესხებელთა მყიდველობითი უნარიანობის შეფასებისას, ბევრი მათგანი სესხებს ისეთ ფირმებს აძლევდნენ, რომელთა პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე არ იყო კონკურენტუნარიანი.

ფულად-საკრედიტო რეფორმებს ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა საბანკო კანონმდებლობათა დაგვიანებით მიღებამ. მაკონტროლებელ ორგანოებს არ შეეძლოთ აღეკვეთათ ფართოდ გავრცელებული სარისკო გარიგებები და ბოროტმოქმედებანი, ასევე მათ ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობა დროული და საიმედო ინფორმაციებით თითოეული ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობის თაობაზე. ყოველივე ამის შედეგად, ლათინური ამერიკის ქვეყნები მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მოიცვა საბანკო კრიზისებმა. ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემამ, საპროცენტო განაკვეთების გადიდებამ და ეროვნულ ვალუტათა დევალვაციამ ადგილობრივი კორპორაციების მყიდველობითუნარიანობის დაქვეითება და საკრედიტო-საბანკო

დაწესებულებებთან ერთად მათი საბოლოო გაკოტრება გამოიწვია.

არგენტინის, ჩილესა და ურუგვაის ცენტრალური ბანკები იძულებული გახდნენ დახმარება გაეწიათ კომერციული საბანკო დაწესებულებებისთვის. მათ მიერ მიმოქცევაში ფულადი მასის გაფართოებით ბანკების გადარჩენამ გამოიწვია სამთავრობო სტაბილიზაციის პროგრამების შესრულების და შესაბამისად ფულად-საკრედიტო სფეროში რეფორმების პროცესის შენელება.

არგენტინისა და ჩილეს მთავრობებმა, მათი საბაზრო იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ, გადაწყვიტეს დაბრუნებოდნენ ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებაში პირდაპირი ადმინისტრაციული ჩარევის მეთოდს. მაგრამ საბანკო კრიზისის დაძლევის შემდეგ დროებით შეწყვეტილი რეფორმების პოლიტიკა გაგრძელებული იქნა წარსულის უარყოფითი მოვლენების გათვალისწინებით.

ფულად-საკრედიტო და საფინანსო რეფორმების პროცესის ზემოაღნიშნული სიძნელეები მეტნაკლებად ახასიათებდა სხვა ქვეყნებსაც. მაგალითად, თურქეთში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმის შედეგად, პირველ ხანებში ფართოდ განვითარდა ფულად-საკრედიტო საქმიანობის სფერო, მაგრამ შემდგომ დაიწყო საბანკო კრიზისი. კრიზისის სქემა ჩილესა და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში მძვინვარე კრიზისების იდენტური იყო (ზოგიერთი თავისებურებების გარდა), კერძოდ, რეალური საპროცენტო განაკვეთების დონეთა მკვეთრი გადიდება, მოგებათა შემცირება და ამით კორპორაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მყიდველობითუნარიანობის დაცემა, კომერციული ბანკების უიმედო აქტივების ზრდა და მათზე კონტროლის შესუსტება.

თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა განეხორციელებინა ქვეყნის საბანკო სისტემის რადიკალური რეორგანიზაცია და დაეწყო საპროცენტო განაკვეთების ადმინისტრაციული გზით რეგულირება.

ანალოგიურად წარიმართა საფინანსო-საკრედიტო დარეგულირება სამხრეთ კორეაში მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ამ ქვეყანას გარკვეული სპეციფიკაც გააჩნდა.

მთავარი ყურადღება მიექცა ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერებას არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა განვითარების სტიმულირების გზით, რომელთა საქმიანობის დარეგულირება უფრო ადრე და დიდი მოცულობით მოხდა, ვიდრე კომერციულ ბანკებში (ეს ეხებოდა როგორც საპროცენტო განაკვეთებს, ისე შემოთავაზებული მომსახურების მრავალფეროვნებას, აგრეთვე ახალ დაწესებულებათა რეგისტრაციის პროცესის გამარტივებას).

ამასთან, სამხრეთ კორეაში რეფორმები უფრო ფრთხილად და თანდათანობით განხორციელდა. მაგალითად, მთავრობას არ უწარმოებია მიზნობრივი საკრედიტო პროგრამების შემოღება და სწრაფად არც ძველი გაუუქმებია. კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლი შენარჩუნებული იქნა. კომერციული ბაკების საკრედიტო საქმიანობა, მათი პრივატიზაციის შემდეგაც კი, სამთავრობო სტრუქტურების მკაცრი მეთვალყურეობის საგნად დარჩა, თუმცა მათ უფლება მიეცათ განეხორციელებინათ ახალ-ახალი ოპერაციები, ისეთები, როგორიცაა: დეპოზიტური სერთიფიკატების გამოშვება, სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვა უკან შესყიდვის პირობით, კომერციული თამასუქებით გარიგებები, ტრასტული ოპერაციები და არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა და ბროკერული კომპანიების (როგორც ფილიალები) ფლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კორეის მთავრობამ საპროცენტო განაკვეთების სრული ლიბერალიზაცია მოახდინა მხოლოდ 1988 წლის ბოლოს, აქამდე კი განხორციელებული იყო დიფერენცირებული პოლიტიკა კრედიტორებისა და საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების გათვალისწინებით. მაგალითად, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა ინფლაციის ტემპების შემცირება დაიწყო, მთავრობამ აკრძალა რეალური საპროცენტო განაკვეთების ზღვარგადასული გადიდება და წერილობით გააფრთხილა კომერციული ბანკები კრედიტის ნომინალური ღირებულების შემცირების თაობაზე.

სამხრეთ კორეაში განხორციელებულმა რეფორმამ ხელი შეუწყო ქვეყანაში არა მარტო ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, არამედ ფულად-საკრედიტო სფეროს განვითარება-გაფართოებას,

განსაკუთრებით არასაბანკო-საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახით.

საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა რეორგანიზაცია უშუალო კავშირშია დარეგულირების პრობლემებთან.

როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში საბანკო სისტემის კრიზისის მთავარი მაჩვენებელია არასაიმედო სესხების წილის სისტემატური ზრდა, ე.ი. ისეთი სესხებისა, რომლებსაც მსესხებლები ვადაზე არ აბრუნებენ და არ იხდიან პროცენტებს. ამ საქმეში მთავრობის ინდიფერენტულობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე.

კომერციული ბანკები დიდძალი უძრავი აქტივების კონცენტრაციის გამო ვერ ახერხებენ გასცენ სესხები ახალ მსესხებლებზე. იმის გამო, რომ თავიდან აიცდინონ გაკოტრება, ბანკები იძულებულები არიან არა თუ შეამცირონ, არამედ გაზარდონ კრედიტის მოცულობა ურჩ კლიენტებზე, რათა გაგრძელდეს გაცემული ვალების მომსახურება. ასეთი პრაქტიკა საკრედიტო რესურსების სულ უფრო ნაკლებეფექტიან განთავსებას იწვევს, რაც ეროვნულ მეურნეობებში სტრუქტურულ ტრანსფორმაციას ამუხრუჭებს. სტრუქტურული რეფორმების წარმატებები დიდად არის დამოკიდებული ნაკლებად ეფექტიანი დარგებიდან რესურსების გამოთავისუფლებასა და მათ რენტაბელურ კომპანიებისათვის გადაცემაზე. როგორც წესი, ზარალიანი და დაბალრენტაბელური ფირმების დაკრედიტება ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციური რესურსების დეფიციტსა და სტრუქტურული რეორგანიზაციის გაუტარებლობას იწვევს. სწორედ ამიტომ განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილში განხორციელდა, ან ხორციელდება საფინანსო-საკრედიტო სისტემების რადიკალური გარდაქმნები, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. **ზარალიანი საკრედიტო-საბანკო დაწესებულებათა ლიკვიდაცია ან შეერთება.** ამასთან ბევრი ქვეყნის მთავრობები ოპტიმალურად წყვეტენ იმ ზარალების განაწილების საკითხს, რომლებიც აღემატება საკუთარ კაპიტალსა და სარეზერვო ფონდებს. იმისათვის, რომ საკრედიტო-საბანკო სისტემამ არ დაკარგოს ნდობა და ავტორიტეტი, განვითარებადი ქვეყნების მთავრობათა დიდი ნაწილი იცავს მეანაბრეთა და უცხოელი კრედიტორების

ინტერესებს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ უკანასკნელთ კრედიტები გაცემული აქვთ სამთავრობო გარანტიების გარეშე;

2. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა გაჯანსაღების მეთოდებს შორის საყურადღებოა აგრეთვე:

- იმ ეროვნული კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუმჯობესება, რომლებიც საბანკო დაწესებულებათა კლიენტებს წარმოადგენენ (თუ ეს არ მოხდა, ბანკები ისევ გაკოტრებულთა რიგებში მოექცევიან);
- ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების სარისკო აქტივების შესყიდვა;
- კომერციული ბანკების კაპიტალის შევსება, მესაკუთრის უფლების სხვებზე გადაცემა, ხელმძღვანელთა შეცვლა.

საფინანსო-საკრედიტო სისტემის გაჯანსაღების აღნიშნული მეთოდების გამოყენებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

მსესხებელთა გაჯანსაღება. ჩილეს მთავრობის მიერ 1981-1983 წლების საბანკო კრიზისიდან გამოსვლის პირველი რიგის ღონისძიებებს შორის განხორციელებული იქნა შეღავათიანი ვალუტის კურსის დაწესება იმ მსესხებლებისათვის, რომლებსაც უნდა დაეფარათ დოლარის დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში 1982 წლის პესოს დიდი დევალვაცია გამოიწვევდა ბევრი ადგილობრივი ფირმის გაკოტრებას იმდენად, რამდენადაც მათ თავიანთი ვალის თითოეული დოლარის ანგარიშში უნდა გაეღოთ რამდენჯერმე მეტი ეროვნული ვალუტა, ვიდრე მათ ადრე უნდა გადაეხადათ. გადაწყდა, რომ მოვალეებს თავიანთი ვალი საბანკო დაწესებულებებისათვის უნდა დაებრუნებიათ ახალი ოფიციალური კურსით, რის შემდეგ კომერციულ ბანკს დაუყოვნებლივ უნდა მიეღო ცენტრალური ბანკიდან ახალ კურსსა და ძველ (შეღავათიან) კურსს შორის სხვაობის თანხა. თანდათანობით შეღავათიანი კურსი უახლოვდებოდა ახალ კურსს, მანამ, სანამ პროგრამა არ დამთავრდა მათ საბოლოო შერწყმამდე. რა თქმა უნდა, ყველა სხვა დანარჩენ ღონისძიებებთან შედარებით ცენტრალური ბანკისათვის ეს ყველაზე ძვირი პროგრამა იყო, თუმცა მან შესამჩნევი კვალი

დაამჩნია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, კერძოდ, ეროვნული ფირმების გადაბდისუნარიანობისა და რენტაბელობის თვალთახედვით.

მაგრამ გატარებული ზომები არასაკმარისი აღმოჩნდა. საკითხი ეხებოდა იმ მსესხებლებს, რომელთაც გააჩნდათ უმსხვილესი ვალები ეროვნულ ვალუტაში. მათ, მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთების გამო, არ შეეძლოთ ვალების დაფარვა. 1983 წელს ცენტრალური ბანკის განკარგულებით კომერციულ საბანკო დაწესებულებებს იმ სესხების დავალიანებათა სულ ცოტა 30%-ის განვადება უნდა მოეხდინათ, რომელიც აღებული ჰქონდათ ეროვნულ ფირმებს საწარმოო დანიშნულებით. განვადების პირობები ძალზე შეღავათიანი იყო (განვადება წარმოებდა 5-15 წლით), რომლის საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდა წლიურად 7%-ს. ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს სპეციალური ფონდის ანგარიშიდან უფარავდა განვადებასთან და საპროცენტო განაკვეთის შემცირებით გამოწვეულ ხარჯებს კომპენსაციის ფორმით და ამით ისინი არავითარ ზარალს არ განიცდიდნენ.

დასასრულ, ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი ღონისძიება იყო მსესხებელ ფირმათა ე.წ. „ვალების დედოლარიზაცია". 1984 წელს წვრილ ფირმებს საშუალება მიეცათ თავიანთი სავალუტო ვალები დაეფარათ ახალი კრედიტით ეროვნულ ვალუტაში და შეღავათიანი კურსით. შესაბამისად ასეთი ფირმები განთავისუფლებულნი იქნენ სავალუტო რისკისაგან. ამ პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯებიც გაღებული იქნა ცენტრალური ბანკების მიერ.

ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების სარისკო აქტივების შესყიდვა. საბანკო დაწესებულებები მსესხებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების მიუხედავად ვერ იბრუნებდნენ ადრე გაცემულ სესხებს, რაც მათ გაკოტრების საშიშროების წინაშე აყენებდა.

კომერციული საბანკო სტრუქტურების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით 1984 წელს ცენტრალურმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებიდან შეესყიდა სარისკო აქტივები მათი საკუთარი კაპიტალის 150%-მდე თანხით. ამასთან, კომერციული ბანკები ვალდებულები

იყვნენ მიღებული სახსრები მიემართათ ან საგანგებო სესხების დასაფარავად, ან ცენტრალური ბანკის სპეციალური თამასუქების შესასყიდად. აღნიშნულ თამასუქებს გააჩნდათ ვადა 16 კვარტალი და რეალური საპროცენტო განაკვეთი წლიურად 7%.

ბანკის აქციონერები ვალდებული იყვნენ მოეხდინათ ცენტრალური ბანკიდან სარისკო კრედიტების უკან გამოსყიდვა საკუთარი მოგების ანგარიშიდან, ამასთან დივიდენდების გაცემა აკრძალული იყო. საინტერესოა, რომ მსესხებლები არ იყვნენ ინფორმირებული მათი ვალების ცენტრალური ბანკის მიერ შესყიდვაზე. მთელი თანხა, რომელიც სესხის დასაფარავად შემოდიოდა, უნდა მიმართულიყო ცენტრალური ბანკიდან კრედიტების გამოსასყიდად.

კომერციული ბანკების პორტფელებში სარისკო სესხების მოცულობათა შემცირებამ აღადგინა მათი გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა, ხოლო ბანკის მიერ ვალების გაყიდვით მიღებული სახსრების სპეციალურმა გამოყენებამ გამოიწვია ფულადი მასის გაფართოების აღმოფხვრა.

ამ პროგრამების განხორციელებით სარისკო კრედიტების შეფარდება ბანკების საკუთარ კაპიტალთან 155%-დან 50%-მდე შემცირდა.

კომერციული ბანკების კაპიტალის შევსება. იმის გამო, რომ ქვეყნის კომერციული ბანკების გარკვეულ ნაწილს იმაზე მეტი სარისკო კრედიტები გააჩნდათ, რომელთა შესყიდვას ცენტრალური ბანკი ადგენდა, 1985 წელს მიღებული იქნა ამ ბანკების გაჯანსაღების კანონი – მათი საკუთარი კაპიტალის გადიდების გზით.

კანონით დაწესებული იყო, რომ ბანკების კაპიტალის გადიდებისთვის გამოშვებული აქციების შესყიდვის უფლება პირველ აქციონერებს ეძლეოდათ, ხოლო მოკლე პერიოდის გასვლის შემდეგ ყველა მსურველს შეეძლო შეეძინა ეს აქციები. დამატებით გამოშვებული აქციების გაუყიდავი ნაწილის შესყიდვას მთავრობა ახდენდა ძირითადად ადრე გაცემული საგანგებო კრედიტების კონვერსიის ფორმით. ამასთან, მთავრობას მიღებული აქციები უნდა გაეყიდა 5 წლის ვადაში. თანაც, მას არ ჰქონდა უფლება თავისი წილი გაეზარდა 49%-ზე ზევით, ე.ი. შეეძინა აქციათა საკონტროლო პაკეტი.

ჩილეს მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ქვეყნის ყველა კომერციული ბანკი კერძო საკუთრებაში გადავიდა.

VIII.4. კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლი

საფინანსო-საკრედიტო რეფორმების ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია კომერციული ბანკების საქმიანობაზე პროფილაქტიკური კონტროლის კონცეფციისა და პრაქტიკის გავრცელება. განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო სტრუქტურების საბანკო საქმიანობაზე კონტროლის მოდუნების ან არარსებობის გამო ფართოდ გავრცელდა მათი გაკოტრება. საქმე იმაშია, რომ კონკურენციის გაძლიერებამ, საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაციამ, დაკრედიტების ახალ ფორმებზე გადასვლამ და სხვა მოვლენებმა გაზარდეს როგორც საბანკო ოპერაციების რისკი, ისე ბოროტმოქმედებათა შესაძლებლობებიც. განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებათა უგულვებელყოფამ ამ სფეროში თავისი დაღი დაასვა საქართველოში როგორც ბანკების გაკოტრებას, ისე მოსახლეობის გაღატაკების დაჩქარებას.

საუბარია არა პროფილაქტიკურ კონტროლზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს კომერციული ბანკების საქმიანობის ის მხარეები, რომელთაც პოტენციური შესაძლებლობები გააჩნიათ ზიანი მიაყენონ მეანაბრეებს მათ წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მსოფლიოში არ არსებობს მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდეს საბანკო ოპერაციების მკაცრი სამთავრობო კონტროლი.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში სათანადო დონეზე არ დგას პროფილაქტიკური კონტროლი. მას ხელისუფლების მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა. მაკონტროლებელი ორგანოები უპირატესად დაკავებული არიან იმით, თუ რამდენად სწორად იხდიან კომერციული ბანკები გადასახადებს, როგორ იცავენ ისინი სავალუტო შეზღუდვებს და კრედიტის ადმინისტრაციული წესით განაწილებას. კონტროლის სრულყოფა, მისი პროფილაქტიკური

მიმართულების გაძლიერება — მაღალხარისხოვანი ფინანსური შუამავლობის და ფულად-საკრედიტო სფეროს სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა და ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია.

განვითარებადი ქვეყნების კომერციული ბანკების რეგულირების პროცესი ლიცენზირებით იწყება. რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკს დამუშავებული აქვს რეკომენდაციები იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა გათვალისწინება ლიცენზირების პროცესში აუცილებელია. ამ კრიტერიუმებს მიეკუთვნება: კაპიტალის მინიმალური ოდენობა, ხელმძღვანელ პირთა კვალიფიკაცია, ოპტიმალური სამუშაო გეგმის და პერსპექტიული გაანგარიშებების წარმოდგენა, სავარაუდო დამფუძნებელთა ფინანსური მდგომარეობა.

კონკრეტული კრიტერიუმების დაწესება ამცირებს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას და ლიცენზიების გაცემის პროცესში პოლიტიკურ ჩარევას.

კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირება იწყება შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებით, რომლებიც მიმართულია საბანკო დაწესებულებათა ფინანსური სიმტკიცისა და მეანაბრეთა ინტერესების დაცვისკენ. ოპტიმალური კანონმდებლობა იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ სამთავრობო მაკონტროლებელმა ორგანოებმა წარმატებით გაართვან თავი მათ წინაშე დასმულ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანებს.

საყურადღებოა ერთი საკითხის აღნიშვნაც, რომ შორსმჭვრეტელი ეროვნული მთავრობები დასაწისიდანვე ზრუნავენ მიიღონ ისეთი საბანკო კანონმდებლობა, რომელიც მსოფლიო სტანდარტის დონეზე იქნება, ამიტომ ისინი საბანკო კანონმდებლობის შემუშავებისას ითვალისწინებენ განვითარებულ ქვეყნებს შორის ამ საკითხებზე მიღწეულ შეთანხმებას, კერძოდ, საბანკო რეგულირებისა და კონტროლის პრაქტიკის შესახებ ბაზელის კომიტეტის საქმიანობას, რომელიც 1974 წლიდან ფუნქციონირებს საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკთან (სბ).

კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტიანი საკონტროლო სისტემის შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია მაკონტროლებელი ორგანოებისადმი სანქციებისა და ზემოქმედების ზომების სფეროში ფართო უფლებების მინიჭებას, როდესაც

კომერციული ბანკები არღვევენ დაწესებულ ნორმატივებს. ეს საკითხი მოითხოვს შეიქმნას სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც უფლებას მისცემს მაკონტროლებელ ორგანოებს გამოაცხადონ ბანკი გადახდისუუნაროდ, დახურონ ის და გადასცენ მასზე საკუთრების უფლება სხვა პირს მეანაბრეთა ინტერესებისა და საფინანსო-საკრედიტო სისტემის ნდობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ბანკებსაც სჭირდებათ ადეკვატური სამართლებრივი მხარდაჭერა. ბანკები სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებიან მსესხებელთა გადახდისუუნარობის პირობებში გირაოს ბანკების საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში.

განვითარებად ქვეყნებში კომერციული ბანკების საქმიანობისადმი კონტროლი, როგორც წესი, დაკისრებული აქვთ ცენტრალურ ბანკებს, რამდენადაც ისინი პასუხისმგებელნი არიან ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაზე და ასრულებენ საბოლოო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციებს.

იმისათვის, რომ საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობისადმი კონტროლის ორგანიზაცია ეფექტიანი გახდეს, შეიძლება გამოყენებული იქნეს განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში:

- მაკონტროლებელი ორგანოს შესანახი ხარჯების დასაფარავად აუცილებელია გამოეყოს სათანადო დაფინანსება, ამ საქმეში მომჭირნეობის გაწევა ქვეყანას სასიკეთო შედეგებს არ მისცემს. მარტო ერთი კომერციული ბანკის გაკოტრებას 1000-ჯერ მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე მაკონტროლებელი ორგანოების ხარჯების დასაფარავად საკმარისი ოდენობის სახსრების გამოყოფას;
- სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მაკონტროლებელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას;
- **კომერციული ბანკების საქმიანობისადმი კონტროლის უკეთ დაყენების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა.** განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში აღრიცხვა-ანგარიშგება არ დგას სათანადო დონეზე, მათ არ გააჩნიათ სათანადო ტრადიციები და სტანდარტები, განიცდიან კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობას. აღნიშნულის გამო მაკონ-

ტროლებელი ორგანოების მიერ აქტივების საიმედოობის შეფასება ხდება სუბიექტურად. სავალუტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით, არ გამოითვლება. ასევე ხდება სხვა ოპერაციების გატარებისას, ამიტომ ფინანსური ანგარიშგება და ბალანსები სიზუსტით არ გამოირჩევა.

ყურადსაღებია, რომ ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებათა არასაიმედოობა და უზუსტობა განვითარებად ქვეყნებში ამუხრუჭებს კომერციული ბანკების საქმიანობისადმი კონტროლის ქმედითობას და განვითარებას. თვითონ ბანკები იძულებული არიან სესხები გაუფორმონ ისეთ კლიენტებსაც, რომლებზედაც ინფორმაციის დეფიციტს განიცდიან. ამიტომ მათ მთელი ყურადღება გადააქვთ გირაოს გაფორმებზე, დაკრედიტების უფრო მომგებიანი და პროგრესული ფორმების გამოყენების ნაცვლად.

განვითარებადი ქვეყნები ითვალიწინებენ რა შექმნილ მდგომარეობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბუღალტრო აღრიცხვის მინიმალური სტანდარტებით უზრუნველყოფის საკანონმდებლო აქტების მიღებას.

განვითარებადი ქვეყნების კომერციული ბანკებისათვის დაწესებულია შემდეგი სავალდებულო ნორმატივები:

1. **კომერციული ბანკების საკუთარი სახსრების სიდიდესა და მისი აქტივების თანხას შორის ზღვრული თანაფარდობა.** ნებისმიერი ბანკი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი ოდენობის საკუთარი კაპიტალით, რომ მსესხებლების მიერ ვალის დაუბრუნებლობის ან ზარალის შემთხვევაში შეეძლოს შეუფერხებელი საქმიანობა. თუმცა განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილში საკუთარი კაპიტალის ოდენობა არასაკმარისია, რის გამოც იზრდება არასაიმედო აქტივებისა და ზარალის მოცულობები. ქვეყნების სამთავრობო გადაწყვეტილებებით დაწესებულია საკუთარი კაპიტალის მოცულობასა და მისი აქტივების თანხებს შორის ზღვრული თანაფარდობის ნორმატივი, რაც რამდენადმე გარანტირებულს ხდის საბანკო ოპერაციების საიმედოობას.

2. **აქტივების კლასიფიკაცია და სარეზერვო ფონდების შექმნა ვალების დაუბრუნებლობის შემთხვევებისათვის.** ეროვნული მთავრობების უმრაველსობა დაინტერესებულია იმით, რომ ბანკებში მიღწეული იქნეს აქტივების რეალობის სიტემატური

ანალიზი, რათა დროულად მიიღონ გამაფრთხილებელი ზომები და კორექტირება შეიტანონ საკუთარ საკრედიტო პოლიტიკაში.

3. ზღვრული დაკრედიტება (ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური ზომა). მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებულია ერთ მსესხებელზე დაკრედიტების საზღვრების დადგენა-გამოყენება, რათა მოახდინონ დაუფარავი ვალების დივერსიფიკაცია. ეს ნორმატივი ჩვეულებრივად გამოიხატება ბანკის საკუთარი სახსრების საერთო თანხასთან განსაზღვრული პროცენტის სახით (მაგალითად, აშშ-ში მისი ნორმა 15%-ია).

4. ბანკის საქმიანობის ზოგიერთი სახის ნებართვა და აკრძალვა. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში საბანკო კანონმდებლობით ნათლად გამოკვეთილი არ არის საქმიანობის ამა თუ იმ სახეობის ნებართვისა და აკრძალვის პარამეტრები. ამის გამო ბანკები ისეთ საქმიანობას ეწევიან, რომელიც ზღვარგადასული რისკით ხასიათდება. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად კანონმდებლობით გათვალისწინებულია გარკვეულ ოპერაციებზე ნებართვა და ზოგიერთი კი აკრძალულია.

განვითარებად ქვეყნებში განხორციელებული საფინანსო-საკრედიტო რეფორმების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი სერიოზული ხასიათის მომენტი და მათი გადაწყვეტის ღონისძიებანი:

1. რეფორმებმა, რომლებიც განხორციელებული იქნა არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს პირობებში, შეიძლება გამოიწვიოს შექმნილი სიტუაციის გაუარესება. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ქვეყნების ჯგუფმა, რომელთა ეკონომიკა ხასიათდება მაკროეკონომიკური უმყარობით, მიზანშეწონილად ჩათვალა რეფორმების თანდათანობით განხორციელება საპროცენტო განაკვეთებსა და კაპიტალის მოძრაობაზე გარკვეული კონტროლის შენარჩუნებითა და საკრედიტო-საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურენციის სტიმულირების პირობებში. ამ გზით წასულმა ქვეყნებმა აიცდინეს სერიოზული შეცდომები და მიაღწიეს საფინანსო-საკრედიტო სფეროს დაჩქარებულ განვითარებას;

2. იმ ქვეყნებში, სადაც ფასების სტრუქტურა გაყალბებულია პროტექციონისტული თუ სახელმწიფოებრივი კონტროლის ზეწოლით, საფინანსო-საკრედიტო ლიბერალიზაციას თავისთავად

არ შეუძლია რესურსების განთავსების გაუმჯობესება. თანაც დერეგულირებამ შეიძლება გააუარესოს მდგომარეობა, იმის გამო, რომ საფინანსო-საკრედიტო სისტემა უფრო მწვავედ რეაგირებს ყალბ სიგნალებზე. ამიტომ აუცილებელია ეროვნული ფულადი ერთეულების რეალური კურსის შემოღებას და ფასების პოლიტიკაში რეფორმებს წინ უსწრებდეს ფინანსური ლიბერალიზაცია.

3. ფულად-საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებათა საქმიანობაზე პირდაპირი სახელმწიფო ჩარევის შესუსტების პირობებში, დაუყოვნებლივ უნდა მოვიდეს მოქმედებაში სპეციალურ კანონთა და ბანკების საქმიანობაზე პროფილაქტიკური კონტროლის წესების სისტემა, ურომლისოდაც ისინი გადაიქცევიან სამრეწველო დაჯგუფებათა დანამატებად.

4. საფინანსო-საკრედიტო ლიბერალიზაცია, როგორც ეკონომიკური რეფორმების სხვა დანარჩენი სფეროები, ახდენს საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილებას. ხანგრძლივ პერსპექტივაში იგი აუცილებელია სტრუქტურული გარდაქმნებისათვის, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში მან შეიძლება გამოიწვიოს რეფორმის განხორციელებაში სოციალური და პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობანი. ამიტომ მთავრობამ უნდა მოახდინოს გასატარებელი ღონისძიებების მოსახლეობის სხვადასხვა ფენებზე გავლენის დროული პროგნოზირება. ზოგჯერ სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით შეიძლება სახელმწიფომ ყველაზე დაზარალებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დროებითი კომპენსაცია გამოუყოს.

5. სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია მათი საქმიანობის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მითუმეტეს განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილში მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში ვარდებიან სწორედ სახელმწიფო სექტორში მოქცეული საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებები. თანაც პრივატიზაცია მაშინ არის გამართლებული, როცა დარეგულირებულია საბანკო პორტფელი, მოქმედებს მოწესრიგებული საკანონმდებლო აქტები და კონტროლი. სახელმწიფო ბანკების მოუმზადებელმა პრივატიზება შეიძლება გაზარდოს მონოპოლიზაცია და დაასუსტოს ამ დაწესებულებათა ქმედუნარიანობა.

იქ, სადაც გამართლებულია სახელმწიფო საბანკო დაწესებულებათა პრივატიზება, შეიძლება მათი ეფექტიანობის ამაღლე-

ბის მიზნით გატარდეს ისეთი ღონისძიებებიც, როგორიცაა: სახელმწიფო ორგანოების ჩარევის შეზღუდვა, კადრების პროფესიული დონისა და ანგარიშგებათა გაუმჯობესება, ბანკების საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესება და ა.შ.

6. რეფორმა არ უნდა შემოიფარგლოს საბანკო სისტემის გარდაქმნით, მასში ჩართული უნდა იქნეს არასაბანკო საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებები და კაპიტალის ბაზარი. კონკურენციის ჩასახვა და გაძლიერება საკრედიტო სფეროში ხელს უწყობს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და ფულად-საკრედიტო სფეროს სიმტკიცეს.

7. თუ საბანკო-საფინანსო სისტემაში რეფორმები ჩქარი ტემპებით ხორციელდება, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ვარდებიან ის ფირმები, რომლებსაც კონტრაქტები გაფორმებული აქვთ ძველი წესებით. შედარებით თანდათანობით ლიბერალიზაციასაც მოაქვს პრობლემები, ფირმები უშუალოდ განიცდიან ზარალს, მაგრამ მათ მესვეურებს მეტი დრო რჩებათ იმისათვის, რომ მოერგონ ახალ გარემოს, ხოლო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები იღწვიან შეიმუშაონ გარიგებათა განხორციელების ახალი მეთოდები. ამასთან, გარდამავალი პერიოდის ზღვარგადასული გახანგრძლივება ზრდის საერთო-ეკონომიკურ დანაკარგებს.

VIII.5. კაპიტალის ბაზრების განვითარება

ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია კაპიტალის ბაზარი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საშუალო და გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ემისია და ყიდვა-გაყიდვა. კაპიტალის ბაზრების უმნიშვნელოვანეს უპირატესობებს მიეკუთვნება:

1. სამეურნეო ერთეულების ინვესტიციების დაფინანსების საშუალებებთან უშუალო დაშვების უზრუნველყოფა;

2. ინვესტირების ობიექტის ფართო არჩევა დაზოგვის სტიმულირების მიზნით;

3. დეფიციტური რესურსების იმათზე გადანაწილება, რომლებსაც შეუძლიათ მათი უფრო ეფექტიანად გამოყენება;

4. ბაზრების მიერ საწარმოების საქმიანობის სისტემატური შემოწმება ისეთი ინდიკატორის მეშვეობით, როგორიცაა მათი ფასიანი ქაღალდების კურსი; ამ მექანიზმის დისციპლინარული ზემოქმედება;

5. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, მათი შესაძლებლობები შეცვალონ პორტფელების შემადგენლობა, მოახდინონ შემოსავლიანობისა და პორტფელებში ფასიანი ქაღალდების რისკის ვარირება.

კაპიტალის ბაზრების განვითარება წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფო სექტორის საწარმოთა პრივატიზაციის პოლიტიკის მთავარ კომპონენტს. ასეთი საწარმოების აქციების გამოშვება აადვილებს სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაციას მსხვილი კომპანიის ერთ კერძო პირზე მიყიდვასთან შედარებით, რომელიც გაძნელებულია ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო. ამასთან, აქციონირება გამოდის განვითარებადი ქვეყნებისთვის ტრადიციული „ოჯახური" ფირმების ტრანსფორმაციის ეფექტიან საშუალებად.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებად ქვეყნებში გიგანტური მასშტაბებით ვითარდება ფასიანი ქაღალდების ბაზარი. სამხრეთ კორეაში, სინგაპურში, ტაივანში, ინდოეთში, ბრაზილიაში, მექსიკაში და სხვა ქვეყნებში საფონდო ბირჟების კაპიტალიზაცია (კოტირებულ აქციათა საბაზრო ღირებულების ჯამი) მიუახლოვდა განვითარებული ქვეყნების დონეს. ისიც საყურადღებოა, რომ 80-იანი წლების ბოლოსათვის ბევრ ქვეყანაში აქციონერული ბაზრების კაპიტალიზაციამ 1 მილიარდ დოლარს გადაამეტა.

ასე მაგალითად, ტაივანში კაპიტალიზაციის დონემ მიაღწია 50 მილიარდ დოლარს, სამხრეთ კორეაში – 33 მილიარდს, სინგაპურში – 20 მილიარდს, ბრაზილიაში – 18.5 მილიარდს, ინდოეთში – 13.2 მილიარდ დოლარს და ა.შ., მაშინ, როდესაც შვეიცარიაში ანალოგიური მაჩვენებელი არ აღემატებოდა 50 მილიარდ დოლარს, ბელგიაში – 42-ს, დანიაში – 21.3-ს, ავსტრალიაში – 7.5 მილიარდ დოლარს[1].

[1] IFC Emerging Markets Data Base, wash, 1989, p. 11.

განვითარებული ქვეყნების ერთ ნაწილში აქციონერული ბაზრები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის ზრდის საქმეში, რისთვისაც ერთ-ერთ რაოდენობრივ კრიტერიუმად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ბაზრის კაპიტალიზაციის შეფარდება შიდა ეროვნულ პროდუქტთან. 1989 წლისათვის ეს მაჩვენებელი ტაივანსა და მალაიზიაში შეადგენდა 70%-ს, სამხრეთ კორეასა და სინგაპურში 40%-ს, ტაილანდში, ინდოეთში, მექსიკაში, ბრაზილიასა და ფილიპინებში – 5-დან 10%-მდე. მაშინ, როდესაც ტოკიოს საფონდო ბირჟაზე (მეორეა მსოფლიოში) ეს მაჩვენებელი დახლოებით 50%-ს შეადგენდა[1].

განვითარებადი ქვეყნების ერთ ნაწილში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ფართო ხასიათი მიიღო საბირჟო კრახმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების არარსებობა ან განვითარების დაბალი დონე. 1981 წლის დასაწყისში ფილიპინების საფონდო ბაზარზე მწვავე კრიზისი დაიწყო, რომელიც კორპორაციების მიერ ფულადი რესურსების სესხად აღებამ გამოიწვია მოკლევადიანი ვალდებულებების გამოშვებით, რომლებზედაც საერთოდ არ იყო დაწესებული კონტროლი. ამ გზით მოზიდული ფულადი სახსრები ხშირად გამოიყენებოდა გრძელვადიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად. ვალდებულებებს, რომლებსაც ვადა გაუვიდა, იფარებოდა ანალოგიური ფასიანი ქაღალდების გამოშვებით. მოსახლეობასა და ინსტიტუციურ ინვესტორებს ხელთ შერჩათ კოლოსალური ოდენობის მოკლევადიანი მოწმობები. მაშინ კი, როდესაც ხმა გავრცელდა კორპორაციების მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გადასახდევინებლად წაყენებული იქნა ეს ფასიანი ქაღალდები. დაიწყო საფინანსო-საბანკო დაწესებულებათა გაკოტრების პროცესი.

ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ჰონკონგში. ეს პროცესი 1982 წელს საფონდო ბირჟის კრახით დამთავრდა. ასევე კუვეიტსა და ბაჰრეინში 1982 წლის შემოდგომაზე არაოფიციალურ აქციათა ბაზარზე კომპანიებმა 135 მილიარდი დოლარი იზარალეს.

---

[1] IFC Emerging Markets Data Base, wash, 1989, p. 11.

დაზარალებულმა სახელმწიფოებმა ჩამოთვლილი დრამატული მოვლენებიდან სათანადო დასკვნები გააკეთეს. ფილიპინებში, ჰონკონგში, კუვეიტსა და სხვა ქვეყნებში დაიწყეს გაკოტრებული კორპორაციების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება. საფონდო ბირჟებზე დაიწყო სახელმწიფოებრივი კონტროლის გაძლიერება, გამკაცრდა ფირმების ანგარიშგებები და მათი საქმიანობა დაექვემდებარა სახელმწიფო კონტროლსა და რეგულირებას.

კაპიტალის ეროვნული ბაზრების განვითარების სტიმულირებისა და კრიზისული მოვლენების აღმოფხვრის მიზნით განვითარებად ქვეყნებში მეწარმეობისა და ინვესტიციებისთვის იქმნება ოპტიმალური პირობები. ეს პირობებია:

1. **კერძო მეწარმეობისათვის არსებული პირობების ბაზრის ანალიზი,** რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეწარმეთა უთანხმოებებს, სამოსავრობო და საფინანსო-საკრედიტო ორგანოების მისამართით, ეკონომიკასთან დაკავშირებული მეცნიერების, ბანკირების, იურისტების და სხვათა შეხედულებების შესწავლა-განზოგადოებას;

2. **კერძო სექტორის მოსაზრებანი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შესახებ;**

3. **ერთობლივი კომიტეტის ჩამოყალიბება,** რომელშიც შევლენ სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები და რომელსაც დაეკისრება საინვესტიციო და საქმიანი გარემოს შესწავლა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება;

4. **ძველი კანონების გადასინჯვა და ახალი კანონების მიღება,** რომლებიც მიმართული იქნება ინვესტიციების სტიმულირებისა და ახალი საწარმოების შექმნის უზრუნველსაყოფად; სალიზინგო და ვენჩურული (სარისკო) ოპერაციების განვითარება; გაკოტრების ეფექტიანი რეგულირება;

აქვე ჩამოთვლილი უნდა იქნეს ტიპიური წინააღმდეგობანი, რომელსაც ადგილი აქვს სამეწარმეო საქმიანობაში, ესენია:

- მთავრობის მხრივ კერძო სექტორის საქმიანობაზე გაურკვეველი პოზიცია;

- საგადასახადო დაბეგვრის არასრულყოფილი სისტემა, რომელიც მეწარმეებს აცლის ინვესტიციებისათვის გამოსაყენებელ სახსრებს;
- ამა თუ იმ სფეროში სამთავრობო მონოპოლიის განხორციელება, რაც ხელს უშლის კონკურენციის განვითარებას;
- ფირმების შექმნა-გაფართოების პროცედურისადმი ბიუროკრატული მიდგომა.

კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემებს შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომ ადგილობრივ კომპანიებსა და ფირმებს არ გააჩნიათ ფინანსური რესურსების ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მოზიდვის ტრადიციები და უპირატესად მიმართავენ საბანკო კრედიტს. უფრო მეტიც, განვითარებადი ქვეყნების გარკვეულ ნაწილში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოსახლეობაში გავრცელება ძალზე შეზღუდულია და მათი დიდი ნაწილი თავის იყრის გარკვეული ჯგუფის ხელში, რომელიც წარმოებას აკონტროლებს.

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნების შეზღუდვას იწვევს, უნდა გამოვყოთ:

- პრიორიტეტულ დარგებზე სამთავრობო შეღავათიანი კრედიტის არსებობა.. საწარმოს, როდესაც შეუძლია ნასესხები რესურსები საბაზროზე ნაკლები საპროცენტო განაკვეთებით მოიზიდოს, მას სტიმულიც კი არ გააჩნია გამოუშვას და გაავრცელოს აქციები;
- ხშირად პრაქტიკაში გვხვდება მთავრობის მიერ ამ აქციათა ფასებზე დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც შეიძლება შეთავაზებული იქნეს ბაზარზე. მომგებიანი კომპანიებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იძულებულები არიან აქციები გაყიდონ საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასებში, რაც ძირითადად მეწარმეთა სურვილს ეწინააღმდეგება;
- საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებები, რომლებიც მეწარმეობის განვითარებისათვის მასტიმულირებელ მექანიზმს არ ითვალისწინებს;
- იმ ფასიანი ქაღალდების სახეობათა შეზღუდვა, რომელთა გამოშვება ნებადართულია.

კაპიტალის ბაზრის ფორმირება-განვითარებისთვის განვითარებადი ქვეყნების მთავრობათა ამოცანა იყო აღმოეფხვრათ ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული აქ ჩამოთვლილი პრობლემები. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა კამპანია „ფართო მასებისათვის“ მასზე, რომ ფირმები დაერწმუნებინათ ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და გავრცელების დიდ სარგებლიანობაში. დიდი ეფექტის მოტანა შეეძლო საგადასახადო სისტემის სრულყოფის სამუშაოების განხორციელებას, კერძოდ, კომპანიათა მიერ დივიდენდების ანაზღაურების თანხის ორმაგი დაბეგვრის აღმოფხვრას, განსაკუთრებით აქციების იმ ნაწილზე, რომლებიც ძირითადად წერილი მესაკუთრეების ხელში მოხვდნენ.

ამ სერიოზული წინაღობის დასაძლევად საჭირო იყო თავაუღებელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა პოტენციურ ინვესტორებს შორის, როგორც კორპორაციებს, ისე ფიზიკურ პირებს შორის. ასეთი მუშაობა ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობას შორის წარმატებით მიმდინარეობდა (ყველა უნივერმაღსა და თავშეყრის ადგილას). დაინტერესებულ პირებს ეძლეოდათ უფასო კონსულტაცია ფასიანი ქაღალდების გარიგებათა თაობაზე – როგორ შეერჩიათ აქციები და ობლიგაციები, როდის შეეძინათ ისინი და როდის გაეყიდათ, სად და როგორ მოეხდინათ საბსრების ინვესტირება და სხვა მრავალი.

ზოგიერთ ქვეყანაში საფონდო ბირჟები უფროსი კლასების მოსწავლეთათვის სპეციალური პროგრამების მეშვეობით სპონსორებად გამოდიოდნენ. ამ პროგრამებში გათვალისწინებული იყო ბირჟებზე დასწრება და მათი ფუნქციონირების გაცნობა. ამასთან, სერიოზული კონკურსები ტარდებოდა საბანკო დაწესებულებათა იმ მუშაკებს შორის, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ფასიანი ქაღალდების გავრცელება-რეალიზაციით.

კაპიტალის ბაზარზე ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკის ერთ-ერთი სავალდებულო შემადგენელი ნაწილი იყო საგადასახადო ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართული იყო კაპიტალის განთავსების სხვა ფორმებთან შედარებით აქციებისა და ობლიგაციების დაბანდებათა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. კერძოდ, საქმე ეხებოდა:

1. ფასიანი ქაღალდების ღირებულების ზრდაზე გადასახადების გაუქმებას ან შემცირებას. იგი ამოიღებოდა მხოლოდ მათი ხელმეორედ გაყიდვისას;

2. დივიდენდების ორმაგი დაბეგვრის აღმოფხვრას;

3. განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათების გავრცელებას იმ პირებზე, რომლებიც ყიდულობდნენ ფასიან ქაღალდებს და ღებულობდნენ დივიდენდებს;

დასასრულ, ფასიან ქაღალდებზე ნდობის განმტკიცების ძლიერ წინაპირობას წარმოადგენდა კომპანიების ანგარიშგებათა სტანდარტების გაუმჯობესება და მათი საქმიანობის შესახებ კაპიტალის ბაზრებზე ინფორმაციათა რეგულარული შემოსვლა.

კაპიტალის ბაზრების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად არის ჩათვლილი ფასიანი ქაღალდების გარიგებათა შუამავლობის ინსტიტუტის (საინვესტიციო ბანკის ბროკერები და სხვ.) განვითარება. საშუამავლო საქმიანობა აუცილებელია ახალი ფასიანი ქაღალდების ბრუნვის სტიმულირებისათვის.

აუცილებელია ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ფორმირება, რომლის არსებობა უზრუნველყოფს აქციებსა და ობლიგაციებში მოქცეულ დაბანდებათა ლიკვიდობას, რამდენადაც მათ მფლობელებს შესაძლებლობა ეძლევათ მოახდინონ აქციებისა და ობლიგაციების რეალიზაცია-გაყიდვა მათთვის სასურველ დროს. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვნად ზრდის ფასიან ქაღალდებში დაბანდებათა განვითარებას. უფრო მეტიც, კაპიტალის ბაზრებზე იქმნება ფასწარმოქმნის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მობილურობას და აფერხებს ფასების მეშვეობით აქციებისა და ობლიგაციების თვითნებურ მანიპულირებას.

ამასთან, განსაკუთრებით უნდა მივუთითოთ იმ ფაქტზე, რომ განვითარებად ქვეყნებში ზემოაღნიშნულ სფეროებში ყველაფერი რიგზე არ არის (ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს სინამდვილეშიც). საქმე ეხება საბროკერო ფირმებისა და საერთოდ, საშუამავლო სამსახურებისადმი სახელმწიფო ხელისუფალთა მხრივ არაკვალიფიციური ჩარევით ხელის შეშლას. ეს ეხება საბროკერო ფირმებისა და საინვესტიციო

ბანკების გახსნაზე ლიცენზიების მიღებისას ბიუროკრატიულ გართულებებს და გასაყიდი ფასების შეზღუდვებს.

ჩამოთვლილ საკითხებზე არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი და მათი შერჩევა დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის თავისებურებებზე. ამასთან, განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი საერთო ხასიათის დასკვნები:

1. ხშირად მთავრობები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ბაზრის ფორმირების, მისი ტიპის შერჩევის ტექნიკურ მხარეებს და მხედველობის არედან უშვებენ ქვემოთ აღნიშნულ პრობლემურ საკითხებს, კერძოდ, სასურველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, საგადასახადო დაბეგვრის სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისა და სახელმწიფოს ზღვარგადასული ჩარევის აღმოფხვრას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს საფონდო ფასეულობათა ვაჭრობის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარე, ის განსაკუთრებით რეალურ მნიშვნელობას იძენს ბაზრის განვითარების საერთო-ეკონომიკურ ასპექტთან შეთანწყობისას.

2. საწყის პერიოდში ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის მექანიზმი არ უნდა იყოს ძვირადღირებული და პომპეზური. როგორც წესი, საკმარისია უმარტივესი სისტემა, რომელიც დღევანდელობის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ჩვენს მიერ მოტანილი საერთო ხასიათის დასკვნებისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის რეკომენდაციათა შესაბამისად საჭიროა: მთავრობამ გამოიჩინოს სიფრთხილე კაპიტალის ბაზრის რთული სისტემის შექმნისას მანამ, სანამ ამის რეალური აუცილებლობა დადგება. საფონდო ბირჟის შექმნისას გასათვალისწინებელია მასზე რეალური მოთხოვნაც.

როგორც აღინიშნა, განვითარებადი ქვეყნების მთავრობები კაპიტალის ბაზრების ფორმირებისას აწყდებიან კომპლექსური საკანონმდებლო აქტების მიღების აუცილებლობას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი იურიდიული საკითხები. ამ კანონის მიზანია – კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშემშლელი პირობების აღმოფხვრა, მისი შექმნისა და ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნა და მისი ინტერესების დაცვა.

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა ჩვეულებრივად ითვალისწინებს:

1. მთავრობის მხრივ ფასიანი ქაღალდების ბრუნვაზე ზედამხედველობის სისტემის დაწესებას, სამთავრობო რეგულირებასა და თვითრეგულირებას შორის თანაფარდობის განსაზღვრას, რომელიც შეესაბამება საბაზრო სისტემას მოცემული პერიოდისათვის;

2. საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებათა კონკრეტული სტანდარტების შექმნას, აქციებისა და ობლიგაციების გამომშვებ კომპანიათა საქმიანობის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციათა სისტემატურ შემოსვლას;

3. ბაზარზე გარიგებათა შესახებ ინფორმაციების შეგროვებასა და გავრცელებას;

4. აუდიტორული სამსახურის ორგანიზაციას, რომელიც ითვალისწინებს აუდიტორთა დამოუკიდებლობას და ფინანსურ ანგარიშგებათა უნიფიკაციას;

5. ბაზრის სტრუქტურას;

6. ლიცენზირებას, ბროკერთა და სხვა პირთა კვალიფიკაციასა და საქმიან თვისებებზე მოთხოვნებს;

7. ფასიანი ქაღალდების გარიგებათა პროცესში გამოძალვისა და თაღლითობის აღმკვეთ ღონისძიებებს.

თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელ თავისებურებათა შორის პრიორიტეტულია კაპიტალის ბაზრების ინტერნაციონალიზაცია. ეს პროცესი სულ უფრო მეტ განვითარებად ქვეყანას მოიცავს.

ინსტიტუციური ინვესტორები განვითარებული ქვეყნებიდან, რომლებიც მაღალ და მყარ მოგებას არიან გამოდევნებული, დიდ ინტერესს იჩენენ განვითარებადი ქვეყნების აქციების შეძენაზე. რა არის ამის მიზეზი? ამ სფეროში განხორციელებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში აქციათა ფასების ინდექსები შედარებით დაბალი კორელაციით ხასიათდება, ვიდრე აშშ-ის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გფრ-ის და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების აქციათა ფასების წამყვანი ინდექსები. სხვა სიტყვებით, ასეთი აქციები იდეალურად შეესაბამება პორტფელების დივერსიფიკაციას (ფულის ინვესტირებას ფასიან ქაღალ-

დებში). უფრო მეტიც, განვითარებად ქვეყნებში უფრო ადვილია „ფასდაუდებელი“ ისეთი ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რომლებსაც ღირებულების მატების დიდი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნიათ.

ეროვნული კაპიტალის ბაზრებზე უცხოელთა მონაწილეობის პრობლემის გადაწყვეტის ეფექტიანი საშუალებაა სადაზღვევო საინვესტიციო ფონდების ჩამოყალიბება, რომელთა ძირითადი წყაროა განვითარებული ქვეყნების ინვესტორთა ფულადი რესურსების აკუმულაცია.

VIII.6. განვითარებადი ქვეყნების ფულად-საკრედიტო პოლიტიკა
ფულადი მასის რეგულირება

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია ქვეყანაში ფულადი მასის განსაზღვრა. მიმოქცევაში ფულადი მასის დინამიკა სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს ინფლაციურ პროცესებზე, ეროვნულ მეურნეობაზე, საგარეო-ეკონომიკურ კავშირებზე და ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთელ პროცესებზე.

განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, არ არსებობს ფულადი მასის შესწავლის ტრადიციები, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია. ამიტომ ამ ნაწილში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული მათი დიდი გამოცდილება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული. ეს სფერო მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

1. ფულის რაოდენობის განსაზღვრისას ქვეყნის ეკონომიკური და ინსტიტუციური თავისებურებების გათვალისწინებას;

2. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში ფულის მიწოდებისა და მოთხოვნის ფუნქციების მსგავსება-განსხვავების გამოვლენას;

3. ქვეყნის ცენტრალური ბანკის მხრივ ფულის მასის მიმოქცევის კონტროლის შესაძლებლობის გარკვევას;

4. მას თუ ეს შეუძლია, მაშინ ფულის მასაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედებისათვის საჭირო ინსტრუმენტებსაც განსაზღვრავს.

ფულზე მოთხოვნა და მიწოდება

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც თანამედროვე ეკონომისტების შესწავლის ობიექტია იმ ფულის მასის განსაზღვრა, რომლითაც ამა თუ იმ განვითარებადი ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

ცენტრალური ბანკებისთვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აკონტროლოს ისეთი ფულადი აგრეგატი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკურ აქტივობასთან დაკავშირებით ფულზე შედარებით სტაბილური მოთხოვნა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პროცენტის მომტანი ბევრი ფულადი აქტივი ფულის სუბსტიტუტებს (შემცვლელებს) უახლოვდება – ნაღდი ფულის მასა პლუს მოთხოვნამდე დეპოზიტები (M_1). აუცილებლობის შემთხვევაში ისინი (M_1) შეიძლება კონვერტირებული იქნეს რისკის გაწევის გარეშე ნაკლები დანახარჯებით. მაგალითად, თუ მოთხოვნამდე დეპოზიტები ადვილად შეიცვლება შემნახველი დეპოზიტებით, მათი შეფარდებითი შემოსავლიანობა, თუნდაც უმნიშვნელოდ მაინც გამოიწვევს დიდ ძვრებს მათსავე შეფარდებით მოცულობებში. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნამდე დეპოზიტებზე მოთხოვნა პლუს შემნახველი დეპოზიტები უფრო სტაბილურია (ე.ი. რეალურ შემოსავალთან უფრო მუდმივად არის დაკავშირებული), ვიდრე მოთხოვნა თითოეულ ამ დეპოზიტებზე ცალ-ცალკე და ფულის ოპტიმალურად განსაზღვრისთვის გამოიყენება უფრო ფართო ფულადი აგრეგატი (M_2 ან შეიძლება M_3-ც).

მსოფილოს ბევრი ქვეყნის ეკონომისტთა (**ჯ. კონლიკსი, დ. ვილანუევი, ნ. არიია** და სხვ.) ძალისხმევით დადგინდა, რომ **ნომინალურ ფულად მასასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის (ფული, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგადასახდელო ბალანსი)** შეფარდება დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით ეკონომიკაში ფულის მოთხოვნაზე. სწორედ ცენტრალური ბანკის

უნარი, მოახდინოს ამ მოთხოვნის პროგნოზირება ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მეცნიერ-ეკონომისტები თავიანთ თეორიულ და ემპირიულ ნაშრომებში სოლიდარული არიან ერთ მეტად მნიშვნელოვან დასკვნაში, რომ განვითარებად ქვეყნებში ფულზე მოთხოვნა დროის ფაქტორის გათვალისწინებით ისევე სტაბილურია, როგორც განვითარებულ ქვეყნებში. ე.ი. შეიძლება მისი წინასწარ განსაზღვრა, განჭვრეტა. ეს დასკვნა ფულადი პოლიტიკის გატარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, იგი ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობას აძლევს მთელი ძალისხმევა მიმართოს იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ფულის მიწოდებაზე.

ფულის მიწოდება (ე.ი. მიმოქცევაში ფულის მასის მატება) წარმოადგენს რთული შედეგის მომცემ სიდიდეს, რომლის ჩამოყალიბება დამოკიდებულია კომერციული ბანკების, არასაფინანსო სექტორის (მთავრობა, კორპორაციები, მოსახლეობა), ფინანსთა სამინისტროს, გარე სამყაროს ქცევებზე, აგრეთვე ცენტრალური ბანკის მოქმედებაზე.

განვითარებადი ქვეყნების ოპტიმალური ფულადი პოლიტიკის შემუშავებაში უპირატესად უარყოფით როლს ასრულებს ცენტრალური ბანკის მიერ კრედიტის მეშვეობით ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება.

განვითარებად ქვეყნებში „ფულადი ბაზის“ მეორე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ცენტრალური ბანკის წმინდა უცხოური აქტივები. ამ კომპონენტის ძირითად ბაზად შეიძლება ჩაითვალოს ის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია სავალუტო სააგენტოს ტიპის ცენტრალური საბანკო დაწესებულება ან უცხოური ვალუტა, რომელიც მათ იყენებს მიმოქცევისა და გადახდის კანონიერ საშუალებად. ორივე შემთხვევაში მოსახლეობის ხელთ არსებული ნაღდი ფულის მასა ყოველთვის ქვეყნის სავალუტო აქტივების ჯამის ტოლია. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ ქვეყანაში არსებული ფულადი მასა მთლიანად დამოკიდებულია საგადასახდელო ბალანსზე. სხვა ქვეყნებში ეს დამოკიდებულება უფრო სუსტია, მაგრამ ჩვეულებრივ უფრო გამოხატულ სახეს ღებულობს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

რაც შეეხება ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემულ სესხებს, ისინი, როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით რამდენჯერმე მცირეა. ეს იმით აიხსნება, რომ განვითარებად ქვეყნებში ლიკვიდობის საკითხში კომერციული ბანკის ცენტრალურ ბანკთან დამოკიდებულება სუსტია და ამასთან, არასაკმარისად არის განვითარებული მათ შორის ურთიერთობის შესაბამისი მექანიზმი.

ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ცენტრალური ბანკი უშუალოდ ახორციელებს კერძო არასაბანკო სექტორის დაკრედიტებას, რაც ქვეყნის „ფულადი ბაზის" ერთ-ერთ სპეციფიკურ ელემენტს წარმოადგენს და გათვალისწინებული უნდა იქნეს.

ფულადი მულტიპლიკატორი, თავის მხრივ, დამოკიდებულია მთელ რიგ კოეფიციენტებზე, რომელთაც მიეკუთვნება შემდეგი მაჩვენებლები:

1. **კომერციული ბანკების რეზერვების შეფარდება დეპოზიტების მთლიან თანხებთან** (როგორც მოთხოვნამდე, ისე ვადიანთან). განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ნაკლებ სტაბილურია. ასე, რომ მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების ბაზრების არასაკმარისი ეფექტიანობა ნაციონალურ კომერციულ ბანკებს იძულებულს ხდის ჭარბი რეზერვების შედარებით მაღალი დონე შეინარჩუნონ;

2. **მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მასის შეფარდება მოთხოვნამდე დეპოზიტებთან.** ეს კოეფიციენტი განვითარებულ ქვეყნებში განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთების დონითა და შემოსავლების განაწილებით. განვითარებად ქვეყნებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი დამატებითი ფაქტორები. პირველ რიგში, ნაღდი ფულის შეფარდებას დეპოზიტებთან მკვეთრად გამოხატული სეზონურობა ახასიათებს. მასში გამოწვეული ცვლილებები განპირობებულია მოსახლეობის მიერ ოფიციალური საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვით. ნაღდი ფულის მოცულობაზე დიდ გავლენას ახდენს ჩრდილოვანი ეკონომიკა. არალეგალური გარიგებების ნაღდი ფულით ანაზღაურებას უპირატესობა ენიჭება, ამასთან, თავს არიდებენ გადასახადების გადახდას;

3. **ვადიანი დეპოზიტების შეფარდება მოთხოვნამდე დეპოზიტებთან.** განვითარებად ქვეყნებში ეს შეფარდება დამოკიდებულია

არა მარტო ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების დონეზე, არამედ არაორგანიზებული ბაზრის პირობებზედაც.

ფულის მიწოდების ფუნქციის ანალიზმა პასუხი უნდა გასცეს კითხვას: განვითარებადი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შეუძლია თუ არა აკონტროლოს ფულის მასის დინამიკა? ეს კითხვა არსებითად სამ ნაწილად იყოფა:

- ცენტრალურ ბანკს ფულის მიწოდების ფუნქციაში შემავალი რომელი ელემენტების რეგულირება შეუძლია?
- ფულის მიწოდების ფუნქციაში შემავალი იმ ელემენტების ნაცვლად, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრალური ბანკის ზემოქმედებას, სხვა რა ღონისძიებები შეიძლება იქნეს გამოყენებული?
- განსახილველი ურთიერთკავშირი რამდენად სტაბილურია და წინასწარ განჭვრეტას თუ ექვემდებარება?

ფულის ბაზრის ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ძნელად ექვემდებარება ცენტრალური ბანკის კონტროლს. ამ უკანასკნელის მიერ მთავრობის დაკრედიტებაზე ფულად-საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მხრივ ზეგავლენის მოხდენა, ცნობილი მიზეზების გამო, ნაკლებად რეალურია. ამასთან განვითარებად ქვეყნებში სავალუტო რეზერვების მდგომარეობა ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო ფაქტორებსა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე. უფრო მეტიც, განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბანკები ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან დაიცვან ეროვნული ფულის ფიქსირებული კურსი და აწარმოონ ვალუტათა ყიდვა-გაყიდვა.

ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეების მიუხედავად, განვითარებად ქვეყნებში არსებობს ისეთი ფაქტორები და ძალები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება მიმოქცევაში ფულის მასის მატების რეგულირება. დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომელიც რამდენიმე წელს მოიცავს, განვითარებად ქვეყნებში ფულის მიწოდების ფუნქცია რაიმე განსაკუთრებული, რადიკალური თავისებურებებით არ განსხვავდება განვითარებული ქვეყნებისაგან. რაც შეეხება „ფულად ბაზას“, ცენტრალურ ბანკს შესაბამისი ინსტრუმენტების არსებობისას შეუძლია კომერციულ ბანკებზე

გაცემული კრედიტის მანიპულირებით კომპენსირება გაუწიოს ფულის მასაზე როგორც საგადასახდელო ბალანსის, ისე ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის პოზიციებიდან არაკონტროლირებადი და არასასურველი ფაქტორების ზემოქმედებას, მაგრამ აქ პრობლემა ერთშია. განვითარებადი ქვეყნების სპეციფიკური ინსტიტუციური თავისებურებების გამო ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობა შეიძლება შეზღუდული იყოს. პირველ რიგში ამაზე გავლენას ახდენს საფინანსო-საკრედიტო სტრუქტურების არასაკმარისი განვითარება და ეკონომიკური დუალიზმი, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების თანდაყოლილი მანკია, როგორც წესი, ფულადი მასის 50-75% ინახება ნაღდი ფულის ფორმით, რაც ასუსტებს საბანკო კრედიტის მაკროეკონომიკურ როლს. საბანკო სისტემის ფუნქციები თანამედროვე მრეწველობისა და ვაჭრობის კრედიტით მოთხოვნების დაკმაყოფილებით არის შეზღუდული, მაშინ, როდესაც დანარჩენი სამეურნეო ერთეულები სარგებლობენ არაორგანიზებული ბაზრის ფულადი რესურსებით.

ამ უკანასკნელის არსებობას განაპირობებს ისეთი სპეციფიკური ფენომენი, როგორიცაა განვითარებად ქვეყნებში ფულადი პოლიტიკის ასიმეტრია. ნათელია, რომ ცენტრალური ბანკები ნაკლებ წინააღმდეგობას ხვდებიან ფულადი მასის გადიდებისას, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს. თუმცა კრედიტის დამატებითი მოცულობა ითქვიფება ტრადიციული სექტორის დიდ მასაში და ეკონომიკური პოზიციის აქტივობიდან არ იძლევა იმ მულტიპლიკაციურ ეფექტს, როგორსაც იძლევა განვითარებულ ქვეყნებში. პირიქით, ფულის მასის შემცირებაა ძნელი. ცენტრალური ბანკის მხრივ კომერციული ბანკების კონტროლის გაძლიერება და კრედიტზე მოთხოვნის დაკმაყოფილების გართულება დიდ ეფექტს არ იძლევა იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ არაორგანიზებულ ბაზარზე მას ზემოქმედების რაიმე ხელშესახები მექანიზმი არ გააჩნია.

განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ყურადსაღებია მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირების შემდეგი მექანიზმები:

საბანკო დაკრედიტების პირდაპირი ლიმიტები ან მისი მატების ტემპების შეზღუდვა. იგი კომერციულ ბანკებს აიძულებს

მოზიდული დეპოზიტების გარკვეული ნაწილი დაიტოვოს ე.წ. „უმოქმედო“ რეზერვად, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა ლიმიტს ზევით სესხების გასადიდებლად. როცა ლიმიტი ამოიწურება, რეგულირების ამ სახსრებით შეიზღუდება მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა (ფულის მიწოდება) იმ დონეზე, როგორც ეს იყო 100%-იანი სარეზერვო მოთხოვნის დროს.

განვითარებადი ქვეყნების ორგანიზებულ საფინანსო ბაზრებზე საკრედიტო შეზღუდვათა გაძლიერება აიძულებს ფირმებსა და ფიზიკურ პირებს დაფინანსების უზრუნველსაყოფად სესხებისათვის მიმართონ არაორგანიზებული ბაზრის კრედიტორებს. ამიტომ საბანკო დაკრედიტების ლიმიტების გამოყენებას თან ახლავს არაორგანიზებულ ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის ტენდენცია.

წინამდებარე ინსტრუმენტის მეორე ნეგატიური მხარეა ის, რომ მისი გამოყენება მოითხოვს კაპიტალის მოძრაობის მკაცრ შეზღუდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკები დაკრედიტების ლიმიტის ამოწურვის პროცესში იძულებულნი იქნებიან თავიანთი ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი დეპოზიტების სახით მოაქციონ უცხოურ ბანკებში ან გასცენ სესხად უცხოელ მსესხებლებზე.

განვითარებულ ქვეყნებში ფულადი მასის რეგულირების ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა – ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების მიმართ **სარეზერვო მოთხოვნების** გამოყენება. სარეზერვო მოთხოვნების ნორმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფულის მულტიპლიკატორის სიდიდეზე და აქედან გამომდინარე, ფულის მასის დინამიკაზე.

როცა ცენტრალური ბანკი შეუდგება სავალდებულო რეზერვების პოლიტიკის გამოყენებას, პირველ რიგში, იგი მოვალეა (ამას მოითხოვს ობიექტური აუცილებლობა) შეარჩიოს ადგილობრივ პირობებთან მორგებული სარეზერვო მოთხოვნის ტიპი. ამასთან, აქ მთავარი საკითხებია:

- სარეზერვო მოთხოვნების „ბაზა“, ე.ი. კომერციული ბანკების ვალდებულებათა ხასიათი, რომელთა გარკვეული წილი შეადგენს სავალდებულო მინიმალურ რეზერვებს;

- აქტივები, რომლებიც კომერციული ბანკების მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს სარეზერვო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- სავალდებულო რეზერვების ნორმა, განაღდების პერიოდი, რა ხნის მანძილზედაც უნდა მოხდეს მათი დაკმაყოფილება;
- სავალდებულო რეზერვებზე ცენტრალური ბანკის მიერ პროცენტის ანაზღაურების მიზანშეწონილობა.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ნიშნების შედარებით ოპტიმალური შეთანწყობა ცალკეული ქვეყნის მიმართ შეიძლება განსაზღვრული იქნეს ინდივიდუალურად კომპლექსური ანალიზის ბაზაზე ისეთი კრიტერიუმების გამოყენებით, როგორიცაა:

1. საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე ზემოქმედება;

2. ფულის მიმოქცევასა და ფულადი მასის სასურველ დინამიკაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

3. სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს შორის რესურსების განთავსების ეფექტიანობის ამაღლება;

4. ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის უბრალოება;

5. ფულადი პოლიტიკის უპირატესობანი ალტერნატიულ ინსტრუმენტებთან შედარებით.

თავი IX
საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი მათი გადაწყვეტის საქმეში

IX.1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ფინანსური პრობლემები

საქართველოს ეროვნული მეურნეობა რეფორმების საწყის ეტაპზე ღრმა კრიზისს განიცდიდა, რომლის დამახასიათებელი თავისებურებები იყო: წარმოებისა და საქონელმიმოქცევის მოცულობათა მკვეთრი დაცემა, სურსათისა და ენერგორესურსების მწვავე დეფიციტი, ეკონომიკის ბევრ დარგებში საწარმოო საქმიანობის მოშლა. ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებთან ქვეყნის ტრადიციული ეკონომიკური კავშირების გაუქმებით სავაჭრო ურთიერთობაზე მიყენებული დარტყმა, აგრეთვე ახლო წარსულში გადატანილი სამოქალაქო კონფლიქტები და აფხაზეთთან ომი, ცენტრალიზებული ეკონომიკური დაგეგმვის სისტემის მანკიერებანი ის ფაქტორებია, რომლებმაც საქართველოში ეკონომიკური მოუწესრიგებლობა და გართულებები გამოიწვიეს.

ქვეყანაში სამომხმარებლო საქონელზე ფასების გაუგონარი ზრდისა და ინფლაციური პროცესების გამწვავების დამატებითი მიზეზები გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი და ახლო წარსულში უსისტემო საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება.

ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების მიზეზით სწრაფი ტემპით გაუფასურდა კუპონი და მიმდინარეობდა ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოთა ვალუტებით ფართო მასშტაბიანი შეცვლა.

საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლით 2003 წლამდე ქვეყანას არ გააჩნდა არც საინვესტიციო პოლიტიკა და არც ინვესტიციები. მოხდა წარმოების კომერციალი-

ლიზაცია მისი არსის პრიმიტიული, გაუბრალოებული გაგებით, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკურ კრიზისს.

საკუთრების ფორმათა ფაქტობრივად უცვლელობისა და წარმოების მოცულობის შემცირებით გამოწვეული ფულადი შემოსავლების, ფასების ზრდის ხარჯზე კომპენსირების გამო საფუძველი გამოეცალა წარმოების შემდგომი ზრდის მოტივაციას. წარმოების დაქვეითებისა და ძირითადი კაპიტალის განახლების შეუძლებლობის მთავარი მიზეზი გახდა ეროვნულ პროდუქტში მოხმარების უპირატესი ზრდა და დაგროვების წილის მინიმუმამდე შემცირება.

ჯერ კიდევ რეალურად არ ფუნქციონირებს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, შრომის ბირჟა შექმნის სტადიაშია. სავაჭრო ბირჟები კი ძალიან ნელა ითვისებენ საბირჟო ვაჭრობის თანამედროვე მეთოდებს.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ჰიპერინფლაციამ, რომელიც გამოიწვია ფასების ზრდამ ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით ენერგომატარებლებზე. ენერგოტევადი ეკონომიკის პირობებში შემოთავაზებულმა ენერგოდამზოგავი ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა ფასებმა კიდევ უფრო გააძლიერა კუპონის გაუფასურება და გამოიწვია რენტაბელობის დაცემა და გადასახდელთა კრიზისი. თავის მხრივ, ფასების ზრდას ხელი შეუწყო საქონელმწარმოებელთა შორის კონკურენციის არარსებობამ, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ამას ისიც დაემატა, რომ ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის მკაცრი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ნაცვლად ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ანარქიული საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც არავითარ კანონზომიერებს არ ემორჩილებოდა და რამაც დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი ნგრევისა და სოციალური დაძაბულობის გამწვავების პროცესი. სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა ქვეყნის საბანკო სისტემა.

უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი ეროვნული მეურნეობის ფინანსური სისტემა. ამორტიზაციამ დაკარგა ინვესტიციების საიმედო წყაროს თვისებები და უძლური გახდა ხელი

შეეწყო ძირითადი ფონდების თუნდაც მარტივი კვლავწარმოებისთვის, ლაპარაკი არაა გაფართოებულ კვლავწარმოებაზე.

ქვეყანაში საგადასახდელო კრიზისი, ანუ თავისი მასშტაბებით საგადასახდელო ურთიერთობათა უპრეცედენტო მოშლა, დაიწყო ფასების ლიბერალიზაციისა და არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფონზე, რასაც თან დაერთო განუკითხაობა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებაში.

ფინანსური სისტემის კრიზისს ხელი შეუწყო ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობაში დომინირებულმა განუკითხაობამ, როდესაც რეგიონების ერთი ნაწილი აღრიცხვა-ანგარიშგებათა მოუწესრიგებლობით ფაქტობრივად მონაწილეობას არ ღებულობდა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში.

ყოველივე ამის შედეგად მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ფაქტიური ფასებით, შესაბამისად, 1995 წელს 1990 წელთან შედარებით – 30.3%-ს, ხოლო ეროვნული შემოსავლის – 29.2%-ს შეადგენდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებებები განიცადა ეროვნული შემოსავლის სტრუქტურამ. თუ 1980 წელს მრეწველობასა და მშენებლობაში იწარმოებოდა ქვეყნის მთელი ეროვნული შემოსავლის (მიმდინარე ფასებში) 50.2%, იგი 1995 წლისათვის შემცირდა 41.9%-მდე, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობაში, შესაბამისად, 30.0%-დან 47.0%-მდე გაიზარდა. თუ ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი (მუდმივ ფასებში) 1988 წელს 5.8%-ს შეადგენდა, 1995 წელს ზრდის ნაცვლად შემცირებით ხასიათდებოდა და დაცემის ტემპმა 41.5%-ს მიაღწია. ანალოგიურად 1994 წელს 1993 წელთან შედარებით წარმოებული ეროვნული შემოსავლის დაცემის ტემპმა 31.5% შეადგინა[1].

[1] მონაცემები აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტში.

IX.2. ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების პრობლემები

ქვეყნის სამეურნეო ურთიერთობათა საფინანსო და ფულად-საკრედიტო რეგულირების პრაქტიკას ბევრი პრობლემა გააჩნია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის რაციონალური შეთანწყობის საკითხებში, რომლებიც გარეგნულად გამოდიან როგორც ორგანიზაციული საკითხები, მაგრამ ფაქტობრივად ისინი ფუნდამენტური ხასიათისაა, რომელნიც განსაზღვრავენ არა მარტო სტრატეგიას, არამედ თვით საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა შინაარსს, აგრეთვე მეურნეობათა დარგებისა და საწარმოების ფინანსებსაც.

ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის საკითხები შეიძლება კომპლექსურად გადაწყდეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორი გვინდა იყოს თვით საფინანსო სისტემა და საკრედიტო, საბიუჯეტო, საგადასახადო, თვითანაზღაურებისა და ფულადი რესურსებით საწარმოთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მექანიზმი. აქვე გასათვალისწინებელია ინფლაციური პროცესების მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვს ფულადი სისტემის აუცილებელ რეფორმირებას.

ყველა ქვეყანაში ინფლაციის გამომწვევი მიზეზები, მათი მასტიმულირებელი ფაქტორები დაახლოებით ერთნაირია, მაგრამ არაერთგვაროვნად მოქმედებენ კონკრეტულად აღებულ რომელიმე ქვეყანაში. ამ მხრივ ჩვენთვის აუცილებელია განვიხილოთ ორი ჯგუფის ფაქტორების გავლენა საქართველოში ახლო წარსულში მძვინვარე ინფლაციურ პროცესებზე.

პირველი ჯგუფის ფაქტორები გავლენას ახდენს ფულადი მასის ავტონომიურ მოძრაობაზე და ხელს უწყობს ინფლაციური პროცესების დაჩქარებას.

მეორე ჯგუფის ფაქტორები იწვევს მიმოქცევაში ფულის მასის გადიდებას საქონელთა და მომსახურების ფასების ზრდის კვალობაზე.

ქვეყანაში ინფლაციურ პროცესებზე ამ ფაქტორების ზემოქმედება, როგორც წესი, განისაზღვრება ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებით. ეს სისტემა ფაქტობრივად უკანასკნელ პერიოდამდე არ არსებობდა.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა ჰიპერინფლაციის დამანგრეველი შედეგების ფორმირება, იყო ქართული კუპონის მოუმზადებლად გაშვება მიმოქცევაში. სახელმწიფოში არავითარი მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარებულა. მისი შემოღება არც შესაბამისი საკანონმდებლო აქტით განმტკიცებულა. ასევე ნაჩქარევად განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია, რამაც საქონელთა საყოველთაო დეფიციტის პირობებში ფასების გაუგონარი ზრდა გამოიწვია.

ფულის რეფორმის და თავისუფალი ფასების მოუმზადებლად განხორციელებამ გამოიწვია ის, რომ მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი არარაობამდე დაეცა, რამაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მოაქცია.

ასეთ რთულ პირობებში სახელმწიფოს მიერ ანტიინფლაციური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. საკითხი ეხებოდა იმას, რომ იგი დაკავშირებული იყო მთელ რიგ ეკონომიკურ და სოციალურ საშიშროებებთან, რომელიც ინფლაციას თან ახლავს. იგი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა მძლავრ კატალიზატორს რამდენიმე მიმართულებით:

ჯერ-ერთი, მეწარმეები დაინტერესებულნი არ იყვნენ თავიანთი კაპიტალის წარმოებაში დაბანდებით;

მეორე, ჰიპერინფლაციური პროცესი იწვევდა საგარეო-ეკონომიკურ და საგარეო-სავალუტო ურთიერთობათა შეწყვეტას;

მესამე, ქვეყნის შიგნით მწვავდებოდა სოციალური წინააღმდეგობები.

სახელმწიფო ბიუჯეტის გიგანტურმა დეფიციტმა და დაუსაბუთებელმა, ფაქტობრივად საკრედიტო რესურსებისა და სარგებლის გარეშე, ე.წ. „ჰაერის“ სესხების გაცემამ, ქვეყანა მიიყვანა ჰიპერინფლაციამდე, დაიწყო ეკონომიკური ნგრევისა და სოციალური დაძაბულობის პროცესი.

ინფლაციური პროცესის მესამე ეტაპი დაიწყო 1993 წლის ოქტომბრიდან და 1995 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა. ამ ეტაპზე ფულად-საკრედიტო სფეროში შეიმჩნეოდა სტაბილიზაციის ნიშნები. სახელდობრ, გამოიკვეთა თვიური ინფლაციის ტემპების შემცირება, სამომხმარებლო ფასების ზრდის

რამდენადმე დარეგულირება, კუპონის გაცვლითი კურსის განმტკიცება. მიუხედავად ამისა, ჯერ-კიდევ ნაადრევი იყო გრძელვადიან პოზიტიურ ტენდენციებზე დასკვნების გაკეთება. ეს კი ბევრად იყო დამოკიდებული იმ რეალურ ფინანსურ გარემოზე, რომელიც ქვეყნის საბანკო სისტემას ექნებოდა მომავალში.

1994 წლის ბოლოს ქვეყნის მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა კუპონის გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია და გამოიკვეთა ჰიპერინფლაციის დაძლევის პერსპექტივა.

1995 წელს კიდევ უფრო გაძლიერდა ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის პროცესი, რასაც მოჰყვა კუპონის მნიშვნელოვანი გამყარება და ჰიპერინფლაციის გადალახვა. შეიქმნა ოპტიმალური პირობები სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებისათვის.

„ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის, ლარის შემოღებამდე საქართველოში დასრულდა სავალუტო შეზღუდვათა ლიბერალიზაციის ერთი ეტაპი, რომელმაც მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ბოლო მოუღო სახელმწიფოს სავალუტო მონოპოლიას ქვეყანაში და დაამკვიდრა საბაზრო ეკონომიკისთვის მეტ-ნაკლებად ადეკვატური სავალუტო რეგულირებისა და კონტროლის სისტემა, თავისი საკანონმდებლო ბაზითა და ინსტიტუციური მოწყობით“[1].

IX.3. საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის ფინანსურ უზრუნველყოფაში

როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეკონომიკისადმი დახმარება წარმოების საერთო დონის ამაღლებაში, რომელიც ხასიათდება სრული დასაქმებითა და

[1] მ. კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001, გვ. 69.

ინფლაციის მინიმალური დონით. „საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა მდგომარეობს ფულის მიწოდების რეგულირებაში, ეკონომიკური ზრდის დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციის მიზნით. უფრო კონკრეტულად: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დაქვეითების ფაზაში იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდებას დანახარჯების შესაკვეცად“[1].

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია, ანუ ფულად-საკრედიტო კონტროლის სამი ძირითადი საშუალება არსებობს:

1. ოპერაციები ღია ბაზარზე;
2. სარეზერვო ნორმების შეცვლა;
3. სასესხო განაკვეთების შეცვლა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხორციელდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების რთული ქსელის მეშვეობით: 1. პოლიტიკური გადაწყვეტილებები ზემოქმედებს კომერციული ბანკების რეზერვებზე; 2. რეზერვების ცვლილებები ზემოქმედებს ფულის მიწოდებაზე; 3. ფულის მიწოდების ცვლილებები იწვევს სარგებლის განაკვეთის შეცვლას; 4. სარგებლის განაკვეთის ცვლილება ზემოქმედებს ინვესტიციებზე წმინდა ეროვნულ პროდუქტსა და ფასებს შორის წონასწორობით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმალობა მის მოქნილობასა და პოლიტიკურ მიზანშეწონილობაში მდგომარეობს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება წააწყდეს შეზღუდვებსა და გადაუჭრელ პრობლემებს: 1. ჭარბი რეზერვები, რომლებიც იქმნება იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად, შესაძლებელია კომერციული ბანკების მიერ არ იქნეს გამოყენებული ფულის მიწოდების გაფართოებისათვის; 2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკით გამოწვეული ფულის მიწოდების ცვლილება შეიძლება ნაწილობრივ კომპენსირებული იქნეს ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცვლილებებით; 3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის

[1] კემპელი რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკისი, ნაწ. II, თბ., 1993, გვ. 267-268.

ზემოქმედება შეიძლება შესუსტდეს ფულზე მოთხოვნის შემცირების კვალობაზე.

როგორც წესი, ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო სწრაფად იცვლება. ფისკალური პოლიტიკის განხილვა-გამოყენება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ შეიძლება გარკვეული დროით გადაიდოს. სულ სხვა პირობებია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართ. ეროვნული ბანკი ყოველდღიურად იღებს გადაწყვეტილებებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის თაობაზე და ამით ძალაუნებურად ზემოქმედებენ ფულის მიწოდება-მოთხოვნასა და სარგებლის განაკვეთებზე.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნდა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა და არც პოლიტიკა. ამიტომ ახალ, არაორდინალურ პირობებში მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფულად-საკრედიტო სისტემის და მისი შესაბამისი პოლიტიკის ფორმირების მიღწევა გარეგნულად შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ პრაგმატულ-ორგანიზაციული ხასიათის, სინამდვილეში ეს რთული პრობლემაა და მათი სწორად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებას, არამედ რეალურად წარმოაჩენს მათ როლს ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობის მიღწევაში, მოამზადებს ობიექტურ პირობებს. არ შეიძლება გვერდის ავლა იმაზედაც, რომ სწორი ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების გარეშე წარმატებები ძნელი მისაღწევი გახდება.

გარდამავალი პერიოდის ახლო წარსულში დაშვებული შეცდომების შედეგად ყოველგვარ კანონზომიერებას აცდენილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სპონტანურად ჩამოყალიბება მოხდა. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის გარეშე ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, რომლის პირველ საფეხურზე ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. ამ კანონმა იმოქმედა მხოლოდ 1995

წლამდე. ხოლო 1995 წლის 23 ივნისს მიღებული იქნა „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონი“, რომელიც სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ბანკის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, ბანკთა ბანს, მთავრობის ბანკირს და ფისკალურ აგენტს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება. აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობისა და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

1. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

2. საბანკო საქმიანობისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირება და ზედამხედველობა;

3. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფლობა, შენახვა და განკარგვა;

4. არის საქართველოს მთავრობის ბანკირი, მრჩეველი და ფისკალური აგენტი;

5. საქართველოში საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

6. საიმედო და მდგრადი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში ხელის შეწყობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ მის საქმიანობაში.

ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია ეკონომიკურად და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეროვნული ეკონომიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა წარმოების საერთო დონის ამაღლებაში, რომლის საბოლოო მიზანია ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევა, სრული დასაქმებისა და ინფლაციის მინიმალური დონის

შენარჩუნება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დაქვეითების შემთხვევაში დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდებას დანახარჯების შესაკვეცად.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების და მისი შესაბამისი ეკონომიკური სისტემის ფორმირება-განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ფულად სისტემაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

- ფულმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნდა უზრუნველყოს მისი მფლობელის უფლებები და იგი საკუთარი შეხედულებებით განკარგოს;
- საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნებაზე აგებული სამეწარმეო ურთიერთობათა სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ფულის სიმტკიცეზე, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის საკრედიტო სისტემის ქმედითუნარიანობის წინაპირობა და საფუძველთა საფუძველია;
- ფულის ფლობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების შესაძლო პოტენციალი მოითხოვს მიმოქცევაში ფულის გამოშვებაზე სათანადო კონტროლის დაწესებას და მისი განხორციელების ოპტიმალური მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ამიტომ საქართველოს ეკონომიკური გარდაქმნების მრავალრიცხოვან ელემენტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ფულად-საკრედიტო სისტემის ძირეული ტრანსფორმაცია, რომელიც შეუძლებელია ქვეყნის ახალი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და მისი განხორციელების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავების გარეშე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული ნაწილია. იგი წარმოადგენს საკრედიტო რესურსების მობილიზაცია-გამოყენების, ნაღდი ფულის მიმოქცევაში ხელისუფლების მიერ დასახულ და განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას.

ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება მაშინ არის ოპტიმალური, როცა ბანკის კონტროლს არის დაქვემდებარებული ეკონომიკური სისტემის მთელი რიგი პარამეტრები — ფულის მასის

მახასიათებელი მაჩვენებლების ერთობლიობა; გასაცემი სესხების მთლიანი მოცულობა; წარმოების ნომინალური და რეალური მოცულობების დონეთა ცვლილებების ტენდენცია; ფასების სხვადასხვა ინდექსების ცვლილებები, აშშ დოლარის გაცვლითი კურსი და სხვ.

ქვეყნის მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტული და შესრულებადი მიზნების მისაღწევად. კონკრეტული მიზნები მიღწეული უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებით და საპროცენტო განაკვეთით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გლობალური ამოცანები მიმართული უნდა იქნეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და საგადასახდელო ბალანსის მოწესრიგების პროგრამების განსახორციელებლად.

ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ნეგატიური გვერდითი მოვლენები, რომლებიც მას თან ახლავს. როგორც ცნობილია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფუნქციონირება შეზღუდულია და რეალურად მის განხორციელებას მთელი რიგი სირთულეები გააჩნია:

- თუ ქვეყნის ეროვნული ბანკი მთელი სისრულით გაატარებს **ძვირი ფულის პოლიტიკას**, მას მოჰყვება კომერციული ბანკების რეზერვების იმ დონემდე დაწევა, რომლის იქით იწყება სესხების მოცულობის შემცირება. **იაფი ფულის პოლიტიკა** კი აწყდება ისეთ პრობლემას, როგორიცაა: ქვეყნის მთავარი ბანკი კომერციულ ბანკებს უზრუნველყოფს საჭირო ფულადი რეზერვებით, ე.ი. ზრდის მათ მიერ სესხების გაცემის შესაძლებლობას. მაგრამ ეს პოლიტიკა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ კომერციული ბანკები ნამდვილად გასცემენ სესხებს და ფულის მიწოდება გაიზრდება. ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია დეპრესიის პერიოდში. უფრო ნორმალური ეკონომიკური ცხოვრების დროს ფულის ჭარბი რეზერვები იწვევს დამატებითი კრედიტების გაცემის სტიმულირებას და შესაბამისად, ფულის მიწოდების გადიდებას.

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ ქვეყნის ეროვნულ ბანკს არ შეუძლია გააკონტროლოს და მოახდინოს ფულის მიწოდებისა და საპროცენტო განაკვეთის ერთდროულად სტაბილიზაცია.
- ქვეყანამ დღემდე ვერ შეძლო ფასიანი ქაღალდების სრულყოფილი მეორადი ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირება.

ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ანალიზი სრულყოფილი არ იქნება, თუ არ განვიხილავთ სავალუტო პოლიტიკას, როგორც მის ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ეროვნული ბანკი შესამჩნევ წარმატებებს აღწევს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაში. მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანია ლარის გაცვლის კურსის სტაბილურობის მიღწევის გზით, ინფლაციის დონის შემცირება. 1996-2005 წლებში ინფლაციის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა:

1996 წელს – 13.8%;
1997 წელს – 7.3%;
1998 წელს – 10.7%;
1999 წელს – 10.9%;
2000 წელს – 4.0%;
2001 წელს – 4.7%;
2002 წელს – 5.6%;
2003 წელს – 4.8%;
2004 წელს – 5.7%;
2005 წელს – 8.2%.

საქართველოს ეროვნული ბანკი ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც ყველა პარამეტრებით ასრულებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს. 1995 წლიდან ჩამოყალიბდა საერთაშორისო რეზერვების ზრდის, ლარის კურსის გამყარებისა და ინფლაციის ტემპის შემცირების ტენდენცია.

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, რომელიც ემყარება მონეტარისტული პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ინდიკატორებისა და ინსტრუმენტების ოპტიმალური შერჩევის სტრატეგიას. ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის და ინფლაციის

დაბალი დონის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე ქვეყნის საბანკო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის, ხორციელდება ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრების მონიტორინგი, როგორიცაა: წმინდა საერთაშორისო რეზერვები, ეროვნული ბანკის მიერ ფისკალური დეფიციტის დაფინანსება, საბანკო სისტემის ლიკვიდობა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასა.

IX.4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც ცენტრალიზებული გეგმიანი მეურნეობიდან გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე, რამდენადმე განსხვავდება სხვა დანარჩენ წევრ-ქვეყნებთან ურთიერთობისაგან.

როგორც აღინიშნა, სსფ-ის საქმიანობის ძირითადი მიზანია ამ ქვეყნებს მხარი დაუჭირონ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევას, ვაჭრობისა და გადასახდელების შეუფერხებელ განვითარებაში, უფრო ზოგადად – ფულად-საკრედიტო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებაში ყოველმხრივი მხარდაჭერის აღმოჩენა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების მიმართ ამ როლის შესრულება სსფ-ს ძალზე უძნელდება იმის გამო, რომ სისტემატურ გარდაქმნებს ფართომასშტაბიანი ხასიათი გააჩნია და სერიოზულ სიძნელეებს უქმნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა მიმართულია იქეთკენ, რომ ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების მთავრობებს ხელი შეუწყოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევაში. ინფლაციის დაბალი დონე თავისთავად უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად, აუცილებელია შეიქმნას მყარი ეკონომიკური ზრდისათვის შესაფერისი პირობები, რომელიც სტრუქტურულ ცვლილებებს,

შინაგანი დაგროვებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობათა გაფართოების უფრო მაღალ ტემპებს მოითხოვს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ამოცანებს შორის საყურადღებოა განვითარებად ქვეყნებში უზრუნველყოფილი იქნეს: ფასების ლიბერალიზაცია, სწორი საფინანსო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობითა და რეკომენდაციით შემუშავებული იქნა წლების მიხედვით მოქმედების კომპლექსური გეგმა, ჩამოყალიბებული იყო საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის პროგრამის ძირითადი მიზნები: ჰიპერინფლაციის დაძლევა, კუპონის კურსის სტაბილიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია, ბიუჯეტის საკანონმდებლო ორგანოებში მიღება და დამტკიცება; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება და კრედიტორებთან ურთიერთობათა ნორმალიზაცია. შემდგომში პროგრამა დაკონკრეტდა შემდეგნაირად:

1. ინფლაციის შემცირება თვიურ 1%-მდე;
2. ფისკალური დეფიციტის შემცირება;
3. ფულადი რეფორმის განხორციელება;
4. საერთაშორისო რეზერვების გადიდება;
5. პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება;
6. კრედიტორებთან მოლაპარაკების დასრულება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან 1996 წლის 28 თებერვალს საქართველომ მიიღო 83.25 მილიონი აშშ დოლარის პირველი ტრანში.

1996 წლის პროგრამის ძირითადი მიზნები და შედეგები ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

1. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება;
2. წლიური ინფლაციის 15-20%-ის ფარგლებში მოქცევა;
3. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-ის 7.1%-მდე დაყვანა;
4. საერთაშორისო რეზერვების 2.7 თვის იმპორტით გაძაფარვა;
5. სახელმწიფო შემოსავლების მშპ-ის 6.7%-მდე გაზრდა;
6. პრივატიზაციის ფორსირებული ტემპებით გაგრძელება;

7. ახალი საკანონმდებლო დოკუმენტების მიღება.

საქართველომ მეორე ტრანში 76 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით 1997 წლის 27 მარტს მიიღო.

სსფ-ის 1997 წლის მიზნები და შედეგები ასეთი სახით იყო წარმოდგენილი:

1. ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩაქრება (წლიური 8-10%);

2. წლიური ინფლაციის 10-12%-მდე შემცირება;

3. ფისკალური დეფიციტის შემდგომი შემცირება;

4. ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურიზაცია;

5. სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და პროცესის დაჩქარება.

საქართველომ სსფ-სგან მესამე ტრანში (80 მილიონი აშშ დოლარი) მიიღო 1998 წლის 28 ივნისს. ამასთან, სსფ-მა 1998 წელს საქართველოს ღაუსახა:

1. ეკონომიკური ზრდის მიღწეული ტემპების შენარჩუნება;

2. ინფლაციის წლიურ 10%-მდე დაყვანა;

3. ფისკალური დეფიციტის შემცირება;

4. ენერგეტიკის რესტრუქტურიზაციის დასრულება;

5. სასოფლო-სამეურნეო და ურბანული მიწების პრივატიზაციის გაგრძელება;

6. მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარება;

7. ფინანსური და სავალუტო კრიზისის აღმოფხვრა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად 1999 წელს შეიმუშავა სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი დაფინანსების მექანიზმი, რომლის მიზანია 1999 წელს: ხანგრძლივი დახმარების გაწევა უფრო ღრმა და გაჭიანურებული სტრუქტურული პრობლემების მოგვარებისა და სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში.

საჭირო გახდა სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს მაკროეკონომიკურ, სტრუქტურულ და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკას.

სწორედ ამ პრობლემის დასაძლევად 2001 წლის 12 იანვარს დამტკიცდა სსფ-ის პირველი 3-წლიანი პროგრამა 141

მილიონი აშშ დოლარის დაფინანსებით. ეს პროგრამა სამი წლის მანძილზე ითვალისწინებდა:

1. ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას (1.8%-ის ნაცვლად 3.5%-ის მიღწევას);

2. წლიური ინფლაციის 6%-ის დონეზე დაყვანას;

3. ფისკალური დეფიციტის შემცირებას;

4. ანტიკორუფციული პროგრამის ამოქმედებას;

5. სახელფასო და საპენსიო დავალიანებების შემცირებას;

6. სოციალურ სექტორში რეფორმების დაწყებას, სოციალური დახმარების სისტემის სიღარიბის შემსუბუქებაზე ორიენტირებას.

სსფ-მა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით 2004 წლის 4 ივნისს დაამტკიცა მეორე 3-წლიანი პროგრამა 141.6 მილიონი აშშ-ის დოლარის მოცულობით, სადაც 2004-2006 წლებისათვის გათვალისწინებული იქნა:

1. ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარება (6% წლიური ზრდა);

2. წლიური ინფლაციის 5-6%-მდე დაყვანა;

3. ფისკალური დისციპლინის შემდგომი განმტკიცება;

4. ხელფასებისა და პენსიების დავალიანებათა სრული დაფარვა;

5. ძირითადი სოციალური ხარჯების გაზრდა;

6. რეფორმების მხარდაჭერა ენერგეტიკულ სექტორში;

7. საერთაშორისო რეზერვების გაზრდა (1.5 თვის იმპორტის მოცულობით);

8. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს უწევდა და უწევს ტექნიკურ დახმარებას შემდეგ ძირითად მიმართულებებში:

1. მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;

2. ეროვნული ბანკის ფუნქციონირებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაუმჯობესებაში;

3. საბანკო ზედამხედველობისა და ფინანსური სექტორის რეგულირებაში;

4. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში;

5. მაკროეკონომიკური სტატისტიკის სრულყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი ნ. საგარეო ვაჭრობა. თბ., 2003.
2. ბახტაძე ლ. ფინანსური ბაზარი. თბ., 2007.
3. გამსახურდია გ. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ პერიოდში. თბ., 1997.
4. კაკულია მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., 2001.
5. კაკულია მ., ასლამაზიშვილი ნ. დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000.
6. კაკულია რ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბ., 2003.
7. კაკულია რ. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ., 1995.
8. კაკულია რ. ფინანსური ეკონომიკა. თბ., 2007.
9. კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2003.
10. კოზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 2001.
11. მსოფლიო ეკონომიკა, ავტორთა კოლექტივი, გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით. თბ., 2001.
12. მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ., 1996.
13. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000.
14. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002.
15. ქისტაური ლ., ქისტაური შ. საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ., 1997.
16. ქისტაური შ. ეროვნული ვალუტა (წარსული, დღევანდელობა, მომავალი). თბ., 1996.
17. ქისტაური ლ. ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი). თბ., 1996.

18. ჯგერენაია ე. დილინგი და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები საერთაშორისო ბაზარზე. თბ., 1996.
19. Аткинсон Э., Стриглиц Д. Лекции по экономической теории государственного сектора, пер с англ. М., 1995.
20. Валютный и денежный рынок. Пер. с англ. М., 2002.
21. Буркина М., Семенов А. Основы валютных отношении. М., 1998.
22. Жирный А., Ярочинский М. Монетарная политика и инфляция в Грузии в 1996-1998 годах, пер. с англ., Варшава, 1997.
23. Кассель Г. Инфляция и валютный курс, М., 1995.
24. Мишкин Ф. Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков. М., 1999.
25. Наговицин А. Валютная политика. М., 2000.
26. Педро М. Международные экономические, валютные и финансовые отношения, М., 1990.
27. Фридмен М. Если бы деньги заговорили. М., 1989.
28. Харрис Л. Денежная теория. М., 1990.
29. Харрис Дж. Международные финансы. М., 1996.
30. Эбке Вернер Ф. Международное валютное право. М., 1997.
31. Международные валютно-кредитные и финансовые отношения, под ред. Красавиной Л. М., 1994.
32. Основы международных валютно-финансовых и кредитных отношении. под ред. Круглова В. М., 1998.
33. Хансен Э. Денежная теория и финансовая политика. М., 2006.

34. Формы и способы финансирования импортно-экспортных операции. Берлин. 1993.
35. Энг М., Лис Ф., Мауер Л. Мировые финансы. М., 1998.

შინაარსი

	შესავალი ----------	3
თავი I.	საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობათა არსი	5
I. 1.	საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობათა როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში	5
I.2.	სავალუტო სისტემათა განვითარების კანონზომიერებანი ----------	34
1.3.	ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობა	36
თავი II.	საერთაშორისო სავალუტო სისტემის განვითარების ეტაპები ----------	45
II.1.	ოქროს სტანდარტი	46
II.2.	ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბება ----------	54
II.3.	საერთაშორისო სავალუტო ფონდი – საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის საფინანსო ორგანიზაცია ----------	62
II.4.	ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის კრახი -	68
II.5.	იამაიკის სავალუტო სისტემა	72
თავი III.	საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციები	91
III.1.	საკაცობრიო პრობლემებით დასაქმებული ორგანიზაციები ----------	92
III.2.	ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია განვითარებული ქვეყნების მიერ	98
III.3.	ევროკავშირის ორგანიზაციები ----------	101
III.4.	ევროპის სავალუტო კავშირი: პრობლემები და	

პერსპექტივები 105
თავი IV. საერთაშორისო სავალუტო და ფინანსურ ურთიერთობათა ეკონომიკური თეორიები 113
თავი V. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო ურთიერთობები მის წევრ-ქვეყნებთან 134
V.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ფორმირება, მიზნები და ამოცანები ---------- 134
V.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარების ფორმები და დაფინანსების მექანიზმი 141
V.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ევოლუციის ძირითადი ეტაპები ---------- 148
V.4. ევროკავშირის საკრედიტო ურთიერთობანი 154
V.5. სესხები ექსპორტის განვითარებისთვის 158
V.6. საერთაშორისო კრედიტი და დავალიანებათა მსოფლიო კრიზისი ---------- 161
V.7. უცხოური კაპიტალის საგადასახადო დაბეგვრა 169
თავი VI. საერთაშორისო ანგარიშსწორება ---------- 171
თემა VII. საგადასახდელო ბალანსი 183
VII.1. საგადასახდელო ბალანსის არსი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ---- 183
VII.2. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შედგენაში ---------- 201
VII.3. საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და საგადასახდელო ბალანსის ურთიერთობა 203
VII.4. ფინანსურ ურთიერთობათა განვითარება და დავალიანებათა პრობლემები ---------- 205
VII.5. დამოუკიდებელი ფინანსური ნაკადების განვითარება ---------- 208

თემა VIII. განვითარებადი ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემის ტრანსფორმაციის პრობლემები ------ 212
VIII.1. საქართველო განვითარებადი ქვეყნების გზას მიჰყვება ---------- 212
VIII.2. ეროვნული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა ჩამოყალიბება და ცენტრალური (ეროვნული) ბანკების ფუნქციათა განვითარება --------- 219
VIII.3. ფულად-საკრედიტო რეფორმები განვითარებად ქვეყნებში 227
VIII.4. კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლი ---------- 236
VIII.5. კაპიტალის ბაზრების განვითარება 242
VIII.6. განვითარებადი ქვეყნების ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ფულადი მასის რეგულირება ------- 251
თავი IX. საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი მათი გადაწყვეტის საქმეში ---------- 259
IX.1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ფინანსური პრობლემები 259
IX.2. ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების პრობლემები ---------- 262
IX.3. საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის ფინანსურ უზრუნველყოფაში 264
IX.4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საქართველოს სავალუტო და საკრედიტო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში ---------- 271
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 275